# ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲙᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

## პრაქტიკის მოდულის განვითარება სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისთვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

STEINERHØYSKOLEN
Rudolf Steiner University College

ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2021

სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში: პრაქტიკის მოდულის განვითარება სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისთვის – მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

სამეცნიერო რედაქტორი: შორენა საძაგლიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი


ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ/AUTHORS:

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა*
*Ilia State University, Master of Social Work Program*

შორენა საძაგლიშვილი
ქეთევან ლეკიშვილი
ქეთევან გიგინეიშვილი

Shorena Sadzaglishvili
Ketevan Lekishvili
Ketevan Gigineishvili

*პრაქტიკის ხელმძღვანელები:*
ლია ასანიშვილი
მარინა შოსტაკ
ლალი ხანდოლიშვილი
ქეთევან მაყაშვილი

*Practice Teachers:*
Lia Asanishvili
Professor Marina Shostak
Professor Ketevan Makashvili
Lali Khandolishvili

*საერთაშორისო ექსპერტები:*
პეტერ ჰოლმი
ვერა სიმაკოვა

*International Experts:*
Petter Holm
Vera Simakova



დაკაბადონება: ნანა დუმბაძე
ყდის დიზაინი: ირაკლი უშვერიძე
ნახატი: საბა ცარიელაშვილი

ISBN 978-9941-18-375-1

Social Work in Social Pedagogy: Development of Practice Module for Social Work Master Program: Methodological Manual
Scientific Editor: Shorena Sadzaglisvhili, MSW, PhD, Professor

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

**შორენა საძაგლიშვილი** არის ევრაზიის პროექტის "Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway" (CPEA-LT-2017/10043) ხელმძღვანელი. შორენა საძაგლიშვილი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური მუშაობის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ასევე, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი. შორენა საძაგლიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალიბით; 2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ზოგად ფსიქოლოგიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. მისი სადისერტაციო თემაა მშობლების აგრესიულობის როლი ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. 2003 წელს დაამთავრა აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტი სოციალურ მუშაობაში სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით. 2014-2015 წელს იყო ამერიკის მთავრობის ფულბრაიტის საერთაშორისო პროგრამის სტიპენდიანტი. მან პოსტ დოქტორანტურა გაიარა ნიუ იორკის უნივერსიტეტში (2014-15), გერმანიის ფრანკფურტის საერთაშორისო პედაგოგიურ კვლევით ინსტიტუტიში (2008), ნიდერლანდების სამეფოს განათლების ფსიქომეტრიულ კვლევით ინსტიტუტში (2008-09) და ფინეთის ტურკუს უნივერსიტეტში (2015). შ. საძაგლიშვილი არის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი და მოქმედი თავჯდომარე 2019 წლიდან. იგი ხელმძღვანელობდა უამრავ საერთაშორისო თუ სამთავრობო პროექტს სოციალური მიმართულებით, რომელიც

მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული სოციალური პოლიტიკის დახვეწას და განვითარებას. იგი არის  ასამდე საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, წიგნის, სამეცნიერო მოხსენების, თუ კვლევითი ანგარიშის ავტორი. შორენა საძაგლიშვილს მოპოვებული აქვს არაერთი ჯილდო მისი აკადემიური, კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის.

**ქეთევან ლეკიშვილი არის** პროექტის პრაქტიკის კოორდინატორი.  2017 წელს მან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან მიიღო სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი.  ასევე, მას მინიჭებული აქვს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიაში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). ქეთევანი არის “სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის” ასოცირებული მკვლევარი. ქეთევანი 2020 წლიდან დასაქმებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციაში.  მას აქვს არასრულწლოვნებთან მუშაობის 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება. მისი კვლევითი ინტერესებია: ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, ბავშვთა კეთილდღეობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები და ზრდასრულები და ა.შ. ქეთევანი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, პროექტებში და ღონისძიებებში. ასევე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია და თანაავტორია მონოგრაფიის.

**ქეთევან გიგინეიშვილი არის** სოციალური მუშაობის დოქტორანტი.  ქეთევან გიგინეიშვილს აქვს ილიას უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი. 2019 წლიდან ქეთევანი არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დი-

რექტორი. ქეთევანს აქვს სოციალურ მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება, რომელიც მოიცავს სამივე, როგორც მიკრო, ისე მეზო და მაკრო დონეზე მუშაობას. მისი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებთან მუშაობას. ასევე, კვლევების დაგეგმვის და განხორციელების უზრუნველყოფას და მონაწილეობას, ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა ორგანიზაციებისა და უწყებებისთვის. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციაში ქეთევანი 2017 წლიდან მუშაობს და ასრულებდა პროექტების კოორდინატორის, ტრენერის მოვალეობას. ქეთევანი არის მიწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლიდან, ხოლო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლიდან. 2019 წელს იყო ასევე მიწვეული ლექტორი ჩეხეთში, პალაცკის უნივერსიტეტში, სოციალური მუშაობის მიმართულებით. იგი არის დიაკონია ჩეხეთის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მოწვეული ტერენერი. იგი არის თანაავტორი სოციალური მუშაკებისთვის განკუთვნილი სასწავლო სახელმძღვანელოების.

**ლია ასანიშვილი არის** პროექტის პრაქტიკის ხელმძღვანელი, პრაქტიკული კურსების ხელმძღვნელი და „დღის ცენტრით მომსახურების სახელმწიფო პროგრამის" მენეჯერი. 1994 წლიდან დღემდე, არის ორგანიზაციის "კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ" სოციალური თერაპევტი და გამგეობის წევრი. ფსიქოლოგის განათლება მიიღო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ გაიარა სხვადასხვა საკვალიფიკაციო თეორიული კურსები, პრაქტიკა და მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერ-

ტიფიკატები. კერძოდ, აიმაღლა კვალიფიკაცია ევროპის სოციალ-თერაპიულ დაწესებულებებში (შვეიცარია, ნორვეგია, გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი, 2000-2017 წ.წ.); მონაწილეობდა შშმპ-თა და პაციენტთა უფლებების დაცვის კუთხით გამართულ სხვადასხვა კონფერენციებში (CORDAID, პოლონეთი, საქართველო, ჰოლანდია). 2008-2011 წლებში გახლდათ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრი. არის პოსტ/საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო საკვალიფიკაციო ქსელის წევრი და ხშირად იწვევენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ტრენინგების ჩასატარებლად შშმპ-თა მომსახურებისა და უფლებების დაცვის საკითხებზე. 2001 წლიდან დღემდე არის ორგანიზაციასთან არსებული ინტეგრირებული თეატრის ხელმძღვანელი; საქართველოში მოღვაწე შშმპ-თა მომსახურების ცენტრების და ინიციატივების კონსულტანტი და ზრდასრულ შშმპ-თა საკითხებში კონსულტანტი, ხოლო 2004 წლიდან დღემდე გახლავთ „სოციალურ თერაპიული სემინარის" წარმომადგენელი საერთაშორისო ანთროპოსოფიულ საკვალიფიკაციო სივრცეში (SET-NET).

**მარინა შოსტაკ არის** პროექტის პრაქტიკის ხელმძღვანელი. იგი არის თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ხელმძღვანელი. იგი სწავლობდა ქ. პეტერბურგში, გერცენის სახელობის უნივერსიტეტში დეფექტოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა თბილისის დამხმარე სკოლაში ლოგოპედად. დაიცვა დისერტაცია ქ. მოსკოვის დეფექტოლოგიის ინსტიტუტში, რის შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების საქართველოს რესპუბლიკური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების კათედრაზე. მიიღო დოცენტის და შემდგომ პროფესორის წოდება. პროფესორი მარინა შოსტაკი კითხულობდა

ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში, სადაც აგრეთვე იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე დეფექტოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ქ. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1991 წელს დააარსა თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, რომლის ნაწილიცაა სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა, სამკურნალო-პედაგოგიური საბავშვო ბაღი, შშმ პირთა დღის ცენტრი, მკურნალ პედაგოგთა გადამზადების ფაკულტეტი და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის სხვა მიმართულებები. ცენტრს აქვს საერთაშორისო აღიარება, კერძოდ, მას აქვს სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის განათლების საერთაშორისო საბჭოს (კასელი, გერმანია) ლიცენზია. პროფესორი მარინა შოსტაკი არის სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის საერთაშორისო წრის (დორნახი, შვეიცარია) წევრი.

**ლალი ხანდოლიშვილი არის** პროექტის პრაქტიკის ხელმძღვანელი. იგი არის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირის "ქედელის" დამფუძნებელი და დირექტორი. ლალი ხანდოლიშვილი 1991-1995 წელს სწავლობდა ხელოვნების აკადემიაში, საგუნდო სადირიჟორო მიმართულებით. იგი არის გუნდის დირიჟორი, საგუნდო კლასის პედაგოგი და ფოლკლოროსტი. მან 2000-2003 წელს გაიარა ბაზისური კურსი სოციალურ-თერაპიაში (კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას რომ საჭიროებენ). ხოლო 2003 წელს კი მოკლე სემინარი მუსიკის თერაპიაში ნიდერლანდებში (Scorlewald NL). 1999 წლიდან სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირის – თემი ქედელის დამფუძნებელი. მას აქვს საკმაოდ დიდი სამუშაო გამოცდილება მუსიკის მიმართულებით. კერძოდ, ლალი ხანდოლიშვილი 1985-1990 წლებში იყო სიღნაღის კულტურის სახლის, ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი; 1986-1996 წლებში

სიღნაღის საშუალო სკოლის მუსიკის პედაგოგი; 1990-2000 წლებში სიღნაღის ხელოვნების კოლეჯის საგუნდო კლასის პედაგოგი, გუნდის დირიჟორი; 1998-2000 წლებში თბილისის სოციალური თერაპიის სახლის მუსიკის თერაპიის ხელმძღვანელი; იგი არის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. კერძოდ, 2001 წელს გახდა ბელგიის საცხოვრებელ ერთობა Widar-ის წევრი; ნიდერლანდების სარეაბილიტაციო ცენტრის „Quinta Essentia'' წევრი.

**<u>ქეთევან მაყაშვილი</u> არის** პროექტის პრაქტიკის ხელმძღვანელი. იგი არის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბავშვის განვითარების ინსტიტუტის „განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის სასწავლო პრაქტიკული პროგრამის“ ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით. მან 1980 წელს დაამთავრა ქ. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი ნეირო და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით. 1981 წლიდან მუშაობდა უზნაძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1986 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფიქსირებული განწყობის თავისებურებები პერვაზიული დარღვევის მქონე ბავშვებში.'' ქეთევან მაყაშვილი 1987-99 წლებში ხელმძღვანელობდა ბავშვებში ფსიქიკური განვითარების დარღვევების კვლევით ლაბორატორიას ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურებს და რკინიგზის მუშაკთა ფსიქოლოგიური შეფასების კომისიას. 1997-2011 წლებში მუშაობდა საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელ გუნდებში: „ინვალიდ ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ფსიქო-სოციალური და ემოციური ზრდისათვის“

(UNICEF), „უმაღლესი განათლებისა და სოციალური ზრუნვის რეფორმა“ (TEMPUS), “Capacity Building in Support of Rule of Low in Georgia’ (Human dynamics). გავლილი აქვს პროფესიული განვითარების საერთაშორისო პროგრამები: სკრანტონის უნი-ვერსიტეტში (აშშ) „საგანმანათლებლო და სოციალური ინკლუ-ზია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარ-დებისათვის“; ვილნიუსის უნივერსიტეტში “ბავშვთა და მოზარ-დთა ფსიქიკური ჯანმრთელობა; კატანიის სუპერვიზიის ინსტი-ტუტში (გერმანია) „კლინიკური სუპერვიზია“, ჯგუფური ფსი-ქოთერაპიის მეთოდი „მითოდრამა“ (შვეიცარია). 1989 წლიდან ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამედიცინო ფსიქოლო-გიისა და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში. როგორც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტმა, სკრენ-ტონის უნივერსიტეტთან მემორანდუმის საფუძველზე, 2003 წელს ჩამოაყალიბა განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში TUNING-ის მეთოდოლოგიით მოამზადა საბაკალავრო მოდუ-ლები „აუტიზმი“ და „ინკლუზიური განათლება და დასაქმება“. იყო განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ხელმძღვანელობდა სამაგისტრო პროგ-რამას „სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი“. არის მეთოდური სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და სამოცდაა-თამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

**ვერა სიმაკოვა,** ANO NPSPO “Blagoe delo” გენერალური დირექტორი, სვერდლოვსკის რეგიონი, რუსეთი. მან მიიღო ეკო განათლება რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯში,

ოსლო. ვერა სიმაკოვას დიდი წვლილი შეაქვს შშმ პირების რეაბილიტაციის მიმართულებით რუსეთში. თავის ორგანიზაციაში მან დანერგა შშმ პირებთან ინოვაციური მეთოდებით მუშაობა. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია "ტრინალური მეთოდი", რომელიც მან განავითარა ნორგვეგიელ დოქტორ პეტერ ჰოლმთან ერთად. "ბლაგოე დელო" არის შშმ პირების რესურს ცენტრი რუსეთში, რომელიც 2005 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს სკანდინავიის ქვეყნებთან. ამ ორგანიზაციამ განავითარა შშმ პირებთან მუშაობის ინკლუზიური მოდელი და 400 სოციალური მუშაკისთვის უზრუნველყო პროფესიული განათლება. ქალბატონი ვერას თაოსნობით ჩატარდა პირველი მსოფლიო კონგრესი შშმ პირებისათვის ეკატერინბურგში 2017 წელს.

"Social Pedagogy in Social Work" is a methodological book developed through the Eurasia 2017 – three-year funding project: "Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway".

The main objective of the project was to promote and develop practice based higher education in social pedagogy and social work as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in work life, culture and education. By forming a multi stakeholder partnership including universities, practitioners, integrated art groups, NGOs and governmental bodies, the partners are working for a long term collective impact on the development of the disability field in each of the cooperating countries Norway, Armenia, Georgia, Kyrgyzstan.

During the project, social pedagogy was developed as a new direction for social work in the cooperating Eurasian countries, new curricula and courses were created, piloted and evaluated within the framework and situation in each country.

By the support of the Eurasia project, Ilia State University, Master of Social Work Program developed practice module "Social Work in Social Pedagogy" to meet the need of development of social work education on disability and enhance competences of social work graduates in working with disabled youth and adults.

The proposed methodological book encompasses 10 chapters. The first chapter, which is written by Professor Shorena Sadzaglishvili, is about the relation of social work and social pedagogy. The second chapter is written by Ketevan Gigineishvili and talks about psychosocial needs of disabled people. The next chapter is written by Dr. Vera Simakova and it describes Trinal Method. The fourth

chapter is written by Dr. Lia Asanishvili, Practice Teacher and Social Therapist, Psychologist and it talks about the modern methods in social therapy with disabled adults, in the fifth chapter Dr. Marina Shostak wrote about Curative Pedagogy and Waldorf school. Dr. Lali Khandolishvili wrote the sixth chapter which is focused on the social therapy approaches used in the community "Kedeli" and the seventh chapter is written by Professor Ketevan Makashvili. This chapter is about the methodology of social pedagogy from the period of transition from childhood to adulthood based on the Child Development Institute of Ilia State University.

The chapter eight is written by Professor Sadzaglishvili and is about the implementation process of the module "Social Pedagogy in Social Work" at the MSW program at Ilia State University. The ninth chapter is written by practice teachers and university staff and specifies methodological details that contributes towards development of competencies in social work /social pedagogy through the assignments in each semester (in total 4 semesters). The final chapter focuses on the joint final projects that were developed by MSW students and beneficiaries. This last chapter is written by Professor Shorena Sadzagishvili and Practice Coordinator Ketevan Lekishvili.

This methodological book is a great tool for practice teachers and students who will be involved in the module "Social Pedagogy in Social Work". In particular, this book will help practice teachers to plan their work with the students to promote their professional development and social work/social pedagogy competencies in working with disabled people.

I hope you enjoy reading this book.

Petter Holm

3 October 2021

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მომზადდა ევრაზიის პროექტის ფარგლებში – უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება სოციალურ მუშაობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინკლუზიისა და სოციალური რეფორმებისათვის სოციალური პედაგოგიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით სომხეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და ნორვეგიაში [“Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway” (CPEA-LT-2017/10043)]. სამწლიანი პროექტი მიზნად ისახავდა სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროექტის პარტნიორები იყვნენ ნორვეგიის რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯი, სომხეთის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციოლოგიის ფაკულტეტის სოციალური მუშაობის დეპარტამენტი და არაბაევის ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წინასასკოლო განათლების დეპარტამენტი. ასევე, პროექტში ჩართული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან პრაქტიკის განმახორციელებლი სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები: Mayri NGO, Centre for curative pedagogy and social therapy (AM), Unison (AM), Kharberd Orphanage (AM), Association for People in need of Special Care (GE), Center for Free Pedagogy (GE), Institute for Social Therapy (NO), Sosialterapeutisk Forbund (NO), Camphill Landsbystiftelse I Norge (NO), Centre Ümut-Nadjeschda (KG).

*პროექტის ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა პრაქტიკის მოდული: "სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში". პრაქტიკის სწავლებაში ჩართულნი იყვნენ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები: ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ (სოციალური თერაპიის სახლი), ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ბავშვის განვითარების ინსტიტუტი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააფორმა ხუთწლიანი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯთან, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას სოციალური მუშაობის განვითარების კუთხით. მემორანდუმები გაფორმდა ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური მუშობის პრაქტიკის განხორციელებას მოცემულ ორგანიზაციებში.*

*პრაქტიკის მოდულის პილოტირება მოხდა 2018 წლიდან 2021 წლის განმავლობაში. პროექტში ჩაერთო სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის 16 სტუდენტი, აქედან პროექტის წარმატებული დასრულების აღსანიშნავად 9 სტუდენტმა მიიღო საერთაშორისო პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ხოლო ერთმა სტუდენტმა ნინო გოლიაძემ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი ვალდოფრის პედაგოგიკის მიმართულებით. ასევე, პროექტში ჩართულნი იყვნენ სოციალური მუშაობის სადოქტორო საფეხურის სტუდენტები: ქეთევან გიგინეიშვილი, მარიამ ბარბაქაძე და ნინო გიორგაძე, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს ნორვეგიის რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯში. გარდა ამისა,*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებ-ლები, პროფესორი ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი ქეთევან მაყაშვილი, მოწვეული ლექტორი რუსუდან ბოლქვაძე, სას-წავლო-გაცნობითი მიზნით მონაწილეობდნენ საერთაშორი-სო ვიზიტებში ნორვეგიაში, რუსეთსა და სომხეთში. სას-წავლო-საერთშორისო ვიზიტებში მონაწილეობდნენ ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელები: ლია ასანიშვილი, ლალი ხანდო-ლიშვილი და ნინო გელაშვილი, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის წარმომადგენელი.*

*პროექტის ფარგლებში გაიმართა ოთხი ბლოკ-სემინა-რი, რომელშიც მონაწილებდნენ ჩვენი პარტნიორები. თემები შეეხებოდა სოციალური პედაგოგიკის სწავლების მეთოდო-ლოგიურ საკითხებს. მეოთხე ბლოკ-სემინარი გაიმართა ილი-ას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 14-15 ოქ-ტომბერს. ამ ღონისძიებას უმასპინძლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამამ სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვი-თარების კვლევით ცენტრთან ერთად. ღონისძიებაში მონაწი-ლეობდნენ 50-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომად-გენლები, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო და სადოქტორო საფე-ხურის სტუდენტები.*

*2021 წლის 29 მაისს გაიმართა შემაჯამებელი საერთა-შორისო კონფერენცია, რომლზეც შეჯამდა პროექტის შედე-გები. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პრაქტიკის ხელმძღვანელები, სტუდენტები და თავად ბენეფიციარები. სტუდენტებმა და ბენეფიციარებმა წარადგინეს ერთობლივი შემაჯამებელი პროექტები. კონფერენციაზე ასევე მოხსენე-ბები გააკეთეს საერთაშორისო პარტნიორებმა ქრისტიან ვილბერსმა, პეტერ ჰოლმმა, ევა დავისმა და ვერა სიმაკოვამ.*

*მოხსენებები მიეძღვნება როგორც ახალი მოდულის დანერგვის საკითხებს, ასევე სოციალური მუშაობის ეთიკის და პრაქტიკის ურთიერთმიმართებას.*

*გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ პეტერ ჰოლმს და ვერა სიმაკოვას, რადგან მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ პროექტის განხორციელება.*

*და ბოლოს – განსაკუთრებული მადლობა ჩვენი პროექტის სამიზნე ჯგუფს – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, მათ ოჯახებსა და მთლიანად თემს – პროექტის ფარგლებში ღია და გულწრფელი თანამშრომლობისთვის!*

*შორენა საძაგლიშვილი*
*პროექტის ხელმძღვანელი*
*21 ივლისი 2021 წელი*
*თბილისი, საქართველო*

# სარჩევი

თავი 1 სოციალური მუშაობა და სოციალური პედაგოგიკა ............................................................21

თავი 2 გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა ფსიქოსოციალური საჭიროებები ............................34

თავი 3 ტრიალური მეთოდი სოციალურ პედაგოგიკაში ...80

თავი 4 სოციალური თერაპია – მიდგომები და პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში ზრდასრულ შშმ პირებთან მუშაობის ჭრილში............................................................88

თავი 5 სამკურნალო პედაგოგიკა და სამკურნალო-პედაგოგიური ვალდორფის სკოლა ...................................134

თავი 6: სოციალური თერაპიის არსი და მიდგომები საცხოვრებელ ერთობაში – საცხოვრებელი ერთობა „ქედელის“ მაგალითზე ..................................................152

თავი 7 სოციალური პედაგოგიკის რელევანტური მეთოდოლოგიები, როგორც ბავშვობიდან ზრდა-სრულობაში ტრანზიციის ეფექტიანობის ინსტრუმენტი ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და მენტალური პრობლემების მქონე პირებისათვის: ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მაგალითზე ...............................................194

თავი 8 პრაქტიკის მოდულის “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” მოდულის დანერგვა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაზე.................................237

თავი 9 “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” მოდულის ფარგლებში სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები სირთულის დონეების, სემესტრების და კომპეტენციების მიხედვით ................................................254

*კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ (Apnsc)* ................................................257

*თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი* ..............................275

*სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი* ...................................................293

*ბავშვის განვითარების ინსტიტუტი* ................................310

თავი 10 სტუდენტების და ბენეფიციარის ერთობლივი პროექტების მიმოხილვა და სტუდენტების თვითრეფლექსიები ...........................................................323

დანართები.......................................................................341

დანართი 1- პრაქტიკის ორგანიზაციები .........................341

დანართი 2- საგანმანათლებლო გეგმა ...........................350

დანართი 3 – პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა ...............................................................................353

დანართი 4 – პრაქტიკაზე დახარჯული საათების აღრიცხვის ფურცელი ........................................................359

დანართი 5 -კონფერენციის დღის წესრიგი....................360

დანართი 6 – სერთიფიკატი ...........................................363

Short Summary ...............................................................364

## ცხრილები:

ცხრილი №2.1 განსხვავება ინდივიდზე ორიენტირებულ მიდგომასა და სისტემურ მომსახურებას შორის ...................71

ცხრილი №4.1 რიტმის ძალა.....................................................104

ცხრილი №4.2 სანთლების სახელოსნოს დღის რიტმი და შრომითი საქმიანობის გადანაწილება ....................................105

ცხრილი №4.3 სოციალურ-თერაპიულ მუშაობის სამი მიმართულება ...................................................................106

ცხრილი № 4.4 ფუნქციების განაწილება: თერაპევტი, დამხმარე და ჯგუფი ..................................................................108

ცხრილი №4.5 სანთლების კეთების ოპერაცია .......................110

ცხრილი №4.6 სანთლების სახელოსნოს საქმიანობის განაწილება ............................................................................111

ცხრილი №4.7 სანთლების სახელოსნოს ბენეფიციარების შრომითი საქმიანობის უნარ-ჩვევები ....................................120

ცხრილი № 4.8 ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების გეგმა ..................................................................122

## სქემები:

სქემა №7.1 ტრანზაცია ზრდასრულ ცხოვრებაში, როგორც ხანგრძლივ ვადიანი (ლონგიტიდური) პროცესი....197

სქემა №7.2 განწყობის თეორიის საფუძველზე შექმნილი- რეალობის ურთიერთ დამოკიდებულების ოთხ ასპექტიანი მოდელი ........................................................................213

## დიაგრამა

დიაგრამა №2.1 ცხოვრების კურსის – Life Course - პერსპექტივა .......................................................................46

# თავი 1

# სოციალური მუშაობა და სოციალური პედაგოგიკა

ავტორი: შორენა საძაგლიშვილი

## 1.1 შესავალი

სოციალური მუშაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFSW) და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (IASSW) მიერ ერთობლივად შემუშავებული დეფინიციის თანახმად, სოციალური მუშაობა არის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური განვითარების, ცვლილების, გაერთიანებისა და ადამიანთა გათავისუფლებისა და გაძლიერების ხელშეწყობას (International Federation of Social Workers, 2014).

რა კავშირია სოციალურ მუშაობასა და სოციალურ პედაგოგიკას შორის? ევროპაში "სოციალური მუშაობის" ცნება, რომელიც საერთაშორისო და ამერიკული ტერმინია, გენერალიზდება და შეიცავს სოციალური პედაგოგიკის ევროპულ ტრადიციებს. სოციალური პედაგოგიკა უკავშირდება სოციალურ მუშაობას და ზოგად პედაგოგიკას (Plotkin, 2014; Hämäläinen, 2012; Prosvetova, 2009). სოციალური პედაგოგიკა მიზნად ისახავს ადამიანის პრობლემების გაგებას მისი სოციუმში განხილვის კონტექსტში (ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში) და განსაკუთრებით ფოკუსირდება იმ ბავშვების სოციალურ განათლებაზე, რომლებიც განიცდიან სოციალიზაციის გამოწვევებს (Mardachaev, 2011; Galaguzova, et al., 2012, Raschetina, 2012).

გარდა ამისა, სოციალური პედაგოგიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მომავალ თაობას სოციალურ სისტემასთან ადაპტაციაში, წინ აღუდგეს ქცევის ნორმებიდან ნეგა-

ტიურ გადახრებს (Nikitin, 2002). ზოგადი გაგებით, სოციალური პედაგოგიკა იკვლევს ადამიანის და საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთფორიმირების პროცესს და მექანიზებს. სოციალური პედაგოგიკის საგანია პედაგოგიური ზეგავლენის პროცესი ყველა ასაკობრივ საფეხურზე, სხვადასხვა მიკროგარემოში, ხოლო ობიექტია ადამიანის სოციალური ურთიერთობის მთლიანი სისტემა მის უახლოეს გარემოცვაში. ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური პედაგოგიკა, როგორც სოციალური განათლება სოციალიზაციის პროცესში, მდგომარეობს სოციალურ ჯგუფში პიროვნების ეფექტურ ადაპტაციაში მისი წარმატებული თვით-დეტერმინაციით (Mudrik, 2010).

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სოციალური პედაგოგიკის მთავარი ამოცანაა სოციალურ მუშაობასთან მისი მიმართების გარკვევა (Raschetina, 2012; Sorochinskaya, 2015). არსებობს მოსაზრება, რომ სოციალური მუშაობა და სოციალური პედაგოგიკა განსხვავებული ცოდნის სფეროებია. სოციალური მუშაობის საგანია ინდივიდი თავისი სოციალური პრობლემებით, ხოლო სოციალური პედაგოგიკის საგანია ინდივიდი სოციალური განათლების სისტემაში, სადაც ძირითადად მოიაზრებიან ბავშვები და მოზარდები.

სოციალური პედაგოგიკა ორიენტირებულია ბავშვებზე, მოზარდებზე და ახალგაზრდებზე სოციალიზაციის პროცესში, მაშინ როცა სოციალური მუშაობა აქცენტირდება ინდივიდების, ოჯახების, თემების, საზოგადოებრივი ჯგუფების გარემოსთან შეგუებაზე და მათი სოციალური ფუნქციონირების აღდგენაზე და გაუმჯობესებაზე მათთვის შესაბამისი სოციალური პირობების შექმნის გზით (Galaguzova, et al. 2012). ამ ავტორების მიერ სოციალური მუშაობა და სოციალური პედაგოგიკა მიკუთვნებულია სოციალური პრაქტიკის სხვადასხვა სფეროებს.

სოციალური პედაგოგიკის სფეროა სოციალური კვლევა, რომლის მიზანია სოციალური განათლების პრაქტიკის შექმნა, ხოლო სოციალური მუშაობის სფეროა სოციალური პრაქტიკა,

რომელიც ისწავლება სოციალური მუშაობის სისტემური თეორიით, მათ შორის სოციალური მუშაობა მეთოდად იყენებს განათლებას, რათა ხელი შეუწყოს სოციალური დისფუნქციების შემცირებას და ადამიანის სისტემის გარემოსთან უკეთ შეგუებას (Mudrik, 2010). ამისგან განსხვავებით, სოციალური პედაგოგიკა ავითარებს ცოდნას, რომლის მიზანიცაა ადამიანების სოციალიზაცია და განათლების საშუალებით კრიზისული სიტუაციების გამკლავებაში დახმარება (Suenker & Braches-Chyrek, 2016).

სოციალური პედაგოგიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დარგი ეკლექტურად იყენებს სხვადასხვა თეორიებს და ამ მხრივ, განიცდის მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებას (Romm, 2016). სოციალური პედაგოგიკის საერთაშორისო სტანდარტი მოიცავს სოციალური პედაგოგიკის სფეროს შემდეგ აქტივობებს: (1) სკოლის მოსწავლეების, განსაკუთრებით სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების და კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვების სოციალური უსაფრთხოების ხელშეწყობა; (2) სკოლის მოსწავლეებისთვის სოციალურად სასარგებლო საქმიანობების ორგანიზება სოციალური პროექტებით და სოციალური ინიციატივებით; (3) სკოლის მოსწავლეების საჭიროებების, პრობლემების, კონფლიქტური სიტუაციების იდენტიფიცირება მათი პროსოციალური ინტერესების განვითარებით; (4) სამუშაო გარემოში პროფესიული თვით-იდენტიფიკაციის და ჩვევების განვითარება; (5) სოციალურ ინსტიტუტებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის მედიაციის გაწევა და მათი დაკავშირება (Romm, 2016).

არსებობს მოსაზრება, რომ სოციალური პედაგოგიკა სოციალური მუშაობის ნაწილია (Mardachaev, 2011). მაგალითად, გერმანიაში საზოგადოებრივი მუშაობა ე.წ. “Soziale Arbeit” (ინგლისურად, “societal work”) აერთიანებს სოციალურ პედაგოგიკას და სოციალურ მუშაობას (Otto & Thiersch, 2014 in Suenker & Braches-Chyrek, 2016). შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი მეცნიერის კლაუს მოლენჰაუერის ნაშრომმა (1959) საფუძველი ჩაუყარა სოციალური მუშაობის ინსტიტუციონალიზაციას დასა-

ვალეთ ევროპაში. ნაშრომი “სოციალური პედაგოგიკის საფუძვლები ინდუსტრიულ საზოგადოებაში” ხაზს უსვამდა პედაგოგიკის ჰუმანისტური რელსებიდან უფრო ძლიერ სოციალურ მეცნიერულ ორიენტაციაზე გადასვლის საჭიროებას. მის ნაშრომში სოციალური პედაგოგიკის მთავარი არსია განათლების პროცესი (Mollenhauer, 1964 in Suenker & Braches-Chyrek, 2016). შემდგომში მოლენჰაუერმა უჰლენდორფთან ერთად განიხილა ინდივიდის და სოციუმის ურთიერთქმედება უარყოფითი ცხოვრებისეული სიტუაციების კონტექსტში და მასზე სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენები.

კიდევ ერთი ავტორი მ. ვინკლერი საუბრობს სოციალურ პედაგოგიკაში სოციალური ინკლუზიის მნიშვნელობაზე, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას, სადაც სოციალურ-პედაგოგიური პრობლემები და რისკები განხილულია დაინტერესებული მხარეების და სოციალური ინსტიტუტების კონტექსტში, უფრო ზუსტად, სოციალური მუშაობის კონტექსტში, რომელიც ქმნის სოციალურ ინფრასტრუქტურას. სუბიექტის ცნება, განხილულია სოციალური მუშაობის დამოუკიდებელ ცნებად, რომელიც ემსახურება იმის განსაზღვრას, თუ სოციალურ პედაგოგიური ინსტიტუტები რამდენად ზღუდავენ ან აზიანებენ სუბიექტურობას და ხელს უწყობენ პიროვნების თვით-დეტერმინაციას (Winkler, 1988; 1995 in Suenker & Braches-Chyrek, 2016).

შესაბამისად, ამ მიდგომაში სოციალური მუშაობის ბენეფიციარი/კლიენტი არის თეორიული დაინტერესების ცენტრალური საგანი და განათლების პროცესების პროდუქტი. ჰ. თიერშის და კ. გრუნვალდის (Thiersch, H. & Grunwald, K. 2009) მიხედვით, სოციალურ მუშაობას სჭირდება თავისი ახალი კონცეფცია, რომელსაც ცალსახად ექნება გამოკვეთილი თავისი ფუნქციები და სირთულეებთან გამკლავების სტრატეგიები წარმატებული ყოველდღიური ცხოვრების მისაღწევად არსებული სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის კრიტიკული ანალიზით. ეს მიდგომა უახლოვდება ალის სალომონის კლასიკურ გერმანულ სოციალუ-

რი მუშაობის გაგებას და პრაქტიკაში სოციალურ-მეცნიერული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მართლაც, ევროპაში სოციალური მუშაობის განვითარება უკავშირდება ალის სალომონის სახელს (Alice Salomon, 1872 – 1948)[1].

ალის სალომონის მოღვაწეობას დიდი ზეგავლენა ჰქონდა მსოფლიოში ფემინიზმის განვითარებაზე. 1926 წელს ალის სალომონმა მისი ამერიკელი კოლეგის მერი რიჩმონდის (1917) ზეგავლენით დაწერა წიგნი "სოციალური დიაგნოზი". ამ წიგნში ავტორი საკუთარი ევროპული პერსპექტივიდან განიხილავს ზრუნვის გეგმას, რომელიც ეფუძნება კვლევას, და ამავდროულად აქცენტს აკეთებს "დახმარების ხელოვნებაზე", რომელიც გულისხმობს დახმარების მრავალფეროვანი წყაროების კრეატიულ გამოყენებას. სალომონმა ზრუნვა დაუკავშირა პედაგოგიურ მხარდაჭერას, რითაც საფუძველი ჩაუყარა სოციალური მუშაობის (Sozialarbeit) განვითარებას სოციალურ პედაგოგიკასთან (Sozialpädagogik) მჭიდრო ურთიერთკავშირში (საძაგლიშვილი & შეყრილაძე, 2020).

ქვემოთ წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში სოციალური პედაგოგიკა განხილულია სოციალური მუშაობის მეთოდად.

## 1.2 სოციალური პედაგოგიკის ისტორია საქართველოში

პედაგოგიკა იკვლევს აღზრდის არსსა და კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, ქმნის სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობის თეორიას. სოციალური პედაგოგიკა კი კონკრეტულად სწავლობს აღზრდაზე სოციალური გარემოს ზეგავლენებს. სოციალური პედაგოგიკის საშუალებით საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობა ხორციელდება იმ ინდივიდებთან და ინდივიდთა ჯგუფებთან, რომელთა სოციალიზაციაც დარღვეულია, ან ეწინააღმდეგება ჰუმანიზმისა და სამართლიანობის

[1] https://www.britannica.com/biography/Alice-Salomon

პრინციპებს. სხვა სიტყვებით, სოციალური პედაგოგიკის ობიექტია სოციალური პრობლემების მქონე ადამიანი და თემი.

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური პედაგოგიკის ცნება წინააღმდეგობებითაა აღსავსე. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა გერმანელმა კარლ მაგერმა 1844 წელს და ხაზი გაუსვა სოციალური რეალობასთან განათლების კვლევის და პოლიტიკის კავშირს. 1850 წელს კი სხვა გერმანელმა განათლების მეცნიერმა ადოლფ დისტერვეგმა დაიწყო ამ ტერმინის განხილვა განათლების სოციალურ პოლიტიკური მისიის კონტექსტში. მე-20 საუკუნემდე ამ ცნების მრავალგვარი კონცეპტუალიზაცია ხდებოდა სხვადასხვა სოციალური თეორიებიდან, რამაც ხელი შეუშალა სოციალური პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დარგის და პროფესიული პრაქტიკის ერთგვაროვან გაგებას (Suenker & Braches-Chyrek, 2016).

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე, სოციალური პედაგოგიკა განვითარდა სხვადასხვა სოციალური პოლიტიკის და პრაქტიკის, თეორიული ტრადიციების და ფილოსოფიური სკოლების წიაღში. სოციალური პედაგოგიკა არის ინტელექტუალური სისტემა, რომელიც შედგება კვლევისაგან, თეორიისაგან, ინტელექტუალური ექსპერტიზისაგან.

სოციალური პედაგოგიკის თეორია, რომელიც არის საგანმანათლებლო ფილოსოფიის ნაწილი, ეფუძნება ფიოლოსოფიურ ანთროპოლოგიას და სოციალურ ეთიკას. მისი პოლიტიკური მისიაა სოციალური სამართლიანობის აღდგენა, დემოკრატიის განვითარება და სოციალური შეჭიდულობის ხელშეწყობა. განათლება არის სოციალური პროგრესის ინსტრუმენტი. შესაბამისად, სოციალური პედაგოგიკა არის სამოქალაქო განათლების თეორია, რომელიც ემსახურება მოწყვლადი ადამიანების განათლებას.

სოციალური პედაგოგიკის განვითარების ისტორია საქართველოში უკავშირდება საბჭოთა კავშირის ისტორიას. ამ მეცნიერების განვითარება განაპირობა საბჭოთა კავშირის ისტორი-

ულმა მოვლენებმა და შეცვალა სოციალურ-პედაგოგიური მიდგომა, რომელიც მანამდე იყო დამკვიდრებული. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ახალგაზრდებში გაიზარდა სოციალური და პედაგოგიური პრობლემები (Runow, 2011). გაიზარდა ღარიბი ოჯახების რაოდენობა და  იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ზრუნავდნენ საკუთარ ოჯახებზე. მრავალი ბავშვი განიცდიდა სოციალურ დეპრივაციას, სიღარიბეს და ვერ იღებდა სათანადო ზედამხედველობას მშობლებისაგან. ახალგაზრდების დელიკვანტობა გახდა სერიოზული პრობლემა მთელ საბჭოთა კავშირიში.

ამის პარალელურად გამოჩნდა პედაგოგების და ფსიქოლოგების ახალი თაობა, მათ შორის მაკარენკო (A. Makarenko – 1888-1939), ბლონსკი (P. Blonski – 1884-1941), შატსკი (S. Shatsky) და სხვები, რომლებმაც წამოაყენეს მეცნიერულ-თეორიული იდეები და პრობლემური ბავშვების და ახალგაზრდების რეაბილიტაციისთვის პრაქტიკული მეთოდები (Galaguzova, et al., 2012).

ამ პრობლემების გადასაჭრელად, დაფუძნდა სოციალური განათლების დეპარატამენტები ადგილობრივ დონეზე. ეს მიდგომა ეფუძნებოდა “მორალური დეფექტურობის” თეორიას. პრაქტიკაში ხორციელდებოდა მტრული გარემოდან ბავშვების გამოყვანა და მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათში მორალური მხარის განვითარებას, რათა გამოდგომოდნენ სოციალისტურ საზოგადოებას.

მაკარენკომ შექმნა ახალგაზრდების კოლექტივისტური სისტემა და შრომის გამოყენებით განათლება (ჩვევები და მუშაობის ნებელობა განიხილებოდა, როგორც პიროვნული განვითარების საშუალება). იგი განიხილავდა შრომას, როგორც პრობლემატურ ახალგაზრდებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას. 1920 წელს ახალგაზრდა პრობლემატური ჯგუფების კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა ბავშვის პიროვნების ფორმირებაში ისეთი საკითხების მნიშვნელობაზე, როგორიცაა სპონტანური

და არაფორმალური გუნდის შექმნის პრინციპები, არაფორმალური ლიდერობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები და სხვა. ამ კვლევის ერთ-ერთი შედეგი იყო პიონერული გაერთიანებების/ორგანიზაციების შექმნა, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა სკოლის გარეშე არაფორმალურ აქტივობებში. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერთა ამ შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

1920-1930 იან წლებში დაიწყო საბჭოთა კავშირში სოციალური პედაგოგიკის თეორიის და პრაქტიკის კონცეფციის განვითარება. სოციალური პედაგოგიკა განისაზღვრა, როგორც ინდივიდუალისტური მიდგომის (რომლის მიზანი იყო ამბიციური ადამიანის ფორმირება) და გუნდური მიდგომის (რომლის მიზანი იყო მუშათა კლასის ინტერესებზე მორგებული პიროვნების ფორმირება) თანაარსებობა, სადაც ეს უკანასკნელი დომინანტურ როლს ასრულებს სოციალური აღზრდის პროცესში. უფრო მოგვიანებით, ინდივიდუალისტურსა და კოლექტივისტურს შორის არჩევანის გაკეთების შეუძლებლობის გამო, საერთოდ აიკრძალა სოციალური პედაგოგიკა და გაქრა სამეცნიერო ლიტერატურიდან და პრაქტიკიდან.

შემდგომ პერიოდში საინეტრესოა ლ. ნოვიკოვის მიერ ჯგუფის ზეგავლენის შესწავლა (L. Novikova 1918-2004), რომელიც გახდა სოციალური პედაგოგიკის განვითარების კონკრეტული მიმართულება. მეცნიერთა ჯგუფი გაერთიანდა ნოვიკოვას გარშემო, მათ შორის ლიმეტსი (Kh. Liimets -1928-1989), მუდრიკი (Mudrik, 1976) და სხვები. მათ გაანალიზეს გარემოს ზეგავლენის როლი პიროვნების განვითარებაზე და ჯგუფი განიხილეს, როგორც სოციალური და პედაგოგიური ფენომენი, რის საფუძველზეც განსაზღვრეს მოზარდის სოციალური განვითარების მახასიათებლები (Selivanova, Stepanov & Shakurova, 2014).

ამ კონცეფციამ ხელი შეუწყო სოციალურ განათლებას (ფორმალური ჯგუფები, თვითმმართველობითი ორგანოები, კოოპერატიული თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვ.). 1970

წლიდან პედაგოგიკის დარგში დაიწყო პიროვნების სოციალური ურთიერთობების შესწავლა, ასევე, კომუნიკაციის და სოციალიზაციის სხვადასხვა ასპექტების განსაზღვრა (Mudrik, 2010.

გვიანი 70 წლების და 80-იანი წლების დასაწყისში განიხილებოდა ე.წ. "გარემოს პედაგოგიკა", რომელიც განახლდა განათლების სოციოლოგიის საზღვრებში (Bocharova, 2004). ამას მოჰყვა სოციალური პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების აღორძინება, რომელიც კონცეტრირდებოდა ახალგაზრდობის პრობლემებზე.

თუმცა, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სოციალური პედაგოგიკის არსებული ტრადიციები აღარ გაგრძელდა, ხოლო 1999 წლიდან კი დაიწყო სოციალური მუშაობის განვითარება.

## 1.3 სოციალური მუშაობის ისტორია საქართველოში

სოციალური მუშაობის განვითარება უკავშირდება ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში რეფორმების გატარებას, როდესაც საქართველომ მიიღო კანონი *შვილობილობის შესახებ*, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა. ამ მიზნით, ბრიტანული ორგანიზაცია „EveryChild"-ის მიერ დაფინანსებული საპილოტე პროექტის ფარგლებში მოხდა სოციალური მუშაკების შერჩევა, დასაქმება და გადამზადება ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშესაწყობად (საძაგლიშვილი & შეყრილაძე, 2020).

2007 წლიდან დაიწყო სოციალური მუშაკების მასშტაბური გაფართოება, როდესაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით მთავრობა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას შეუდგა. თანდათანობით გაიზარდა სოციალური მუშაკების ფუნქციები.

2006 წელს დაიწყო სოციალური სამუშაოს აკადემიზაციის პროცესი. ამავე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბაკალავრიატი სოციალურ სამუშაოში, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ-

ში მაგისტრატურა. აკადემიური სწავლების დაარსებამ შექმნა პროფესიის აკადემიურ დონეზე დაუფლების შესაძლებლობა.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, განისაზღვრა სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია, რომელიც თავდაპირველად განხილული იყო მიმართულებათშორის დარგებში ან სპეციალობებში (№110751 სოციალური მუშაკი, 2010 წელი), ხოლო მოგვიანებით კი განისაზღვრა, როგორც ჯანდაცვის და კეთილდღეობის სფერო (09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა, 0923.1.1 სოციალური მუშაობა)[2].

2004 წელს დაფუძნდა პროფესიული ასოციაცია *საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.* ასოციაცია დააარსეს პირველმა განათლებით სოციალურმა მუშაკებმა საქართველოში, რომელთაც სოციალურ მუშაობაში მაგისტრის ხარისხი მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში. დღესდღეობით ასოციაცია აერთიანებს 690 წევრს.

2018 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ[3]. საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ (2019), სოციალურ მუშაობას განმარტავს, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებულ სპეციალობას, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსსა და სოციალურ გარანტიებს, ადგენს მის ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეო-

---

[2] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი.

[3] კანონი სოციალური მუშაობის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=2.

ბებს, აწესრიგებს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. კანონი ვრცელდება საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებულ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებსა და მათ ზედამხედველებზე.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სოციალურ მუშაკთა ძირითად და დარგობრივ ფუნქციებს, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვა და მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერა, სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

მოცემული დოკუმენტის 43-ე მუხლი (გ) – სოციალური მუშაკის კომპეტენციები – სოციალური მუშაკის ერთ-ერთ კომპეტენციად განიხილავს სოციალურ-პედაგოგიურ კომპეტენციას, რომელიც გულისხმობს ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფებთან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას; მოცემულ დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია, პედაგოგიური აღმზრდელობითი კომპეტენცების გამოყენება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობის განხორციელების დროს, სადაც მითითებულია ამ კომპეტენციის გამოყენება სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით მოსწავლისთვის სოციალურ-პედაგოგიური დახმარების გაწევა; თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ერთადერთი სფერო, სადაც შესაძლებელია სოციალურ-პედაგოგიური უნარების გამოყენება. ბოლო დროს, სოციალურ პედაგოგიკას წარმატებით იყენებენ ისეთი ჯგუფების მიმართაც, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ემიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები და სხვა. ქვემოთ განვიხილავთ სოციალური პედაგოგიკის მეთოდებს, როგორიცაა ვალდორფის პედაგოგიკა და ტრიალური მეთოდი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


საძაგლიშვილი, შ. და შეყრილაძე ი. (2020). კონსულტირება სოცია-ლურ მუშაობაში: ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

Bocharova, V.G. (2004). *Social pedagogy*: monograph. Moscow: Vlados Publ., 366.

Galaguzova, M.A., Dorokhova, T.S., Galaguzova, Yu.N., Degtyarev, V.A., Igoshev, B.M., & Mardakhaev, L.V.(2012). *History of social pedagogics*. Ekaterinburg: Vlados Publ., 261.

Hämäläinen, J. (2012) Social pedagogy in Finland. *JuhaKriminologija i socijalna integracija.* Vol. 20 (2012) Br. 1, 1-132.

International Federation of Social Workers (2014). Global Definition of Socila Work, მოპოვებულია https://www.iassw-aiets.org/global-definition-of-social-work-review-of-the-global-definition/ ვებ გვერდიდან.

Mardachcev, L.V. (2011). Methodology of social pedagogics. *Pedagogicheskoe obrazovanie i nauka* 1, 4-14.

Mudrik, A.V. (2010). *Socialization of an individual: teaching manual.* 3rd edition: corrected and added. Moscow: MPSI; Voronezh: MODEK Publ., 624.

Nikitin, V.A. (2002). *Social work: issues of theoretical kind and of specialists' preparation*. Moscow: Moscow Psychologicaland SocialInstitute Publ., 236.

Plotkin, M. M. (2014) Science categories of the social pedagogy: a thesaurus development. *Social pedagogics in Russia. Scientific and methodical magazine*, 1, 42-49. Retrieved from http://elibrary.ru/item.asp?id=21283305.el

Prosvetova, T.S. (2009) Perspectives for development of the social pedagogics in Russia. *Social pedagogics in Russia. Scientific and methodical magazine*. 6, 62-66.

Runow, S.S. (2011). Development of domestic social and pedagogical thought in 1920s. *Pedagogical education and science*, 1, 51-57.

Raschetina, S.A. (2012). Research methodology in social pedagogy history field. Vestnik of nekrasov Kostroma state university. Series: pedagogy. Psychology. Social work. *Juvenology. Sociokinetics*, 18(2), 135-140.

Richmond, Mary Ellen (1917), *Social diagnosis,* New York: Russell Sage Foundation

Romm, T. (2016), The development of Social Pedagogy in Russia. *Pedagogía Social. Revista Interuniversitaria,* 27, pp. 83-102 http://www.upo.es/revistas/index.php/pedagogia_social/ ISSN: 1139-1723. © SIPS. DOI: 10.7179/PSRI_2016.27.05

Selivanova, N.L., Stepanov, P.V. & Shakurova, M.V. (2014). Scientific school of L.I. Novikov: basic ideas and development prospects annotation. *Otechestvennaja i zarubezhnaja pedagogika*, 1, 37-45.

Sorochinskaya, E. (2015). Social pedagogy in Russia: trends, problems, ideas. *Rozeknes Augstskola*, 3, 399-406. DOI: http://dx.doi.org/10.17770/sie2015vol3.359

Suenker, H. & Braches-Chyrek, R. (2016). Social Work in Germany. *Pedagogía Social. Revista Interuniversitaria*, 27, pp. 19-44. http://www.upo.es/revistas/index.php/pedagogia_social/ ISSN: 1139-1723. © SIPS. DOI: 10.7179/PSRI_2016.27.03

Thiersch, H. & Grunwald, K. (2009). The Concept of the 'lifeworld orientation' for social work and social care. *Journal of Social Work Practice*, 2.

# თავი 2

# გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა ფსიქოსოციალური საჭიროებები

ავტორი: ქეთევან გიგინეიშვილი

## 2.1 ვინ არიან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს შეადგენენ (მეზვრიშვილი, 2021). გონებრივი განვითარების შეფერხება ხასიათდება ინტელექტუალური უნარების დაქვეითებით და ადაპტაციური უნარების ორ ან მეტ სფეროში დარღვევით, როგორიცაა კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა. გონებრივი განვითარების დიაგნოზი დამოკიდებულია როგორც პიროვნების ინტელექტის, ასევე მისი სოციალური უნარების და დამოუკიდებლად ფუნქციონირების შეფასებაზე – მისივე ასაკისა და კულტურის სხვა ადამიანებთან მიმართებაში.

გონებრივი განვითარების შეფერხება ქრონიკული მდგომარეობაა და ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირს არ აქვს განვითარების, განათლების მიღების, დასაქმების, გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და პოტენციალი.

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მუშაობა ძირითადად 5 მიმართულებით ხორციელდება:

- ✓ ფსიქოლოგიური განათლება;

- ✓ ადეკვატური მხარდაჭერისა და პერიოდული შეფასების ორგანიზება; ბავშვის ყოველდღიური ჩვევების ტრენინგის უზრუნველყოფა;
- ✓ კონსულტაციები მძიმე ქცევითი დარღვევების დაძლევის მიზნით;
- ✓ კონსულტაციები პიროვნების ცხოვრებაში ცვლილებებთან დაკავშირებით;
- ✓ ოჯახის მხარდაჭერა (მეზვრიშვილი, 2021).

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში საქართველოში რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ სპეციალისტები. ერთის მხრივ, ხდება პირის ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასება და დგება დასკვნა, რომ პირს, ცხოვრების გარკვეულ ასპექტებში ან სრულად, ესაჭიროება მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხდება სხვა კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება. ფსიქოსოციალური საჭიროების შესაძლოა გახდეს პირი გონებრივი განვითარების შეფერხებით, სხვა საჭიროების გამო (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020).

ამ ორ ჯგუფს განსხვავებული საჭიროებები და განსხვავებული დინამიკა აქვთ, თუმცა ორივე შემთხვევაში ადრეული მხარდაჭერა და უფლებების დაცვაზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორც ბავშვთან, ისე ოჯახთან/მშობლებთან, მზრუნველთან სპეციალისტების ადრეული ჩართულობა და მუშაობა ბავშვის განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა, განვითარებაზე ზრუნვა არ შემოიფარგლება მხოლოდ 18 წლამდე პერიოდით, არამედ განვითარებაზე ზრუნვა და მხარდაჭერა ზრდასრულობის პერიოდის ჩათვლით, რიგ შემთხვევებში კი ცხოვრების ბოლომდეც გრძელდება.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის მხარდაჭერა და მომზადება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გადასვლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ზრდასრულ პირებთან მიმართებაში, განსაკუთრებით საყურადღებოა

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნარების გაძლიერების საჭიროება, მშობლების ნაკლები ცოდნა იმუშავონ ამ მიმართულებით, მომსახურებების სიმწირე, რომელიც დაეხმარება პირს და მის ოჯახს სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სხვა. ოჯახის წევრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების ძირითადი მხარდამჭერები და მზრუნველები არიან, შემთხვევათა ნაწილში მთელი ცხოვრების მანძილზე (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018).

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ქვეყანაში რეაბილიტაცია-აბილიტაციის ქვეპროგრამის ქვეშ ფუნქციონირებს დღის ცენტრების პროგრამა, სადაც პირებს შეუძლიათ მიიღონ დღის ცენტრის მომსახურება. დღის ცენტრების მიზანია სამიზნე ჯგუფის განვითარებაზე ზრუნვა, ოჯახების მხარდაჭერა და ა.შ; თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს საქართველოში ზრდასრული გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის დღის ცენტრი განვითარებაზე ზრუნვის ერთადერთი გამოსავალია. საქართველოში მომსახურებათა უმეტესი ნაწილი ბავშვებისთვისაა, შედარებით მცირეა და ნაკლები მრავალფეროვნება გვაქვს ზრდასრულთა მომსახურებების მხრივ (CSRDG, 2020). ბავშვობის, ისე მოზარდობის და ზრდასრულობის ასაკში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდებს მხარდაჭერა შესაძლოა სჭირდებოდეთ ცხოვრების მანძილზე, ან ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე; ეს თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ მხარდამჭერი მომსახურებები უნდა იყოს მრავალფეროვანი, საჭიროებაზე მორგებული და განიხილავდეს ინდივიდებს life span პერსპექტივით. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, მომსახურებები პირის განვითარებასა და მისი უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული, ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსებას, იყოს საჭიროებაზე მორგებული და პირის გაძლიერებაზე ორიენტირებული.

## 2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები მომსახურების მისაწვდომობის მხრივ

ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით კი მომსახურების მიწოდების სტანდარტების გაუმჯობესების პროცესში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა მრავალი ქვეყნისთვის გახდა პრიორიტეტული. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა უკვე მიმდინარეობს და მომსახურების მიწოდების პროცესიც შემთხვევის მართვის ყველა ეტაპზე აღნიშნულ მიდგომას ეყრდნობა. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის არსებობა მომსახურებებში ნიშნავს, რომ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვა ცენტრალურია და სხვადასხვა კონვენციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებული უფლებები დაცულია მომსახურების მიღების ყველა ეტაპზე.

მომსახურების მიწოდების პროცესი ადამიანის ღირსების დაცვისა და თანასწორობის პრინციპს ეყრდნობა და უზრუნველყოფს ადამიანის თვით-განსაზღვრისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას, ისე რომ პირი თავად განაგებს მის ცხოვრებას და აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც (CSRDG, 2020). გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ზოგადი კომენტარი №7 მიუთითებს, რომ ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ), (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014), რომელიც ამ ადამიანს უკავშირდება და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ დევიზის მნიშვნელობას. შესაბამისად, პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა ის უფლებაა, რომელიც უნდა იქნას დაცული გადაწყვეტილებების მიღებისას და სახელმწიფოსა და მომსახუ-

რების მიმწოდებელი ორგანიზაციების ვალდებულებაა უზრუნველყონ ეს უკანასკნელი.

იმისთვის რომ მომსახურების მიწოდების პროცესი ითვალისწინებდეს ყველა ზემოხსენებულს, მნიშვნელოვანია, მომსახურების მიმწოდებელი, ერთის მხრივ იცნობდეს და აღიარებდეს ადამიანის უფლებებს, იაზრებდეს მომსახურების მიწოდების უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტებს და მეორეს მხრივ, მზად იყოს ცვლილებებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სტანდარტებითა და ხარისხით მომსახურების მიწოდება წარმოუდგენელია მულტიდისციპლინური მიდგომისა და კარგად მომზადებული კადრის გარეშე.

დღესდღეობით საქართველოში არსებობს მომსახურების მიწოდების ადგილობრივი მინიმალური სტანდარტები, რომელიც მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს ავალდებულებს აღნიშნული სტანდარტით დადგენილი ნორმების დაცვას და აღწერს მომსახურების მიზანის, ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს. მინიმალური სტანდარტის საშუალებით სახელმწიფო ასევე ახორციელებს გაწეულ მომსახურებაზე ზედამხედველობას. CSRDG – ის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურებებში უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების კომპონენტებისა და მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობების კვლევას/შეფასებას, დადგინდა, რომ მომსახურებები ცდილობენ მინიმალური სტანდარტით დადგენილი ნორმები აღასრულონ, თუმცა, აქაც ვხვდებით გამოწვევებს სხვადასხვა უფლების აღსრულების ნაწილში, განსაკუთრებით კი შესამჩნევია შეზღუდული შესაძლბელობის მქონე პირების პროგრამის განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულობის მიმართულებით, ასევე, გადაწყვეტილებების მიღებისა და უკუკავშირის გათვალისწინების ნაწილში. ეს განსაკუთრებით რთულდება ზრდასრული გონებრივი განვითარების შეფერხების და/ან ფსი-

ქოსოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მომსახურებებში (CSRDG, 2020) .

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით კი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან ქვეყანაში. სახალხო დამცველი ანგარიშებში განსაკუთრებულად უსვამს ხაზს, რომ ქვეყანა მრავალი წელია დგას ერთი და იგივე გამოწვევების წინაშე, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ წვდომა საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებებზე, არ არის უზრუნველყოფილი არჩევანი მომსახურებების მხრივ და თითქმის არ გვაქვს ფუნქციონირებაზე დაფუძნებული მომსახურებები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019).

ასევე, დაბალია მათი დასაქმების მაჩვენებელიც, ნაკლებია განათლებაზე ხელმისაწვდომობაც და ხშირია შემთხვევები, როდესაც პირები ტოვებენ სასწავლებელ გარემოს (პროფესიული კოლეჯები). სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაახლოებით 50% დასაქმების ადგილს ტოვებს არასათანადო და მათზე მორგებული სამუშაო გარემოს არქონის გამო (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018).

ეს ყოველივე კი ხელს უშლის პირებს იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში, განივითარონ უნარები, გაიზარდოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც მათ ფუნდამენტური უფლებების გარეშე ტოვებს. მნიშვნელოვანია, პროგრამირების და სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვის პორცესში გათვალისწინებული იყოს პირთა რეალური საჭიროებები, ერგებოდეს არა მინიმალურ არამედ უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტს, ითვალისწინებდეს პირის მოსაზრებებს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არსებული პროგრამები კი, მათ შორის დღის ცენტრის მომსახურება უნდა ზრუნავდეს ისე შეცვალოს შიდა პოლიტიკა, რომ

მორგოს ადამიანის უფლებებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

როგორც წესი, მომსახურება თავად ნერგავს და ავითარებს სერვისებს და ამ პროცესებში სამიზნე ჯგუფების მონაწილეობა ან ფორმალურ ხასიათს ატარებს, ან კი ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურებებს სახელმწიფო სტანდარტებით პირდაპირ ევალებათ, მომსახურების იმგვარად დაგეგმვა, რომ მომსახურების მიმღებთა და მათი ოჯახის წევრების/მზრუნველების მოსაზრება გათვალისწინებული იყოს მომსახურების მიწოდების პროცესში, კერძოდ, გამოთქვან მოსაზრებები, მისცენ უკუკავშირი. კვლევის მიხედვით ხშირად მომსახურება მაინც არაა ღია ამ უკუკავშირის მიღებისთვის. ბენეფიციარები და/ან მათი ოჯახის წევრებიც თავის მხრივ აზიარებდნენ გამოცდილებას, რომ ხშირად ერიდებიან კიდეც მოსაზრების დაფიქსირებას, რადგან ეშინიათ არ დადგეს მათი მომსახურებიდან გათიშვის რისკი. ეს კი მომსახურებების სიმწირის პირობებში, არჩევანის გარეშე ტოვებს ჯგუფებს. რა თქმა უნდა არის გამონაკლისი შემთხვევებიც (CSRDG, 2020). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მეცხრამეტე მუხლიც სახელმწიფოს ავალებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ისეთი გარემოს შექმნას, რომ ხელი შეეწყოს მათ ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჰქონდეთ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ხელშეწყობა.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ მომსახურების განვითარებაში, თუ გადაწყვეტილებების მიღებაში პირის და ან ოჯახის ჩართულობა არ არის ტექნიკური პროცესი, მის მისაღწევად რიგ შემთხვევებში ხანგრძლივი სამუშაოა გასაწევი. პირებს და ოჯახებს, სტიგმატიზირებულ საზოგადოებაში და ბარიერებით აღსავსე გარემოში მრავალი გამოწვევა აქვთ და დგანან ფსიქოლოგიური და სოციალური გამოწვევების წინაშე, შესაძლოა

თავს არ გრძნობდნენ დარწმუნებულად, რომ ცხოვრების მოცე-მულ ეტაპზე სურთ იყვნენ აქტიურები, ან შესწევთ ძალა გა-მოთქვან აზრი, ჩაერთონ პროცესებში. შესაბამისად, მათი მხარ-დაჭერა ამ გზის გავლაში მნიშვნელოვანია. მომსახურებები და სპეციალისტები უნდა ითვალისწინებდნენ ყოველივეს და მაქ-სიმალური მხარდაჭერით უზრუნველყონ მათი გაძლიერება. შე-საბამისად, აღნიშნულ თავში ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა გზას გადიან მშობლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილზე ზრუნვისას, ეს მნიშვნელოვანია რათა გავიაზროთ ჩართულო-ბის უზრუნველყოფის დროს მათი მდგომარეობა და გავაძლიე-როთ ისინი, მივანიჭოთ ძალაუფლება საკუთარი და შვილის უფ-ლებების დაცვისთვის. განვიხილავთ თავად შეზღუდული შე-საძლებლობის მქონე პირების ცხოვრებისეულ ეტაპებს life course perspective – ის ჭრილში და ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა საჭიროებები დგება თითოეულ ეტაპზე, რა გამოწვევების წინა-შე არიან ინდივიდები და როგორ გავაძლიეროთ, რომ მივცეთ გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობის საშუალება, რა გზით ჩავრთოთ ისინი მომსახურებების განვითარების პრო-ცესში, როგორ ვიმუშავოთ ისე რომ გაიზარდოს მათი დამოუკი-დებლობის ხარისხი, როგორ გავაძლიეროთ მათი ოჯახის წევ-რები და დავეხმაროთ როგორც მომსახურების, ისე თემში ჩარ-თულობის მხრივ, მოერგოს მომსახურება აღნიშნულ სტან-დარტს; ასევე ვისაუბრებთ იმაზე, თუ თავად პირთან, მის ოჯახთან/მზრუნველთან თუ ორგანიზაციასთან მიმართებაში, მუშაობის პროცესში რა როლი შეიძლება ჰქონდეს სოციალურ მუშაკს, როგორც ინდივიდის, ჯგუფისა და საზოგადოების გაძ-ლიერებაზე ორიენტირებულ პროფესიონალს.

აქვე განვიხილოთ ქვეყანაში არსებული მიდგომა, რომე-ლიც ზემოხსენებულ პრობლემებს იწვევს და ტოვებს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე.

## 2.3 შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები: სამედიცინო და სოციალური

სხვადასხვა დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზით მხარდაჭერის საჭიროება შესაძლოა ნებისმიერ ადამიანს დაუდგეს. თუმცა, როდესაც ეს ხანგრძლივად ახდენს პირის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე გავლენას და ამაში გარემო ბარიერებიც უშლის ხელს, პირს როგორც წესი აქვს შეზღუდული შესაძლებლობა. დღეს ქვეყანა პირის სტატუსის განსაზღვრისა და მისთვის მომსახურებების დაგეგმვისას იყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის სამედიცინო მოდელს.

სამედიცინო მოდელი თავის მხრივ, დეფიციტებზე აკეთებს აქცენტს. სამედიცინო მოდელის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა ხდება მისი სამედიცინო მდგომარეობის შესაბამისად და არაა გათვალისწინებული პირის ფსიქო-სოციალური ფაქტორები და გარემო ფაქტორების გავლენა მის ფუნქციონირებაზე. თუმცა 2020 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანონის მიხედვით ქვეყანა უნდა გადავიდეს სტატუსის განსაზღვრის სოციალურ მოდელზე. სოციალური მოდელი, რომელიც სამედიცინო მოდელის შემდეგ ყველაზე პროგრესულ მიდგომად აღიქმება პირის სტატუსის განსაზღვრისა და პოლიტიკის წარმოების მხრივ, ეყრდნობა პირის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას და ითვალისწინებს პირის მოსაზრებას საკუთარ მდგომარეობასთან მიმართებით და აფასებს პირს გარემო ბარიერების გათვალისწინებით და სხვა მსგავსი ასაკის პირებთან შედარებით. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა სტატუსის განსაზღვრისა და პოლიტიკის ფორმირების მიმართულებით მუშაობს სამედიცინო მიდგომის გათვალისიწნებით, ალბათ ნაკლებად გასაკვირია, რომ მომსახურებებში დანერგილი მიდგომები ვერ პასუხობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტებს.

## 2.4 უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის (RBA – Rights Based Approach) გათვალისწინება ძალზედ მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პროგრამების დაგეგმვისა და განვითარებისთვის. ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომა არ არის პანაცეა, არამედ ეს არის საშუალება უზრუნველყო მომსახურების განვითარება სტანდარტების შესაბამისად. RBA მიდგომა უზრუნველყოფს ყველა პირს თანაბრად ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები უფლებების დარღვევის მხრივ ბავშვების შემდეგ ერთ-ერთ დიდ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან ბევრ მათგანს არ აქვს საშუალება დაიცვას საკუთარი უფლება, მოითხოვოს ღირსების შესაბამისი მოპყრობა. მათ ხშირად უწევთ ცხოვრება ისეთ სიტუაციებში, როდესაც უჭირთ საკუთარი უფლების რეალიზება: ხდებიან ექსპლუატაციის, დისკრიმინაციის, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი, შესაძლოა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ იყვნენ ჩართულნი, არ ჰქონდეთ წვდომა იმ ძირითად მომსახურებებზე, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას და აღსრულებას. მაშინ როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით ადამიანის უფლებათა პრინციპებია:

- „თანდაყოლილი ღირსების, პირთა დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, მათ შორის საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლება;
- დისკრიმინაციის აცილება;
- საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობა და ჩართულობა;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემა და მიღება ადამიანთა მრავალფეროვნებისა და ადამიანობის ნაწილად;
- შესაძლებლობების თანასწორობა;
- ხელმისაწვდომობა;
- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარებადი შესაძლებლობების პატივისცემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლების პატივისცემა მათი იდენტობის შენარჩუნებისათვის; და
- აქტიური პარტნიორობა სერვისებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ოჯახებს, მეგობრებს, აღმზრდელებს და/ან ადვოკატებს შორის“ (CSRDG, 2020).

უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე დაფუძნებული მომსახურებები ითვლება როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე, რადგან:

- მხარს უჭერს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პერსონალს პროფესიული ეთიკური ვალდებულებების შესრულებაში;
- აუმჯობესებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარისხსა და ეფექტურობას, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და აძლიერებს მომსახურების ყველა მომხმარებლის კეთილდღეობას;
- უგზავნის საზოგადოებას შეტყობინებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უპირველეს ყოვლისა, არიან სხვებთან თანაბარი უფლებების მქონე პირები;
- უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფრო მნიშვნელოვან მონაწილეობას და ჩარ-

თვას ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დიზაინის შემუშავებაში და მიწოდებაში.

- ეხმარება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პერსონალს უკეთ გააცნობიერონ სოციალური და კულტურული ფაქტორების სპექტრი, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე; ამცირებს საჩივრებსა და სასამართლო პროცესებს (http://rightsni.org/, 2011).

## 2.5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების მახასიათებლები ადამიანის ცხოვრების კურსის პერსპექტივის (Life Course perspective) ჭრილში

Life Course perspective- ის მიხედვით ცხოვრება ოთხ ეტაპად იყოფა: (1) ჩვილობა და ადრეული ბავშვობა, (2) მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა, (3) შუა ხნის ზრდასრულობა და (4) ხანდაზმულობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით life course perspective-მიდგომას ავტორები ეკოლოგიური პერსპექტივითაც გვაჩვენებენ. კერძოდ, ეკოლოგიური მიდგომის მიხედვით ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე სხვადასხვა დონის სისტემა ახდენენ გავლენას და ხსნის ადამიანისა და ამ სისტემის ურთიერთქმედებას. ხოლო, ავტორების მიხედვით ამ ორი სისტემის შეერთებით ჩვენ ვიღებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან დაკავშირებულ 4 სისტემას: თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მისი ოჯახი/მზრუნველი, თემი და სახელმწიფო პოლიტიკა. ამ მიდგომის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ცვლილებები შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მის ოჯახზე უშუალო ჩარევით განხორციელდეს, სათემო დონის პროგრამებზე მიმართული ჩარევებით ან პოლიტიკის პროგრამების ცვლილებებით. ავტორები განსა-

კუთრებით უსვამენ ხაზს პროცესებში თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების უშუალო მონაწილეობას და გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობის მნიშვნელობას. აქვე ხაზია გასმული იმაზეც, თუ რაოდენ დიდი სტრესის ქვეშ არიან ოჯახები. ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია მათთან მუშაობის პროცესში (Magaña, 2016).

დიაგრამა№2.1 ცხოვრების კურსის – Life Course -პერსპექტივა




1. ჩვილობა და ადრეული ბავშვობა
2. მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა
3. შუა ხნის ზრდასრულობა
4. ხანდაზმულობა

(1) ჩვილობა და ადრეული ბავშვობა

შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის აღზრდას ოჯახზე დიდი გავლენა აქვს და შესაძლოა როგორც მშობელზე, ისე მთლიანად ოჯახზე მოახდინოს ძლიერი ემოციური გავლენა. ქრონიკული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე ზრუნვა კი მშობლის ცხოვრების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას (მაგ: ქორწინება, კარიერა, ურთიერთობები, სწავლა ა.შ). ეს კი საბოლოო ჯამში ხშირ შემთხვევაში იწვევს სტრესს და

ოჯახის ფუნქციონირებაზე ახდენს დიდ გავლენას. კვლევების მიხედვით ოჯახები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებით უფრო დიდ ემოციურ სტრესს განიცდიან, ვიდრე ოჯახები ტიპური განვითარების ბავშვებით (Khan & Alam, 2016). თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადება აპრიორი უარყოფით გამოცდილებებს არ უკავშირდება, ხშირად მშობლები მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ შეკრა მათი ურთიერთობები ბავშვის დაბადებამ, აღმოაჩენინა ახალი შესაძლებლობები და უფრო გააძლიერა როგორც მშობელი. იგივე ითქმის დედ-მამიშვილებთან ურთიერთობაზეც (Magaña, 2016).

როდესაც ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იბადება, მისი განვითარება მეტწილად იმაზეა დამოკიდებული თუ როგორია თავად ოჯახის აღქმა და დამოკიდებულება ბავშვის მდგომარეობასთან მიმართებით. ბავშვის განვითარების პროცესში მშობლის დამოკიდებულებას, ბავშვის მშობელთან მიჯაჭვულობას და კავშირს უდიდესი როლი აქვს ბავშვის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ბავშვობის ასაკში ოჯახში არსებული ურთიერთობის პატერნები, პრობლემებთან გამკლავების მექანიზმები, დამოკიდებულებები ეხმარება ბავშვს თავადაც განივითაროს შესაბამისი უნარები. პერსონალური და ოჯახური ფაქტორები როგორიცაა, უსაფრთხო მიჯაჭვულობა, დამოუკიდებლობის შეგრძნება, საკუთარი მეს აღქმა, მხარდამჭერი ურთიერთობები, წახალისება, ემოციური მხარდაჭერა, პოზიტიური როლური მოდელების არსებობა, საუბარი, ბავშვს ეხმარება განივითაროს მედეგობა და გაუმკლავდეს მომავალში მის წინაშე არსებულ რისკებს (HOTHERSALL, 2008). თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებისას ოჯახები თავადაც მრავალი გამოწვევების წინაშე დგანან. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით პრობლემები ძირითადად იწყება მშობლების დაბალი ინფორმირებულობის გამო, მათ არ იციან რა მოიმოქმედონ, როგორ იზრუნონ ბავშვზე, უჭირთ ახალ მდგომარეო-

ბასთან შეგუება, ამას ემატება გარემოში არსებული სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში. ბავშვის დაბადებასთან ერთად იცვლება მშობლების როლები, ხდება ოჯახში როლების ხელახალი გადანაწილება. მშობლებს მრავალი უცნობი და ახალ გამოწვევასთან უწევთ გამკლავება, რომელიც საზოგადოებაში და მათ წარმოსახვაში ჩამოყალიბებულ მშობლის მოდელს შესაძლოა არ შეესაბამებოდეს. ხშირად მათ უწევთ მოირგონ ადვოკატის, სამედიცინო პერსონალის, მომვლელის და სხვა როლები (ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით). ამას ემატება გარე სტრესული ფაქტორები, როგორიცაა ფინანსური სირთულეები, სტიგმა, სოციალური იზოლაცია, გაუცხოება და ქორწინების პრობლემები.

კვლევების მიხედვით, ოჯახის წევრები ბავშვის მდგომარეობასთან შეგუების რამდენიმე ეტაპს გადიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებიდან მისი ზრდასრულობის ჩათვლით. ხშირად მშობლებს ენგრევათ ის ხატი რაც ცხრა თვის განმავლობაში ბავშვთან დაკავშირებით ჰქონდათ შექმნილი, ვერ ხვდებიან როგორ იზრუნონ ბავშვზე, არ იციან რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს მას. შესაბამისად მათთვის ბავშვის დიაგნოზთან შეგუება ხშირად ხანგრძლივი პროცესია და შესაძლოა მცდარი მოლოდინებით იყოს აღსავსე ზრდასრულობის ასაკის მიღწევის ჩათვლით. ოჯახებს სწორად ინფორმირება და სპეციალისტების დროული მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა ადრეული ჩარევით ბავშვის სწორ განვითარებას და მშობლობის უნარების ჩამოყალიბებას შეეწყოს ხელი.

მშობლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებისას დიაგნოზთან და მდგომარეობასთან შეგუების სხვადასხვა გზას ირჩევენ. ეს მიდგომა კი შესაძლოა ზრდასრულობის ასაკამდე გამოიყენონ.

1. **პრობლემაზე ფოკუსირებული vs ემოციაზე ფოკუსირებული შეგუების მექანიზმები**

   თუ ადამიანი მის ქცევას მიმართავს პრობლემის მოგვარებაზე და სტრესული სიტუაციის გამომწვევი ელემენტების

შემცირებაზე, მაშინ მას პრობლემაზე ფოკუსირებული შეგუების მექანიზმები აქვს. მეორეს მხრივ, თუ პირი მიმართავს ისეთ ქმედებებს, რომლითაც ცდილობს შეამციროს მისი ემოციური რეაგირება პრობლემის მიმართ (მაგალითად: ტირილი, საკუთარი თავის დამშვიდება, პრობლემის უარყოფა, სხვების დადანაშაულება პრობლემის გამოწვევაში ეს ნიშნავს რომ პირი იყენებს ემოციებზე ფოკუსირებულ შეგუების მექანიზმებს.

2. **აქტიური (Engaged) vs პასიური (Disengaged) შეგუების მექანიზმები**

   სტრესთან პირდაპირ გამკლავებაზე მუშაობა გულისხმობს, რომ პირი იყენებს engaged შეგუების მექანიზმს. ამის მაგალითია, პრობლების მიღება, თვალის გასწორება, მხარდაჭერის ძიება, კოგნიტური გადაფასება. მეორეს მხრივ, კი პირი რომელიც უარყოფს მის წინ არსებულ პრობლემას და მეტწილად არასათანადო მოლოდინებით, ფიქრებით, ოცნებებითაა პორბლემასთან მიმართებაში ის disengaged შეგუების მექანიზმს იყენებს. ეს კი როგორც წესი შეგუების მცდარი მექანიზმია

3. **პროაქტიური vs რეაქტიული შეგუების მექანიზმები**

   რეაქტიური მექანიზმები ძირითადად მხოლოდ სტრესის შემდეგ გამოიყენება. მისი მიზანია შეამციროს ზიანი, რომელიც სტრესმა გამოიწვია და კომპენსირება გაუწიოს მას. მეორეს მხრივ პროაქტიულია შეგუების მექანიზმი, როდესაც პირი ცდილობს შეამციროს სტრესის გამომწვევი რისკები (Khan & Alam, 2016).

   აღნიშნულ მექანიზმებს მშობლები დიაგნოზთან ადაპტაციისას სხვადასხვა დროს მიმართავენ. სხვადასხვა ავტორი შეგუების სხვადასხვა ეტაპს გამოყოფს, მაგალითად გამოიყოფა შეგუების 3 სტადია: ემოციური დეზორგანიზება - უფრო მეტად გულისხმობს შოკურ რეაქციას, როდესაც მშობელს უჭირს გაიაზროს რეალობა. მეორე ეტაპია რეინ-

ტეგრაცია, როცა მშობელს შედარებით რეალისტურად აღიქვამს რეალობას და სრულად ადაპტაციის სტადია - როცა მშობლები რეალისტურად აღიქვამენ სიტუაციას (სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2016).

ეს პროცესი მშობლებს შესაძლოა დიდ ხანსაც გაუგრძელდეთ, შეგუების ამ მექანიზმებს იყენებდნენ შვილის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, სირთულის გამკლავებისას, რაც საბოლოოდ მათ ქმედებას განსაზღვრავს და აისახება პირის ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია მშობლებთან მუშაობისას გავითვალისწინოთ თუ როგორ აღიქვამს ის საკუთარი შვილის მდგომარეობას, რას უკავშირებს მას, როგორ წარმოუდგენია საკუთარი შვილის მომავალი, როგორია მის შვილთან ურთიერთობა.

ასეთ დროს მომსახურება ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბავშვის განვითარების მიმართულებით მხარდაჭერაზე, ასევე აქტიურად იმუშავოს ოჯახთან შემთხვევის მართვის ყველა ეტაპზე. ძლიერ მხარეებზე მიმართული მუშაობა, სწორედ ბავშვისა და მისი ოჯახის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს და ითვალისწინებს. იმისთვის რომ ოჯახი აქტიურად იყოს პროცესებში ჩართული, გაძლიერდეს მნიშვენლოვანია შემთხვევის მმართველი (კოორდინატორი) ითვალისწინებდეს მშობლის მდგომარეობას და მისი ჩართვის სწორი სტრატეგიები გამოიყენოს. თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ სტრესულ გამოცდილებას და/ან ეტაპებს და მექანიზმებს, რასაც მშობელი იყენებს შვილის მდგომარეობასთან შეგუებისას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე სჭირდება პროფესიონალს მუშაობის პროცესში. მშობლებთან მუშაობისას სხვადასხვა მოდელის გამოყენება შეიძლება, განსაკუთრებით აღსანიშნია ოჯახზე ცენტრირებული მიდგომა, რომელიც ოჯახთან, მის თანადგომის ქსელთან და თემთან

მუშაობას გულისხმობს. ოჯახების გაძლიერებისას მიკრო დონეზე მომსახურებას შეუძლია ოჯახებს შესთავაზოს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მშობლის უნარების გაძლიერებას შეუწყობს ხელს
ბ) სტრესის დაძლევის პროგრამები, რომელიც მშობელს ხელს შეუწყობს თავი დააღწიოს სტრესულ მდგომარეობას და გაუმკლავდეს მომავალ სტრესულ სიტუაციებს
გ) გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომელიც მშობელს დაეხმარება, გააძლიერებს და დაეხმარება თავად შეძლოს საკუთარი და შვილის უფლებების დაცვა
დ) მშობლის მზრუნველის სწავლებაზე დაფუძნებული პროგრამები, რომელიც ძირითადად მცირე ასაკის ბავშვების მშობლებთან გამოიყენება (განსაკუთრებით აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან) და მშობლებს ეხმარება შეისწავლონ როგორ შეუწყონ მათი შვილების უნარების გაძლიერებას როგორიცაა მეტყველება, სოციალური უნარები, თამაში და ა.შ (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018)
ე) ასევე ხშირად გამოიყენება სოციალური მუშაკების მიერ ოჯახების კონსულტირება, რომელიც ეხმარება მშობელს არა მარტო მომსახურების მიღებაში, არამედ პასუხისმგებლობების გააზრებაში, ეხმარება პიროვნების განვითარებას, სტრესის დაძლევას, საკუთარი როლის გააზრებას, საკუთარი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების დადგენაში (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018).

მომსახურებას შეუძლია მშობლების გაძლიერების მხრივ მიკრო დონეზე სხვადასხვა მიდგომა გამოიყენონ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ყველა მათგანი მშობლის და ბავშვის ძლიერ მხარეებს ითვალისწინებდეს და მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული. თანამედროვე მიდგომე-

ბით, ოჯახისა და სპეციალისტების მუშაობა არ განიხილება როგორც ექსპერტისა და დახმარების საჭიროების მქონე პირის მუშაობა, არამედ ესაა თანამშრომლობა, სადაც ორივე მხარე თანაბარია და ქმნის ალიანსს. მულტიგუნდის ნებისმიერი წევრი, განსაკუთრებით, კი შემთხვევის მმართველი უნდა ზრუნავდეს ამ ალიანსის ჩამოყალიბებაზე, ნდობის გაძლიერებაზე და უფლებების მინიჭებაზე.

ამ პროცესებში არ უნდა გამოგვრჩეს ბავშვის მონაწილეობა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მერვე მუხლი მიუთითებს, რომ ბავშვის აზრი უნდა იქნას მოსმენილი და გათვალისწინებული, მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას და დაუშვებელია ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაცია და ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვა (ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019). შესაბამისად, მომსახურების მიწოდებისას, შემთხვევის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის მოსაზრება, მისი ასაკის და გარემოებების გათვალისწინებით იქნას მოსმენილი, განხილულ იქნას მასთან დაკავშირებული გეგმები და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებისას (Khan & Alam, 2016).

(2) მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა

მოზარდობა/ახალგაზრდობის ტერმინი მოიაზრებს ტრანზიციის პერიოდს ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკში (16-25 წ პერიოდი). Brian R. Grossman & Sandy Magaña-ს შენიშვნით, ასაკობრივი კატეგორიები და დაყოფა, შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნის კონტექსტის, კულტურული და სხვა მახასიათებლების მიხედვით და დოგმას არ წარმოადგენს, აქ მითითებულია დასავლური პერსპექტივა (Magaña, 2016). ზოგადად, ეს ასაკი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, მაგ. განათლება, დასაქმება, ოჯახის შექმნა, ბავშვის გაჩენა და ა.შ. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (განსაკუთრებით გონ. განვითარების შეფერხების

და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში) შესაძლოა ეს პერიოდი მეტი გამოწვევით იყოს სავსე და უფრო გახანგრძლივდეს, რადგან ეს პერიოდი უკავშირდება ავტონომიურობას და დამოუკიდებლობის ხარისხს და ამ მხრივ მათ მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ (Bigby, C., et al., 2015).

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანია მშობელმა იზრუნოს შვილის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე, რათა ზრდასრულობის ასაკში პირს ჰქონდეს უნარები დამოუკიდებლად ან დახმარებით შეასრულოს ყოველდღიურ საქმიანობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მისი ფუნქციონირება არ შეიზღუდოს უნარების ნაკლებობით. მნიშვნელოვანია, მშობელმა დამოუკიდებლობის უნარებზე ზრუნვა არა მხოლოდ მოზარდობის ასაკში, არამედ მცირე ასაკიდანვე დაიწყოს, რათა უნარების გაძლიერებით გაიზარდოს მოზარდის, პირის კომპეტენციაც.

(3) შუა ხნის ზრდასრულობა

ზრდასრულობა უკავშირდება ცხოვრების ისეთ პერიოდს, რომლის დროსაც აქტუალურია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. კვლავ აქტუალური საკითხებია ცხოვრებისეული პარტნიორის ყოლა, დასაქმება, სტაბილურობა, განათლების გაღრმავება, აქტიური სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობა და ა.შ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცხოვრების ამ ეტაპზეც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ბევრ ბარიერს აწყდებიან. ბევრი მათგანი ვერც ახერხებს ცხოვრებისეული მიზნების მიღწევას. შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხი, გარემო პირობები, მისაწვდომობა მომსახურებებზე, ზოგადი კონტექსტი, სტიგმა ეს ის ხელისშემშლელი პირობებია, რომელმაც შესაძლოა ზემოთ ხსენებული ბარიერები განაპირობოს. კვლევების მიხედვით ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 60-70% ოჯახთან ერთად ცხოვრობს. აღნიშნული არ გულისხმობს ერთმნიშვნელოვნად უარყოფით ფაქტორს, თუმცა

გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ სახლში ოჯახში როლის მორგება არაა საკმარისი (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით, მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული ეტაპებში გადასვლის ტრანზიციის პერიოდები, რომელიც ხშირად შესაძლოა ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, პირებს უფრო მეტად გაუჭირდეთ. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ტრანზიციის პერიოდისთვის როგორც მშობლებს, ისე პირებს სჭირდებათ მომსახურების და/ან სპეციალისტის/ების მიერ წინასწარ მომზადება და ტრანზიციის პერიოდის გავლაში ხელშეწყობა.

ფსიქოსოციალური საჭიროების და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ზრდასრულობის პერიოდში გადასვლა იმითიცაა გართულებული, რომ ხშირ შემთხვევაში მრავალფეროვანი მომსახურებები არ არსებობს, ან მცირე ოდენობითაა და მისაწვდომობაც ნაკლებია. შესაბამისად, დიდი წილი ზრუნვისა კი ოჯახებზე  მოდის (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018). ოჯახები ხშირად თავს არ მიიჩნევენ კომპეტენტურებად იზრუნონ მათი შვილების განვითარებაზე ისე, რომ უზრუნველყონ საუკეთესო შედეგები. მეორეს მხრივ, მშობლების ნაწილი ფიქრობს, რომ პირიქით, ეს ახალი მშობლობის ახალი უნარების დასწავლის საშუალებაა (Heller, 2012).

ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ადამიანის საჭიროებები, ყალიბდება ინდივიდი როგორც პიროვნება და უჩნდება დამოუკიდებელობის მოთხოვნილება. სწორედ ამ პერიოდში ოჯახებს/მზრუნველებს უწევთ იპოვნონ ბალანსი მათი შვილისთვის ავტონომიურობის/დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაზე ზრუნვას და საკუთარ გრძნობებს შორის, რომელიც შვილის დაცვას უკავშირდება (Heller, 2012). მომსახურება უნდა იყოს სენსიტიური ამ პროცესის მიმართ და შეძლოს პირების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა. კვლევების მიხედვით, ინდივიდზე ორიენტირებული ზრუნვა ზრდასრულთა მომსახურებებში ერთ-ერთი ეფექტური მიდგომაა (Heller, 2012).

(4) ხანდაზმულობა

ცხოვრების ამ ეტაპზეც კვლავ დგას თვით დეტერმინაციის, არჩევანის თავისუფლების, მონაწილეობის და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელობა. ფსიქოსოციალური საჭიროების და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ზემოხსენებულ ასპექტებზეა დამოკიდებული.

ხანდაზმულობასთან ერთად იზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები. ოჯახების როლი აქ კვლავ აქტუალურია, უწევთ რა გაითვალისწინონ გაზრდილი საჭიროებები. თუმცა, ნიშანდობლივია რომ ოჯახის წევრები თავადაც ხანდაზმულები არიან და თავად ხდებიან მოვლის საჭიროების მქონე. ასეთ დროს როგორც წესი თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ ჰყავს მეუღლე ან პარტიორი მასზე ზრუნვას ოჯახის სხვა წევრები, უფრო მეტად, დედმამიშვლები აგრძელებენ. თუმცა, ზოგადად ხანდაზმულობას ახლავს სოციალური იზოლაციის რისკი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, განსაკუთრებით კი გონებრივი განვითარების ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში, ძირითადი მზრუნველის გამოკლებამ ეს რისკი შესაძლოა გაზარდოს, კვლავ დგება არასათანადო მოპყრობის რისკიც, შესაძლოა ექსპლუატაციის და ძალადობისაც კი. კვლევის მიხედვით, აუტიზმის შემთხვევაში, ისევე როგორც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში, ქალები უფრო ერთვებიან ზრუნვის პროცესში, ძირითადი მზრუნველის დაკარგვის შემდეგ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში განვითარების დარღვევების და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში დიდია ზრუნვის გარეშე ან არასათანადო ზრუნვის პირობებში დარჩენის რისკები (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით თითოეული ცხოვრებისეული პერიოდი ეკოსისტემების თეორიის ჭრილში უნდა განვიხილოთ, ანუ დავინახოთ თუ რა დონეზეა საჭირო ცვლილებები,

იმისთვის რომ დაკმაყოფილებული იყოს პირების და მათი ოჯახების საჭიროებები (Magaña, 2016).

## 2.6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის გზები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლოა არ ჰქონდეთ მხარდაჭერა განათლების მიღების, უნარების განვითარების, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის მხრივ და შესაბამისად არ გრძნობდეს თავს კომპეტენტურად ჩაერთოს ყველა სახის განხილვაში, მიიღოს აქტიური მონაწილეობა, გამოთქვას აზრი, ან შესაძლოა მათი ამჟამინდელი ინტერესი ეწინააღმდეგებოდეს მის საჭიროებას. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამ ბალანსის დაცვაა. ამისთვის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ეფექტურია მიანიჭო კომპეტენცია, გააძლიერო ისწავლოს გადაწყვეტილებების მიღება. ამ მხრივ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში შესაძლოა ჩავრთოთ ის პროცესში მისთვის მისაღები გზით. (ქვემოთ მიმოხილულია ჩართულობის შესაძლო გზები). კომპეტენციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: თვითდეტერმინაცია, არჩევანის გაკეთების უნარი, საკუთარი კეთილდღეობის შესახებ ცოდნა, თავდაჯერებულობის გამომუშავება (Schulmann. at all,  2017).

<u>თვითდეტერმინაცია</u>

თვითდეტერმინაცია ჩვენი შესაძლებლობაა მივიღოთ გადაწყვეტილებები ჩვენსავე ცხოვრებასთან დაკავშირებით. გაძლიერებაზე ორიენტირებული მუშაობა ეხმარება ადამიანებს ვისაც გარკვეული გარემოებებით ეს უფლება ეზღუდებათ, დაუბრუნოს მათ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა – მისცეს ძალაუფლება (helensandersonassociates.co.uk). ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ასპექტია. შეზ-

ღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაა იყვნენ საკუთარი ცხოვრების მფლობელები, ჰქონდეთ კონტროლი საკუთარ ყოველდღიურ წვრილმან თუ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014). აღნიშნული გასათვალისწინებელია, როგორც თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახის წევრების მიერ, ასევე, იმ მომსახურებების/პროფესიონალების მიერაც, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობენ. თვით-დეტერმინაცია, საკუთარ სურვილებზე, გადაწყვეტილებებზე, ცხოვრებაზე კონტროლის ქონა ადამიანისთვის დამოუკიდებლობის და ბედნიერების მომტანია (Wisconsin Board for People with disabilities, 2018).

გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება ყველასთვის მნიშვნელოვანია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე ტიპური განვითარების პირისთვის. როგორც ტიპური განვითარების ადამიანები, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც უნარებს ცხოვრების განმავლობაში ივითარებენ, სწავლისა და გამოცდილებების მიღების საფუძველზე. განსხვავება კი ის არის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ნაკლებად ეძლევათ საშუალება დააგროვონ აღნიშნული გამოცდილებები, ხშირად გადაწყვეტილებები მათ ნაცვლად მიიღება სხვადასხვა მიზნით: ექსპლოატაცია, ზრუნვა-უსაფრთხოება, არაკომპეტენტურად მიჩნევა და სხვა. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად ხდებიან სხვადასხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლნი (ეკონომიკური ძალადობა, ფიზიკური ძალადობა, იძულება და ა.შ), რაც ხშირად უკავშირდება სწორედ დმაოუკიდებლობის შეზღუდვასაც (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019), თუმცა ხშირად ამას ოჯახის წევრები და ახლობლები გადამეტებული ზრუნვის და ერთგვარი უსაფრთხოების მიზნითაც მიმართავენ. მათი აზრით, თუ გადაწყვეტილებებს მათი ოჯახის წევრების ნაცვლად მიიღებენ, დაიცავენ მათ შეცდომებისგან და

საბოლოოდ კი თავიდან აარიდებენ საფრთხეებს, მაგალითად, გადაწყვეტილებები რომლებიც უკავშირდება ყოველდღიურ საქმიანობას (გასეირნება, დასვენება, სახლის დალაგენა, საჭმლის მომზადება, დამოუკიდებლად ჩაცმა), მომსახურების შერჩევას, პირადი ცხოვრების არჩევანში ჩარევას, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, ურთიერთობებს მეგობრებთან და ა.შ. (Wisconsin Board for People with disabilities, 2018).

გადამეტებული უსაფრთხოების გარდა, ხშირად მშობლები/ოჯახის წევრები/მზრუნველები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პროფესიონალები მათ არაკომპეტენტურადაც მიიჩნევენ საიმისოდ, რომ გათვალისწინებული იყოს მათი აზრი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფრო მეტად ხდებიან პასიურნი, დამოკიდებულნი და მეტად მოწყვლადები არიან ძალადობის მიმართ. ხშირად უჭირთ კიდეც გაარჩიონ მათ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები, ექსპლოატაციისგან. ისინი კი, ვინც უფრო მეტად ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფრო მეტად გამოირჩევიან დამოუკიდებლობის ხარისხით, მათი ფსიქოსოციალური უნარებიც უკეთესია, მეტი შანსი აქვთ დასაქმდნენ და მიიღონ განათლება, უკეთ შეუძლიათ ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირებაც.

იმისთვის რომ პირებს დავეხმაროთ კონკრეტული უნარების დასწავლისთვის, არსებობს დასწავლის რამდენიმე საფეხური:

*დაუფლება:* პიროვნების მხარდაჭერა, მიიღოს ძირითადი ცოდნა და უნარები, ისე რომ მცირე ამოცანებად/პორციებად დაიყოს მისთვის დასასწავლი მასალა, ისე როგორც ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება.

*დასწავლილის პრაქტიკაში გამოყენების ჩვენება:* ესეც მნიშვნელოვანია მცირე ამოცანებად იყოს დაყოფილი და დროში გა-

წერილი საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დახმარებით უზრუნველყოფა, მაგალითად, სურათების ან ვიზუალური მასალის გამოყენებით. უკუკავშირის მიწოდება შესრულებულ დავალებებზე, მითითებების მიცემა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა გზის ჩვენება

*სრულყოფილად ცოდნის ფაზა:* როდესაც ადამიანი უკვე ფლობს უნარებს და შეუძლია მათი გამოყენება პრაქტიკაში (ეს არ გულისხმობს აუცილებლად დიდ სამუშაოს, შესაძლოა ეს იყოს ელემენტარული მაგ: სახლთან ახლოს მაღაზიაში წასვლა ა.შ)

*შენარჩუნება:* პირისთვის შეხსენება, გადამეორება ნასწავლი მასალის, დასწავლილი უნარების გავარჯიშება. მნიშვნელოვანია ნასწავლის ხშირად მონიტორინგი (სულ მცირე კვირაში ერთხელ) მონიტორინგის სიხშირემ შესაძლოა დროთა განმავლობაში დაიკლოს

*განზოგადება:* როდესაც ადამიანს შეუძლია კონკრეტული უნარის გამოყენება სხვა სიტუაციურ კონტექსტში. მაგ: სხვა მაღაზიაში წასვლა და ყიდვა ა.შ (შაღაშვილი, 2015)

<u>არჩევანის თავისუფლება</u>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რაც უფრო მეტად ექნებათ გადაწყვეტილების მიღების საშუალება, მით უკეთ შეძლებენ გადაწყვეტილებების მიღების სწავლას. ეს საშუალებას მისცემს მათ ისწავლონ გადაწყვტილების მიღების ყველა ეტაპის გააზრება, მაგ. პრობლემის გადაჭრის გზის ძიება, მიზნის დასახვა, პასუხისმგებლობის აღება. გქონდეს გადაწყვეტილების მიღების (დახმარებით თუ მის გარეშე), არჩევანის გაკეთების, წარუმატებლობის და წარმატების მიღწევის საშუალება <u>ადამიანის ღირსების შემადგენელია.</u> მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადაწყვეტილების მიღებაში, არჩევანის გაკეთებაში, არ-

ჩევანის იდენტიფიცირებაში დახმარება შესაძლოა დასჭირდეთ. დახმარებით გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის გაკეთება ეხმარება მათ გაითვალისწინონ სხვადასხვა ნიუანსი. დახმარებით გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს მათ ნაცვლად გადაწყვეტას, ეს ნიშნავს მხარდაჭერას, ინფორმირებას, პირის კომპეტენციის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Wisconsin Board for People with disabilities, 2018). მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს როგორც პირის შესაძლებლობების პატივისცემას და გათვალისწინებას, ასევე, ითვალისწინებს იმ ლიმიტებსაც, რაც პირს შესაძლოა ჰქონდეს და შესაბამისად, დაბალანსებულად ხდება გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ სანდო პროფესიონალი, ოჯახის წევრი, მეგობარი, მომსახურება, რომელიც დაეხმარება გაერკვნენ სიტუაციაში, გაიაზრონ არჩევანი, რაც მათ აქვთ მოცემულ მომენტში, მიიღონ რჩევა და საბოლოოდ კი მიიღონ გადაწყვეტილება – გააკეთონ ინფორმირებული და გააზრებული არჩევანი. აღნიშნული სხვადასხვა სფეროს შესაძლოა უკავშირდებოდეს და სხვადასხვა სირთულისა და მნიშვნელობის გადაწყვეტილებას: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ლეგალური საკითხები, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები, მომსახურების მიღებისას არსებული გამოწვევები, მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილება.

არჩევანი პირისთვის შეზღუდული არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გამო, ან იმის გამო რომ ფსიქოსოციალური საჭიროებისაა. არჩევანი ყველასთვის თანაბრად ხელმისწავდომი უნდა იყოს. მნიშვნელოვანია პირს დავასწავლოთ არჩევანის გაკეთებაც, ან ვასწავლოთ ის თუ როგორ ითხოვოს და ვისგან ითხოვოს დახმარება არჩევანის გაკეთების პროცესში. მომსახურების ჭრილში კი, პროფესიონალები უნდა უწყობდნენ ხელს პირის ამ არჩევანის უზრუნველყოფას.

უფლებაზე დაფუძნებული სტანდარტებით გეგმის ერთ-ერთი ეტაპი ყოველთვის გულისხმობს მომსახურების მიერ მიწოდებული სერვისის ყველა ასპექტის გააზრებას და ეჭვ ქვეშ დაყენებას – არის კი ის საკმარისად ხელმისაწვდომი ბენეფიციარებისთვის, ვაძლევთ თუ არა მათ მომსახურების შერჩევის საშუალებას, ვითვალისიწნებთ მის უკუკავშირს? ვრთავთ მას განვითარების პროცესში?

თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობისას, ან დემენციის მქონე ხანდაზმულებთან, არჩევანის სიმრავლემ ისინი დააბნიოს, ააფორიაქოს, შფოთვა და ღელვა გამოიწვიოს. აქ ლიმიტირებულად ხდება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა (ეს შეიძლება იყოს ტანსაცმელი, რასაც ჩაიცვამს, ან ყოველდღიური აქტივობა, რას გააკეთებს ა.შ). თუმცა არჩევნის გარეშე დატოვება მიუღებელია.

იურიდიულად, დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ვისაც ფსიქოსოციალური საჭიროება აქვთ და ენიჭებათ შესაბამისი სტატუსი, ზემოაღნიშნულ პროცესებში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მხარდამჭერი პირი ეხმარება. ფსიქოსოციალური საჭიროების პირის სტატუსი შესაძლოა მიენიჭოს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ისე ხანდაზმულს, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა აღნიშნული სტატუსი და შესაძლოა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ ზეგავლენა იქონია მის ფუნქციონირებაზე. თუმცა, ეს ასპექტები არ უნდა იქნას აღქმული მხოლოდ ბიუროკრატიულ ჭრილში, ის პირდაპირ კავშირშია პირის უფლებების დაცვასთან, სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან, ყოველდღიურ ცხოვრების ხარისხთან, კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, თვით გამოხატვასა და ავტონომიურობასთან. 2019 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, აღნიშნული სისტემა ვერ მუშაობს გამართულად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი

მხარდამჭერები პირდაპირ აცხადებენ, რომ ვერ ახერხებენ და-მოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას და მხარდაჭერას პი-რისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების პროცეს-ში. რაც ტოვებს პირებს ამ უფლების გარეშე. აქვე უნდა აღ-ვნიშნოთ CSRDG -ის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც გადაწ-ყვეტილებების მიღებასთან და ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მომსახურებებში შეზღუდული შესაძლებლო-ბის მქონე პირები იშვიათად არიან ბოლომდე ჩართულნი მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პროცესში, რომელიც უშუალო მომსახურების მიწოდებას გულისხმობს, იგივე ეხება ოჯახის წევრებსაც. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისების გარ-და, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა მათ-თან დაკავშირებულ გადაწყვტილებაში ნაკლებად ხდება.

<u>თვითაღქმა და კეთილდღეობის აღქმა</u>

კეთილდღეობის აღქმა ინდივიდუალურია და განსხვავდე-ბა პირის წარმოდგენების მიხედვით მის ცხოვრებაზე. თუმცა საერთო ჯამში, მაინც გულისხმობს მიმდინარე ცხოვრებით კმა-ყოფილებას, რომელიც თავის მხრივ უკავშირება რეალიზებუ-ლობის განცდას, დამოუკიდებლობის/თავისუფლების განცდას, იდენტურობის ქონის შესაძლებლობას, უსაფრთხოების გან-ცდას, ურთიერთობების ქონის შესაძლებლობას, მიზნის/როლის ქონას, სიხარულის შეგრძნებას. ცხოვრების ხარისხის აღქმა სა-ბოლოო ჯამში მაინც სუბიექტური აღქმის ნაწილია, თუმცა მას-ზე დიდ გავლენას ახდენს გარემო და კონტექსტი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, ცხოვრების ხარისხის აღ-ქმა ასახავს: „ინდივიდის აზრს ცხოვრებაში მისი მდგომარეო-ბის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული პიროვნების კულტურულ და ღირებულებით სისტემებს, რომელშიც ის ცხოვრობს და იმ მოლოდინებს, სტანდარტებსა და მიზნებს, რომლებისკენაც ის ისწრაფის“ (Partskhaladze, 2020).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით, ზემოთ როგორც არაერთხელ ვახსენეთ კეთილდღეობის განცდა, ან ამის მიღწევა ბოლომდე მათზე არაა დამოკიდებული და მისი მიღწევა ბევრ ბარიერთანაა დაკავშირებული. 2012 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები ასახელებდნენ, რომ მათთვის კეთილდღეობა დასაქმებას, გადაწყვეტილებების მიღებას, პირადი ცხოვრების შესაძლებლობას და დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას გულისხმობდა (გიგინეიშვილი, 2013). კეთილდღეობა რთული საკვლევია, თუმცა კვლევებში მითითებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ამ ასპექტში გასათვალისწინებელია მომსახურების კონტექსტშიც ჩართულობის შეგრძნება, წარმოადგენს რა მომსახურება მათთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოს შეიძინონ მეგობრები, ჰქონდეთ ურთიერთობები და ა.შ. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შემეთხვევაშიც ეს შესაძლოა ოჯახი იყოს, ან მომსახურება ან ორივე ერთად.

ამას გარდა, ინდივიდუალურ დონეზე გაძლიერების მიმართულებით მუშაობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კომუნიკაციის სირთულეებიც რომელიც შესაძლოა პირს ჰქონდეს. პირის კომუნიკაციის სირთულეებზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენდეს გავლენას, ეს შესაძლოა იყოს ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა (კუნთების ტონუსი და ა.შ), კოგნიტური შეფერხება, ან იზოლაცია, რის გამოც ვერ განივითარა მეტყველების უნარები, ან სხვა მიზეზი. მნიშვნელოვანია, მისი მხარდაჭერისას გავითვალისწინოთ:

- მიუხედავად იმისა აქვს თუ არა პირს აკადემიური უნარები განვითარებული, გაითვალისწინეთ, რომ ამან არ უნდა შეზღუდოს კომუნიკაციის პორცესი და მიეცეს პირს საშუალება მისთვის მისაღები გზით გამოხატოს აზრი

- უნდა მიეცეს ზუსტი და დეტალური ინსტრუქცია, პროცესში კი გადამოწმდეს სწორად თუ ესმით პირს და სპეციალისტს ერთმანეთის
- მივცეთ თავისუფლება გამოხატოს აზრი
- ვაგრძნობინოთ, რომ რასაც გვიზიარებს ღირებულია
- თუ არ გვესმის მისი ნათქვამი, ვთხოვოთ ხელახლა გაიმეოროს
- თუ პირს ძალიან აქვს გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა, მივმართოთ სხვა სპეციალისტს დახმარებისთვის და ა.შ  (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018).

კომუნიკაციის გარდა, გავითვალისწინოთ თუ რას გულისხმობს მათი ჩართულობა და როგორი ხარისხი შეიძლება ჰქონდეს ჩართულობას. პირს შესაძლოა ჰქონდეს უნარი გააზიაროს მისი მოსაზრება, ან სურდეს სხვა გზით გააზიაროს მოსაზრება. ზოგ შემთხვევაში, პირი შესაძლოა ვერ ერთვებოდეს (მაგ. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხება), თუმცა, მოისმინოს მასთან დაკავშირებული გეგმა, ხელი შევუწყოთ მის ჩართულობას, თუნდაც ელემენტარული ამოცანის შესრულებაზე შეთანხმებით. ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია პირს დაეხმაროს მომსახურება განივითაროს უნარები როგორციაა: საკუთარი უფლებების ცოდნა, მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვის ჩამოყალიბება და ამაში დახმარება, ყოველდღიური საქმიანობების აღსრულებისთვის საჭირო უნარების დასწავლა, მხარდაჭერა დასწავლილი უნარების გამოყენებაში, პრაქტიკაში, მხარდაჭერა არჩევნის გაკეთების პროცესში (შაღაშვილი, 2015).

ზრდასრულობის პერიოდი, ასევე უკავშირდება ზრდასრულთა მომსახურებებში გადასვლას. 25 წლიანი კვლევის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ტიპური განვითარების პირებთან შედარებით დასაქმების, განათლების მომსახურებებთან ნაკლები მისაწვდომობით გამოირჩეოდნენ და ისინი მათთან შედარებით გვიან ან საერთოდ ვერ საქმდე-

ბოდნენ და რჩებოდნენ ოჯახის ამარა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობას მომსახურებებზე (CSRDG, 2020), ცხადია რომ ცხოვრების ყველა ეტაპზე მათთვის ოჯახის წევრები ხდებიან ძირითადი მზრუნველები. იმის გათვალისწინებით, რომ ნაკლებია სარეაბილიტაციო, სათემო მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სადაც განივითარებენ უნარებს, მოემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, იცხოვრებენ დამოუკიდებლად (ან ნახევრად დამოუკიდებლად), განსაკუთრებით კი მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში, ხშირად ოჯახი, სიცოცხლის ბოლომდე რჩება ერთადერთ მზრუნველ რგოლად (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან დაკავშირებით მუშაობის განხორციელება საშუალებას გვაძლევს კარგად გავიაზროთ, თუ ცხოვრების რა ეტაპებს გადიან პირები და როგორაა გადანაწილებული მათთვის მნიშვნელოვანი გარემო ფაქტორები ეკოსისტემების თეორიის მიხედვით სხვადასხვა შრეზე, სადაც პირველ ეტაპზე დგას პირი და მისი საჭიროება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თემში ჩართულობისა. აქვე, ხაზგასმულია აღნიშნული მიდგომის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაზე დადებითი ცვლილებისთვის შეგვიძლია ვიმუშავოთ ოჯახისა და მზრუნველების გაძლიერებისა და ოჯახური ინტერვენციების დაგეგმვის მიმართულებით. ცვლილების მოსახდენად ასევე შესაძლებელია, მუშაობა გავწიოთ თემის დონეზე, კერძოდ მომსახურებების და სხვა ღონისძიებების დონეზე, რომელიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების გაძლიერებისთვის. ასევე ეროვნულ პოლიტიკაზე მოვახდინოთ გავლენა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების საჭიროებები დავაყენოთ დღის წესრიგში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განვითარებას და გაძლიერებას და გამოიყენება როგორც მიკრო, ისე მეზო დონეზე სამუშაოდ, გახლავთ ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა.

## ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის მიხედვით, პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელიც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია პირისთვის და მისი კეთილდღეობისთვის, ეს მოიცავს პირის ინტერესებს, მისწრაფებებს, ოცნებებს, გეგმებს, ამასთან მოიცავს იმ უნარებს და ღონისძიებებს, რომელიც მნიშვნელოვანია პირის ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებაში ინკლუზიისთვის (შაღაშვილი, 2015).

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისას ბოლომდეა უზრუნველყოფილი პირის ჩართულობა მასთან მუშაობის პროცესში, მისი მოსაზრებების, სურვილების გათვალისწინება და გადაწყვეტილებების შეთანხმება. მომსახურებებში მომუშავე სპეციალისტები კეთილსინდისიერად და ერთგულად ცდილობენ მაქსიმალურად მხარი დაუჭირონ ბენეფიციარებს, მათ ოჯახებს, ცდილობენ ხელი შეუწყონ მიზნების მიღწევაში. პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომით, უზრუნველვყოფთ პირის ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა მრავალი წელია გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში მომსახურებების მიერ. თუმცა მისი პრაქტიკაში გამოყენება მოითხოვს მომსახურების და პროფესიონალების მიერ სიფრთხილეს, მოითხოვს რა მომსახურების განვითარების, დაგეგმვის თუ კონკრეტულ პირთან მიმართებაში გეგმის შედგენის პროცესში ყველა ასპექტის გათვალისწინებას (შაღაშვილი, 2015).

პრაქტიკაში გამოყენებისას მნიშვნელოვანია ინდივიდზე

ორიენტირებული (ცენტრირებული) ორიენტირებული ფიქრის და ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) დაგეგმვის გამოყენება, რომელიც მომსახურებას დაეხმარება მხარდაჭერა გაუწიოს ბენეფიციარებს როგორც ასაკობრივი ტრანზიციის ისე ცხოვრებისეული და განვითარებისთვის საჭირო მიზნების დაგეგმვა განხორციელებაში (Jeanette Thompson, 2008).

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) დაგეგმვა: შემთხვევის მმართველმა უნდა გაითვალისწინოს პიროვნებაზე ცენტრირებული დაგეგმვის 5 განზომილება:

**განზომილება 1: პირი არის პროცესის ცენტრში**

დაგეგმვის ჯგუფი შედგება პიროვნებისა და მისი მხარდამჭერი ქსელისგან (მაგალითად, ოჯახის წევრები, უფლება დამცველე-ბი, მეგობრები, მხარდამჭერები).

ადამიანი აკონტროლებს დაგეგმვის პროცესს -ჩართულია მსჯელობაში.

ჯგუფის წევრებს საზღვრავს/ირჩევს/ასახელებს ადამიანი, მისი მხარდამჭერ ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე.

დაგეგმვის შეხვედრის ეთიკური მახასიათებელია ის, რომ პირს აქვს განცდა რომ ისაა შეხვედრის ცენტრში და არ არის რო-გორც დახმარების ობიექტი, არამედ არის ალიანსში და გრძნობს თავს ღირსეულად (Jeanette Thompson, 2008).

**განზომილება 2: ოჯახის წევრები/მხარდამჭერები დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ როგორც პარტნიორები**

ოჯახის წევრები, მხარდამჭერი ქსელი მონაწილეობს შეფასების და გეგმის დასახვა/აღსრულების პროცესში. ცენტრში კვლავ პიროვნებაა.

დამატებითი სპეციალისტების მოწვევა ხდება საჭიროების მიხედვით (Jeanette Thompson, 2008).

**განზომილება 3: პიროვნების ძლიერი მხარეების, ნიჭის, შესაძლებლობების, მისწრაფებების გათვალისწინება და ამის გათვალისწინებით საჭიროებების განსაზღვრა**

დაგეგმვის პროცესი სენსიტიურია პირის მისწრაფებების, სურვილების, ოცნებების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების მიერ საკუთარი პერსპექტივიდან დანახულ საკუთარ კეთილდღეობას. ეს ინფორმაცია მიეწოდება პირის რეაბილიტაციაში ჩართულ ყველა პირს და პროფესიონალს (Jeanette Thompson, 2008).

**განზომილება 4: გეგმისთვის მომზადება**

გეგმა ითვალისწინებს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე შეთანხმებულ ქმედებებს და გაზიარებულ პასუხისმგებლობებს ოჯახის წევრებს, მომსახურების პროფესიონალებს და თავად პირს შორის. აქცენტი კეთდება რესურსების მობილიზებაზე იმ პირების მიმართ, ვისაც აქვს ვალდებულება პიროვნებისადმი, ანუ საზოგადოებების მიმართ. გეგმა მოიცავს გაზომვად მიზნებს და მოსალოდნელ შედეგებს როგორც მომსახურების მიმწოდებლისგან ასევე სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ (Jeanette Thompson, 2008).

**განზომილება 5: დაგეგმვა**

**შეხვედრები:** გეგმა არ არის შედეგი. მხარდამჭერთა წრე იკრიბება რამდენადაც შესაძლებელია ხშირად. პირის ზრდასთან ერთად მუდმივად ხდება მისი ინტერესებსი, საჭიროებების, ცვლილებების გათვალისიწნება.

**კოორდინაცია:** შემთხვევის მმართველი მუდმივად წაახალისებს მხარდამჭერთა წრის მონაწილეებს ქმედებისკენ (იმ როლის შესრულებისკენ რაც გეგმაში აქვთ).

**მომსახურების ორიენტაცია:** აღწერს/აკეთებს შესაძლებლობების რეფლექსიას. მომსახურება ყოველთვის ლიმიტირებულია, თუმცა ღია უნდა იყოს ცვლილებებისთვის. შემთხვევის მმართველი პიროვნებაზე დაფუძნებული მიდგომით მუშაობისას სწორედ მომსახურების საჭიროებებს გამოავლენს და აკეთებს იმ ასპექტების იდენტიფიცირებას, რომლებიც ხელს უშლიან მომსახურებების მიმღებ პირებს მიიღონ მათთვის საჭირო მომსახურება. მომსახურების გაწევისას გათვალისწინებულია ყველა შესაძლო მიდგომა, პირის წარსული გამოცდილებების და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით (Jeanette Thompson, 2008).

## 2.7 პირის თანამონაწილეობა მომსახურების განვითარების პროცესში და საერთაშორისო გამოცდილება უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარების პროცესში

გაძლიერებაზე ორიენტირებული მიდგომის, ოჯახზე ცენტრირებული მიდგომის, life course approach-ის გარდა, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებების მოხდენას მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე, როგორც აღინიშნა ეფექტურია ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომაც.

როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემი ჰომოგენურ ჯგუფს არ წარმოადგენს და მათი საჭიროებები, მიუხედავად მსგავსი მდგომარეობისა შესაძლოა დრამატულად განსხვავდებოდეს. თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჰქონდეთ მსგავსი შეზღუდული შესაძლებლობა არ ნიშნავს, რომ მათ მსგავსი ინტერესები ან ცხოვრების სტილი აქვთ და მათ ერთნაირი მიდგომა და ერთნაირი მომსახურების სჭირდებათ. ისინიც ტიპური განვითარების ადამიანების მსგავსად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასაკის, სქესის, კულტურული თუ ხასიათის, განათლების, გამოცდიელბის, სექსუალური ორიენტაციის და სხვა ფაქტორების მიხედვით და მათთან კომუნი-

კაციის და/ან მუშაობის პროცესშიც მნიშვნელოვანია ამ ინდივიდუალიზმის პატივისცემა, აღიარება და გათვალისწინება.

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის ამოსავალი სწორედ ადამიანი და მისი ინტერესებია. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია სპეციალისტები იცნობდნენ ადამიანის მახასიათებლებს, იცოდნენ პირის ხედვა საკუთარ ცხოვრებაზე, მისი სუბიექტურ წარმოდგენა და აღქმა საკუთარ ცხოვრებაზე, იცოდნენ და ითვალისიწნებდნენ მის სურვილებს და მოსაზრებებს. მხოლოდ ამ ყველაფრის გათვალისწინებითაა შესაძლებელი სპეცილისტებმა დაიწყონ ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე მუშაობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების ავსტრალიის ეროვნული სტანდარტების მიხედვით ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების მაქსიმალურ ჩართულობას მომსახურების განვითარების, ოპტიმიზაციის პროცესში. (ავსტრალიის სტანდარტების დოკი), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მომსახურებებს უპასუხონ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და შესაბამის სტანდარტებს, საბოლოოდ მომსახურების პრაქტიკა პასუხობდეს კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მომსახურების ამოცანაა უზრუნველყოს თითოეული მომსახურების მიმღების პირადი შედეგი.

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა დღესდღეობით გამოიყენება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ხანდაზმულებთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სექტორშიც. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის პრაქტიკა გამოყენებისას ორგანიზაციებში სპეციალისტები ინდივიდუალურ მიდგომას უზრუნველყოფენ, მომსახურების მიწოდების ფოკუსი მთლიანად პირზეა გადატანილი, მის ოჯახზე, მათ უფლებებსა და საჭიროებებზე და

მომართულია მათ გაძლირებაზე. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისას ბოლომდეა უზრუნველყოფილი პირის ჩართულობა მასთან მუშაობის პროცესში, მისი მოსაზრებების, სურვილების გათვალისწინება და გადაწყვეტილებების შეთანხმება. მომსახურებებში მომუშავე სპეციალისტები კეთილსინდისიერად და ერთგულად ცდილობენ მაქსიმალურად მხარი დაუჭირონ ბენეფიციარებს, მათ ოჯახებს, ცდილობენ ხელი შეუწყონ მიზნების მიღწევაში. თუმცა კვლევებიც ცხადყოფს , რომ მომსახურებები ხშირად ხდებიან სისტემაზე ორიენტირებულნი და არა ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული). ისინი ცდილობენ უკვე არსებულ სისტემაში გაითვალისწინონ პირი და მოარგონ მას და არა პირიქით (www.ndp.org.au, 2016).

განსხვავება ინდივიდზე ორიენტირებულ (ცენტრირებული) მიდგომასა და სისტემურ მომსახურებას შორის:

**ცხრილი 2.1**

| ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომით მომსახურება | სისტემაზე ცენტრირებული მიდგომით მომსახურსება |
|---|---|
| ესაუბრება ადამიანს | საუბრობს ადამიანის შესახებ |
| გეგმავს პიროვნებასთან ერთად | გეგმავს პიროვნებისთვის |
| ფოკუსირებულია შესაძლებლობებზე, უნარებსა და ძლიერ მხარეებზე | ფოკუსირებულია დიაგნოზსა და უნარების ნაკლებობაზე (დეფიციტები/deficits) |
| ეძებს გამოსავალს, რომელიც ხელსაყრელია ყველასთავის, უპირატესად თემზე დაფუძნებული მომსახურებები განიხილება | მეტად ორიენტირებულია ისეთი მომსახურების განვითარებაზე, რომელიც იმუშავებს „ასეთ დიაგნოზებზე“ |
| გეგმის შედგენა ხდება პიროვნებაზე ცენტრირებულად | გეგმის შედგენა ხდება მომსახურებიდან გამომდინარე |
| ოჯახი და თემის წევრები განიხილებიან როგორც პარტნიორები | ოჯახი და თემის წევრები არ განიხილებიან როგორც პირდაპირი პარტნიორები |

(www.ndp.org.au, 2016)

უფლებაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდება ვერ მოხერხდება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი კომპლექსური შეფასება და პირის ძლიერი მხარეების და საჭიროებების ბიოფსიქოსოციალური გაანალიზება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მომსახურებას ჰყავდეს მულტიდისციპლინური გუნდი. მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდი არის პროფესიონალთა ჯგუფი, რომლებიც საერთო მიზნისთვის კოორდინირებულად მუშაობს და განსაზღვრავს საკუთარ როლს მიზნის მიღწევის პროცესში. მულტიდისციპლინური მიდგომა უზრუნველყოფს პიროვნების კომპლექსური საჭიროებების დანახვას და მისი განვითარებისთვის მრავალგანზომილებიანი გეგმის შედგენას. როგორც წესი, ასეთ დროს უზრუნველყოფილია პირის ბიოფსიქოსოციალური შეფასება. მულტიგუნდის შემადგენლობა შესაძლოა განსხვავებული იყოს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. თუმცა, ის შესაძლოა შეიცვალოს ბენეფიციარის საჭიროების მიხედვითაც კი. ზოგადად კი, მომსახურებების მულტიგუნდების შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, განვითარების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სოციალური თერაპევტი და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი სპეციალისტის მოწვევაც (მაგ. ექიმი, ფსიქიატრი, ვიწრო სპეციალობის სპეციალისტი). თუმცა, მნიშვნლეოვანია ყველა სპეციალისტი იაზრებდეს და მუშაობდეს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით (Ife, 2000).

მულტიდისციპინურ გუნდში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თითოეულ პროფესიონალს. თუმცა, გამოვყოფთ სოციალური მუშაკის როლს. სოციალური მუშაობა ინდივიდის გაძლიერებაზე მიმართული პროფესიაა. მისი ამოსავალია პირის ძლიერ მხარეებზე ორიენტირება და პირის, ოჯახის, თემის მხარდაჭერა მოიპოვოს კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე. გაძლიერებაში იგულისხმება რესურსების, კომპეტენციის, შესაძლებლობის და არჩევანის განვითარება.

- თვითშეფასების დონეზე – სოციალური მუშაკი კლიენტს ხელს უწყობს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა აღიდგინოს;
- პრობლემების გადაჭრის დონეზე – სოციალური მუშაკი ხელს უწყობს კლიენტის მიერ პრობლემის გადაჭრის უნარის გამომუშავებას;
- თემების პრობლემის ირგვლივ მობილიზაციის დონეზე – სოციალური მუშაკი თემის წევრებს პრობლემის ამოცნობასა და პრობლემის ირგვლივ მობილიზაციაში ეხმარება;
- სოციალური ცვლილების დონეზე – სოციალური მუშაკი კლიენტთა ჯგუფს, თემებს ან ზოგადად საზოგადოებას არსებული პრობლემებიდან გამომდინარე სოციალური ცვლილების დანახვის აუცილებლობასა და აუცილებელი ცვლილების მოთხოვნისათვის მობილიზაციაში ეხმარება (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2013).

სოციალურ მუშაობაში გაძლიერების თეორიის თანახმად ინდივიდი და სოციალური მუშაკი ერთად აფასებენ ინდივიდის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ძლიერ მხარეებს და აღნიშნულს განიხილავენ სისტემურ ჭრილში (მეზო და მაკრო ფაქტორების გავლენა ინდივიდის წინაშე არსებულ პრობლემებზე). შესაბამისად ერთობლივად ხდება ჩარევისა და გეგმის აღსრულების პროცესიც. აღნიშნული პრაქტიკის მიზანია ინდივიდის მონაწილეობის უზრუნველყოფა მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იმ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა და კონტროლის ქონა რაც მის ცხოვრებაზე ახდენს ან მოახდენს გავლენას. ამისთვის სოციალური მუშაკი იყენებს შემდეგ ტექნიკებს: აფასებს ინდივიდთან ერთად პრობლემას, აფასებს მის ძლიერ მხარეებს, შემდეგ ხდება გეგმის ჩამოყალიბება, იმ შედეგების გათვალისწინებით, რისი მიღწევაც ინდივიდს და მას სურთ და გეგმის ერთობლივი აღსრულება. ამ მხრივ სოციალური მუშაობის მიდგომების გამოყენება მომსა-

ხურებებში, მეტად შეუწყობს ხელს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების არსებობას მომსახურების გაწევის პროცესში. გასათვალისწინებელია რომ როგორც გაძლიერების თეორია ისე პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას რომ ნებისმიერი სპეციალისტი უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდთან ერთად ისეთი გეგმის შედგენას და ისეთი მიზნების დასახვას, რომელიც რეალური, გაზომვადი და აღსრულებადი იქნება და ორიენტირებული იქნება პირის გაძლიერებაზე (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2013). ამას გარდა, მულტიგუნდში სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ჰოლისტური შეფასების წარდგენას, რომელიც ასევე ადამიანი გარემოში შეფასებასაც მოიაზრებს, რაც ექსკლუზიურ ასპექტს წარმოადგენს გუნდში.

ავსტრალიის, ირლანდიის, სინგაპურის, შვედეთის მაგალითები, პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობისას ითვალისწინებს და ხაზგასმით აღნიშნავს სოციალური მუშაკის მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს მულტიდისციპლინურ ჯგუფში. მეტიც ის ჯგუფში ერთ-ერთ მთავარ წევრად მიიჩნევა, უზრუნველყოფს რა ჰოლისტურ მიდგომას და ადამიანი გარემოში შეფასების პერსპექტივის შემოტანას მსჯელობისას. ჯანდაცვის სფეროშიც, შეზღუდული შესაძლებლობის განსაკუთრებით გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან სოციალურ მუშაკს გადამწყვეტი როლი აქვს (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018).

სოციალური მოდელის, იგივე ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით კი მნიშვნელოვანია სამივე კომპონენტი იყოს წარმოდგენილი მულტიდისციპლინურ გუნდში პირთან დაკავშირებით მსჯელობის პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის შესახებ ყველა ასპექტის გათვალისწინება, მაგალითად მისთვის სტატუსის განსაზღვრის პროცესში. აქვე ხაზი ესმევა იმას, რომ სოციალური მოდელის მიხედვით, მნიშვნელოვა-

ნია პირის სუბიექტური აღქმის გაგებაც და გათვალისწინება მასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას.

**მომსახურებაში ადამიანების უფლებები დაცულია, თუკი უზრუნველყოფილია:**

- ინდივიდებისა და ოჯახის წევრების ღირსეულად და პატივისცემით მოპყრობა;
- ეხმარება ინდივიდებს და ოჯახებს, გახდნენ უფლებამოსილი დასახონ და მიაღწიონ თავიანთ პირად მიზნებს; ინდივიდების უფლების აღიარება არჩევანის გაკეთების შესახებ და პასუხისმგებლობის აღება ამ არჩევანზე და მასთან დაკავშირებულ რისკებზე;
- პიროვნების და მასზე მზრუნველი პირის ნიჭის, უნარების, ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება და მასზე ორიენტირება.
- საზოგადოებასთან კავშირების ხელშეწყობა, რომლის დროსაც ინდივიდებს შეუძლიათ განავითარონ ურთიერთობები, ისწავლონ, იმუშაონ და გამოიმუშაონ შემოსავალი, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მიაღწიონ თავიანთ პოტენციალს;
- ინდივიდთან შეთანხმება რომ მას მოუსმენენ და იმოქმედებენ იმის მიხედვით, რა სურვილიც ინდივიდს აქვს;
- თანხმდება ინდივიდთან, რომ გულწრფელად შეძლებს დაიცვას ბალანსი გადაწყვეტილების მიღებისას პირის სურვილებსა და მის საჭიროებებს შორის;
- აღიარებს და მოქმედებს ინდივიდების ასაკის, სქესის, კულტურის, ეთნიკურობის, რწმენის სისტემის, სოციალური და შემოსავლის სტატუსის, განათლების, ოჯახის და სხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებიც მათ უნიკალურს ხდის;

- აღიარებს და აფასებს ოჯახს და მათი ძალისხმევას ოჯახის წევრის მხარდაჭერის პროცესში;
- ინდივიდების, მათ ოჯახების, თემების, პროვაიდერებისა და პროფესიონალების ურთიერთგაგების პატივისცემის აღიარება და მხარდაჭერა;
- კანონების, წესებისა და პროცედურების ადვოკატირება მომსახურების გაწევის, მკურნალობისა და მხარდაჭე-რისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ინდივიდის საჭი-როებებს და პატივს სცემს პირად მიზნებს;
- საჯარო რესურსების პასუხისმგებელი გამოყენების დამტკიცება იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვალიფი-ციური პირები ემსახურებიან ინდივიდებს სამართლია-ნად და საჭიროებისამებრ (Lynn K. Jones, 2015).

ამას გარდა, მნიშვნელოვანი მიდგომაა შემთხვევის მარ-თვის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, სადაც ყველა ეტაპზე პირი ჩართულია და უზრუნველყოფილია მისი აზრის გათვალისწინება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


Australian Government Department of Social Services. (2013). National Standards for Disability Australia. Retrieved from: https://www.dss.gov.au/sites/default/files/documents/05_2021/nsdsfull version-may-2021.pdf

A National Gateway to Self Determination. *What Is Self-Determination and Why Is It Important?* (n.d.). https://buildingalife.ku.edu/sites/default/files/Self-Determination_Wehmeyer.pdf

Bigby, C., Whiteside, M., & Douglas, J. (2015). *Decision making support for people with cognitive disability.* Scope (Aust) Ltd.

CSRDG. (2021). *ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მომსახურების სტანდარტები.* In CSRDG.

CSRDG. (2021). *უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო.* CSRDG.

CSRDG. (2020). *უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის. თბილისი:* CSRDG.

Department of Health Named Social Worker. (2017). - Reflect and Refined Report. Retrieved from helensandersonassociates.co.uk.

Heller, T. (2012). *Disability Through the Life Course*. Sage Publications.

HOTHERSALL, S. J. (2008). *Social Work with Children, Young People and their Families in Scotland.* Learning Matters Ltd.

Ife, J. (2000). *Human Rights and Social Work - towards rights based practice*. Sydnay: Cambridge University press.

Jeanette Thompson, J. K. (2008). *PERSON CENTRED PRACTICE.* open university press.

Jones, F., & Serieux-Lubin, L. (2018). *Disability, human rightsand public policyin the CaribbeanA situation analysis.* United Nations.

Khan, M. F., & Alam, M. A. (2016). *COPING TRENDS OF PARENTS HAVING CHILDREN WITH DEVELOPMENTAL DISABILITIES: A LITERATURE REVIEW.* European Journal of Special Education Research.

Lynn K. Jones, D. (2015). P*erson-Centered Thinking in Developmental*

*Disabilities — Dreaming Possible Dreams*. social work today, https://www.socialworktoday.com/archive/exc_011909.shtml (2021/14/10)

Magaña, B. R. (2016). Introduction to the special issue: *Family Support of Persons with Disabilities Across the Life Course.* Journal of Family Social Work.

National Disability Practitioners. (2016). *What is a person centred approach?* Retrieved from www.ndp.org.au: https://www.ndp.org.au/images/factsheets/346/2016-10-person-centred-approach.pdf

Partskhaladze, N. (2020). *Quality of Life as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia.* Doctoral Thesis. Unpublished.

Rightsin. (2011). *A rights-based approach to disability in health and social care.* 2011, 08 22.Retrieved from:

http://rightsni.org/2011/08/a-rights-based-approach-to-disability-in-health-and-social-care/?fbclid=IwAR05quZj2O1zFKSkq1n4PxNBOwCrZKa2KaBXLZMLzLxEAoNUET634_E4LLs

Schulmann, K., Ilinca, S., Rodrigues, R., & Pateisky, D. (2017). *From Disability to rights based approach to long term care in Europe*. Vienna: European Centre for Social Welfare Policy and Research.

The Enabling Guide. (n.d.). *Making decisions at different life stages*. Retrieved from: https://www.enablingguide.sg/disability-info/life-stages-transitions (2021/14/10)

United Nations Children's Fund (UNICEF). (2021). *A RIGHTS-BASED APPROACH TO DISABILITY IN THE CONTEXT OF MENTAL HEALTH*. United Nations.

Wisconsin Board for People with disabilities. (2018). *SUPPORTING INDIVIDUALS TO LIVE FULL LIVES.* Supported Decision-Making and Guardianship Alternatives. https://icdd.idaho.gov/wp-content/uploads/2018/11/2A-Idaho-Alt-to-Guardianship-Bklt-OCT-2018.pdf

გიგინეიშვილი, ქ. (2013). გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა დასაქმება საქართველოში (შემთხვევების განხილვა). უნპუბლისჰედ.

მეზვრიშვილი, თ. (2021). ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. საქართველოს პარლამენტი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014). გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2020). ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება – კანონმდებლობა და პრაქტიკა.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2019). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში. თბილისი.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2021). სატრენინგო მოდული სმენის სირთულეების მქონე თემისთვის. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა. (2018). ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2018). სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან. თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2016). სატრენინგო მასალა სოციალური მუშაკებისთვის. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2013). სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები. სატრენინგო მასალები კრებული.

შალაშვილი, მ. (2015). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

# თავი 3

## ტრიალური მეთოდი სოციალურ პედაგოგიკაში

ავტორი: ვერა სიმაკოვა
თარგმანი: ლია ასანიშვილი

თანამედროვე დროში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, რომლებიც მიმართულია საზოგადოების დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციაზე, განპირობებულია სოციალური და ეკონომიკური ევოლუციით და კანონზომიერად სულ უფრო და უფრო მეტ აქცენტს აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რებილიტაციის, სოციალური ადაპტაციის და ინკლუზიის საკითხებზე. ამ საკითხების ეფექტურად გადაჭრა იქცა რუსეთის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად. ეს პროცესი წარმოადგენს კომპლექსური ხასიათის რთულ პრობლემას, რადგან ზემოქმედების ობიექტად ამ შემთხვევაში გამოდის ადამიანი, ყველა თავისი მახასიათებელით და თავისებურებებით. დიდ აქტუალობას იძენს ისეთი ტექნოლოგიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდა ადამიანის, როგორც აქტიური და შემოქმედებითი პიროვნების ჰარმონიულ ევოლუციას მისი განვითარების ყველა ეტაპზე, რაც არის მისი წარმატებული რეაბილიტაციის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის აუცილებელი პირობა. ამჟამად, თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში, უკვე არსებობს კომპლექსური რეაბილიტაციის საკმაოდ დიდი ოდენობის სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები, რომლებიც შეგვიძლია პროგრესულად მივიჩნიოთ და რომლებიც თვალსაჩინო პოზიტიური რეზულტატს იძლევა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ე.წ. „ტრიალური მეთოდი", რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

თავად ტერმინი „ტრიალური მეთოდი", არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა და ჯერ კიდევ არ აქვს ერთმნიშვნელოვანი

განსაზღვრება. ზოგადად ის გულისხმობს თეორიის, პრაქტიკისა და ხელოვნების ინტეგრაციას ადამიანის განვითარების პროცესში, და მეტწილად ვალდორფის პედაგოგიკის საფუძვლებს ეყრდნობა. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა გერმანელმა სოციოლოგმა მიხაელ ბრატერმა, რომელიც დაკავებული იყო განათლების სფეროში ხელოვნების როლის საკითხებით. ის თვლიდა რომ საშუალო პროფესიულ განათლებაში, თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკას, აუცილებლად უნდა დამატებულიყო ხელოვნებითი პროცესები, რომლებიც განვითარების, თვითგამოხატვის და პიროვნების ჰარმონიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცეოდა. ასეთი მეთოდის გამოყენება (რომელსაც აქვს შესაძლებლობა, საკმაოდ ფართოდ იქნას გამოყენებული) აქტუალურია ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის საქმეში.

ტრიალური მეთოდი ბაზირებს ჰოლისტურ მიდგომაზე, რომელიც ადამიანს და მის ჯანმრთელობას განიხილავს როგორც ერთ მთლიან ფენომენს, პიროვნული სიმწიფისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ინტეგრაციის გათვალისწინებით. ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ვიქტორ ანანიევის კონცეფციის თანახმად, ეს ფენომენი პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის პოტენციალების მთელი რიგი კომპლექსების გახსნასთან, როგორებიცაა: ფიზიკური, ინტელექტუალური, პიროვნული, ემოციური, კრეატიული, სოციალური და სულიერი[4]. ამასთანავე, თითოეული პოტენციალი თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგან ყოველი მათგანი  გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ სხვაზე, მაშინ არცერთი მათგანის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ტრიალური მეთოდი, ჰოლისტურ მიდგომას უფრო განზოგადებული ფორმით განიხილავს, ამოდის რა მე-18-ე საუკუნის შვეიცარიელი

---

[4] Ананьев В.А. Основы психологии здоровья. Книга 1. Концептуальные основы психологии злоровья. – СПб.: Речь, 2006. с. 20 – 27.

პედაგოგ-ჰუმანისტის, იოჰან პესტალოცის მიერ შემოთავაზებული მოდელიდან, რომელიც გამოყოფდა ადამიანის სამ ძირითად საბაზო უნარს, რომლებიც მისი აზრით, განსაზღვრავდა ადამიანის პიროვნების არსს, კერძოდ: აზროვნება, ქმნადობა და განცდა. და, შესაბამისად ის აქცენტს აკეთებდა გონებრივ, ფიზიკურ და მორალურ ძალებზე, როგორც ადამიანის ბუნების წამყვან ძალებზე. ამრიგად, პესტალოციმ ფაქტობრივად პედაგოგიკაში შემოიტანა ტრიალობა. მოგვიანებით კი, ამ იდეამ განვითარება პოვა მისი მრავალი მიმდევრის ნაშრომებში.

კიდევ ერთი თეორია, რომელიც მიმართავს ტრიალურ მეთოდს, არის სალუტოგენეზის კონცეფცია, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70 -იან წლებში ისრაელელი სოციოლოგის, აარონ ანტონოვსკის მიერ (რომელიც მუშაობდა სოციოლოგიისა და მედიცინის კვეთაზე). მეცნიერმა გამოიკვლია მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტური რეჟიმის მიერ რეპრესირებული ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტორებს, რომლებიც ტრავმული გამოცდილების მიუხედავად, ხელს უწყობდა ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ამ ადამიანებმა, კვლევების დროს, აჩვენეს ადაპტაციის მაღალი მაჩვენებლები. შედეგად, ანტონოვსკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტრესი, ყველა შემთხვევაში, პათოგენურ ფაქტორად არ გვევლინება, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მისით გამოწვეული დაძაბულობა ქმნის ახალ ადაპტირებულ რეაქციებს. ეს კი, ხელს უწყობს პოზიტიური გამოცდილების მიღებას, რაც სტრესზე რეაგირების ინდივიდუალურ გზებზეა დამოკიდებული. პიროვნების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნების ხელშემწყობი ძირითადი მექანიზმის გამოსახატავად, ანტონოვსკიმ შემოგვთავაზა ტერმინი „კავშირის განცდა“ („კავშირის გრძნობა ”), რომელიც, მისი კონცეფციის თანახმად, სამი კომპონენტისგან შედგება:

1. წვდომა (გაგება) – დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ხარისხით განიხილავს ინდივიდი სტიმულებს, რომელთაც ეჯახება. როდესაც ინდივიდი მიიჩნევს, რომ სტიმულებს აქვთ შემეცნებითი მნიშვნელობა, როგორც სტრუქტურირებული, თანმიმდევრული, მკაფიო და მოწესრიგებული ინფორმაციები, რომელთა პროგნოზირებაც შესაძლებელია, ქაოტური, შემთხვევითი, არასტაბილური, არაპროგნოზირებადი ინფორმაციის საპირისპიროდ. ადამიანი, რომელსაც აქვს წვდომის (გაგების) გრძნობა, სულაც არ ცდილობს სამყაროს გაგებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ სამყარო პრინციპში გასაგებია. ადამიანი არ გაურბის გაურკვეველ სიტუაციებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მათში შესაძლებელია წესრიგისა და მნიშვნელოვანების პოვნა.

2. მართვა – დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ხარისხით განიხილავს ინდივიდი მის ხელთ არსებულ რესურსებს, როგორც საკმარისს იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც მას წაუყენეს სტიმულებმა. ჩვენ აქ ვსაუბრობთ არა მხოლოდ იმ რესურსებზე, რასაც ადამიანი უშუალოდ ფლობს და რომლის კონტროლიც მას შეუძლია, არამედ გარე რესურსებზეც, რომლებზედაც მას შეუძლია გათვალოს. ამრიგად, მაღალი მართვის გრძნობის მქონე ადამიანს სჯერა არა იმის, რომ მას შეუძლია თავიდან აიცილოს ესა თუ ის უბედურება, არამედ სჯერა იმის, რომ გამოიყენებს რა საკუთარ ძალებს და უნარებს, ანდა დაეყრდნობა რა მეგობრების, კოლეგების, ღმერთისა და სხვა გარე ფაქტორების დახმარებას, ის შეძლებს გაუმკლავდეს უბედურებებს და შეძლებს მათ გადალახვას.

3. გააზრება – უკავშირდება იმას, თუ რამდენად აქვს ადამიანს ემოციურ განცდები იმის თაობაზე, რომ სიცოცხლეს აქვს აზრი. თუ რამდენად გრძნობს, რომ პრობლემები და მოთხოვნები, რომელთაც მის წინაშე აყენებს სიცოცხლე, იმად ღირს, რომ მათში აქტიურად ჩაერთოს, ჩადოს მათში თავისი ენერგია. რომ ისინი გამოწვევებია, რომელთაც ის მიესალმება და არ აღიქვამს მათ როგორც ტვირთს, რომლისგანაც თავის

არიდება და გაქცევა სურს. განსხვავებით წმინდა შემეცნებითი წვდომისაგან (გაგებისაგან), ემოციური გააზრება მიუთითებს იმაზე, რომ სამყარო არა მხოლოდ მოწესრიგებულია, არამედ არ არის სულერთი ადამიანისათვის. მაგალითად, თუ სამუშაო მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, მან შეიძლება არ მოუტანოს აუცილებლად სიხარული და შინაგანი კმაყოფილება, მაგრამ შეიძლება ადამიანმა განიხილოს სამუშაო, როგორც საშუალება, რომელიც აუცილებელია მისი ზოგიერთი სუბიექტურად მნიშვნელოვანი მიზნების განსახორციელებლად.[5]

ტრიალური მეთოდის თვალსაზრისით, ხელოვნება, ხელობა და სწავლება ის ინსტრუმენტებია, რომლებიც გვაძლევენ ცხოვრების წვდომის (გაგების), გააზრების და მართვის გაგებას, აღვიძებენ ადამიანის აქტიურობას და ხელს უწყობენ დაკავშირების განცდის ჩამოყალიბებას.

დაბოლოს, ტრიალური მეთოდი თავის არსებობას მოიაზრებს ჰუმანისტურ პარადიგმაში, რაც სუბიექტივისტურ – ორიენტირებად ფილოსოფიას და ეგზისტენციალურ მიდგომას ემყარება და რომლებიც აღიარებენ თითოეული ადამიანის პიროვნების ღირებულებას და უნიკალურობას, თვითრეალიზაციის უფლებას და სრულფასოვან არსებობას. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ირინა ვოლკოვა, შემდეგნაირად აყალიბებს ჰუმანისტური კონცეფციის არსს:

”თვითრეალიზაცია არის თავად ადამიანის არსებობის ატრიბუტი. პიროვნების ჩართვა საზოგადოებაში განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან პარტნიორობის საფუძ-

---

[5] Осин Е.Н. Чувство связности как показатель психического здоровья и его диагностика – https://rsfdgrc.hse.ru/data/2010/08/11/1224866483/%D0%9E%D1%81%D0%B8%D0%BD%202007-3.pdf

ველზე თვითგანვითარებისა და თვითგახსნის შესაძლებლობით, ცხოვრების წესის განსხვავებების მიღებით და თავისუფალი ადამიანების ნდობით განმსჭვალული კონტაქტების დამყარებით. ამ შემთხვევაში, უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის განცდა მისი ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც იქმნება მის გარშემო არსებულ სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და მთლიანად საზოგადოებასთან დიალოგში. სხვა ადამიანებზე, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაზე ორიენტირება – არის აუცილებელი პირობა ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებისთვის[6]. "

რაც შეეხება ტრიალური მეთოდის არსებულ კავშირს ვალდორფის პედაგოგიკის პრაქტიკასთან, მთელ რიგ იდეოლოგიურ ასპექტებთან ერთად, ეს კავშირი განპირობებულია ასევე იმითაც, რომ ვალდორფის სკოლებში ხელოვნებით-ხელოსნობითი საქმიანობების მეცადინეობები თავიდანვე ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ხოლო თეორიული ცოდნის განცდა ესთეტიკური გრძნობების მეშვეობით, სწავლის შეუცვლელი ნაწილი იყო. ამჟამად, ასეთი პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ საგანმანათლებლო და სოციალურ დაწესებულებებში, ხოლო ამ სფეროებში ხელოვნების პოტენციალი საგულდაგულოდ შეისწავლება და იხილება. შეგვიძლია დავასახელოთ ხელოვნების საშუალებების გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები:

- სწავლებაში, ხელოვნებითი საშუალებების მეშვეობით თეორიული შინაარსის გაღრმავება;

- ხელოვნება, როგორც საშუალება პიროვნების უკეთ გასაგებად და ხელოვნება, როგორც სადიაგნოსტიკო საშუალება;

---

[6] Волкова И.П. Современные парадигмы теории и практики социально-психологической адаптации и интеграции инвалидов по зрению _ https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-paradigmy-teorii-i-praktiki-sotsialno-psihologicheskoy-adaptatsii-i-integratsii-invalidov-po-zreniyu

- ხელოვნება, როგორც სოციალური მასწავლებლის გან-წყობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების საშუალება;

- ხელოვნება, როგორც კლიენტთან მუშაობის საშუალება.

ორგანიზაცია – სპგ ააო „ბლაგოე დელო"- ში, ტრიალური მეთოდი ჩართული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებისათვის დაარსებული სოციალური დაწესებულე-ბის მუშაობის პრაქტიკაში. ამავ დროს, ხელოვნება აქ გახდა და-მაკავშირებელი რგოლი, რომლის მეშვეობითაც მყარდება კონ-ტაქტი სხვადასხვა სახის დარღვევების მქონე ადამიანებს შო-რის. ხელოვნება ხელს უწყობს ასეთი ადამიანების ურთიერთო-ბის ორგანიზებას ერთმანეთთან და გარემოსთან, ააქტიურებს მოტივაციურ სფეროს, აყალიბებს მათი გაცნობიერებული ორი-ენტაციის უნარს გარესამყაროში. დიდწილად, ამის წყალობით, შეიქმნა მხარდაჭერის ეფექტური ფორმა, სადაც ასევე სახეზეა პიროვნების თვითრეალიზაცია, მხარდაჭერილი დასაქმება და სოციალური ინკლუზია. და ვინაიდან, ეს პრაქტიკა ემყარება ადამიანის სამი ძირითადი უნარის ჰარმონიულ განვითარებას – იგრძნოს, იფიქროს და შექმნას, ამის შედეგად ხდება შეზღუდუ-ლი შესაძლებლობის მქონე პირის საზოგადოებაში ჩართვის შემდეგი სამი გზის მოცვა:

- შემოქმედების და კომუნიკაციის საშუალებით ინკლუზია (სოციალურ-საყოფაცხოვრებო კომუნიკაცია, ერთობლივი სო-ციოკულტურული აქტივობები, კულტურული პროდუქციის გაცვლა, ადგილობრივი თემის ცხოვრებაში მონაწილეობა);

- სწავლების გზით ინკლუზია (ცოდნის შეძენა, ახალი უნა-რების სწავლება, შესაძლებლობების და სოციალური და პიროვ-ნული კომპეტენციების განვითარება, გამოცდილების გაზიარე-ბა, პროფესიული კომპეტენციების ფორმირება);

- შრომის საშუალებით ინკლუზია (ერთობლივი შრომითი საქმიანობის პროცესი, შრომის პროდუქტების გაცვლა, მომსა-ხურებების გაწევა და მომსახურებების გაცვლა).

## გამოყენებული ლიტერატურა:


Ананьев В.А. (2006). Основы психологии здоровья. Книга 1. Концептуальные основы психологии злоровья. – СПб.: Речь, с. 20 – 27.

Волкова И.П. (2008). Современные парадигмы теории и практики социально-психологической адаптации и интеграции инвалидов по зрению. Ветник Санкт-Петербургского Университета.Сер. 12. 2008. Вып. 3
https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-paradigmy-teorii-i-praktiki-sotsialno-psihologicheskoy-adaptatsii-i-integratsii-invalidov-po-zreniyu

Осин Е.Н. (2007). Психологическая диагностика -Чувство связности как показатель психического здоровья и его диагностика - Научно-методический и практический журнал- 2007 №3
https://rsfdgrc.hse.ru/data/2010/08/11/1224866483/%D0%9E%D1%81%D0%B8%D0%BD%202007-3.pdf

# თავი 4

# სოციალური თერაპია – მიდგომები და პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში ზრდასრულ შშმ პირებთან მუშაობის ჭრილში

ავტორი: ლია ასანიშვილი

*„ზრდასრული ადამიანის ღირსების და უფლებების შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელშიც შშმპ-ები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, განვითარებას საკუთარი და საზოგადოების წინსვლისათვის“*



## 4.1 ორგანიზაციის დაარსების ისტორია

საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია “კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ დაარსდა 1990 წელს. გასული საუკუნის 90-იან წლებში ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო ხუთ ბენეფიციართან და მათ

ოჯახებთან და სულ მალე მისი ზრუნვის ქვეშ ოცამდე თბილისელი ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოექცა. ორგანიზაცია უკვე 30 წლისაა. ცენტრი წარმოადგენს სამოდელო-მულტიფუნქციურ დღის ცენტრს ზრდასრული შშმპ-ისათვის. ცენტრი ამჟამად ემსახურება 54 ბენეფიციარს და აძლიერებს მათ ოჯახებს.

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ" არის საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ორგანიზაცია ახორციელებს „დღის ცენტრით მომსახურების სახელმწიფო პროგრამას". პროგრამა ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებს, რომელიც დამტკიცდა 2011 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის მინისტრის ბრძანების შედეგად (საქარველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-13/ნ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ- https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1282864). სტანდარტები "სავალდებულოა იმ დღის ცენტრებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლებს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში".

## 4.2 ორგანიზაციის მისია, მიზნები და სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

ორგანიზაციის მისიაა – საქართველოში სოციალური თერაპიის დანერგვა, რათა შესაძლებელი გახდეს განვითარების შეფერხების მქონე ზრდასრულთა განვითარება, ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრება, სოციალური ინტეგრაცია, ერთობლივ ცხოვრებაში მათი წვლილის აღქმა საზოგადოების მიერ.

ორგანიზაციის მიზანია ზრდასრული ადამიანის ღირსების და ულებების შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელშიც შეზღუ-

დული შესაძლებლობის მქონე პირები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, განვითარებას საკუთარი და საზოგადოების წინსვლისათვის.
ორგანიზაციის მიზნები სამი პროგრამის სახით ხორციელდება:
(1) ერთობების შექმნის პროგრამა;
(2) კადრების აღზრდის (და მოხალისეობის) პროგრამა;
(3) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა.
ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ახალი სოციალურ-თერაპიული ინსტიტუციების – შრომითი და საცხოვრებელი ერთობების დანერგვა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სხვადასხვა სახის მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალურ თერაპევტთა და სხვა საჭირო სპეციალისტთა მომზადების, დახელოვნების ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრების კონსულტაცია, ტრენინგი, ურთიერთდაკავშირება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და გავრცელებული სტერეოტიპების შეცვლა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების და უფლების დაცვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

## 4.3 ორგანიზაციის სახელოსნოები და საქმიანობები

სოციალური თერაპიის სახლი არის სოციალურ საწარმოთა ალიანსის წევრი – დღის ცენტრის ბაზაზე არსებულ სახე-

ლოსნოებში (9 სახელოსნო), მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისა და პროფესიონალთა გუნდის ერთობლივი მუშაობით იქმნება სხვადასხვა სახის ხელნაკეთი დეკორატიული და პრაქტიკული გამოყენების ნივთები და აქსესუარები: ხის დეკორაციული ზარდახშები; დეკუპაჟის ტექნიკით შესრულებული კედლის საათები; ხის აქსესუარები სამზარეულოსთვის და ინტერიერისთვის; ხელნაკეთი სანთლები; ტექსტილის ჩანთები; თექის და ტექსტილის თოჯინები, სათამაშოები და აქსესუარები; მეორადი გადამუშავების ქაღალდით დამზადებული მისალოცი ბარათები და წიგნაკები; დეკორატიული ბლოკნოტები, რვეულები, უბის წიგნაკები, კალენდრები. კორპორაციული მომხმარებლებისთვის საწარმო ამზადებს მათთვის სასურველი დიზაინის პროდუქციას.

ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის გარდა, სოციალური თერაპიის სახლს აქვს მინი-სტამბა „აწმყო“, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს ბეჭდურ შეკვეთებზე: მცირეტირაჟიანი საავტორო წიგნების ბეჭდვა, ჟურნალების, სასკოლო, განმავითარებელი და საკანცელარიო ბეჭდური მასალის ბეჭდვა.

## 4.4 ორგანიზაციის მიზნობრივი ჯგუფები

18 წლის ზევით ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (თბილისში მცხოვრები გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდები და ზრდასრული პირები).

არაპირდაპირი მიზნობრივი ჯგუფები: შშმ პირთა ოჯახის წევრები, პირები, რომელთაც სურთ მიიღონ სოციალ-თერაპევტის კვალიფიკაცია, სპეციალისტები და დაინტერესებული პირები, მოხალისეები (ადგილობრივი და საერთაშორისო) და სტუდენტები (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრები და მაგისტრანტები).

## 4.5 ორგანიზაციის ძირითადი პროგრამები

(1) სოციალურ-თერაპიული შრომითი და საცხოვრებელი ერთობების შექმნა: კავშირის ბაზაზე ფუნქციონირებს ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურული ერთეული – „სოციალური თერაპიის სახლი“, რომელიც ემსახურება 54 ბენეფიციარს.

დღის ცენტრი ახორციელებს „შშმ პირებისათვის დღის ცენტრის მომსახურების სახელმწიფო პროგრამას“ (ხორციელდება 2015 წლიდან), 46 ბენეფიციარზე.

ორგანიზაცია „კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის:

- ყოველდღიური მომსახურება (შაბთ-კვირის და უქმე დღეების გარდა), რიტმში გაწერილი საქმიანობების განხორციელებით;
- ბენეფიციართა ორჯერადი კვება (სამხარი და სამკომპონენტიანი სადილი);
- ბენეფიციართა ტრანსპორტირება (ცენტრში მოყვანა და შინ დაბრუნება);
- ბენეფიციართა პიროვნული ზრდისა და დამოუკიდებლობის უნარ/ჩვევების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალური განვითარების გეგმის (იგგ) შედგენით, განხორციელებით და განახლებით:
    - წინაპროფესიული/ ხელობითი უნარების განვითარება (8 სახელოსნო);
    - ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო უნარების განვითარება;
    - ბენეფიციარის სოციალური ადაპტაცია და სოციალური ინტეგრაცია.
- მხატვრული თერაპია:
  ჯგუფური და ინდივიდუალური ხატვა და ძერწვა.

- მუსიკა (სიმღერა) – ჯგუფური, ინდივიდუალური;
- დრამა – ჯგუფური, ინდივიდუალური;
- ევრითმია (გამაჯანსაღებელი მოძრაობები) – ჯგუფური;
- ფსიქოლოგის კონსულტაცია;
- ბენეფიციარებისათვის დროის სწორი ორგანიზების, ეფექტური კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უნარ/ჩვევების სწავლება;
- ბენეფიციართა შინაგანი სამყაროს წონასწორობის და ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- კვირის, სეზონის და წლის საქმიანობების დაგეგმვა/განხორციელება/შეჯამება და მათში ბენეფიციართა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ბენეფიციართა ჩართვის უზრუნველყოფა, როგორიცაა:
  - ექსკურსიები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე გასვლები;
  - აქცია/ბაზრობების და საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა;
  - დღესასწაულების აღნიშვნა;
  - სტუმრების მიღება.
- მშობლების, ოჯახების მხარდაჭერა/ინფორმირება/ კონსულტირება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო მოხალისეობრივი პროგრამების და სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველყოფა.

(2) მიზნობრივი ჯგუფისთვის დამატებითი სახის მომსახურებების გაწევა და განვითარების ხელშეწყობა. კავშირის მი-

ერ დამატებითი პროექტების მოძიება და განხორციელება – ორგანიზაციული განვითარების, მდგრადობის და თვითდაფინანსების, საზოგადოებაში ინტერგრაციის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით.

(3) კადრების მომზადება: ბაზისური კურსი სოციალ-თერაპიაში (მოქმედებს 2001 წლიდან). მოკლევადიანი პრაქტიკული კურსები – დაინტერესებული პირებისა და პრაქტიკოსებისათვის და პრაქტიკის უზრუნველყოფა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, მოხალისეებისთვის, უფროსკლასელებისთვის.

(4) საზოგადოებაში ინტეგრაცია: კოალიციური და ქსელური მუშაობა სოციალურ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან და მჭიდრო თანამშრომლობა შშმპ-თა მიმღებლობის ზრდის ხელშესაწყობად მასმედიასთან, სასწავლო დაწესებულებებთან, მოსახლეობასთან.

## 4.6 სოციალ – თერაპიული სახელოსნო

ქვემოთ განხილულია სოციალური თერაპიის პრაქტიკული განხორციელების გზები და საშუალებები სანთლების სახელოსნოს მაგალითზე. სოციალური ეთიკის დევიზი: “ სოციალურ თერაპიას განმაკურნებელი ზემოქმედება აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სამშვინველის სარკეში აირეკლება მთელი ერთობა. მთელს ერთობაში ცხოვრობს ცალკეული სამშვინველის ძალა. ამ დროს ჩანს ცალკეული ადამიანი. ადამიანი ერთობიდან იქმნის სურათ-ხატს (აირეკლავს ერთობას). თუ ადამიანი მთელ თავის ძალებს ერთობაში დებს, ის ერთობიდანაც მიიღებს ძალებს “. სოციალურ-თერაპიული სახელოსნო არის დღის ცენტრის – „სოციალური თერაპიის სახლის“ ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ერთიანდებიან

ბენეფიციარები, სახელოსნოს წამყვანი თერაპევტი, მათი დამხმარეები.

სოციალური თერაპიის სახლში 9 სახელოსნოა, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციონირება, კავშირის მიზნების შესაბამისად არის გაფორმებული. მხოლოდ საქმიანობების ტიპებია განსხვავებული (მაგალითად: სანთლები, სადურგლო, პრინტი და ა.შ.).

*სოციალურ – თერაპიული სახელოსნოს მიზანი* – მოზრდილი ადამიანის ღირსების და უფლებების შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელშიც ბენეფიციარები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, განვითარებას საკუთარი და საზოგადოების წინსვლისათვის. სოციალურ- თერაპიული სახელოსნო გადის ეტაპებს და განვითარებასთან ერთად აღწევს ძირითად მიზანს, რომ მისი წევრები (ბენეფიციარები) იძენენ ახალ უნარებს, აღწევენ მეტ დამოუკიდებლობას და ინტეგრირებულები არიან საზოგადოებაში, რომ ისინი მოვლის და ზრუნვის ობიექტიდან ხდებიან თავისი სოციალური წრის და საზოგადოების ღირსეული და დაფასებული წევრები.

### სახელოსნოს სახეები (განვითარების ეტაპები)

სახელოსნო, თავისი განვითარების გზაზე, სხვადასხვა ეტაპებს გადის. დროის გასვლის და გამოცდილების დაგროვების შედეგად ის მულტიფუნქციური ტიპის სახელოსნო ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავდაპირველად შერჩეული არა მხოლოდ ერთი, ან ორი სახის ფუნქციის განხორციელება, არამედ მრავალფეროვანი (სხვადასხვა) ფუნქციების განხორციელება.

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა სახელოსნოს სახეები:

ა) სასწავლო სახელოსნო – ამა თუ იმ საქმიანობის შესწავლა;

ბ) წარმოებითი სახელოსნო – პროდუქციის შექმნა;

გ) თერაპიულ/განმავითარებელი სახელოსნო – შშმ პირების უნარების გახსნა, გამოვლენა, განვითარება (ყურადღება,

ნებისყოფა, აღქმა, შეგრძნება, მეხსიერება, ახალი უნარების შეძენა, დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა);

დ) სოციალური ჯგუფი – ურთიერთობები მცირე ჯგუფში – სოციალიზაცია;

ე) შერეული სახელოსნო – სწავლება/ურთიერთობები/წარმოება;

ვ) საზოგადოებაში ინტეგრირებული ჯგუფი, რომელსაც შეუძლია თავისი საჭიროებების დაკმაყოფილება (ფინანსური, სოციალური, კულტურული) და საზოგადოების კეთილდღეობის სასარგებლოდ თავისი წვლილის შეტანა = შორეული, მაგრამ არა შეუძლებელი პერსპექტივა.

სახელოსნო, როგორც სოციალური ჯგუფი – ლაპარაკია არა მარტო შრომითი საქმიანობების განხორციელებაზე და მათში ბენეფიციართა ჩართვაზე, არამედ ჯგუფის სოციალურ ფორმირებაზე, სადაც:

- ერთი ავსებს მეორეს თავისი უნარებით;
- ყალიბდება ერთობა;
- მოტივაცია მოდის მეურნეობის პრინციპიდან/ცხოვრებიდან;
- ჯგუფი ერთად აკეთებს: განხილვას, ქმნიან პროდუქციას, სამუშაო რიტმს აყალიბებენ თავად ჯგუფის წევრები და არა ტექნოლოგიები, ერთმანეთის გვერდით დგას სუსტი და ძლიერი, ერთობლივი შრომა.

## 4.7 სოციალური თერაპიის მიზანი

სოციალური თერაპიის მიზანია ის, რომ ადამიანმა მოახრეხოს გაცემა იმისა, რაც მან ბავშვობის ასაკში მიიღო მშობლების, მასწავლებლების, გარემოსა და გამოცდილების კუთხით. ე.ი. ადამიანმა იცხოვროს ადამიანური ღირსების შესაბამისად იმ ნაკლოვანებების მიუხედავად, რაც მას გააჩნია. მოახერხოს, როგორც ზრდასრულმა ადამიანმა ღირსეული შრომა და ცხოვ-

რება, ჰქონდეს სოციალური წრე, ჰქონდეს ინტერესების დაკმაყოფილების საშუალება.

თერაპიული ზემოქმედების ჯგუფის მიერ ერთობლივად ხდება საერთო საქმიანობების ფორმირება, მოძიება, რომელშიც ჩართულები არიან ჯგუფის წევრები და ხდება ურთიერთაღქმა სხვადასხვა მხრიდან.

სოციალური თერაპევტის ამოცანაა, ის რომ დაიწყოს პირველ რიგში საკუთარი თავის აღზრდა, რადგან აღზრდა იწყება საკუთარი თავის და არა სხვისი აღზრდიდან.

თვითაღზრდაში იგულისხმება, რომ სოციალურმა თერაპევტმა ქმედითი გახადოს ადამიანის ხატი, რომელიც შემდგომ უნდა ჩაერთოს სოციალურ გარემოში. შშმპ-თან მუშაობისას თვალში საცემია მათი ნაკლოვანებები და არა მათი ღირსეული ადამიანური არსება. მათი ნაკლოვანებების გადალახვა და გაგება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თერაპევტს ექნება გამომუშავებული დაკვირვების ცხოველი უნარი.

სოციალური თერაპევტისათვის საჭირო უნარებია:

- ბენეფიციარზე დაკვირვება;
- ინფორმაციის მოგროვება (ანამნეზი, ბიოგრაფია, ოჯახური მდგომარეობა, რა მოსწონს და რა არა და სხვა...);
- ბენეფიციარის უნარების აღწერა/გამოკვეთა რათა მიიღოს სურათი და გააკეთოს აქცენტი, თუ რომელი უნარების განვითარებაა შესაძლებელი;
- ხერხების, ტექნიკების და მეთოდების ფლობა, თუ როგორ არის შესაძლებელი ბენეფიციარის უნარების განვითარება, მაგალითად: ჩვენება – თუ როგორ კეთდება ან ერთად კეთება; მხარდაჭერა/მეთვალყურეობა, მიხმარება; წევრების დაწყვილება (ერთი უკეთ ასწავლის მეორეს და თვითონაც სწავლებისას მტკიცდება) და სხვა უნარების განვითარების პროცესზე დაკვირვება (მეორადი სიმპტომები, რომელიც მიუთითებს წინსვლა/უკუსვლას, მაგ: უკუსვლის მეორადი სიმპტომე-

ბია, ანუ სახეზე გვაქვს: დაღლილობა, უგუნებობა, აღარ სურს კეთება, დასცხა და სხვა...);

- შედეგების შეფასება (პირველადი და მეორადი სურათების შეპირისპირების საფუძველზე: რა და როგორ გამოვიდა).

სოციალური თერაპევტისათვის მნიშვნელოვანია – აღზარდოს თავისი თავი, რომლის დროსაც წარმოჩინდება:




მომსახურებების მიზნებია:

- ბენეფიციართა უნარების წარმოჩენა/განვითარება;
- წინაპროფესიული სწავლება: სანთლები, რვეულები, მეორადი ქაღალდი;
- ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა;
- თვითმოვლისა და საყოფაცხოვრებო უნარების განვითარება;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ადაპტაციის უნარების განვითარება;
- ემოციური სფეროს გაწონასწორება/ბალანსირება.

## 4.8 სანთლების სახელოსნოს მომსახურებები

სანთლების სახელოსნოს მომსახურება მოიცავს მრავალმხრივი განმავითარებელი გარემოს შექმნას და მასში ბენეფიციარების ჩართულობის უზრუნველყოფას (პირობების შექმნა

იმისათვის, რომ თითოეულმა გამოსცადოს თავისი თავი სხვადასხვა გარემოში).

კერძოდ, ეს საქმიანობებია:

- შრომა სახელოსნოში;
- რიტმული პაუზები;
- ხელოვნებითი საქმიანობები (ხატვა, ძერწვა, დრამა, მუსიკა, ლიტერატურის კითხვა);
- ექსკურსიები ქალაქსა და ქალაქგარეთ;
- დღის განმავლობაში ორჯერადი კვება (მათ შორის 3 კომპონენტიანი სადილი);
- ტრანსპორტირება;
- გამოფენები/აქციები/ბაზრობები და სახელოსნოში დამზადებული პროდუქციის გაყიდვები;
- კულტურული ღონისძიებები (კონცერტები, თეატრის, მუზეუმების, გამოფენების მონახულება), საზოგადოებაში ინტეგრირება;
- ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- მშობლების და ოჯახების კონსულტირება/მხარდაჭერა (მშობელთა საკონსულტაციო და ურთიერთდახმარებითი ჯგუფების შექმნა);
- საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება სხვადასხვა სახის საშუალებებით (საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან, პრესა, ტელევიზია, საინფორმაციო ბუკლეტები, ჟურნალი, რეკლამა, კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, მაღაზია/კაფე და სხვა).

**სახელოსნოს ფორმირება**

ნებისმიერი იდეის განხორციელების დასაწყისში, თერაპევტმა (წამყვანმა) ცხადად უნდა წარმოიდგინოს და ჩამოწე-

როს სახელოსნოს ფორმირების პარამეტრები და დააჯგუფოს ისინი შიდა და გარე ფორმირებებად. შიდა ფორმირება ნიშნავს იმ პარამეტრების ერთობლიობას, რაც მოდის ადამიანის შესაძლებლობებიდან (მოცემულობიდან) და რასაც ადამიანი თავად გეგმავს, ან ცვლის თავისი მიზნების მისაღწევად. მაგალითად, სურს თუ არა დღესასწაულის აღნიშვნა, ექსკურსიების მოწყობა, რაიმე პროდუქციის კეთება, პროდუქციის გაყიდვა და ა.შ. ხოლო გარე ფორმირებაში ჯგუფდება ისეთ პარამეტრები, რომელთაც განაპირობებს გარემო, მაგ: თანამშრომლები, პროდუქციის ნედლეული (ნაჭერი-ჩანთებისა და ხელნაკეთი სათამაშოებისათვის; ქაღალდი-ბეჭდური პროდუქციისთვის, ცვილი-სანთლისთვის და ა.შ.); მომხმარებელი, რომელიც გაკეთებულ პროდუქციაზე თავის ფასს სთავაზობს; პროდუქციაზე მოთხოვნა და სხვა.

ქვემოთ მოცემულია მაგალითი, თუ როგორ არის დაჯგუფებული ეს პარამეტრები სანთლების სახელოსნოში:

სახელოსნოს შინაგანი ფორმირება

- სამუშაო რიტმი;
- სოციალური ურთიერთობების რიტმი: დღესასწაულები, ბაზრობები, ექსკურსიები;
- პაუზები (რიტმული, კითხვა, სიმღერა, მოძრავი ან განმავითარებელი სავარჯიშოები, გასეირნება...);
- კულტურული ღონისძიებები.

პროდუქცია:

რამდენი დრო იხარჯება თითოეული დასახელების პროდუქციის დამზადებაზე. რა შეიძლება გაუმჯობესდეს:

- ფასების კუთხით;
- ახალი პროდუქციის შექმნის კუთხით;
- შეკვეთა და შეკვეთის მოთხოვნაზე მორგება.

მომხმარებელი:

- უკვე არსებულის შენარჩუნება/გაუმჯობესება;
- უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარება;
- ახალი კონტაქტების მოძიება.

სახელოსნოს გარეგანი ფორმირება

- თანამშრომლები
- ინსტრუმენტები: დაზგა/დანადგარები
- მასალა/ნედლეული: ფასი, ადგილობრივი/თუ შემოტანილი
- მომხმარებელი: ადგილმდებარეობა, რა სახის პროდუქციაზეა მოთხოვნა, რა რაოდენობის, რა ფასში იბარებენ.

**4.9 შრომა და შრომის პროდუქტი** – პიროვნების ზრდისა და სოციალური ასპექტის კუთხით

შრომა ზრდასრული ადამიანის ყველაზე ტიპიური, განმავითარებელი და ღირსეული აქტივობაა. ჩვენი ბენეფიციარები ზრდასრული მოქალაქეები არიან და ამიტომ მათი განვითარების/წინსვლის ქვაკუთხედად აღებულია შრომა. შრომის პროდუქტი კი, არის ჩვენს მიერ განხორციელებული სოციალურ-თერაპიული ღონისძიებების თვალსაჩინო შედეგი, რომელსაც ჩვენს შემთხვევაში ორი ასპეტქით დავახასიათებთ: ერთის მხრივ, შრომის პროდუქტი აჩენს პიროვნებას (მე ვქმნი იმას, რაც შემიძლია, რაც ვისწავლე, რამაც როგორც პიროვნება განმავითარა (რამაც ახალი უნარები შემძინა)) და მეორეს მხრივ, ის დატვირთულია სოციალური ასპექტით, ანუ, "მე შევქმენი ესა თუ ის პროდუქტი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვისთვის, რომ ის სხვამ გამოიყენოს და ამ პროდუქტის გადაცემის მეშვეობით, დავუკავშირდე საზოგადოებას და ჩემი წვლილი შევიტანო საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში''. მოკლედ მიმოვიხილოთ და შევეცადოთ გავაცნობიეროთ შრომა და მისი მნიშვნელობა პიროვნების (შშმ პირების) განვითარების კუთხით: შრომა, იმიტომ რომ შევქმნათ

ღირებული (მოთხოვნადი), გამოსადეგარი პროდუქცია სხვებისათვის; საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩავერთოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენი და მათი განვითარებისათვის, იმისთვის, რომ შშმ პირებმა თავი სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ.

შრომის მნიშვნელობა ჩვენი საქმიანობის განხორციელების პროცესში შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

- შრომა, როგორც თერაპიულ/განმავითარებელი სახელოსნოს ჩამოყალიბების საშუალება, რომელიც ითვალისწინებს შრომითი და სოციალური გარემოს შექმნას;
- შრომა, როგორც ზრდასრული ადამიანის ყველაზე ტიპიური და ღირსეული აქტივობა;
- სახელოსნოს წევრების (შშმ პირების) დაინტერესება შერჩეული შრომითი საქმიანობით;
- ბენეფიციარების სწავლება-წინაპროფესიული სწავლება;
- შრომის მეშვეობით ბენეფიციარების ხილული და ფარული უნარების წინ წამოწევა და განვითარება;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ღონისძიებების მეშვეობით (ბაზრობები, აქციები და სხვა) ბენეფიციარების ცხოვრების გამრავალფეროვნება;
- ბენეფიციარების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა;
- ბენეფიციარების სურვილების და მოთხოვნილებების რეალიზება;
- იზოლაციიდან ბენეფიციარების გამოყვანა და საზოგადოებისათვის მათი სარგებლიანობის ჩვენება.

## 4.10. რიტმი

რიტმი (ჩვენს შემთხვევაში) განეკუთვნება სახელოსნოს შიდა ფორმირებას, რადგან მას აყალიბებენ ადამიანები, წლის, სეზონის, კვირის და დღის მოვლენების მიხედვით. სოცი-

ალურ-თერაპიულ სახელოსნოში მთავარია ის რომ, რიტმი უნდა მოერგოს ჯგუფის წევრებს (შშმ პირებს) და არა პირიქით.

თავდაპირველად, გაიწერება ნახევარი წლის სამუშაო რიტმი, წლის კალენდრის მიხედვით. ეს არის სქემა, რომელიც კარგად გვიჩვენებს ნახევარი წლის მანძილზე სამუშაო და დასვენების დღეების მონაცვლეობას. შემდეგ დგება სეზონის, თვის და კვირის რიტმები, რომლებიც უფრო და უფრო დაწვრილებითი და დეტალური ხდება. ქვევით მოცემული იქნება „სანთლების სახელოსნოს კვირის სამუშაო რიტმი" და თვალსაჩინო გახდება, თუ ხუთი სამუშაო დღის მანძილზე, რამდენად დეტალიზებულია ის პარამეტრები, თუ რა საქმიანობა რომელ საათზე ხორციელდება, რამდენი ხნით და სახელოსნოს რომელი წევრები არიან კონკრეტულად ჩართული ამ საქმიანობებში.

რიტმის და რიტმულობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ის, რომ ჯგუფის წევრებს არ შეუძლიათ რაიმე საქმიანობის უწყვეტად და დიდხანს კეთება. ამიტომ „მუშაობა/დასვენება" ერთმანეთს ენაცვლება და ორივეს თანაბარი და ღირებული მნიშვნელობა აქვს. რიტმი „ჩასუნთქვა/ ამოსუნთქვის" პრინციპზეა აწყობილი და ამგვარი რიტმი უზრუნველყოფს ჩვენს მიერ დაგეგმილი მიზნების და ამოცანების წარმატებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ, რიტმით გაწერილი საქმიანობები არ უნდა იყოს ერთფეროვანი. რიტმი არ არის ურყევი და გაქვავებული ბადე. ის შესაძლოა შეიცვალოს. რიტმის ცვლა ხდება მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა მაგ: წევრების ფიზიკური, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა; გარემო ფაქტორები (გარედან მოსული და ჩვენს მიერ დაუგეგმავი პროცესები); რომელიმე საქმიანობის აუცილებელი დამატება ან გამოკლება; სადღესასწაულო დღეები; წელიწადის დროები (დღე/ღამის ხანგრძლივობა) და სხვა.

მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ სეზონების გავლენა რიტმზე. თბილ სეზონებში საქმიანობების განხორციელება უმეტესწილად ხდება სახელოსნოდან გარეთ (მაგ: ეზოში, ბუნე-

ბაში); მატულობს მხატვრული თერაპიების, ექსკურსიების, აქცია/გამოფენების, ღია კარის დღეების და სტუმრიანობების წილი. ხოლო ცივ სეზონებში, რიტმი უფრო „შიგნითაა შესული“. მატულობს ინდივიდუალური განვითარების, შრომითი საქმიანობების (ანუ წინა/პროფესიული დაოსტატების), ახალი უნარების შეძენა/განმტკიცების ღონისძიებების წილი.

სანთლების სახელოსნოს ნახევარი წლის რიტმი

განვიხილოთ სანთლების სახელოსნოს ნახევარი წლის რიტმი. თავდაპირველად დგება ნახევარი წლის ზოგადი „რიტმის ბადე“ კალენდრის გამოყენებით:

სამუშაო წლის კალენდარი: 10 იანვარიდან – 24 ივნისის ჩათვლით

სამუშაო დღეები: კვირაში 5 სამუშაო დღე: ორშაბათი-პარასკევი

დასვებენის დღეები: შაბათი/კვირა და ოფიციალური დასვენების დღეები

საახალწლო არდადეგები: 25 დეკემბერი/9 იანვარი

სააღდგომო არდადეგეგბი: 4/8 აპრილი

სულ: 6 თვე, 24 კვირა, 109 სამუშაო დღე

ცხრილი №4.1: რიტმის ბადე

| № | თვე | სამუშაო პერიოდი | სამუშაო დღეების რაოდენობა | დასვენების დღეები |
|---|---|---|---|---|
| 1 | იანვარი | 10.01 – 31.01 | 15 | 19-ნათლისღება |
| 2 | თებერვალი | 1.02 – 28.02 | 20 | |
| 3 | მარტი | 1.03 – 31.03 | 21 | 3-8 დედის და ქალთა დღეები |
| 4 | აპრილი | 1.04 – 29.04 | 16 | აღდგომის დასვენებები |
| 5 | მაისი | 2.05 – 31.05 | 19 | 12; 26 |
| 6 | ივნისი | 1.06 – 24.06 | 18 | |
| | სულ: | | 109 | |

ნახევარი წლის ეს ზოგადი რიტმი, შემდეგ სულ უფრო და უფრო კონკრეტდება და დადის სახელოსნოს კვირის რიტმზე, რომელშიც უკვე 5 სამუშაო დღის მიხედვით დაწვრილებითაა გაწერილი დროში განსახორციელებელი ღონისძიებები (რა ღონისძიება რომელ საათზე ხორციელდება) მათში მონაწილე ბენეფიციარების მითითებით.

ამგვარად გაწერილი რიტმები ასევე იძლევა ეფექტური კოორდინაციის საშუალებას და ეხმარება თანამშრომლებს, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ ღონისძიების გადაფარვა, ან არ მოხდეს ჯგუფის ერთი და იგივე წევრის გადაჭარბებული დატვირთვა, ან პირიქით გამორჩენა, ან არასაკმარისად ჩართვა დაგეგმილ ღონისძიებებში.

მაგალითი:

ცხრილი№4.2: სანთლების სახელოსნოს დღის რიტმი და შრომითი საქმიანობის გადანაწილება:

| | **აქტივობა** | **დაწყება** | **დამთავრება** | **ხანგრძლივობა** |
|---|---|---|---|---|
| **1** | ტრანსპორტირება (მოყვანა) | 8:45 | 10:00 | |
| **2** | დილის წრე | 10:00 | 10:15 | |
| **3** | დღის დაგეგმვა (სახელოსნოში) | 10:20 | 10:30 | |
| **4** | მუშაობა | 10:30 | 11:30 | 1,5 სთ |
| **5** | რიტმული პაუზა | 11:30 | 12:00 | |
| **6** | მუშაობა | 12:30 | 13:30 | 1 სთ |
| **7** | სადილამდე ჰიგიენური პროცედურები | 13:30 | 13:45 | |
| **8** | სადილი | 13:45 | 14:15 | |
| **9** | პაუზა: მოსვენება/ძილი; განმავითარებელი ღონისძიებები: კითხვა, თეატრი, კალიგრაფია, მეტყველება, სიმღერა | 14:20 | 15:00 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **10** | მუშაობა | 15:00 | 15:45 | 45 წთ |
| **11** | შეჯამება | 15:45 | 16:00 | |
| **12** | საღამოს წრე | 16:05 | 16:30 | |
| **13** | ტრანსპორტირება (წაყვანა) | 16:40 | | |
| | სულ დრო (შრომითი საქმიანობის საათები) | | | 3 სთ. 15 წთ |

## 4.11 სახელოსნოს საქმიანობები

სახელოსნოს საქმიანობების დაგეგმვა ხდება არსებული რესურსების ანალიზის, მიზნების (ამოცანების) და მოთხოვნების საფუძველზე. დაგეგმილი საქმიანობები უნდა დაჯგუფდეს, რომ თვალნათელი იყოს, თუ რომელი საქმიანობა რა მიზანს ემსახურება. დაჯგუფება შესაძლებელია სხვადასხვა პრინციპით. ამ შემთხვევაში მოყვანილია დაჯგუფების მაგალითი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის სოციალ-თერაპიული მუშაობის სამ მიმართულებას: 1. შრომითი საქმიანობები; 2. დამატებითი (სხვა) განმავითარებელი საქმიანობები და 3. საზოგადოებაში ინტეგრირების საქმიანობები.

ცხრილი №4. 3: სოციალურ-თერაპიული მუშაობის სამი მიმართულება

**შრომითი საქმიანობები**

- სანთლების კეთება
- სტამბა/საამკინძაოს საქმიანობები
- შეკვეთები
- ახალი პროდუქციის წარმოება (სეზონური)
- დღის რიტმის დაცვა
- პროდუქციის სახეო-

**განმავითარებელი საქმიანობები**

- თეატრი
- კალიგრაფია
- მეტყველების განმავითარებელი სავარჯიშოები
- რიტმული პაუზა
- დაგეგმვა/შეჯამება
- დღის რიტმის

**საზოგადოებაში ინტეგრაცია**

- ბაზრობა/აქციები
- მასმედიასთან ურთიერთობა (გადაცემების ორგანიზება მონაწილეობა/გაშუქება)
- ქალაქში გასვლები (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილე-

| | | |
|---|---|---|
| ბისა და რაოდენობის დაგეგმვა<br>• სტუდენტთა კოორ-დინაცია/პრაქტკაში ჩართვა | დაცვა (წყვილებ-ში) | ბის მონახულება)<br>• ექსკურსიები<br>• სპექტაკლების ჩვე-ნება (უნივერსიტე-ტებსა და ორგანიზა-ციებში) |

## 4.12 ფუნქციების განაწილება

ფუნქციების განაწილება  ერთ-ერთი აუცილებელი, რთული და საპასუხისმგებლო ხერხია, რომლის გარეშეც ვერ მოხდება ვერცერთი საქმიანობის სწორი და სრულყოფილი განხორციელება. ჩვენ გაცნობიერებულად უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ რას გააკეთებს და რა საქმიანობაზე იქნება პასუხისმგებელი.

ცხადია, ეს ხერხი მომსახურე პერსონალის (თერაპევტის და დამხმარის) და ჯგუფის აქტივობების სახეებს და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებლობებს მოიაზრებს, რომ არ მოხდეს ფუნქციების აღრევა/გადაფარვაა. და, რაც მათავარია, „შეჯამება/ანალიზის“ დროს გამოიკვეთოს, თუ „რა გამოვიდა/რა ვერ გამოვიდა“ და მოხდეს ამ კუთხით კორექცია.

აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ნაწილი „ჯგუფი“ (რომელშიც ხუთი აქტივობაა ჩამოწერილი) მიუთითებს იმაზე, რომ სახელოსნოს წევრ ბენეფიციარებს ჩამოწერილი აქტივობების განხორციელება დამოუკიდებლად (მითითების ან დახმარება/მეთვალყურეობის გარეშე) შეუძლიათ. ანუ, ბენეფიციარების დამოუკიდებლობის ხარსისხი საკმაოდ გაზრდილია, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა მათი პიროვნული განვითარებისა და ზრდის კუთხით.

ცხრილი №4.4: ფუქნციების განაწილება: თერაპევტი, დამხმარე და ჯგუფი

**თერაპევტი**

- სანთლების სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა
- ჯგუფური მუშაობის უწყვეტობის უზრუნველყოფა
- ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველყოფა
- ახალი მოდელების შექმნა
- სანთლების მოხატვა
- სანთლების და სხვა სამუშაო პროცესების, რიტმულად გადანაწილება
- შრომის პროცესში ჯგუფის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა
- განმავითარებელი საქმიანობების დაგეგმვა/განხორციელების უზრუნველყოფა
- რუსულენოვან წევრებთან იგავ-არაკების დამუშავება/გათამაშება
- კონკრეტულ ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობა
- სემინარისტთა/სტუდენტთა /მოხალისეთა პრაქტიკის კოორდინაცია
- საზოგადოებაში ინტეგრაციის აქტივობების და მათში ჩვენი "სახლის" წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა
- სახელოსნოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა (მასალები, ინვენტარი და ა.შ.)
- 1/2 წლის დაგეგმვა/შეჯამება; მონიტორინგი; ანალიზი; კოლეგიისთვის (მულტიდისციპლინარული გუნდი) წარდგენა
- განსაკუთრებული სიტუაციების მართვა
- მშობლებთან ურთიერთობა
- ორგანიზაციის წარდგენა საზოგადოებისათვის

**დახმარე**

- დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების უზრუნველყოფა
- პროდუქციის წარმოება
- დღის რიტმის დაცვის მეთვალყურეობა
- საწყისი და დამამთავრებელი სამუშაოების განხორციელება /მეთვალყურეობა
- შრომის პროცესში ჯგუფის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა
- ინდივიდუალური მეთვალყურეობა/თანხლება
- დალაგება
- დაგეგმვა/შეჯამების განხორციელების უზრუნველყოფა/დღიურის წარმოება
- სემინარისტთა/სტუდენტთა/ მოხალისეთა ჩართვა პრაქტიკაში

**ჯგუფი**

- დაგეგმილ საქმიანობებში ჩართვა
- ურთიერთდახმარება
- ინდივიდუალურ /განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართვა
- ჯგუფურ მუშაობებში ჩართვა
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ღონისძიებებში ჩართვა

## 4.13 საქმიანობების დაყოფა ოპერაციებად

საქმიანობების გადანაწილებაში კიდევ უფრო მეტად ხდება საქმიანობების კონკრეტიზირება და თითოეული საქმიანობის ეტაპებად დაყოფა/ჩამოწერა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თერაპევტი, ხშირად თავისი წარმოდგენებით ან შეხედულებებით მოქმედებს და ფიქრობს, რომ მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი ესა თუ ის ბენეფიციარი შეძლებს/ან პირიქით ვერ შესძლებს ამა თუ იმ საქმიანობის ათვისება/ განხორციელებას. მაგრამ სწორედ ეტაპებად დაყოფილი ამ ნაბიჯების გავლისას აღმოაჩენს, რომ ვისზედაც ფიქრობდა, რომ ვერ შესძლებდა ათვისება/განხორციელებას, სწორედაც რომ შესძლო-გამოუვიდა ეს საქმიანობა და პირიქით.

ამიტომ, სოციალურ-თერაპიული მეთოდით მუშაობის ქვაკუთხედია (გადამწყვეტი მნიშვნელობისაა) არა ჩვენი წარმოსახვები და ვარაუდები, არამედ შრომითი/ განმავითარებელი საქმიანობების დეტალიზირება და მათი მშვიდად და ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელების მრავალჯერადი მცდელობა, რაც ლაკმუსის ქაღალდივით აჩენს რეალობას, ბენეფიციარების შესაძლებლობებს, რაც მუშაობის წარმატების საწინდარია.

კონკრეტული საქმიანობის ოპერაციონალიზაცია: მაგ: „სანთლის კეთება“, რაც შეიძლება წვრილ-წვრილ ეტაპებად (ნაბიჯებად) არის გაწერილი. რაც უფრო მეტი ეტაპი ჩამოიწერება, მით უფრო გაიოლდება მასში ამა თუ იმ ბენეფიციარის ჩართვა, რადგან ეტაპების გრძელი სიიდან ერთ-ერთი ეტაპის ათვისება (სწავლება) მაინც იქნება შესაძლებელი. ეს კი წინ გადადგმული და სასიხარულო ნაბიჯი იქნება ბენეფიციარის უნარების განვითარების გზაზე.

ცხრილი №4.5: სანთლის კეთების ოპერაციონალიზაცია

| სანთლის კეთების ოპერაციონალიზაცია |
|---|
| ცვილის სანთლის კეთების დაყოფა ეტაპებად |
| ფითილის გაბმა სპირალზე |
| ფითილის გადაბმა ნასკვით |
| ფითილის დაჭიმვა სპირალზე |
| ბოლო ნასკვის გაკეთება სპირალზე |
| სპირალის პარაფინის ქვაბში ჩაყოფა |
| სპირალის ამოღება ქვაბიდან |
| სანთლის შრობა ხელში |
| მზა სანთლიანი სპირალის ჩამოკიდება საშრობზე |
| მზა სანთლის ძირების გადაჭრა |
| მზა სანთლის ზედა ფითილის გადაჭრა |
| სანთლის ძირების დამუშავება |
| მზა სანთლის შეფუთვა ხელით |
| მზა სანთლის შეფუთვა აპარატით |

დაგეგმილი საქმიანობების გაწერა/გადანაწილება ხდება ჯგუფის წევრებზე, რომ უფრო ცხადი გახდეს, თვალი გავადევნოთ იმას, თუ როგორ არის გაწერლი და გადანაწილებული სანთლების სახელოსნოს ყველა საქმიანობა, რომელშიც ჩანს, თუ ვინ რა საქმიანობას ასრულებს, ვისი დახმარებით, ან დაუხმარებლად.



ცხრილი №4.6: სანთლების სახელოსნოს საქმიანობების განაწილება

| № | საქმიანობები | სახელოსნოს წევრები | მომსახურე პერსონალი |
|---|---|---|---|
| 1 | სანთლების კეთება | | |
| 1.1 | საწყისი და დამამთავებელი სამუშაოები | ბენეფიციართა მორიგე წყვილები | თერაპევტი + დამხმარე |
| 1.2 | ამოსავლები სანთლები | ჯგუფი | დამხმარე |
| 1.3 | დაფერვა | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 1.4 | პარაფინის დაფხვნა | მ./ნ./თ./თ.ს./კ. | |
| 1.5 | ჩამოსასხმელი დეკორატიული სანთლები | | თერაპევტი + დამხმარე |
| 1.6 | სანთლების მოხატვა | | თერაპევტი |
| 1.7 | სანთლების შეფუთვა აპარატით | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 1.8 | სანთლების შეფუთვა ხელით | | დამხმარე |
| 1.9 | მინაში ჩამოსხმული სანთლები | | თერაპევტი + დამხმარე |
| 1.10 | მოცურავე სანთლები | | თერაპევტი + დამხმარე |
| 2 | სტამბა/საამკინძაოს საქმე | | |
| 2.1 | რვეულების კეთება | ჯგუფი (ზ.-ს გარდა) | დამხმარე |
| 2.2 | წიგნის აკრეფვა | ჯგუფი (ზ.-ს გარდა) | |
| 2.3 | წიგნის კორექტურა | ლ/მ | დამხმარე |
| 3 | დალაგება | | |
| 3.1 | სახელოსნო | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 3.2 | სამზარეულო/აბაზანა | თ./მ. | დამხმარე |
| 3.3 | ეზო | ნ. | დამხმარე |
| 4 | შეჯამება/დაგეგმვა | | |
| 4.1 | დღის | მორიგე წყვილი | თერაპევტი + დამხმარე |
| 4.2 | კვირის შეჯამება/დღიურიში ჩაწერა | ჯგუფი+ მ. / ნ. | თერაპევტი + დამხმარე |
| 4.3 | ½ წლის შეჯამება | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 5 | განმავითარებელი ღონისძიებები | | |
| 5.1 | ლიტერატურის კითხვა | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 5.2 | მეტყველების სავარჯიშოები | ჯგუფი | თერაპევტი |
| 5.3 | განვითარების ბლოკი | ჯგუფი | თერაპევტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5.4 | კალიგრაფია | ჯგუფი | თერაპევტი |
| 5.5 | სიმღერა (გიტარის თანხლებით) | ჯგუფი+სოლოები (ზ-ს და ნ.-ს გარდა) | თერაპევტი |
| 6 | თეატრი | | |
| 6.1 | შექსპირი – პიესა „ჭირვეულის მორჯულება“ | ლ./მ./კ./ + თ.; დანარჩენები=რეჟისორის დამხმარეები | თერაპევტი + დამხმარე |
| 6.2 | გ. დოჩანაშვილი – „ყველაზე კარგი პაპა“ | ლ./მ./კ/ +თ.ხ; დანარჩენები=რეჟისორის დამხმარეები | თერაპევტი + დამხმარე |
| 7 | რიტმული პაუზა | ჯგუფი | თერაპევტი + დამხმარე |
| 8 | დილა/საღამოს წრეების წაყვანა | მორიგე წყვილი | თერაპევტი (დილა) დამხმარე (საღამო) |
| 9 | ინტეგრაციული ღონისძიებები | ჯგუფი | თერაპევტი + მენეჯმენტი |

## 4.14 სახელოსნოს ჯგუფის წევრები – ბენეფიციარები

ბენეფიციარები დიდი ნდობითა და გახსნილობით სავსენი არიან. თუმცა, თავდაპირველად ისინი ეჭვითა და უნდობლობით დამძიმებულები მოდიან ორგანიზაციაში და კრძალვითა და ცახცახით დგანან თერაპევტების წინაშე. მათ არ იციან თუ რა მოხდება და როგორ წარიმართება პროცესი.

ასეთივე განცდები აქვთ თერაპევტებს. ისინი ფიქრობენ, თუ რა მოხდება, როგორ წარიმართება პროცესი, როგორ წარუძღვებიან ამ საქმეს? ბენეფიციარის და თერაპევტის შეხვედრა საკმაოდ მოულოდნელია ორივე მხარისთვის. ამ ორის ურთიერთკავშირი საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. ორივე მხარე ბევრს სწავლობს ერთმანეთისგან, ბევრს განიცდიან ერთად და ცალკ-ცალკე და ერთმანეთისთვის უძვირფასეს ადამიანებად გარდაიქმნებიან. მთავარია, რომ აუჩქარებლად წარიმართოს ეს პროცესი და მშვიდად მოხდეს მათი და მათი ოჯახის წევრების ნდობის მოპოვება.

ბენეფიციარებთან მუშაობაში მნიშვნელოვანია მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თვადაპირველი სურათისა და სტარტი-

სათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არცერთი ინფორმაცია არ არის ზუსტი ან მუდმივი. ინფორმაცია ყოველ აუცილებელ შემთხვევაში უნდა გადაიხედოს (გადამოწმდეს), რადგან როგორც წესი, ადამიანები, მუდმივ ცვლილებას განიცდიან, რადგან ნებისმიერი მოვლენა დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე.

ქვემოთ მოცემულია, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა მოვიპოვოთ ჩვენი ბენეფიციარების შესახებ, თავდაპირველი სურათის შექმნის მიზნით, ესენია: სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ჯანმრთელობის მდგომრეობის შესახებ მონაცემების შეგროვება, მშობლების და ოჯახის წევრების ინტერვიურება, ინტერვიუები სპეციალისტებთან, დაკვირვების მეთოდი (თერაპევტის დაკვირვების დღიური, სიტუაციური ჩანაწერების წარმოება), მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ მოპოვებული ინფორმაციების ურთიერთშეჯერებით მიღებული სურათი, ბენეფიციარის უნარ-ჩვევების სურათი, ბენეფიციარის შესაძლებლობების (ძლიერი და სუსტი მხარეების) საერთო სურათი, ბენეფიციარის შრომითი საქმიანობების უნარ/ჩვევების ცხრილი, ბენეფიციარის სოციალური ადაპტაციის სურათი (კითხვარი), ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიმდინარეობის და შედეგების ანალიზი (კოლეგიის/ მულტიდისციპლინარული გუნდის ოქმები, თერაპევტის ჩანაწერები).

ადამიანის შესახებ შესაძლებელია მრავალმხივი ოფიციალური თუ არაოფიციალური ინფორმაციის მოპოვება. რაც მეტი იქნება ცნობილი სოციალური თერაპევტისათვის მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი პირის შესახებ (შშმ პირი), მით უკეთ შესძლებს მის შესახებ სურათ/ხატის შექმნას. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია წარსულს ეკუთვნის და დიდ შეღავათს ვერ მოგვცემს, რადგან ჩვენ აწმყოში ვმოქმედებთ და მომავალზე ვართ ორიენტირებულნი. ამიტომ, ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან, ყველაზე ღირებული იქნება დაკვირვება და ბენეფიციარის ფარული უნარების აღმოჩენაზე და მის პოტენციალზე ორიენტირება. ამისთვის კი საჭი-

როა მრავალფეროვანი გარემოს შექმნა, რომ ბენეფიციარმა შესძლოს საკუთარი თავი გამოსცადოს და გამოავლინოს სხვადასხვა გარემოსა და აქტივობებში, შეიძინოს მრავალფეროვანი გამოცდილება და მეტი დამოუკიდებლობა.

ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი, რომ დაკვირვება, ერთ-ერთი წამყვანი და ეფექტური ხერხია, რადგან დაკვირვება აქ და ამჟამად ხორციელდება და ის ცოცხალია და ამჟამად მიმდინარე პროცესია, ყველა იმ გამოვლინებებაზე, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. ამიტომ ბენეფიციარის ფარული, ან სიტუაციის არ ქონის გამო ვერ გამოვლენილი უნარები და პოტენციალი, სწორედაც დაკვირვების შედეგად ცხადდება. დაკვირვება და თერაპევტის მიერ წარმოებული ჩანაწერები ძალზე ღირებულია ჩვენი ბენეფიციარების უკეთ გაცნობის, აღმოჩენების და სამომავლოდ ეფექტური მუშაობის წარსამართად.

მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია არ გახლავთ ღია ინფორმაცია და მისი გავრცელება (მოყოლა, ან განხილვა) არ შეიძლება. ეს ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული და სამართლებრივი კუთხით იხილება, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ბენეფიციარისთვის სასიკეთო და სამართლებლივი გარემოს უზრუნველყოფა. ამიტომ ჩემს მიერ მოყვანილ მაგალითებში, ბენეფიციართა სახელები არ არის მითითებული (ან სპეციალურად არის შეცვლილი).

სანთლების სახელოსნოს წევრებს შეადგენს 5 ვაჟი + 3 ქალი = სულ 8 ბენეფიცარი + 2 სპეციალისტი: 1 სოციალ-თერაპევტი (სახელოსნოს ხელმძღვანელი) + 1 კვალიფიცირებული დამხმარე.

ჯგუფის 8 ბენეფიციარის ასაკობრივი შემადგენლობა

4 წევრი: – 30 წელს გადაცილებულია

2 წევრი: – 40-ს გადაცილებული

1 წევრი: – 48 წლის

1 წევრი: – 52 წლის

ყველა წევრი თბილისელია და ცხოვრობს ოჯახში.

ყავს ორივე მშობელი: 4 ბენეფიციარი
ყავს მხოლოდ 1 მშობელი (დედა): 2 ბენეფიციარი
არ ყავს მშობლები: 1 ბენეფიციარი
ოჯახის მატერიალურ/ეკონომიერი მდგომარეობა: 1 ბენეფიციარი სიღარიბის ზღვარს მიღმა
დარჩენილი 7-ივე ბენეფიციარის ოჯახები არის დაბალი, ან საშუალო შემოსავლების ოჯახები

## 4.15 ინტერვიუ, როგორც ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად

ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ყველაზე უკეთ მათ მშობლებს (ოჯახის წევრებს) შეუძლიათ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლების და ოჯახის წევრების ინტერვიურებას, რომელიც ბიოგრაფიულ ეტაპებს მოიცავს და გვაჩვენებს იმ განვლილ გზას, გარემოს, კრიზისულ თუ მიღწევების პერიოდებს, რომლებიც გაიარა ამჟამად ჩვენი ზრუნვის ქვეშ მყოფმა ბენეფიციარმა.

ინტერვიუს ჩატარების მრავალი ხერხი (ინსტრუმენტი) არსებობს და ინტერვიუერმა შეიძლება აირჩიოს, ან ადაპტაცია გაუკეთოთ იმ ინსტრუმენტს, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის.

ჩვენს შემთხვევაში მაგალითისთვის ქვემოთ განხილულია ის კითხვარი, რომელმაც მრავალჯერადი გამოყენების შედეგად, არა ერთი ცვლილება განიცადა და რომელიც ამჟამად გამოიყენება ბენეფიციარების ორგანიზაციაში მიღებისას.
მაგალითი:

ინტერვიუ მშობელთან

<u>რესპოდენტი:</u> (ბენეფიციარის მშობელი: დედა/მამა/სხვა მზურნველი)

<u>საკონტაქტო ინფორმაცია :</u>
<u>მისამართი</u>:
<u>ბენეფიციარის გვარი, სახელი:</u>

დაბადების წელი:

დიაგნოზი: (მაგ: *F 71.1 – DS: გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა ფსიქოპათიისმაგვარი ქცევებით. ფსევდობულბალური დიზართია თანმხლები: პრენატალური პათოლოგიის ნარჩენი მოვლენებით, მიკროცეფალიის მეტყველების განუვითარებლობა)*

კიდევ რა დამატებითი სამედიცინო პრობლემები აქვს ბენეფიციარს:

*თანდაყოლილი ნევროპათია. (მარჯვენა თირკმლის როტაცია, მარცხენა თირკმლის დისტოპათია)*

სად და როდის დაისვა დიაგნოზი:

რომელ სტრუქტურებშია აღრიცხვაზე ბენეფიციარი, ჩამოთვალეთ (სოციალური სააგენტოს ერთიანი ბაზა, პოლიკნილიკა, ფსიქონევროლოგიური დისპანსერი და ა.შ.)

იღებს თუ არა მედიკამნტებს ან დამატებით სამედიცინო მომსახურებას (ჩამოთვალეთ რომელს):

ოჯახის მატერიალურ ეკონომიური მდგომარეობა:

აქვს თუ არა ოჯახს სიღარიბის ზღვრის სარეიტინგო ქულა? რამდენი?

ოჯახის (სადაც ცხოვრობს ბენეფიციარი) შემადგენლობა: წევრების ჩამონათვალი, რომლებიც რეალურად ცხოვრობენ ოჯახში:

ვინ მეთვალყურეობს (რეალურად) ბენეფიციარს?

ვინ არის ბენეფიციარის ოფიციალური მეურვე?

ვისთან არის ყველაზე ახლოს თავად ბენეფიციარი (მიუთითეთ რა ფორმით: მიჯაჭულობა, დაინტერესება და სხვა)

დადიოდა თუ არა ბენეფიციარი (სად და რა ხანგრძლივობით: ბაღში, სკოლაში, დამხმარე სკოლაში, სერვის ცენტრში, წრეზე)

როგორ გქონდათ: ორსულობა, მშობიარობა

ბენეფიციარის მდგომარეობა დაბადებისას:

დედის დაკვირვება:

ბავშვის განვითარებაში (ბიოგრაფიაში) ყველაზე სახასიათო მოვლენები ასაკისა და მოვლენის აღწერით შემდეგი თანმიმდევრობით: (რესპოდენტის/მშობლის დაკვირვება)

0 – 1 წელი

წონა
წოვა
ყლაპვა
დაჯდა
გაიარა
კბილები
ამოუვიდა
ძილი

1 – 3 წ.წ. მნიშვნელოვანი მოვლენები

3 – 7 წ.წ მნიშვნელოვანი მოვლენები

7 – 14 წ.წ. მნიშვნელოვანი მოვლენები

14-21 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

21 -28 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

| ფუნქციური და ფსიქო-სოციალური უნარ-ჩვევები | თერაპევტის ჩანაწერი (დამოუკიდებლობის შეფასება) |
|---|---|
| ჩაცმა | |
| ჭამა | |
| გახდა | |
| სიარული | |
| აკადემიური უნარები | |
| წერა | |
| კითხვა | |
| ციფრები | |
| ანგარიში | |

| | |
|---|---|
| განზოგადება, აბსტრაქცია | |
| ყურადღების კონცენტრაცია | |
| მეხსიერება | |
| ემოციური სფერო | |
| ადაპტაცია/გარემოსთან მიმართე-ბა | |
| კომუნიკაციური უნარები | |
| უყვარს | |
| არ უყვარს | |
| დახმარება სჭირდება | |
| თქვენი მოტივაცია (რატომ შეგ-ვარჩიეთ ჩვენ) | |
| თქვენი სურვილები | |

თერაპევტის მიერ შეგროვებული ყველა ინფორმაციის და მისი დაკვირვების სურათის ურთიერთშეჯერებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ბენეფიციარის პორტრეტის მცირე მონახაზის გაკეთება, რომელიც არ არის დასკვნა, არამედ ის სურათია, რომელსაც თერაპევტი ხედავს, და რომელიც დროთა მანძილზე შეიცვლება.

ქვემოთ მოცემულია მცირე ჩანაწერი, რომელიც ჩვევა/ქცევას და ხასიათობრივ თვისებებს აღწერს:

მაგალითი:

ბენეფიციარი თ.ს; 28 წლის

<u>ხასიათობრივ/ემოციური თვისებები:</u>

,,... თ. არის თბილი, პოზიტიური და კეთილგანწყობილი ადამიანი; საკმაოდ ყურადღებიანია და მზად არის დაეხმაროს სხვას (მაგრამ არა უცხოს).

უყვარს თავისი ახლობლები, თერაპევტები და ამხანაგები (ადამიანები, რომელთაც კარგად ცნობს).

უხარია თავისი ამხანაგების წარმატებები და მიღწევები.

აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ძლიერი ნება.

მიზანმიმართულია; სწავლებადი და გახსნილი სიახლეების მიმართ; რაიმეს სწავლა დიდი აღტაცებას და სიხარულს იწვევს მასში.
იმპულსურია და ახასიათებს გუნება-განწყობის სწრაფი ცვლა.
სწრაფია და მოუთმენელი სურვილების მხრივ (თუ რაიმე სურს, ან უნდა გააკეთოს), მაგრამ სტაბილური და გაწონასწორებული შრომით საქმიანობებში.
ძნელად შეგუებადია უცხოების და უცხო სიტუაციების მიმართ; იჭერს დისტანციას და უცხო ადამიანი მიუახლოვდა, ხმამაღლა პროტესტირებს. აუცილებელია, მასთან იყოს ახლობელი ადამიანი, რომ დაინტერესებულ პირებს დააცვევინონ ფიზიკური დისტანცია და გააფრთხილონ უცხოები, რომ ზედმეტი ყურადღებით და ჩაკითხვებებით არ ეცადონ მასთან ურთიერთობას.
ძალზე ამხიარულებს საკუთარი და სხვისი შეცდომები...“

ჩვევები/ქცევა:
„...ოთახში არ იხდის ქურთუკს, თუ გარეთ ცივი ამინდია.
ხმაურიანია (მჭექარე).
სჭირდება ფართე გარემო.
სჭირდება დისტანცია მასთან ურთიერთობის ან ჯდომის დროს.
უცხო გარემოში მორცხვია და თავშეკავებული, დამკვირვებელია.
იხსნება და კონტაქტური ხდება, თუ თან ახლავს მისი ნდობით აღჭურვილი პირი (თერაპევტი, მშობელი)...“

## 4.16 შრომით საქმიანობებში გამოვლენილი უნარ-ჩვევები

რადგან სახელოსნოს ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა შრომაა, შესაბამისად, შრომითი პროცესების განხორციელება, მათზე დაკვირვება, აღწერა და ანალიზი, საკმაოდ დიდ და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ბენეფიციარების უნარების, მათი განვითარების (სწავლება/დაოსტატების), პოტენციის, ამა თუ იმ განმავითარებელი ღონისძიების მიმართ მიმღეობის, ან

უარყოფის შესახებ. ბენეფიციარი, სხვა დანაჩენთან ერთად, ყოველ დღე, თავის თავს ავლენს სახელოსნოს შრომით საქმიანობებში და ეს გამოვლინებები საკმაოდ სანდოა, რადგან შრომითი საქმიანობები საკმაოდ სტრუქტურირებულია და მინიმუმ ½ წელი მეორდება და მათში თვალნათლივ ჩანს თითოეული ბენეფიციარის „სახე".

იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ შრომით საქმიანობებში ბენეფიციარის პოტენციას, დამოკიდებულებას და ინტერესებს, დგება კონკრეტული შრომითი საქმიანობების შესრულების (მიმდინარეობის) ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, ამა თუ იმ საქმიანობას როგორ ძლევს ესა თუ ის ბენეფიციარი. მაგალითისთვის განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი №4.7: სანთლების სახელოსნოს ბენეფიციარების შრომითი საქმიანობის უნარ-ჩვევები
სახელოსნო – სანთლები
თარიღი:
შრომითი საქმიანობა: ამოსავლები სანთლების კეთება
\+ – დამოუკიდებლად
& – დახმარებით
\- – ვერ აკეთებს

| № | შრომითი ოპერაციების დასახელება | ლ. | კ. | ზ. | გ. | თ. | მ. | თ.ს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ფითილის გაბმა სპირალზე | – | – | – | – | – | & | – |
| 2 | ფითილის გადაბმა ნასკვით | – | – | – | – | – | & | – |
| 3 | ფითილის დაჭიმვა სპირალზე | – | – | – | – | – | – | – |
| 4 | ბოლო ნასკვის გაკეთება სპირალზე | – | – | – | – | – | – | – |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | სპირალის პარაფინის ქვაბში ჩაყოფა | & | & | & | & | & | & | & |
| 6 | სპირალის ამოღება ქვაბიდან | & | & | & | & | & | & | & |
| 7 | სანთლის შრობა ხელში | + | + | + | + | + | + | + |
| 8 | მზა სანთლიანი სპირალის ჩამოკიდება საშრობზე | + | + | + | + | + | + | + |
| 9 | მზა სანთლის ძირების გადაჭრა | – | – | – | – | – | – | – |
| 10 | მზა სანთლის ზედა ფითილის გადაჭრა | – | – | – | – | – | & | – |
| 11 | სანთლის ძირების დამუშავება | – | – | – | – | – | – | – |
| 12 | მზა სანთლის შეფუთვა ხელით | – | – | – | – | – | – | – |
| 13 | მზა სანთლის შეფუთვა აპარატით | – | – | & | & | – | + | – |

ეს აღწერილობითი ცხრილია და ცხრილად დარჩება, თუ არ მოვახდენთ მის განხილვა/ ანალიზს. ანალიზი კი სოციალური თერაპევტის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

## 4.17 ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების გეგმა

ბენეფიციართან მუშაობა მიმდინარეობს ერთწლიანი ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით, რომელშიც გაწერილია მიზნები/განსახორციელებელი ღონისძიებები/ ვადები და პასუხისმგებელი პირები.

იგგ თანხმდება უ.ყ-სა ბენეფიციართან და მშობელთან და შემდგომ კოლეგებთან (მულტიდისციპლინარულ გუნდთან).
მაგალითი:

ცხრილი №4.8: ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების გეგმა

| № | მიზანი | განსახორციელებელი ღონისძიებები | დღე-დრო | პასუხის-მგებელი პირი | შესრუ-ლების ვა-და |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყურადღბის კონცენტრა-ციის გაუმჯო-ბესება | - რიტმული სავარჯი-შოები<br>- დღის რიტმის მეთ-ვალყურეობა (წყვილში ლ-სთან ერთად) | ორშაბათი-ოთხშაბათი 11:30-12:00<br>ორშაბათი, სრული დღე | თერაპევ-ტი<br>დამხმარე | იანვარი-დეკემბე-რი<br>___ |
| 2 | მეხსიერების გაუმჯობესე-ბა | - ვეფხისტყაოსნის 3 ტაეპის სწავლა<br>- შაბათ/კვირის შთაბეჭ-დილებების მოყოლა<br>- დღის საქმიანობების და მათში ჩართული ჯგუფის წევრების ჩა-მოთვლა<br>-კვირის შეჯამებაში მონაწილეობის მიღება | ხუთშაბათი 11:30-12:00<br>ორშაბათი 10:30-10:45<br>ორშაბათი 15:30-16:00<br>პარასკევი 15:30-16:00 | თერაპევ-ტი<br>დამხმარე<br>დამხმარე<br>დამხმარე | იანვარი – ივნისი<br>იანვარი-დეკემბე-რი<br>___<br>___ |
| 3 | მეტყველების გაუმჯობესე-ბა | - მეტყველების სავარ-ჯიშოები:<br>- ბგერების „ლ“-„მ“-„ნ“-ს დამუშავება<br>-სიტყვების ფრაზებად გაერთიანება (2-3 სიტ-ყვიანი წინადადებების აწყობა და წარმოთქმა)<br>- სიმღერა გიტარის თანხლებით (ტექსტის წამღერება) | სამშაბათი 11:00-11:15<br>სამშაბათი 11:15-11:30<br>ოთხშაბათი 14:00-14:30 | თერაპევ-ტი<br>___<br>___ | იანვარი-დეკემბე-რი<br>___<br>___ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | დამოუკიდებლობის ხარისხის და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა | - რეჟისორის ასისტენტისათვის საჭირო უნარების გამოუშავება: დასისთვის ტექსტების დარიგება/აკრეფვა/შენახვა<br>დეკორაციის აწყობაში მიხმარება<br>მსახიობების ჩაცმა/გახდაში დახმარება<br><br>- სახელოსნოს წევრის - ზ-ს მეთვალყურეობა/თანხლება: დღის რიტმით დაგეგმილი საქმიანობების შეხსენება და მისი ჩართულობის ხელშეწყობა<br><br>- ქაღალდის ჭრის და რვეულის ფურცლების აკრეფვის შრომითი საქმიანობების განხორციელება (თერაპევტებთან ერთად) | ხუთშაბათი 14:00-15:00<br><br>სამუშაო დღეებში, დღის მანძილზე<br><br>—— | თერაპევტი<br><br>დამხმარე<br><br>—— | იანვარი-დეკემბერი<br><br>——<br><br>—— |
| 5 | საზოგადოებაში ინტეგრაციის და გარემოში ორიენტაციის ხელშეწყობა | - საგზაო შუქ/ნიშნების სწავლება<br><br>- გადასასვლელი ადგილების ცნობა/სწავლება<br>- გადასასვლელი ხიდების ცნობა/გადასვლა<br>- ქალაში გასვლებისას ძირითადი პროსპექტების/მეტრო-სადგურების დაფიქსირება და მგზავრობა | კვირაში ერთხელ, სადილამდე (გარეთ გასვლით)<br><br>თვეში 2-ჯერ, გაწერილი გეგმის მიხედვით | თერაპევტი<br><br>—— | აპრილი-ოქტომბერი<br><br>მარტი-ოქტომბერი |

იგგ-ს მიმდინარების მეთვალყურეობა ხდება ყოველი კვირის ბოლო პარასკევის „კვირის შეჯამების“ შედეგებზე დაყრდნობით, რაც იწერება სახელოსნოს „დღიურში“ და სოც.თერაპევტის დღიურში. კვირაში ერთხელ შეჯამება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თვალნათელი ხდება, თუ რომელი განსახორციელებელი ღონისძიება გამოდის და რომელი არა და ჩვენ შეგვიძლია სწორი რეაგირება, არასწორი ნაბიჯებისგან თავის დაზღვევა, ზიანის თავიდან აცილება.

## 4.18 შედეგები/სიახლეები

თერაპევტის და ბენეფიციარების გაწეული მუშაობის ყველა მიღწევა გასათვალისწინებელი და შესანარჩუნებელია (უნდა გამყარდეს/დაიბექდოს), ხოლო ყველა გადაცდენა/ან ვერ გამოსვლა, დასაფიქრებელი და გასაანალიზებელი: “რა გამოვიდა და რა არა; რა გზით (ხერხით); რამ შემიწყო, ან რამ შემიშალა ხელი; რისი შეცვლა იქნებოდა საჭირო (დამატება, ან გამოკლება); რა სიახლე იქნებოდა ეფექტური და ა.შ.” ეს არის იმ პუნქტების მცირედი ჩამონათვალი, რომელიც სამომავლო მუშაობისათვის აუცილებლად უნდა დასვას და გადაჭრას სოციალ-თერაპევტმა (სპეციალისტმა).

შედეგების ანალიზი საკმაოდ რთული პროცესია. ის კი არა და, თავად შედეგების აღწერაც არ არის იოლი. მაგალითად, განვიხილოთ ბენეფიციარ თ.ს.-ს შესახებ განვლილი ერთი წლის მოკლე ინფორმაცია შედეგები/სიახლეების კუთხით:
მაგალითი: ბენეფიციარი თ.ს. – რას და როგორ აკეთებს:

- სანთლების ვლება;
- იარაღების და მასალების გადმოღება-განაწილება; დასასრული: იარაღების ალაგება/დაბინავება;
- სახელოსნოს დალაგება: სკამების მაგიდაზე აწყობა; მტვრის გადაწმენდა; დალაგების დამთავრებისას ჩამოლაგება;

- პარაფინის დაფხვნა;
- სანთლის შეფუთვისას შესაფუთი პარკის მომარჯვება;
- მოსახატი მასალების გადმოღება;
- ჩაი/პაუზის დროს ჭურჭლის გადმოღება/სამზარეულო-ში გატანა;
- რვეულის ფურცლების დაკეცვისას ფურცლის მიწო-დება (კ.-სთან წყვილში);
- წიგნის აკრეფვისას 1 (მხოლოდ 1-ს შეუძლია) ფურ-ცლის მიწოდება (კ.-ს ან ლ.-სთან წყვილში);
- დიდი პასუხისმგებლობით მეთვალყურეობს დღის რიტმს (მორიგეა ლ.-თან ერთად წყვილში);
- დაგეგმვა/შეჯამებისას ამბობს, თუ რა არის გასაკეთე-ბელი და რა გაკეთდა (თუ დააცადეს);
- ყველა განმავითარებელ ღონისძიებაში ჩართულია დი-დი ინტერესით;
- თეატრში: რეჟისორის დამხმარეა.

მიღწევები:

- აქვს თავისი მყარი ფუნქცია: საქმიანობების ,,დასაწყი-სი/დამთავრება‘‘
- ემოციურად შედარებით გაწონასწორებულია
- შეამცირა ფიზიკური დისტანცია (მანძილი) გარშემომ-ყოფებთან
- უყვარს თავისი ჯგუფი, სახელოსნოს თერაპევტები
- მეთვალყურეობს ზ.-ს (ხელების დაბანა, სამზარეულო-ში გადაყვანა)
- მხიარულია და ,,ხარხარ/როხროხოცაა‘‘

სიძნელეები:

- თუ სამსახური გააცდინა (ავადმყოფობის გამო, არდა-დეგები), უჭირს შემდეგ ისევ დაბრუნება
- აქვს ფართო/უხეში მოძრაობები, ამიტომ ხშირად უვარდება ნივთები; ეჭმუჭნება რვეულის, ან წიგნის

ფურცლები; ექცევა წყალი (ჩაი)

- რადგან უჭირს მეტყველება, თუ ვერ გაუგეს, ბრაზდე-ბა, რაც დიდხანს მიჰყვება
- ხალხმრავალ ადგილებში უჭირს ყოფნა (რადგან აქვს ვერბალური კომუნიკაციის პრობლემა; ვერ ერთვება; ვერ აქტიურობს და ამიტომ იღლება, ღიზიანდება)

## 4.19 სანთლების სახელოსნოს ½ წლის მუშაობის შედეგები

სახელოსნოს შრომით საქმიანობებს რაოდენობრივად გა-უტოლდა არაშრომითი საქმიანობები, როგორებიცაა: პიროვნუ-ლი დამოუკიდებლობის ზრდა,

ფუნქციური უნარები, ურთიერთობები და კომუნიკაცია, მეტყველება, თეატრის რეპეტიციები, ლიტერატურის კითხვა, კალიგრაფია, სიმღერა (გიტარის თანხლებით), განვითარების ბლოკი „სამყარო“, დაგეგმვა/შეჯამება, დღიურის წარმოება, სტუდენტთა პრაქტიკა და თანხლება, საზოგადოებაში ინტეგ-რაცია (მასმედია-გადაცემები, ინტერვიუები).

ჩამონათვალი მიგვანიშნებს, რომ სანთლების სახელოს-ნოს საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვნია, რაც საშუალებას აძლევს ბენეფიციარებს საკუთარი თავი მოსინჯონ სხვადასხვა განმავითარებელ საქმიანობებში, შეიძინონ ახალი უნარები და გამოცდილება და საკუთარი არჩევანით გააღრმავონ „თავისი გულის“ საქმე, დაამყარონ ახალი კონტაქტები, გაიჩინონ მე-გობრები, იურთიერთონ ერთმანეთთან და გარემოსთან.

თითოეული სახის საქმიანობა ცალ-ცალკე ჯამდება და კეთდება მათი შეფასება/ანგარიში. განვიხილოთ ერთ-ერთი განმავითარებელი საქმიანობის აღწერა (მიმდინარეობა) და შე-ჯამება: „განვითარების ბლოკი“

მაგალითი:

| განვითარების ბლოკი – „ სამყარო“ (დედამიწა, მინერალები, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები) | |
|---|---|
| **წამყვანი და მონაწილეები – სანთლების სახელოსნოს წევრები (რვა ბენეფიციარი)** | |
| **მიზნები** | სამყაროს აღქმა/შემეცნება/განვითარების გზის დაჭერა<br>გააქტიურება, საკუთარი აზრის, განცდის გამოთქმის ხელშეწყობა<br>სიახლეებთან მისვლა<br>მრავალფეროვნების, გარემოში „ხედვის“ ხელშეწყობა. |
| **ტაქტიკა/ მეთოდი:** | მასალის მოძიება, გათვალსაჩინოება, მიწოდების ფორმის შერჩევა, ჯგუფის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა, დიალოგი/დისკუსია (აქტიური ჩართულობა: აღწერა – „რას ნიშნავს? – რა არის?; „მინახავს თუ არა?“; „როგორ მესმის?“; „რითი ემსგავსება და რითი განსხვავდება სხვა ჯგუფებისაგან? – მაგ: მინერალებისაგან?; „რა მნიშვნელობა აქვს?; „რომ არ იყოს, რა დაგვაკლდებოდა?“; დამახაიათებელი ნიშნები; გამოთქმული აზრების დაფაზე ჩამოწერა; მაგ: „მცენარე“. |
| **მიმდინარეობა** | ჯგუფის ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში<br>ვერსიები იწერება დაფაზე, რომ არ მოხდეს დავიწყება და ყველაფერი იყოს თვალსაჩინო.<br>საჭიროა დაწერილის ხელახალი განხილვა, არასწორის წაშლა და სწორი ვერსიების დატოვება, შეჯერება და ახალი ფორმულირება, შემდეგ გადადიან მეორე კითხვაზე და ა.შ.<br>მიღებულ ფორმულირებას, დამახასითებელ ნიშან/თვისებებს, საჭიროებას, ორიგინალურ ფრაზებს (თუნდაც შეცდომით) იწერენ რვეულში სამომავლო სურათისათვის: მაგ: „უფრო მეტი გაი- |

| | |
|---|---|
| | გო-გაუფართოვდა თვალსაწიერი“, „წინ წაიწია“, „გაუჩნდა ინტერესი, თავისი დამოკიდებულება“ და სხვა. |
| **სირთულეები** | თემები: დედამიწა, მინერალი, მცენარე, ცხოველი = წავიდა მძიმედ<br>უჭირდათ დასმული კითხვის ბოლომდე მოსმენა; იძახდნენ ერთსა და იგივეს, მაგ: მცენარე ლამაზია; ანდა, მცენარეში მოიაზრებენ მხოლოდ ერთ, ან რამოდენიმე ყვავილს. მაგრამ შემდეგ და შემდეგ შეეჩვივნენ მიწოდებულ სქემას და მისდევდნენ თემის განვითარებას: ცდილობდნენ ჯერ ეფიქრათ, გაეხსენებინათ და შემდეგ ეთქვათ. |
| **მიღწევები** | ყველაზე წარმატებული თემები: წელიწადის დროები, დღე/ღამე, საათი<br>თემა „საზოგადოება“ – აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ყოფას უკეთ ცნობენ: ოჯახი, სამსახური, ტრანსპორტი, ქალაქი, სოფელი, ხელოვნება, მეცნიერება და ა.შ.<br>ჯგუფის ნაკლებ/ვერბალური წევრები: თ.ს., ზ. და თ., საკმაოდ ყურადღებით უსმენდნენ დანარჩენ წევრებს და თერაპევტს (თითქოს ისრუტავდნენ). ისწავლეს სიტყვები, რომლებიც მანამდე არ იცოდნენ, მაგ: მცენარე, ცხოველი, დრო, ხელოვნება, მეცნიერება, საგნები, მოხმარება და სხვა.<br>ჰქონდათ მცდელობები გამოეცნოთ რაზე იყო საუბარი, მაგ: თეონა, სიტყვაზე „მცენარე“ – ამბობდა „ია“, „ხე“;  ზურა, სიტყვაზე „ადამიანი“ – ასახელებდა თავისი ოჯახის წევრებს.<br>მომავალ ნახევარ წელსაც შენარჩუნდება განვითარების ბლოკი ახალი თემატიკით, რომელიც შეირჩევა ჯგუფთან ერთად. ეს მიეწოდება ჟურნალ „ხიდს“ მასალად. |

## 4.20 სხვა განხორციელებული საქმიანობების მოკლე შეჯამება

სახელოსნოს წევრები საკმაოდ დიდი ნაბიჯებით მიიწევენ წინ განვითარებისა და დამოუკიდებლობის კუთხით. კერძოდ: ჰარმონიზებულია მათი ფსიქო/ემოციური მდგომარეობა; შეიძინეს ახალი უნარ ჩვევები; გაზრდილია თვითმომსახურების ჩვევები; ეხმარებიან ერთმანეთს; გაზრდილია ნდობა და გარემოში ადაპტაცია/ინტეგრაცია (იძლევიან ინტერვიუებს, მასპინძლობენ); ამაყობენ თავისი ხელით შექმნილი პროდუქციით, ნაჩვენები სპექტაკლებით და სხვა.

საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია და გაზრდილია მათი შესრულების ხარისხი: 17 ტიპის სანთლების კეთება; წიგნის აკრეფვა, რვეულების შიდა ფურცლების კეცვა/ჩალაგება; შეკვეთების შესრულება; სახელოსნოს დალაგება; ნივთების მოვლა/დაბინავება; აქცია-ბაზრობებისთვის მზადება; სპექტაკლების დადგმა; სტუდენტთა პრაქტიკა და სხვა... და რაც მთავარია: არის მთელი რიგი ეტაპები, რომელთა შესრულება ჯგუფს დამოუკიდებლად შეუძლია (სანთლის შრობა; პარაფინის დაფხვნა; წიგნის აკრეფვა, რვეულების ფურცლების კეცვა).

დღის რიტმი ოპტიმალური და დამზოგავია, რაზეც მიუთითებს ის პარამეტრი, რომ ბენეფიციარები არ იღლებიან და სიხარულით ერთვებიან რიტმით გაწერილ პროცესებში. უმნიშვნელოვანესი პარამეტრი წარმატებული მუშაობისა არის ის, რომ ბენეფიციარები სიხარულით მოდიან ცენტრში, მოუთმენლად ელოდებიან მანქანას, რომ მოვიდნენ სახელოსნოში და არ უყვართ დასვენების დღეები და არდადეგები.

მშობლები მუდმივად აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრი არის მათი ოჯახი და გარემო, რომელიც მათი შვილების (ბენეფიციარების) წინსვლისა და სიხარულის საფუძველია.



სურათი №1: სპექტაკლის წინ, ღია აქცია ერეკლეს ქუჩაზე

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ჩვენს პროფესიულ საქმიანობას შშმ პირებს დავუკავშირებთ, ეს ორივე მხარისთვის ბედნიერება იქნება, რადგან ერთმანეთს განვავითარებთ: ჩვენ მათ მივეხმარებით საკუთარი თავის რეალიზებაში, ისინი კი, ჩვენგან საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს დააყენებენ. ამ საქმიანობისათვის კი მთავარია ხარისხი, სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობა და სიმამაცე, რომ „ჩვენ ამის გაკეთება გვსურს, შეგვიძლია და გავაკეთებთ“.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ბაზისური კურსი სოციალურ თერაპიაში. (2015). Anerkennung im Netzwerk der Ausbildung für anthroposophische Heilpädagogik und Sozialtherapie. Tbilisi, Georgia Seminar für Sozialtherapie Tiflis

ბერნარდ ლივერხუდი. (2002). ადამიანის ცხოვრების გზა: ბიოგრაფიული კრიზისები-როგორც განვითარების შანსი. გამომცემლობა „აწმყო".

კარლ კიონიგი. (2007). გრძნობადი განვითარება და სხეულის განცდა. გამომცემლობა „აწმყო".

ლექციების და პრაქტიკული მუშაობის მასალები. (2003-2019). Konferenz für Heilpädagogik und Sozialtherapie Internationaler Ausbildungskreis, Kassel

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2011). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-13/ნ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ – https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1282864.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2010). ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია (ICD 10), მეათე გადახედვა, ტომი 2., saxelmZRvanelo instruqciebi.

Charta Berufliche Bildung (Medizinische Sektion der Freien Hochschule für Geisteswissenschaft am Goetheanum). (2015). Konferenz für Heilpädagogik und Sozialtherapie Internationaler Ausbildungskreis -2015.12.04

Й. Грайнер. (2020). Как свет человеческого достоинства освещает встречи людей, Das Goetheanum, 1-2/2020, Пер. Г.А. Кавтарадзе

Р. Штеинер. (1924). четвертый доклад, Дорнах. – http://bdn-steiner.ru/modules.php?name=Archives&l_op=viewlink&cid=32

Рудольф Штейнер. (1992). Общее человековедение как основа педагогики. GA 293, Дорнах 1992, доклад от 29.08.1919.

Рудольф Штайнер. (1921). Мария Штайнер фон Сиверс, Образование Речи и Драматическое Искусство, GA 282, 19 лекций, 1 ответ на вопросы-Дорнах 10 апреля 1921, (ответ); 5-23 сентября 1924

Рудольф Штейнер. (1921). Здоровое развитие телесно-физического как основа раскрытия душевно-духовного, GA 303, Дорнах.

ბენეფიციარის ნამუშევრები








სტუდენტების მუშაობის პროცესი



# თავი 5

## სამკურნალო პედაგოგიკა და სამკურნალო-პედაგოგიური ვალდორფის სკოლა

ავტორი: მარინა შოსტაკ



### 5.1. ვალდორფის პედაგოგიკის თავისებურებები

ვალდორფის პედაგოგიკა – ეს არის საერთაშორისო მოძრაობა, წარმოდგენილი ასობით სკოლით და ათასობით საბავშვო ბაღით, აგრეთვე სამკურნალო პედაგოგიური სკოლებით პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში.

ამ პედაგოგიკის მთავარი მიზანია ბავშვთა ბუნებრივი უნარების აქტიური განვითარება და თავიანთი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენის განვითარება.

ყოველივე ეს სრულად შეეფერება სამკურნალო პედაგოგიკასაც, მაგრამ საერთო საფუძვლისა და მიდგომის მიუხედავად სამკურნალო პედაგოგიკას გააჩნია თავისებურებებიც.

სახელწოდება „სამკურნალო პედაგოგიკა“ არსებობს მე-19 საუკუნის შუა წლებიდან და გამოიყენება დღემდე. 1924 წელს გამოჩენილმა ფილოსოფოსმა და პედაგოგმა რ. შტაინერმა წაიკითხა ლექციების კურსი სამკურნალო პედაგოგიკაში, შეავსო ის ახალი შინაარსით და ახალი მიდგომით ბავშვის არსის შესახებ. „სამკურნალო პედაგოგიკის ლექციათა კურსში“ საუბარია ბავშვებზე, რომლებიც „საჭიროებენ განსაკუთრებულ სულიერ ზრუნვას“, ამით გადაილახა თავად დარღვევის ცნების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.

სამკურნალო პედაგოგიკის სფეროში მოიაზრება მუშაობა სხვადასხვა დიაგნოზის, განვითარების პრობლემის მქონე ბავშვებთან, რომლებსაც აქვთ აზროვნების, აღქმის, ყურადღების, მეტყველების, მეხსიერების, ქცევის, მოტორიკის განვითარების თავისებურებები. სამკურნალო პედაგოგიკა ეფუძნება დებულებას, რომ ორგანიზმის შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად მისი სულიერი ბირთვი არ არის დაზიანებული, მას გააჩნია ჯანმრთელი სულიერი ინდივიდუალობა და ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე თავის მუშობაში მიმართავს სწორედ ამ ჯანმრთელ ბირთვს, ითვალისწინებს ბავშვის ძლიერ მხარეებს და მისი განვითარების თავისებურებებს.

სამკურნალო პედაგოგიკა ატარებს დისციპლინათშორის ხასიათს. ის აერთიანებს პედაგოგიკას, მედიცინას, ფსიქოლოგიას, თერაპიას, ხელოვნებას და სოციალურ მიმართულებას. თუმცა ეს ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, სამედიცინო დიაგნოზები, სოციალური გარემოს აღწერა, პედაგოგიური თვალსაზრისით ბავშვის მიღწევები არის მხოლოდ დამხმარე დიაგნოზები, სანამ მუდმივი დაკვირვების და ბავშვის განხილვის პროცესში არ გამომჟღავნდება ჭეშმარიტი სამკურნალო-პედაგოგიური დიაგნოზი და მისგან გამომდინარე – საჭირო თერაპია. სამკურნალო პედაგოგიკაში საუბარი არ არის სამკურნალო საშუალებაზე (ეს არის ექიმის საქმე) ან მხოლოდ სწავლებაზე. ეს პირობა ერთ-ერთი მნიშ-

ვნელოვანი შემადგენელია ყოველივე იმისა, რაც უნდა გაკეთდეს ბავშვთან, რომელიც საჭიროებს სულიერ ზრუნვას.

სამკურნალო პედაგოგიკას გააჩნია საკუთარი თერაპიული ღონისძიებები – მაგრამ ეს არ არის სამკურნალო საშუალებები. ამ ღონისძიებების დამსახურებით სწავლება, თუ იქნება ამის აუცილებლობა, შესაძლოა შეიცვალოს: შენელდეს ან აჩქარდეს, გამარტივდეს ან გართულდეს, წარმოდგენილი იყოს უფრო ხატობრივად ან აბსტრაქტულად. სამკურნალო-პედაგოგიური ღონისძიებები არის არა პედაგოგიკა, არამედ სამკურნალო პედაგოგიკა. ამავე დროს საუბარია წონასწორობის აღდგენაზე  ბავშვის მაფორმირებელი ტენდენციების სფეროში. სამკურნალო პედაგოგიკაში საუბარია არა იმდენად თავისებურებების დანახვაზე, არამედ იმაზე, რომ ამოვიკითხოთ და გავაცნობიეროთ ეს  თავისებურებები, ბავშვის ყოვლისმომცველი ანტროპოლოგიის საფუძველზე, რომლის ბაზაზეც ხორციელდება ადამიანის ინდივიდუალობის გაგებისათვის, დიაგნოსტიკის გზების და პრაქტიკული ქმედებების შესაბამისი ფორმების ძიება. სამკურნალო პედაგოგიკის პრაქტიკული ფორმები არ წარმოადგენს ალგორითმების ფიქსირებულ ნაკრებს, მასში შეუძლებელია გარკვეული სქემით მოქმედება. ეს არის მუდმივი შემოქმედებითი მუშაობა. ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ევრითმია და სამკურნალო ევრითმია, მეტყველება და ჟესტები, ქიროფონეტიკა, ხატვა და ფერწერა, სიმღერა და მუსიკა, ხელობა და ხელგარჯილობა და მეხსიერების განვითარება, სწავლების სპეციალური მეთოდიკები.

სამკურნალო პედაგოგიკა განიხილავს ბავშვს მთლიანობაში და ცდილობს თანაბრად განავითაროს იგი აზროვნებაში, გრძნობაში და ნებაში, რაც შეესაბამება ადამიანის სამ სისტემას: ნერვულ სისტემას, რიტმულ სისტემას და კიდურებისა და ნივთიერებათა ცვლის სისტემას. იგი ცდილობს მისცეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს არა ფრაგმენტული გამოცდილება, არამედ – შესაძლებლობის შესაბამისად – მთელი

სამყარო, დაეხმაროს ბავშვს განვითარებაში და დამოუკიდებლობის შეძენაში.

განვითარების ამ გზაზე ყოველი ნაბიჯი ითხოვს დროულ, თერაპიულ, კორექციულ მუშაობას – ეს ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ადრეულ ბავშვობაში იწყება და ბავშვობისა და ახალგაზრდობის მანძილზე ითხოვს მზრუნველ თანხლებას და მშობლების, მასწავლებლების, თერაპევტების და საჭიროების შემთხვევაში ექიმის ერთობლივ მუშაობას. ამიტომაც, სამკურნალო პედაგოგიკა ეფუძნება განათლების ერთიან კონცეფციას, რომელიც მოიცავს მთლიანად ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდს.

სამკურნალო პედაგოგიკის ძირითადი პრინციპია: ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი და ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებზე ორიენტაციის პრინციპი (ანტროფოლოგიური მიდგომა). ის ცდილობს მოსწავლეებში კოგერენტობისა და რეზილენტობის განვითარებას, რომლებიც აუცილებელია სულიერი ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, როგორც აწმყოში, ისე მომავალში.

ბავშვების ჯანსაღი განვითარებისათვის ხდება როგორც სკოლის და საკლასო ოთახების არქიტექტონიკის, აგრეთვე კედლების ფერის და გამოყენებული მასალის, მათი შეგრძნების გათვალისწინება, ეს ყველაფერი ზემოქმედებს განვითარებაზე მთლიანობაში, და დადის ნივთიერებათა ცვლის უწვრილესს პროცესებამდეც კი. სამკურნალო პედაგოგიკაში არქიტექტურული გარემო თავისთავად წარმოადგენს აბილიტაციის ინსტრუმენტს.

## 5.2 სამკურნალო-პედაგოგიური ვალდორფის სკოლის მიზნები და სტრუქტურა

საქართველოში ფუნქციონირებს ერთი სამკურნალო-პედაგოგიური ვალდორფის სკოლა. სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მიზანია განვითარებაში სხვადასხვა პრობლემების

მქონე ბავშვების აღზრდა, სწავლება, შრომითი მომზადება და სოციალური ადაპტაცია. სკოლა ცდილობს მოსწავლეს მისცეს ის, რასაც ექნება საუკეთესო პრაქტიკული გამოყენება მის ცხოვრებაში.

სკოლის ამოცანაა – დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე განსაკუთრებული ბავშვის მხარდაჭერა და თანხლება; ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაეხმარება მის განვითარებას; ისეთი პირობების შექმნა, სადაც ბავშვს შეეძლება გაიხსნას, მიიღოს განათლება, შეისწავლოს პროფესიის ელემენტები.

სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის სტრუქტურა:

სკოლის დირექტორი – სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში არ არის დირექტორი ჩვეული გაგებით, რომელიც გასცემს ბრძანებებს, სჯის და სრულად დამოუკიდებლად იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. სკოლის ყველა საკითხი განიხილება სხვადასხვა დონეზე, პრობლემის არსიდან გამომდინარე. დირექტორს შეუძლია მიიღოს ან უარყოს ეს გადაწყვეტილება არგუმენტების მოყვანით.

სკოლის გამგეობა განიხილავს ფინანსურ პრობლემებს, აწარმოებს ურთიერთობას სკოლის გარეთ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და ა.შ.

ინტერკოლეგია – პედაგოგების პატარა ჯგუფი, რომლებმაც გამოხატეს სურვილი დამატებით და ანაზღაურების გარეშე იმუშაონ მეთოდურ საკითხებზე და სკოლაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაზე.

საერთო პედაგოგიური კონფერენცია – სკოლის მუშაობის აუცილებელი ფორმა. იკრიბება ყოველკვირეულად და განიხილავს სასკოლო ცხოვრების ყველა საკითხს.

თერაპიული კოლეგია – მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელშიც შედის ექიმი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, არტთერაპევტი, მკურნალი ევრითმისტი და სხვა თერაპევტები, თუ ისინი არიან სკოლაში. წყვეტენ მოსწავლის თერაპიული მხარდაჭერის საკითხებს.

## 5.3 სამკურნალო-პედაგოგიური ვალდორფის სკოლის პროგრამის ორგანიზება

სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა მუშაობს ვალდორფის სკოლის მოდიფიცირებული პროგრამების მიხედვით, სადაც დამატებულია აუცილებელი საგნები სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მიზნების განხორციელებისათვის. მაგალითად სოციალური ადაპტაციის საგანი.

პროგრამაში შეტანილია საჯარო სკოლის პროგრამის ყველა საგანი და დამატებითი საგნები, რომლებსაც გადიან ვალდორფის სკოლაში და რომლებიც არ მოისაზრება საჯარო სკოლის პროგრამებში. განასხვავებს ამ პროგრამებს აგრეთვე ის, რომ სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში საგნის სწავლება კლასებში შესაძლოა ხდებოდეს კლასის აცდენით ან დროში სხვანაირი განაწილებით, რაც დაკავშირებულია მოსწავლეების ფიზიოლოგიური განვითარებასა და მის შესაძლებლობებთან.

სწავლების ორგანიზება

სამკურნალო-პედაგოგიურ ვალდორფის სკოლაში მიღებული მეცადინეობების ორგანიზაციის ფორმა განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილების სისტემისგან. ყოველდღიურად საერთო სასწავლო დროის 90 წუთი დათმობილი აქვს მთავარ ანუ ძირითად გაკვეთილს. სწავლება ამ გაკვეთილზე მიმდინარეობს „ეპოქებად“, ანუ პერიოდებად, 2-დან 4 კვირამდე ხანგრძლივობის სასწავლო ციკლებად. „ეპოქებად“ სწავლება ნიშნავს, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავარი გაკვეთილის შინაარსს შეადგენს ერთ-ერთი ძირითადი საგანი: მშობლიური ენა, მათემატიკა, მხარეთმცოდნეობა, ისტორია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია და სხვა, რაც საშუალებას იძლევა აიგოს სწავლება გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით, კონცენტრირებულად. აღნიშნულ საგანში მოსწავლის ჩაღრმავებით, საგნიდან საგანზე გადახტომის გარეშე. სწავლების ასე-

თი ორგანიზებით სასწავლო საგანი ახდენს აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ზემოქმედებას მოსწავლის პიროვნებაზე, ხელს უწყობს მისი უნარებისა და შესაძლებლობების გახსნასა და განვითარებას, მის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად, განვლილი მასალის უკეთ აღქმასა და ათვისებას. „ეპოქებს“ ატარებს კლასის პედაგოგი, რომელიც სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში 9 წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად არ იცვლება.

ისეთი საგნები, როგორიცაა მუსიკა, სპორტი, ფერწერა, ევრითმია, ხელგარჯილობა ტარდება რეგულარულად ჩვეულებრივი კვირეული გრაფიკით 2-3 ჯერ კვირაში, 40-45 წუთიან გაკვეთილებად.

ცხრილში პირველი გაკვეთილები არის თეორიული, შემდეგ მოდის ხელოვნება და ბოლოს პრაქტიკული გაკვეთილები (ხელგარჯილობა, შრომა, სოციალური ადაპტაცია).

ინტელექტუალური სფეროს განვითარებას, ცოდნის მიღებას, სასწავლო უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს:

სწავლების ადაპტირებული და ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს განვითარების ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ თავისებურებებს;

თვალსაჩინო (სურათხატებით) სწავლება;

სწავლების სპეციალური მეთოდიკა;

კორექციულ-თერაპიული მუშაობა;

განვითარების დინამიკაზე მუდმივი დაკვირვება და სასწავლო და თერაპიული პროგრამების შესაბამისი კორექტირება.

## 5.4 ძირითადი გაკვეთილის სტრუქტურა

ძირითადი გაკვეთილის სტრუქტურა შედგება რამდენიმე შემადგენლისაგან:

- რიტმული ნაწილი
- ძირითადი ნაწილი
- თხრობა

ადამიანის თავის ტვინის თანამედროვე კვლევებმა ცხად-ყო რამდენად მნიშვნელოვანია სენსომოტორიკის სრულფასოვანი ჩამოყალიბება ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის, კითხვის, წერის, თვლის უნარების დაუფლებისათვის, ყველა შემეცნებითი პროცესისათვის. სამკურნალო პედაგოგიკის ამოცანას წარმოადგენს მოტორული და სენსორული შესაძლებლობების მომწიფებასა და განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც არასაკმარისად არის განვითარებული სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მოსწავლეებში. განსავითარებელ სფეროებში მოიაზრება შეგრძნების, წონასწორობის, მოძრაობის გრძნობები; განსაკუთრებულად დგას მეტყველების დარღვევის პრობლემა.

მთავარი გაკვეთილის დაწყება რიტმული ნაწილით ხელს უწყობს ამ გრძნობების განვითარებას. ფლეიტაზე დაკვრა, სიმღერა, პრაქტიკული სავარჯიშოები:კლასში ბავშვები ხტუნაობენ, აბაკუნებენ, დადიან, ტაშს უკრავენ გარკვეულ რიტმში, რომელიც განსხვავებულია ყოველ კლასში და შეესაბამება მათ ასაკს. მეტყველების განვითარებისათვის, ასაკის გათვალისწინებით, მეცადინეობენ სხვადასხვა სამეტყველო სავარჯიშოებით. სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში შემოდის აგრეთვე თერაპიული სავარჯიშოები შეგრძნების, წონასწორობის გრძნობის, მოძრაობის კოორდინაციის გავითარებისათვის. რიტმულ ნაწილზე გამოყოფილი დრო და მისი შინაარსი იცვლება ასაკის შესაბამისად. დაბალ კლასებში გაკვეთილის ამ ნაწილს ეთმობა 20-25 წუთი და იგი უფრო მეტ მოძრაობას მოიცავს, ხოლო უფროს კლასებში რიტმული ნაწილის ხანგრძლივობა დადის 15 წუთამდე და აქ უფრო დიდი აქცენტი კეთდება მეტყველების განვითარებაზე.

ძირითადი ნაწილი

გაკვეთილის ამ ნაწილში ხორციელდება უშუალოდ საგნის სწავლება. ერთვება მუშობის ყველა სახეობა: მასწავლებლის ახსნა, მუშაობა დაფასთან და რვეულში, გადმოწერა და გადმოხატვა დაფიდან. მასალის გამყარება.

თხრობა

ემპატიის ფორმირებისათვის, მორალური აღზრდისათვის, წარმოდგენის ძალის, სიკეთისა და ბოროტების განსხვავების უნარისა და სოციალური მგრძნობელობისთვის მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს ყვება ისტორიას. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსაყოლი მასალა შეესაბამებოდეს ყოველ კონკრეტულ ასაკს. ასე გადის მოსწავლე გზას ზღაპრიდან, იგავ-არაკიდან, ძველი აღქმის ისტორიებიდან, ლეგენდებიდან, ძველი საბერძნეთის და ძველი რომის მითებიდან და ა.შ. როგორც მსოფლიო კულტურის საწყისი ისტორიის ნაწილს, რომელიც გარკვეულ წილად არის მისი საკუთარი განვითარების სვლა.

მასწავლებლის თხრობის შემდეგ ბავშვები პედაგოგთან ერთად ირჩევენ სიუჟეტს ილუსტრირებისათვის და ხატავენ ამ ისტორიას.

## 5.5 ხელოვნება სკოლაში

სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში ხელოვნებით არის განმსჭვალული მთელი სასკოლო სწავლება. სილამაზის და მხატვრული გამოსახულების პრინციპი არის წამყვანი, დიდაქტიკური პრინციპი, ყველა საგნის სწავლებისას განსაკუთრებით დაწყებით და საბაზო სკოლაში. ეს გამოიხატება სასწავლო საგნების შერჩევაში, მათი სწავლების მეთოდიკაში და სკოლის საერთო ცხოვრებაში.

ფერწერა, ხატვა, მუსიკა და თეატრალური თამაში, გუნდი, ორკესტრი (სადაც ბავშვები მონაწილეობენ თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე) წარმოადგენს საქმიანობის იმ სახეობებს, რომლებიც ერთდროულად ახდენენ სწავლებისა და სავარჯიშოების მიზან მიმართულ პროცესის სტიმულირებას, რომელიც მოქმედებს მთლიანად ადამიანზე, აყალიბებს მას და აკავშირებს სამყაროსთან, საკუთარი სასიხარულო ინიციატივების მეშვეობით.

სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში ფერწერის სწავლებას

პირველიდან ბოლო კლასამდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წინა პლანზე დგას იმ უნარების ფორმირება, რომლებიც ემსახურებიან ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას, მისი ბუნებრივი უნარების გახსნას. ფერწერის გაკვეთილებზე ხატავენ აკვარელის წყლის საღებავებით, რომელთა მეშვეობითაც ბავშვი უკეთ ხედავს როგორ ერევა ერთი ფერი მეორეს, გრძნობს ფერთა შინაგან ჰარმონიას. ფერები ხვდებიან ერთმანეთს, ერევიან ერთმანეთს. კარგად ნაცნობიდან ჩნდება რაღაც ახალი. მზის სინათლისა და წყლის შეხვედრიდან უცბათ ჩნდება მცენარე.

გარკვეული დიაგნოზის მქონე ბავშვებისათვის ეს მეცადინეობები ატარებენ დიდ კორექციულ-თერაპიულ დატვირთვას. მხატვრული მეცადინეობები ისე არის მიმართული, რომ შესრულებულ სამუშაოებს ჰქონდეთ პრაქტიკული გამოყენება. მაგალითად, წინასწარი ნახატის გარეშე, საღებავების გამოყენებით წიგნის ყდის მოხატვა.

მუსიკა ავითარებს ბავშვებს, მათ უყვართ მუსიკა, განიცდიან მას მთელი თავისი არსებით. მუსიკა და სიმღერა თან სდევს ბავშვებს პრაქტიკულად ყველა გაკვეთილზე დაწყებით კლასებში. მუსიკალური მასალა დაკავშირებულია წელიწადის დროებთან, წლის რიტმებთან. გაკვეთილზე გამოიყენება პენტატონიკური ფლეიტა, ქსილოფონი, არფა, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს განიცადონ და შეიგრძნონ სამყაროს ჰარმონია.

სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევრითმიის გაკვეთილს, რომელიც ტარდება ყველა კლასში სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. ევრითმია შეიქმნა რ. შტაინერის მიერ როგორც მოძრაობის ახალი ხელოვნება, როგორც შეთანხმებული გადასვლა მეტყველებისა და მუსიკის შესაბამის ჟესტებსა და მოძრაობაში.

ფორმების ხატვა ჩვეულებრივი სკოლის პროგრამისთვის უცხო საგანია. სწორ და მოხრილ ფორმებზე ვარჯიში, რომელთა განცდაც ჯერ უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მთელი სხეულით (სიარული, სირბილი, ფართო მოძრაობები ხელებით

და ფეხებით), ხოლო შემდეგ ნახატის სახით თითქოს მივყავართ სიმშვიდისკენ, მოითხოვს ბავშვის გაძლიერებულ ხელმძღვანელობას მოძრაობის სფეროში. ამ გაკვეთილზე შეიძლება თითებით შეგრძნება, ფორმის არსის გაგება. ეს არის მოქმედების მეშვეობით არსებითის გაგება. გარდა ამისა, ფორმების ხატვა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წერის შესწავლისათვის და განიხილება როგორც მისი წინა საფეხური.

წერის სწავლება მიმდინარეობს მხატვრული ქმედებების მეშვეობით. პირველ კლასში ბავშვებს არ აჩვენებენ ნიშანს მისი დამახსოვრების მოთხოვნით. ასოს გაცნობას წინ უძღვის პედაგოგის მიერ მოყოლილი ისტორია. შემდეგ დაფაზე იხატება ამ ისტორიის ერთ-ერთი სიტუაცია, ბავშვები იხატავენ მას და ამ სურათიდან ხდება რამდენიმე შტრიხის მეშვეობით ასოს მონახაზის ამოყვანა. შემდგომში ასო იქნება გამოყენებული ნახატისგან დამოუკიდებლად, აბსტრაქტულად. აღწერილი ხერხი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას არა მარტო შემეცნებითი ძალები, არამედ გრძნობისა და ნების ძალებიც.

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სათამაშო და თოჯინების თეატრს. თეატრის ორივე სახე თერაპევტიულია.

## 5.6 პრაქტიკული მეცადინეობები

სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის სასწავლო გეგმაში, როგორც პროგრამის სრულფასოვანი შემადგენლები, შეტანილია ხელგარჯილობისა და ხელოსნობის სხვადასხვა სახეობები მუშაობა ქსოვილზე, ხეზე, მატყლით, ძაფით ქსოვა, მოზაიკის დაწყობა, მძივებით მუშობა. ყველა ეს გაკვეთილი არა მარტო სასწავლო ხასიათისაა და ამზადებს მოსწავლეს მოზრდილი ცხოვრებისათვის, არამედ ატარებს თერაპიულ დატვირთვას: მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განვითარება, შეგრძნების განვითარება, ნების განვითარება (უნარი დაიწყოს და დაასრულოს სამუშაო), ფერის გრძნობის განვითარება, მშვენიერების გრძნობის განვითარება.

გარდა ამისა, ბუნებრივი მასალებით მუშაობით, სხვადასხვა საქმიანობაში მონაწილეობით სადაც ეს მასალები გამოიყენება, მოსწავლე შეიმეცნებს ბუნებრივი ელემენტების ხარისხობრივ თავისებურებებს.

## 5.7 სოციალური ადაპტაციის გაკვეთილები

ტიპიური განვითარების ბავშვებისაგან განსხვავებით სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მოსწავლეებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად გამოყონ და აითვისონ სოციალური და ყოფითი ამოცანების გადაწყვეტის ნიმუშები, რაც განაპირობებს სკოლის პროგრამაში ისეთი საგნის შეტანას, როგორიცაა „სოციალური ორიენტაცია" (სოციალურ-ყოფითი ორიენტაცია).

სწავლება ხორციელდება პირველი კლასიდან სკოლაში ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე. ამ საგნის მიზანია ბავშვების მომზადება მაქსიმალური დამოუკიდებლობისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათში ცოდნის, უნარ-ჩვევების აუცილებელი მარაგის ფორმირება. შემდეგ სფეროებში: პირადი ჰიგიენა, კვების ორგანიზაცია, საცხოვრებლის მოვლა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება, უსაფრთხოება, ფინანსების გადანაწილება და ბიუჯეტის დაგეგმვა. გარდა ამისა ხდება ვაჭრობის, სამედიცინო დახმარების დაწესებულებების, ტრანსპორტის გაცნობა. ბავშვები სწავლობენ საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესებს, ქუჩაში უსაფრთხოდ გადაადგილებას და ა.შ.

პროგრამა იგება ოთხი ძირითადი პრინციპით:

- კონცენტრული პრინციპით (მარტივიდან რთულისკენ);
- სამეცნიერო პრინციპით (შესაბამისობა ობიექტურ ფაქტებთან, კანონებთან);
- ხელმისაწვდომობის პრინციპი (რაც აყალიბებს პოზიტიურბას, საკუთარ ძალებში დარწმუნებულობას, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზაობას);

- თვალსაჩინოდ სწავლების პრინციპი (სხვადასხვა თვალსაჩინო საშუალებების გამოყენება).

სწავლების თვალსაჩინო საშუალებები შეიძლება იყოს როგორც ნატურალური საგნები, აგრეთვე მაკეტები. აქტიურად გამოიყენება ეგრეთ წოდებული „სოციალური ისტორიები“, მომცრო ალბომები, სადაც ეტაპობრივად ხდება გარკვეული ქმედებების ილუსტრირება.

## 5.8 რიტმები და მათი მნიშვნელობა

სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში ცხოვრება მიმდინარეობს დღის, კვირის, თვისა და წლის რიტმების შესაბამისად. „რიტმი ჯანმრთელობის მატარებელია“ (რ.შტაინერი), ისევე როგორც ყველა ცხოვრებისეული პროცესი. ძნელია შეფასდეს რიტმის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში და მის გარემომცველ სამყაროში. ადამიანი ამ რიტმებით იბადება. განვითარებაში ამა თუ იმ პრობლემის მქონე ბავშვებისათვის ცხოვრებას რიტმებთან შესაბამისობაში აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. რაც უფრო რიტმულია ბავშვის ცხოვრება, მით უფრო ჯანსაღად მიმდინარეობს მისი განვითარება. მისი შინაგანი რიტმები ხშირად არაა დაბალანსებული, მაგრამ მისი დახმარება შეუძლია გარეგან რიტმებში ორგანიზებულ ცხოვრებას. ამიტომ სამკურნალო-პედაგოგოგიური სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას დღიური, კვირეული, თვიური, წლიური რიტმები.

დღის, კვირის, თვის, წლის ჯანსაღ რიტმულ მიმდინარეობას, გარემოს სწორ გაფორმებას აქვს განსაკუთრებული ზეგავლენა როგორც სულიერ მდგომარეობაზე, ასევე ფიზიკურ ორგანიზაციაზე და  მოქმედებს არა მარტო კეთილგანწყობილად განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებზე არა მარტო კეთილგანწყობილად, არამედ სამკურნალოდაც. არაფერი არ ხდება გაუთვალისწინებელი, არ ხდება სხვადასხვა სახის საქმიანო-

ბის ქაოტური ცვლა, რაც აყენებს ტრამვას ფსიქიკას. რიტმი ეხმარება ბავშვს ადვილად გადავიდეს საქმიანობიდან საქმიანობაზე, აღვივებს მასში დარწმუნებულობისა და დაცულობის გრძნობას. ის იძენს მდგრადობისა და თანმიმდევრულობის გამოცდილებას, მომავალი ხდება წარმოსადგენი და გასაგები, რაც ხელს უწყობს გაუმკლავდეს ახალისა და უცნობის მიმართ შიშის გრძნობას.

## 5.9 შეფასება

ვალდორფის პედაგოგიკაში მოსწავლის ნამუშევარი და მიღწევები წლის განმავლობაში არ ფასდება ქულებით. „აკადემიური მოსწრების“ ცნება (მიღწევების დონე) და „შეჯიბრი“ არ წამოადგენს პრიორიტეტს. სამუშაოს შეფასებისას პედაგოგი მოკლედ აღწერს იმას, თუ რა შეძლო მოსწავლემ, რისი მიღწევა მოახერხა მან, რაშია შესრულებული სამუშაოს ნაკლი და ა.შ., ხოლო წლიურ გაფართოებულ პედაგოგიურ შეფასებაში, პირიქით, მოცემულია გაფართოებული დახასიათება, სადაც მითითებულია როგორ გამოიჩინა თავი მოსწავლემ სხვადასხვა საგნებში, საუბარია მის ზრდაზე და ჩამოყალიბებაზე, როგორ გაართვა თავი ამა თუ იმ დავალების შესრულებას, როგორი იყო და როგორ შეიცვალა მისი ქცევა გაკვეთილებზე, მისი ყურადღება.

სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში შეფასების ასეთი სისტემა გაცილებით უფრო შედეგიანია, ვიდრე შეფასება ქულებით. მაგალითად როგორ შეიძლება შეფასდეს ცერებრალური დამბლის მქონე მოსწავლე წერაში, ან არა მოლაპარაკე ბავშვი ზეპირ მეტყველებაში.

ბუნებრივია რომ სკოლაში არსებობს ქულებით შეფასების სისტემა და მოსწავლე, რომელიც სხვა სკოლაში გადადის იღებს ატესტაციას ჩვეულებრივი ქულების შკალით. ქულებით მოსწავლის შეფასება ხდება ასევე წლის ბოლოს, მომდევნო კლასში გადასვლის დროს.

## 5.10 დღესასწაულები სკოლაში

სკოლაში დღესასწაულები დაკავშირებულია წელიწადის რიტმებთან, წლის დროებთან და ზოგიერთ ქრისტიანულ რელიგიურ დღესასწაულთან. ისინი ტარდება რეგულარულად, წლიდან წლამდე. სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მოსწავლეებს ხშირად უჭირთ წელიწადის დროების და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრა. წელიწადის დროების დღესასწაულები ტარდება თავისი ყველა ნიშნის გათვალისწინებით – შემოდგომის (მთავარანგელოზ მიქაელის, მოსავლის ზეიმი, ჩირაღდნების ნოემბრის ზეიმი, საქართველოში წმ. გიორგის დღესასწაული), ზამთრის (საახალწლო, საშობაო, თებერვლის ფესტივალი), გაზაფხულის – ბუნების გაღვიძება, სააღდგომო დღესასწაულისთვის მზადება (თითქოსდა უსიცოცხლო ბოლქვების, ლობიოს, ხორბლის მარცვლების ჩარგვა და დაკვირვება მათ გამოცოცხლებაზე და გაზრდაზე), სააღდგომო ნამცხვრების ცხობა და სხვ. წლიდან წლამდე ერთსა იმავე დროს ჩატარებული დღესასწაულები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჰქონდეთ ორიენტირება წელიწადის დროებზე, დაიმახსოვრონ მათი თანმიმდევრობა და თავისებურებები, შეგნებულად განვლონ წლის ყველა დრო. ასეთი სახით წარმოდგენილი წლის რიტმი უმყარებს მოსწავლეებს დარწმუნებულობას რომ სამყარო გასაგები და პროგნოზირებადია.

მოცემული სტატიის ჩარჩოები არ იძლევა სამკურნალო პედაგოგიკის სიღრმისეულად და სრულად წარმოჩენის, ყველა მისი ასპექტის და ყველა შემადგენელის, მიდგომების და სულიერი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების სწორი განვითარების მნიშვნელობის ამომწურავად გახსნის საშუალებას, მაგრამ ის ასახავს სამკურნალო პედაგოგიკისა და სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის მნიშვნელოვან ასპექტებს და აყალიბებს მიზნებს, ამოცანებს და შეხედულებებს ბავშვის არსის შესახებ და ხაზს უსვამს მისი მთლიანობაში განვითარების მნიშვნელობას აზროვნებაში, გრძნობასა და ნებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


Антология. (2003). Вальдорфская педагогика М. (Авторы: Пинский А.А., Загвоздкин В.К. , Ловягин С.А. Издательство: М.: Просвещение ,2003. - 494 с. 1 /Под ред. А. А. Пинского.)

Валеева Р.А. (1997). Теория и практикагуманистическоговоспитания в европейскойпедагогике (перваяполовина XX века).-Казань: КГПУ, 1997. – 172

Карл Кенинг. (2001). Лечебно-педагогическая диагностика Ч. Антропософский центр социальной терапии

Karl König. (1981). Soziale Arbeit und Heilpädagogik. Natura, Zeitschrift zur Erweiterung Heilkunst.

Karl König. (1965). Vom Sinn und Wert heilpädagogischer Arbeit.

Karl König. (1971). Sinnesentwicklung und Leiberfahrung.

Рудольф Штайнер. (1996). Искусствовоспитания. Методика и дидактика.М.

Рудольф Штайнер. (1914). Общееучение о человекекакосновепедагогики. М., М.

Рудольф Штайнер. (2015). Курс лекций по Лечебной педагогике. К. Издательство «Наири», Киев, ISBN 978-617-7314-00-3

ბენეფიციარების ნამუშევრები









# თავი 6:

# სოციალური თერაპიის არსი და მიდგომები საცხოვრებელ ერთობაში – საცხოვრებელი ერთობა „ქედელის“ მაგალითზე



ავტორი: ლალი ხანდოლიშვილი

## 6.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულების ისტორია

მოკლედ მიმოვიხილოთ შშმპ-თა მიმართ დამოკიდებულების ისტორია ბოლო წლების განმავლობაში: თუ გასული საუკუნეების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიაკუთვნებდნენ ადამიანებს, რომლებიც სიბრალულს იწვევდნენ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მათ მიმართ დამოკიდებულება და მიმღეობა საგრძნობლად (შეიძლება ითქვას რადიკალურადაც) შეიცვალა. ამჟამად, ადამიანები განსაკუთრებული საჭიროებებით (შშმ-პირები), საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ხდებიან. თავდაპირველად მიდგომა ისეთი გახლდათ, რომ მათ სჭირდებოდათ დახმარება, რადგან ჰქონდათ დარღვევები. უფრო

მოგვიანებით, მათ განიხილავდნენ განსხვავებულ ადამიანებად. ამჟამად, საუბარია იმაზე, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, რომელთან მიმართებაშიც ხაზი უნდა გაესვას არა მათ განსხვავებულობას, არამედ არასრულფასოვან გარემოს, რომელიც შშმ პირებს უქმნის ბარიერებს მათი პიროვნების სრულფასოვანი გაშლისა და გამომჟღავნებისათვის. ამდენად, „შეზღუდვა" მიეკუთვნება არა პერსონას, არამედ გარემოს.

## 6.2 სოციალური თერაპიის არსი და მიდგომები

დღეს შშმ პირებს ვხედავთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ისინი სწავლობენ, თამაშობენ სპექტაკლებს, მუშაობენ, მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ აქტივობებში, ცხოვრობენ დამოუკიდებლად, განაგებენ თავის შემოსავლებს, მოგზაურობენ და ა.შ. მათი შესაძლებლობები სულ უფრო და უფრო იზრდება. ამისთვის, მათ უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომელშიც მათ შეეძლებათ სრულფასოვანი ცხოვრება, შრომა და განვითარება. არ უნდა გვეგონოს, რომ ჩვენ უკეთ ვიცით, თუ რა უნდათ მათ, არამედ მათი სრული ჩართულობით უნდა შევუქმნათ იმგვარი პირობები, რომელშიც ისინი შეძლებენ აირჩიონ დამოუკიდებელი განვითარების გზა. ეს გახლავთ სოციალური ასპექტი.

მაგრამ მხოლოდ სოციალური ასპექტი არ არის საკმარისი. უმნიშვნელოვანესია პიროვნული ასპექტის გამოყოფა. აუცილებელია შშმპ-ის პიროვნების ღრმა შრეებში წვდომა: თუ როგორია მათი კონსტიტუციური ძალები, როგორია მათი უნარები, მისწრაფებები, როგორია მათი ინდივიდუალური ბიოგრაფია, საიდან მოდიან და საით სურთ სვლა. შშმ პირის პერსონალური სისუსტეები არის წონასწორობის დისბალანსი, რომელსაც ის დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. და სწორედ მათთან მომუშავე პირების როლი, როგორც თერაპევტების (მათი თანმხლებების) იმაშია, რომ დაეხმაროს წონასწორობის აღდგენაში.

თითოეული ადამიანის ინდივიდუალური მონაცემები (მასშტაბები) განსხვავებული და სხვადასხვაგვარია. ამიტომ ე.წ. „ნორმას“ კი არ უნდა გამოვედევნოთ, არამედ უნდა ვიპოვოთ პიროვნების (ამ შემთხვევაში შშმ პირის) ინდივიდუალური შუახაზი, რომლის დროსაც ის შეძლებს თავისი თავის გამოვლენას. შესაბამისად, ძალზე ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ და აკურატულად უნდა მოვსინჯოთ, თუ რაში სჭირდება დახმარება, როგორ (რა ხერხით) დავეხმაროთ და რა შედეგზე გვსურს გასვლა.

შანსი, ადამიანის განვითარებისა შეიძლება განისაზღვროს როგორც ბედნიერება იმისა, რომ ჩვენ არ ვართ სრულყოფილები და უნდა ვისწრაფვოდეთ მეტი სრულყოფილებისაკენ. ამოსავალი პუნქტი არის ჩვენი არასრულფასოვნება, რომლიდანაც უნდა გავემართოთ სრულყოფილებისაკენ.

განვითარება – ეს არის საკუთარი ნორმის გაზომვა, საკუთარი მაშტაბურობის გაზრდა, ცხოვრებისეული სიტუაციების შეფასება, ქმედება, გადაწყვეტილების მიღება. ეს ყოველივე ზრდის ჩვენს ადამიანურ მე-ს, ამწიფებს ადამიანს, აძლევს მას განვითარების შესაძლებლობას.

ადამიანს აქვს ინდივიდუალური ბედი დროსა და სივრცეში (სოციალურ), ამიტომ უნდა ვეძიოთ ის დეფიციტი, რასაც განიცდის ადამიანი და უნდა ვეცადოთ შეავავსოთ ეს დეფიციტი/ნაკლოვანება.

ზრუნვა ერთმანეთზე, ხანდაზმულებზე, ობლებზე, ფიზიკური და სულიერი დარღვევების მქონე ადამიანებზე, ლტოლვილებზე, ემიგრანტებზე, სასოწარკვეთილებზე, გაჭირვებაში, თუ ძალადობის ქვეშ მყოფ ადამიანებზე -არის ყველაზე ღირებული ჩვენი ცხოვრებისა და აქტივაციის მანძილზე.

## 6.3 სოციალური თერაპიის მიზანი

სოციალური თერაპიის მიზანი გახლავთ ადამიანის ღირსების შესაბამისი გარემოს შექმნა, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელიც მას გააჩნია, რომელშიც ის შესძლებს საკუთარი

შესაძლებლობების გამოვლენას და განვითარებას საკუთარი და საზოგადოების წინსვლისათვის. მოახერხოს ღირსეული ცხოვრება, შრომა, ინტერესების დაკმაყოფილება, ჰქონდეს სოციალური წრე.

სოციალური თერაპიის მთავარი ხერხი არის ურთიერთობა. ისმის კითხვა, როგორ განვავითარო ჩემში ურთიერთობების უნარი? ურთიერთობების უნარების გამოსამუშავებელ ტექნიკებს შორის განვიხილოთ ერთ-ერთი აღიარებული და ეფექტური ტექნიკა, რომელიც დამუშავებული და შემოთავაზებულია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლის კარლ როჯერსის მიერ. როჯერსი აღნიშნავს შემდეგ თვისებებს, რომლებიც უნდა განივითაროს სპეციალისტმა, ესენია:

ემპათია – საკუთარი თავის ჩანერგვა მეორე ადამიანში ისე, რომ განიმსჭვალო მისით და ამავ დროს მასში არ გაიდღვიბო. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს იმას, რომ განიმსჭვალო შშმ პირის სიტუაციით (მდგომარეობით) ისე, თითქოს ეს ჩემი სიტუაციაა. ამ მდგომარეობის მიღწევის შემდეგ სპეციალისტმა უნდა მოახერხოს ისევ დისტანციაზე გასვლა და ობიექტური, კონკრეტული ქმედებების განხორციელება.

ღირებულებების თავისებურებები – მე (ამ შემთხვევაში სპეციალისტი-თერაპევტი) არ ვსჯი ადამიანს, არ ვაფასებ მას, არამედ ვიღებ ადამიანს ისეთად, როგორიც ის არის.

თანხვედრა/თანაგანცდა – ურთიერთობებში ვცდილობ ვიყო ისეთი, როგორიც ვარ და არ შევდივარ ამა თუ იმ როლში.

სოციალური ეთიკის მიზანი – სოციალური თერაპიას განმაკურნებელი ზემოქმედება აქვს მაშინ, როდესაც ადამიანში აირეკლება მთელი ერთობა. ის ერთობიდან ქმნის სურათ-ხატს (აირეკლავს ერთობას). და თუ ადამიანი ერთობაში დებს თავის ძალებს, ის ერთობიდანაც მიიღებს ძალებს.

## 6.4 სათემო ორგანიზაციის არსი, მომსახურება, თანაცხოვრების ძირითადი პრინციპები

ა) სათემო ორგანიზაციის არსი

პირველ რიგში, მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა არის თემი და სათემო ორგანიზაცია.

ტერმინი „თემი" გახლავთ შესატყვისი ინგლისური სიტყვისა „Community", რაც პირდაპირი თარგმანით ნიშნავს ერთობას, საზოგადოებას.

თემი გახლავთ პირადი კავშირების, სხვადასხვა დაჯგუფებების, ტრადიციებისა და ქცევის ფორმების ქსელი, რომელიც კონკრეტულ ფიზიკურ ადგილსამყოფელსა და სოციოეკონომიკურ გარემოში ჰპოვებს განვითარებას.

თემის განვითარება სოციალური ცვლილებების პროცესია, რომელიც მომდინარეობს კონკრეტულ საცხოვრებელ გარემოში მცხოვრებთა გამოცდილებისა და საჭიროებებიდან; მოიცავს თითოეული ინდივიდის ღირსებათა, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოვლენასა და მობილიზებას; უპირატესობას ანიჭებს კოლექტიურ ქმედებას, როგორც პიროვნული ზრდისა და სოციალური განვითარების ყველაზე დინამიურ გზას; უზრუნველყოფს ხალხის კონტროლსა და ჩართულობას იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

თემის განვითარების საბოლოო ეფექტი თემის მაცხოვრებლებში საკუთარი ძალების რწმენის გაღვივება და გარკვეული ცოდნისა და უნარების განვითარებაა, რასაც საბოლოო ჯამში საერთო საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებამდე მივყევართ.

სათემო ორგანიზაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი სახე გახლავთ და იგივე იურიდიული სტატუსი აქვს, რაც საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საქართველოს პრაქტიკაში გვაქვს ე.წ. თემატური სათემო ორგანიზაციები, როგორებიცაა შშმ პირებზე, დევნილებზე, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე მომუშავე ორგანიზაციები და სხვა.

საქართველოში სათემო ორგანიზაციის სახეს განსაზღვრავს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც სოციალური პროგრამის ფარგლებში ეწევა სერვისის მხარდაჭერას და დაფინანსებას. პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის დადგენილება № 138-ს, რომელიც დამტკიცებული იქნა 2015 წლის 30 მარტს[7]. ამ დადგენილებით განისაზღვრა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამა", რომელშიც სხვა მომსახურებებთან ერთად გაწერილია სათემო მომსახურების სტანდარტები. პროგრამის მიხედვით:

აღნიშნული პროგრამით, სათემო ორგანიზაცია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შექმნილი ოპტიმალური გარემო, რომელიც ემსახურება მათ ინდივიდუალურ განვითარებას და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას. სათემო ორგანიზაციის სახეს წარმოადგენს ასევე ხანდაზმულ მოხუცებულთა თავშესაფარები.

სათემო ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ორ მიზნობრივ ჯგუფს:

- 18 წლის და უფროსი ასაკის შშმ პირებს, ასევე მათი 18 წლამდე ასაკის შვილებს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.
- ხანდაზმულებს (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან).

ბ) რა მომსახურებას უწევს სათემო ორგანიზაცია ბენეფიციარს?

- საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსახურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი;
- საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, ამბულატორიული და სტაციონალური სამედი-

[7] დადგენილება №138 – სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2791238?publication=0

ცინო მომსახურების მიღების ორგანიზებას;

- დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური მომსახურების პროგრამების პროგრამის შედგენას და განხორციელებას;
- პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას (ბენეფიციარის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით – ხელობის შერჩევა, სწავლება და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა);
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას.

თემი „ქედელის" ინიციატორების წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები:

სადღეღამისო ერთობის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (28 გონებრივი და ფსიქიკური პრობლემების მქონე ზრდასრული შშმ პირი), რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუციების დახურვის შემდეგ გადმოყვანილნი იქნენ „ქედელში", ასევე ბენეფიციარები „პირველი ნაბიჯიდან", რომლებმაც მიაღწიეს ზრდასრულ ასაკს;

სახცოვრებელი ერთობის ცხოვრების წესი (ფუნქციონირების) განისაზღვრა, როგორც უსაფრთხო და მრავალფეროვანი საცხოვრებელი გარემოს შექმნა:

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე აქცენტირებული საქმიანობების გამოყოფა და რიტმულად განაწილება;
- სახელოსნოების ორგანიზება/ აღჭურვა, წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროცესების უზრუნველსაყოფად;
- კულტურულ/განმავითარებელი ღონისძიებების შერჩევა/ განსაზღვრა (ჯგუფური და ინდივიდუალური) და მათი რიტმულად გადანაწილება;

- თემი „ქედელის“ ცნობადობის გაზრდა;
- გარემოში ინტეგრაცია;
- საზოგადოების მხრიდან მიმღეობის ზრდა და სტიგმის შემცირება;
- ინკლუზიური ღონისძიებების განხორციელება (ერთობლივი ღონისძიებები რეგიონში ფუნქციონირებადი სკოლა/ბაღების ბავშვებთან ერთად);
- სოციალური შეჭიდულობის უზრუნველყოფა;
- სახლის წევრების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა.

სათემო ორგანიზაციის სახეს, სტრუქტურას, ფუნქციონირებას (პროცესების მიმდინარეობას) განვიხილავთ თემი „ქედელის“ მაგალითზე

## 6.5 ერთობის საცხოვრებელი რიტმი და რიტმულობა, როგორც თერაპიული ზემოქმედების წარმატების საშუალება (წლის, სეზონის, თვის, კვირის რიტმები; ინდივიდუალური და ერთობლივი რიტმი)

ა) რიტმის არსი

რიტმი არის თანაზომადობა, სიმწყობრე; თანაზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა (ბგერების, მოძრაობების, საქმიანობების და სხვა).

თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ თავად ჩვენი პლანეტა-დედამიწა ემორჩილება რიტმულობას და შესაბამისად ჩვენი ცხოვრება და ყოველი დღე რიტმის კანონებით არის შემოსაზღვრული. მათ შორის: წლის რიტმი; სეზონური რიტმი; დღე-ღამის რიტმი. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უმნიშვნელოვანესია ადამიანის ბიოლოგიურ/ფიზიოლოგიური რიტმები: ძილ-ღვიძილის რიტმი; გულის ცემა; ჩასუნთქვა / ამოსუნთქვა, საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობისა თუ სეკრეციის რიტმები და სხვა. ჩვენ გაცნობიერებულად, თუ გაუცნობიერებლად მივყვებით ზემოთ აღნიშნულ რიტმებს და მთელ

ჩვენს ცხოვრებას ვაქცევთ  სხვადასხვა რიტმულ ბადეეში. ადამიანის ცხოვრება მრავალფეროვანია, მაგრამ ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და საქმიანი სფერო (კერძოდ, ინდივიდუალური და ჯგუფური თანაცხოვრების სფეროები). რადგან საცხოვრებელი ერთობა მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს საოჯახო ცხოვრების ტიპთან, ამდენად სათემო ორგანიზაციის რიტმი, თავისი არსით უნდა იმეორებდეს ჩვენს ყოველდღიურობას, განსაკუთრებულ შემთხვევებს, დღესასწაულებსა თუ დასვენებას.

რიტმი ის ბადეა, რომელიც იძლევა მოქმედებების (საქმიანობების) სიცხადეს, დროის შეგრძნებას (გარკვეულ დროში, განსაზღვრული საქმიანობის კეთებას), სტაბილურობის შეგრძნებას, მოვლენებისათვის თვალის მიდევნებას, შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში კორექტურების შეტანას, შედეგების თვალხილულობას და ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას.

რიტმის თერაპიული ზემოქმედება მდგომარეობს სიცხადესა და გამეორების შესაძლებლობაში. რაც უფრო დაწვრილებით არის გაწერილი ესა თუ ის საქმიანობა კონკრეტულ დღესა და საათზე, მით უფრო მეტია შანსი მასში ჩართულობისა. გარდა ამისა, რიტმულად განმეორებადი ღონისძიებები საშუალებას აძლევს მონაწილეებს (შშმ პირებს), უკეთ გააცნობიერონ საქმიანობა, თავისი როლი ამ საქმიანობაში, სხვათა წვლილი, გაუჯდეთ ახლად შესწავლილი საქმიანობები, მოხდეს უნარ/ჩვევების ჩამოყალიბება და ამ კუთხით მეტი დამოუკიდებლობის შეძენა.

განვიხილოთ რიტმები თემი ,,ქედელი‘‘-ს  მაგალითზე:

ბ) თემი “ქედელის” დღის რიტმი

დღის რიტმი გაწერილია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით:

- სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ტიპიური ოჯახური ცხოვრების რიტმის შესაბამისად;

- ჰიგიენურ/თერაპიული ღონისძიებების ჩართვით;
- განმავითარებელი ღონისძიებების ჩართვით;
- აქტივობისა და დასვენების მონაცვლეობის რიტმული განაწილებით;
- დღის დაგეგმვისა და შეჯამების თერაპიული ზემოქმედების გაცნობიერებითა და მასში მონაწილეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად;
- თავისუფალი (ინდივიდაულური) დროის გათვალისწინებით, რათა თითოეულს შეეძლოს სურვილისამებრ მისი გამოყენება.

თემი „ქედელი"-ს დღის რიტმი

| | |
|---|---|
| 08:00 – 08:30 | ადგომა, დილის ჰიგიენური პროცედურები |
| 08:30 – 09:00 | საუზმე |
| 09:00 – 09:30 | სასადილოს დალაგება |
| 09:30 – 09:45 | დილის წრე |
| 10:00 – 11:30 | სამუშაო პროცესი, ინდივიდუალური მუშაობა, განმავითარებელი |
| ღონისძიებები | |
| 11:30 – 12: 00 | პაუზა, მცირე ლანჩი |
| 12:00 – 12:45 | სამუშაო პროცესი, ინდივიდუალური მუშაობა, განმავითარებელი |
| ღონისძიებები | |
| 12:45 – 13:00 | ჰიგიენური პროცედურები |
| 13:00 – 13:45 | სადილი |
| 13:45 – 15:00 | დასვენება |
| 15:00 – 16:00 | სამუშაო პროცესი, ინდივიდუალური მუშაობა, განმავითარებელი |

| ღონისძიებები | |
|---|---|
| 16:00 – 16:30 | პაუზა, სამხარი |
| 16:30 – 17:00 | სამუშაო პროცესი – დამამთავრებელი სამუშაოები, ინდივიდუალური მუშაობა, განმავითარებელი ღონისძიებები |
| 17:00 – 17:30 | დღის შეჯამება |
| 17:30 – 19:00 | თავისუფალი დრო |
| 19:00 – 19:30 | ვახშამი |
| 20:00 – 21:00 | თავისუფალი დრო |
| 21:00 – 21:30 | ჰიგიენური პროცედურები |
| 21:30 | ძილი |

გ) თემი „ქედელი“-ს სეზონური რიტმი

განვიხილოთ სეზონური რიტმი. რადგან თემ „ქედელ“-ს აქვს სასოფლო/სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ფერმა, სახელობო სახელოსნოები, საცხოვრებელი შენობები და ა.შ., შესაბამისად, მისი საქმიანობებიდან ნაწილი დაკავშირებულია სეზონურობასთან (წელიწადის დროების ცვლილებასთან), დანარჩენი კი ხორციელდება უწყვეტად, მთელი წლის მანძილზე. ამიტომ ერთობის საქმიანობების რიტმი დაყოფილია 2 სეზონად:

1. გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა;
2. შემოდგომა-ზამთარი-გაზაფხული.

სეზონურ რიტმში ჩანს შემდეგი ასპექტები:

სეზონიების ცვლის საფუძველზე მათი შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელება;

არასეზონური საქმიანობების (სახელოსნოები, საცხოვრებელი გარემო, ჰიგიებისა და კვების) განხორციელება;

დასვენების დღეების, დღესასწაულების აღნიშვნა;

ინტეგრაციული ღონისძიებების განხორციელება;

ექსკურსიები, ბაზრობებისა და აქციების, სტუმრების მიღება და სხვა აქტივობების განხორციელება.

დ) საქმიანობები სეზონების მიხედვით – მარტიის II ნახევრიდან – ნოემბერის I ნახევრამდე

სახელოსნოები და საქმიანობები:

- ბაღი – ეზოს დასუფთავება; საბოსტნე ადგილების მომზადება; ბარვა;

თესვა/დარგვა.

- სათბური – სასათბურე საქმიანობები ზამთრის მარაგის მოგროვება.
- ფერმა – ცხოველების მოვლა, დაპურება, დასუფთავება, თივის მოგროვება.
- ჩირის სახელოსნო – ხილის მოგროვება, გაშრობა.
- საცხობი – პურ/ფუნთუშეულის ცხობა (არასეზონური).
- საქსოვი/თექა – საქსოვი ნაწარმის და მზადება, მცირე ზომის თექის გობელენების, თექის სათამაშოებისა და სასაჩუქრე ნივთების კეთება (არასეზონური).
- სადურგლო – ხის ნაწარმის დამზადება (არასეზონური).

საქმიანობები სეზონების მიხედვით – ნოემბრის II ნახევრიდან – მარტის I ნახევრამდე

სახელოსნოები და საქმიანობები :

- ბაღი – მოსავლის აღება/დაბინავება, ნაკვეთის დასუფთავება და მომზადება შემდეგი ექსპლუატაციისთვის;
- სათბური – სასათბურე საქმიანობები; ზამთრის მარაგის მოგროვება;
- ფერმა – ცხოველების მოვლა, დაპურება, დასუფთავება;
- ჩირის სახელოსნო – ჩირის დაფასოება, დახარისხება;
- საცხობი – პურ/ფუნთუშეულის ცხობა (არასეზონური);
- საქსოვი/თექა – საქსოვი ნაწარმის დამზადება, მცირე ზომის თექის გობელენების, თექის სათამაშოებისა და სასაჩუქრე ნივთების კეთება (არასეზონული );
- სადურგლო – ხის ნაწარმის დამზადება (არასეზონური).

თუ ყურადღებით გავადევნებთ თვალს რიტმში გაწერილ საქმიანობებს და მათში მონაწილე პირთა (შშმ პირთა) ჩართულობას, ვნახავთ, რომ შრომით საქმიანობებს, და მასთან ერთად, ინდივიდუალურ და ჯგუფურ განმავითარებელ ღონისძიებებს დღის მანძილზე უკავია 3,5 სთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თემი „ქედელი“ არის მრავალფუნქციური ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ უხიფათო, მაღალი სტანდარტის სასიცოცხლო გარემოს კი არ სთავაზობს შშმ პირებს, არამედ მას აქცენტი გაკეთებული აქვს თავისი წევრების (შშმ პირების) განვითარებასა და ინდივიდუალურ ზრდაზე, დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებასა და მრავალფეროვან ცხოვრებაზე.

ქვემოთ მაგალითისთვის მოყვანილია წინაპროფესიული უნარების გამომუშავების ის (შრომითი) საქმიანობები და განმავითარებელი ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ყოველდღიური (შესაბამისად კვირის და წლის) რიტმის გეგმის მიხედვით, რათა თვალსაჩინო გახდეს მათი მნიშვნელოვანება „ქედელი“-ს მომსახურებაში.

| |
|---|
| 10:00 – 11:30 სამუშაო პროცესი + ინდივიდუალური მუშაობა + განმავითარებელი ღონისძიებები – 1,5 სთ. |
| 12:00 – 12:45 სამუშაო პროცესი + ინდივიდუალური მუშაობა + განმავითარებელი ღონისძიებები – 0,45 წთ. |
| 15:00 – 16:00 სამუშაო პროცესი + ინდივიდუალური მუშაობა + განმავითარებელი ღონისძიებები – 1 სთ. |
| 16:30 – 17:00 სამუშაო პროცესი + დამამთავრებელი სამუშაოები, ინდივიდუალური მუშაობა, განმავითარებელი ღონისძიებები – 0.30 წთ. |
| სულ: 3, 45 წთ. |

## 6.6 საცხოვრებელი ერთობა, როგორც ოჯახი, რომელიც ზრუნავს თითოეულ წევრზე, ხოლო თითოეული წევრი ზრუნავს ერთობაზე

ოჯახთან მიახლოებული საცხოვრებელი ერთობის მახასიათებლები:

- საცხოვრებელი პერიოდის საქმიანობების რიტმის შედგენა/ განხორციელების უზრუნველყოფა (დღის, კვირის, სეზონის რიტმები), რომელშიც გაწერილია როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საქმიანობები (ინდივიდუალური განვითარების გეგმა და რიტმები);
- ბენეფიციარის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა თვითმოვლისა და საოჯახო საქმიანობების ათვისებისა და ჩართვის კუთხით;
- თავისუფალი დროის ორგანიზება/განხორციელება/თანხლება;
- არდადეგების/დასვენების ორგანიზება/განხორციელება/თანხლება;
- დღესასწაულების ორგანიზების პრინციპი.

საცხოვრებელი ერთობა ეფუძნება ოჯახის ძირითად ფუნქციებს და ქმნის ადამიანის ღირსების და უფლებების შესაბამის გარემოს, რომელშიც მისი წევრები (ზრდასრული შშმ პირები) შესძლებენ საკუთარი პიროვნების, შესაძლებლობების, სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოვლენასა და განვითარებას საკუთარი და საზოგადოების წინსვლისათვის.

რომ განვიხილოთ ოჯახთან მაქსიმალურად მიახლოებული საცხოვრებელი ერთობა, გავიხსენოთ თავად ოჯახის, როგორც სოციალური სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელობა. ოჯახი არის საზოგადოების პირველადი უჯრედი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ბიოლოგიურ აღწარმოებას და გადასცემს თაობიდან თაობას საზოგადოების მიერ დაგროვილ სოციალურ გამოცდილებას და ცოდნას. ოჯახი ფუნქციონირებს სოციალურ-

ბიოლოგიურ, სამეურნეო-ეკონომიკურ, იურიდიულ, ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ კავშირებსა და მიმართებებში. ოჯახში რეალიზირდება ადამიანის ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საწყისები.

ოჯახი ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციას – თავად ოჯახის და მისი წევრების სიცოცხლისუნარიანობის და აქტი-ვობის გამოვლენის უნარს.

საცხოვრებელ ერთობაში ძირითად პრინციპებად აღებუ-ლია შემდეგი მახასიათებლები:

- უხიფათო გარემო;
- ღირსეული ცხოვრების შესაბამისი ფიზიკური გარემო (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ოთახები, სამზარეუ-ლო, ავეჯი, სველი წერტილები, ტანსაცმელი, ჰიგიენა და სხვა);
- მრავალფეროვანი გარემო (მოსასვენებელი ოთახები, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, სახატავი მასალე-ბი და სხვა);
- ერთობლივი თანაცხოვრება;
- ყოფის წარმართვა;
- მორალური, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ერთობა;
- განვითარება და სოციალიზაცია;
- სოციალური წრე: ერთობა და პერსონები;
- ინტერესების დაკმაყოფილება.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები თანაცხოვრების და მუშაობის პროცესში ძირითად ამოცანებად გვევლინება და მათი გათვალისწინებლით ხდება განსახორციელებელი პროცესების (ნაბიჯების) შერჩევა, შეთანხმება და განხორციელება. საცხოვრე-ბელი ერთობის განსაკუთრებული მახასიათებლები შემდეგია:

მიუხედავად იმისა, რომ მომსახურე პერსონალი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაწერს აუცილებელ განსახორციე-ლებელ პროცესებს, პერსონალმა (პასუხისმგებელი პირები) უნ-და მოახდინოს ამ პროცესების შშმ პირებისათვის გაცნობა/გან-

მარტება/აღწერა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაწილე პირთა (შშმ პირების) თანხმობის, ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების უფლების რეალიზაცია.

ეს პროცესი ხდება დაგეგმვის დროს, როდესაც სახელდება თუ ვინ რას აკეთებს დღის (ან კვირის, ან სეზონის) მანძილზე.

დოკუმენტურად აუცილებელია განსახორციელებელი ღონისძიებების გაწერა როგორც თითოეული წევრისათვის, ასევე მცირე ჯგუფებისათვის. პროცესებს უნდა მიეცეს სამოქმედო გეგმის სახე, რომელშიც მითითებული იქნება შემდეგი პარამეტრები:

- საქმიანობის დასახელება;
- ვადები;
- მონაწილე პირები;
- საქმიანობის (საქმიანობების) შესწავლის ეტაპები (იგულისხმება განმავითარებელი პროცესების/ღონისძიებების ჩამონათვალი);
- პასუხისმგებელი პირები.

ვადის გასვლის შემდეგ ჯამდება მიღწეული შედეგები: რა გამოვიდა და რა არა; რამ (ვინ) შეუწყო ხელი და რა (ვინ) იყო ხელისშემშლელი; რეკომენდაციები;  სამომავლოდ, საითკენ წავა მუშაობა (რა უნდა გაკეთდეს უკეთესი შედეგის მისაღწევად).

თუ მიღწეულ იქნა მიზანი, გადავდივართ ახალ ეტაპზე, ანუ ახალი საქმიანობის შერჩევასა და განხორციელებაზე იგივე ნაბიჯებით, როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი.

## 6.7 ბენეფიციარის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა თვითმოვლისა და საოჯახო საქმიანობების ათვისებისა და ჩართვის კუთხით

საცხოვრებელი ნაწილის საქმიანობები, რიტმი, შესაბამისი უნარ/ჩვევების გამომუშავება, ტექნიკურად არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა საქმიანობის (მაგ: შრომითი, მხატვრული, ინ-

დივიდუალური განმავითარებელი და სხვა) სწავლებისა და უნარ/ჩვევების გამომუშავება/განვითარების პროცესებისგან.

ამ შემთხვევაშიც აუცილებელია გავითვალისწინოთ რომ:

- საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო უნარ/ჩვევების გამოსამუშავებლად უპირველეს ყოვლისა კარგად უნდა ვიცნობდეთ ბენეფიციარს: მის ინდივიდუალურ ფსიქო-სოციალურ მონაცემებს, შესაძლებლობებს, სურვილებს;
- საქმიანობა უნდა იყოს კონკრეტული და მცირე მოცულობის;
- საქმიანობა უნდა განხორციელდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, რომ არ მოხდეს გადაჭარბება, ან მობეზრება, ან უარყოფა ბენეფიციარის მხრიდან;
- უნდა იყოს აღწერადი, რომ მოხერხდეს პროცესების მიდევნება და შედეგების ანალიზი;
- უნდა იყოს პერიოდულად განმეორებადი, რათა შეძენლი უნარ/ჩვევები დავიწყებაში არ გადავიდეს.
- საცხოვრებელი ნაწილი ითვალისწინებს ადამიანის ყოფის გაცნობიერებას, გარემოს შემჩნევის, მასში აქტიურ ჩართულობას, ადაპტაციის და დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას.

თუ ზრდასრული ადამიანი უსუსურია ყოფაში, ის საკუთარ თავს ფაქტიურად ვერ ავლენს. მას გაუჭირდება ასევე უფრო ფართო სოციუმთან დაახლოება, ინტეგრაცია და პიროვნული ზრდა. ამდენად უპირველეს ამოცანად დგება ყოველდღიური ყოფითი უნარების გამომუშავება, როგორებიცაა: საკუთარი თავის მოვლა, საოჯახო აქტივობებში ჩართვა, გარემოს მოწესრიგება, ჰიგიენური ნორმების და უსაფრთხოების დაცვა, სხვათა დახმარება და ა.შ.

ფუნქციონალური უნარ/ჩვევები – არის პრაქტიკული, სასარგებლო უნარები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია

განსხვავებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ხშირ შემთხვევაში შშმ ბავშვებს (მოზრდილებს) მიზანმიმართულად უნდა ვასწავლოთ და გამოვუმუშავოთ ეს უნარები, რომელსაც ტიპიური ბავშვები  თავად სწრაფად ითვისებენ გარე სამყაროდან (ახლობლებისგან).

თუ ფუნქციონალური უნარების სწავლება სწორად არის წარმართული, მას საგრძნობი სიკეთე მოაქვს შემდეგი კუთხითაც:

გარშემომყოფები უფრო ნდობით უყურებენ მას;

მცირდება დაცინვის რისკი;

მაღლდება ცხოვრების ხარისხი;

მაღლდება თვითშეფასება და პიროვნული თვითკმაყოფილება;

უფრო იოლად მყარდება სოციალური ურთიერთობები გარშემომყოფებთან;

მაღლდება დამოუკიდებლობის ხარისხი;

იოლდება საზოგადოებრივი ადგილების მონახულება;

ადამიანი უფრო იოლად ფუნქციონირებს განსხვავებულ სიტუაციებში;

ჩნდება მეტი თავისუფალი დრო დასვენებისა და ინტერესების განსახორციელებლად;

ადამიანი თავის თავში ახალ უნარებს აღმოაჩენს;

ხელს უწყობს პროფესიული და სხვა უნარების (მხატვრული, ინდივიდუალური მიდრეკილებები ამა თუ იმ სფეროსადმი:, მაგ: ჰობი და სხვა) განვითარებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე, სწორედ მაშინ, როდესაც ერთობა იწყებს თანაცხოვრებას, სწორედ საყოფაცხოვრებო, ფუნქციონალური უნარების სწავლება/გავარჯიშება იქცევა ხოლმე ერთ-ერთ ძირითად მიზნად.

თემ „ქედელში“ ამჟამად საკმაოდ დიდი ხანია ცხოვრობენ ბენეფიციარები და ამ კუთხით მათთან დიდი სამუშაოა გაწეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმეტეს მათგანს არ ჰქონდა

თვითმოვლის ელემენტარული ჩვევები, არ შეეძლოთ მიენიშნებინათ ტუალეტის საჭიროება (რის გამოც წლობით ატარებდნენ პამპერს), უფრთხოდნენ წყალს და წყლის პროცედურებს, დღეს-დღეობით ისინი ამ კუთხით საკმაოდ წინ წასულები არიან და მათი დახმარება სპეციალისტების მხრიდან რიგ შემთხვევაში მინიმუმამდეა დაყვანილი. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ფიზიკური პრობლემების გამო, ზოგიერთ წევრს არ შეუძლია განახორციელოს თვითმოვლის პროცედურები დამოუკიდებლად. მაგრამ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ასეთი ბენეფიციარები ახმოვანებენ, რომ სჭირდება დახმარება; მაქსიმალურად ეხმარება სპეციალისტს პროცედურების დროს; მადლიერია და გამოხატავს მადლობას; გარე საზოგადოებაში თამამად გადის; შემცირებულია პიროვნული დაძაბულობა რადგან იცის, როგორ შეატყობინოს დამხმარე პერსონალს თავისი საჭიროება და სხვა.

## 6.8 საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქმიანობები და მათში ბენეფიციარების ჩართულობის უზრუნველყოფა

გარდა თვითმოვლისა, ფუნქციონალურ უნარებში შედის ყოფითი სფეროს მთელი სპექტრი, როგორიცაა: გარემოს (საცხოვრებელი ოთახი და საერთო სარგებლობის ტერიტორიები) მოწესრიგება/დალაგება; ნივთების დაბინავება; საყიდლების გაკეთება; სამზარეულოს საქმიანობები (სადილის მომზადება; ჭურჭლის გაშლა/ ალაგება/ დარეცხვა; დაგვა; სველი წესით იატაკის გასუფთავება და სხვა); ნარჩენების მოგროვება; სარეცხის დარეცხვა (სარეცხ მანქანაში); დაუთოება და ა.შ.

თემი „ქედელის“ ბენეფიციარები აქტიურად არიან ჩართულნი ამ საქმიანობებიში და ინდივიდუალური უნარებისა და სურვილის მიხედვით გადანაწილებულნი არიან მათ შესრულებაში.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგი საქმიანობა ხორციელდება მცირე ჯგუფებით, მაგ: 2-3 კაცი ეხმარება მზარეულს საჭმლის

მომზადებაში; ასევე 2-3 კაცი სახლის დალაგებაში (დერეფნები, კიბეები, დასასვენებელი ოთახი და სხვა); ნარჩენების მოგროვება/გატანა და სხვა.

ყველა ამ საქმიანობის ასათვისებლად და განსახორციელებლად „ქედელის“ პერსონალი თვეების (ზოგ შემთხვევაში კი წლების) განმავლობაში ინდივიდუალურად მუშაობდა თითოეულ წევრთან. შედეგი სახეზეა: საცხოვრებელი თემის ყველა წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რა არის ყოფა, რომ უნდა დაიცვას ჰიგიენა, რომ სუფთა და უხიფათო გარემო ქმნის იმ აუცილებელ კომფორტს, რომელშიც ცხოვრება უფრო კომფორტული და სასიკეთოა.

ბენეფიციართა უნარ/ჩვევების და მათი სურვილების შეფასების საფუძველზე დგება ინდივიდუალური განვითარების გეგმები, რომლებშიც საყოფაცხოვრებო უნარ/ჩვევების ათვისების ღონისძიებებს საკმაოდ დიდი წილი უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დაშენდეს პიროვნების განმავითარებელი ყველა სხვა ღონისძიება.

## 6.9 თავისუფალი დროის ორგანიზება/განხორციელება/თანხლება; არდადეგების/ დასვენების ორგანიზება/განხორციელება/თანხლება; დღესასწაულების ორგანიზების პრინციპი

ცნობილია, რომ თავისუფალი დროის ორგანიზება საკმაოდ რთული პროცესია. ადამიანის შრომითი აქტივობას განსაზღვრავს თავად სამუშაოს ტიპი. მუშაობისას არის კონკრეტული ჩარჩო და ადამიანი ჯდება ამ მზა ჩარჩოში. თითქოს მას მზამზარეულად მიწოდებული აქვს გარედან სქემა და არ უწევს ფიქრი დეტალებზე.

რაც შეეხება თავისუფალ დროს, მას არ გააჩნია მკვეთრი კონტური, ჩარჩო და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ის გადღაბნილია.

შშმ პირებთან მუშაობისას ერთ-ერთ რთულ საკითხს სწორედ თავისუფალი დრო წარმოადგენს, რადგან ბენეფიციარებს

უჭირთ თვითორგანიზება, მეტად სუბიექტურია დროის გან-ცდა, არის რისკი ამა თუ საქმიანობაში/პროცესში „ჩაიჭედოს“, არის მავნე ჩვევევბის რისკიც და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინე-ბით, თერაპევტმა/ თანმხლებმა უნდა მოახერხოს ის, რომ გა-მოკვეთოს, თუ რა ინტერესები აქვს საცხოვრებელი ერთობის წევრს (შშმ პირს), რა დროს სჭირდება დასვენება, რა სიხშირით, დროს რა მანძილზე და ბენეფიციართან ერთად კვირის რიტმში უნდა გაწერონ თითოეული ბენეფიციარის ინდივიდუალური დასვენების საათები.

შემდეგ ეტაპზე, თანხლებისას, პასუხისმგებელი პირი ახორციელებს მსუბუქ თანხლებას, რომ დასვენება იყოს ბენე-ფიციარისთვის აღმდგენი და არა გამამძაფრებელი ამა თუ იმ განწყობის, ან მავნე ჩვევისა.

არდადეგების დაგეგმვა, ყველასთვის მეტად საჭირო და სასიამოვნო პროცესია, რომელსაც ბენეფიციარებთან ერთად გეგმავს საცხოვრებელი თემი. „ქედელის“ შემთხვევაში, ისინი (შშმ პირები თერაპევტებთან ერთად) ზაფხულობით მიდიან ზღვაზე დასასვენებლად, ზამთარში კი-ბორჯომში. ცხადია, ბე-ნეფიციარებისთვის ეს დასვენებები დიდი აღმოჩენების წყაროა: ზღვა, კენჭები, ქვიშა, ნიავი, საცურაო კოსტიუმები, ხალხი პლი-აჟზე, ან ბორჯომის ლანდშაფტები, ტყე და სხვა.

ასე რომ, დასვენება უნდა ჩავთვალოთ აღქმა/შეგრძნებე-ბის, შთაბეჭდილებებისა და გარემოსთან (როგორც ფიზიკურ, ასევე სოციალურ სფეროში) ურთიერთობის მეშვეობით პიროვ-ნების ზრდის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და სასარგებლო სა-შუალებად.

ცხადია, ამ განსხვავებულ გარემოშიც ხდება ახალ უნა-რებზე მუშაობა: განსაკუთრებით სენსორული უნარების კუთ-ხით: ფერები, ხმა, სუნი, ნივთიერებები.

შემდეგ, შეჯამების/გახსენების დღიურების ჩანაწერებით ხდება ახალი გამოცდილებისა და უნარების შეფასება.

დღესასწაულების ორგანიზებისას მთავარი პრინციპია არა პომპეზურობა, არამედ სიხარულის, ერთობისა და თანამონაწილეობის პრინციპების განხორციელება.

დღესასწაულები აღნიშვნა მისდევს წლის კალენდარს და სხვადასხვა დანიშნულების ღონისძიებებს მოიცავს, ესენია:

- დაბადების დღეები;
- ოფიციალური და რელიგიური სადღესასწაულო დღეები (ახალი წელი, აღდგომა, შობა და სხვა);
- ერთობის ტრადიციების აღნიშვნა;
- სამეურნეო სეზონური დღესასწაულები: ყურძნის დაკრეფა/დაწურვა, თათარა/ჩურჩხელების ვლება;
- მუნიციპალიტეტის მაშტაბით მიმდინარე დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დღესასწაულების აღნიშვნას წინ უძღვის გრძელი და სერიოზული მუშაობა, რომლის შედეგების პრეზენტაცია სწორედ დღესასწაულებზე ხდება, ესენია:

- სახელოსნოებში დამზადებული ნივთების გამოფენა/ჩვენება/ბაზრობები;
- მხატვრულ/განმავითარებელი მუშაობის შედეგების პრეზენტირება: მუსიკალური კონცერტი, ნახატების და ხელსაქმის გამოფენა, სპექტაკლი, ხელნაკეთი საჩუქრების დამზადება და სხვა.

ამ კუთხით მიმართული აქტივობების შედეგების შეჯამება ხდება როგორც მცირე ჯგუფებში, ასევე თემის სრული შემადგენლობის დროს და ძირითადად სეზონური ხასიათისაა. კეთდება შეჯამების დღიური, ათვალიერენებ ვიზუალურ მასალას: გადაღებული ფოტო-ვიდეოები; ჩაწერილი გამონათქვამები; ემოციების გამოხატვით და ცხადია, მადლობებით ერთმანეთის მიმართ, რადგან დღსასწაულები თუ დასვენება სწორედაც რომ სოციალური აქტია და პარტნიორების გარეშე ის თავის აზრს კარგავს.

## 6.10 შრომა (საქმიანობები) როგორც ზრდასრული ადამიანის განვითარებისა და ინდივიდუალობის გამოვლენის უნივერსალური საშუალება

ა) შრომითი საქმიანობების არსი და მახასიათებლები; შრომითი საქმიანობების შერჩევა

შრომა – გაცნობიერებული, გამიზნული ფიზიკური ან გონებრივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც მატერიალური ან არამატერიალური პროდუქტი იქმნება და რომელიც ადამიანის სულიერი და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ემსახურება.

რიტმი საქმიანობების გარეშე არ არსებობს. ამიტომ უმნიშვნელოვანესია მრავალფეროვანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობების შერჩევა/გამოკვეთა, სწორედ ამ საქმიანობებზე აიგება ერთობის ცხოვრება. ადამიანი საკუთარი თავის გამოვლენას, უნარ-ჩვევებს ახორციელებს საქმიანობების მეშვეობით. საქმიანობა ნიშნავს საქმის კეთებას, შრომას, მუშაობას, მოღვაწეობას ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ქმედების (მოქმედების) ფორმები და შინაარსი განისაზღვრება საზოგადოებრივი მიზნებით, მოთხოვნილებებითა და გამოცდილებით. ქმედების სამი ფორმიდან (თამაში, სწავლა და შრომა), შშმ პირებთან გამოიყენება ყველა ეს ფორმა იმ სიხშირითა და მოცულობით, რაც კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალობით არის ნაკარნახევი (მისი პერსონალური უნარები, მოთხოვნოლებები, ხასიათობრივი თვისებები, ფსიქიკური ფუნქციების სპექტრი, ემოციურობა და სხვა).

შრომითი საქმიანობის მიზნები და ხერხები:

- წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- შრომითი საქმიანობის დაყოფა ოპერაციებად და მათში მონაწილეების ჩართვის უზრუნველყოფა;
- ბენეფიციარებთან მუშაობის/სწავლების სპეციფიკის გაცნობიერება;

- უნარების გამომუშავების პროცესზე დაკვირვება (რა შეუძლია, რა ვერ გამოსდის, როგორ ვასწავლო);
- სწავლების პროცესის მონიტორინგი, ანალიზი/დასკვნა: რა ისწავლა ან ვერ ისწავლა, როგორ აკეთებს, რა არის დასახვეწი, შეძენილი უნარების განმტკიცება;
- ღირსეული, ნამდვილად საჭირო (მოთხოვნადი) პროდუქციის შექმნა;
- პროდუქციის აღწერა, ფასთა დადება, რეკლამა; მომხმარებლამდე მიტანა და რეალიზება;
- პროდუქციის მეშვეობით შშმ პირთა შესაძლებლობების ხაზგასმა.

ბ) საქმიანობების შერჩევის ასპექტები; მრავალფეროვანი საქმიანობები – მრავალმხრივი განვითარების საფუძველი

საქმიანობების განხორციელებისას აუცილებელი პირობაა პიროვნების ქმედება-მოქმედება. კარგად უნდა გავაცნობიეროთ ქმედების ძირითადი მახასიათებელი, რომ ადამიანი და ქმედება განუყოფელია. ქმედებაში იგულისხმება ადამიანის სპეციფიური უნარი გარემოს მიმართ აქტიური დამოკიდებულებისა – პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი შემოქმედებითად ცვლის გარე სამყაროს, რომლის პროცესშიც ის აქტიური სუბიექტი ხდება, ხოლო დასაუფლებელი მოვლენები კი – თავისი მოქმედების ობიექტი. სუბიქტში იგულისხმება – თავად მოქმედი პირი – ადამიანი (ჩვენს შემთხვევაში შშმ პირები). ობიექტში კი იგულისხმება – აქტივობის წყარო, რომელზედაც ხორციელდება მოქმედება. მოქმედების ობიექტი შესაძლოა იყოს ბუნებრივი მასალა (მიწა, ნედლეული...), მეორე ადამიანი (მაგ: კლიენტი, სტუდენტი როგორც სწავლების ობიექტი), ანდა თავად სუბიექტი (თვითგანათლების, სპორტული წვრთნის შემთხვევაში).

საქმიანობების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ 2 ძირითადი ასპექტი:

I. რა შესაძლებლობები და საშუალებები გვაქვს თავად ჩვენ, როგორც მომსახურების მიმწოდებლებს;
II. დაძლევადი იქნება თუ არა ჩვენს მიერ დაგეგმილი და შეთავაზებული ღონისძიებები/პროცესები იმ ინდივიდებისათვის (ჩვენს შემთხვევაში შშმ პირები), ვისათან ერთადაც ვცხოვრობთ და ვსაქმიანობთ.

განვიხილო I ასპექტი – რა შესაძლებლობები და საშუალებები გაგვაჩნია (როგორც იდეის ავტორებს/მომსახურების მიმწოდებლებს) – ამ კუთხით იგულისხმება: ადამიანური რესურსი, კვალიფიკაცია, მეთოდები, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, მასალები, ფიზიკური გარემო, ფინანსური საშუალებები.

II და უმნიშვნელოვანესი ასპექტი გახლავთ – ის პირები (შშმ პირები), ვისთან ერთადაც უნდა ვიმუშაოთ. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია შემდეგი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება: ძირითადი ბიოგრაფიული ეტაპები (მათ მიერ გავლილი ცხოვრების გზა), დიაგნოზები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, პერსონალური თვისებები, ხასიათობრივ-ემოციური სფერო, ჩვევები, სუსტი და ძლიერი მხარეები, მათი მისწრაფებები და სურვილები.

შრომითი საქმიანობები შერჩეული იქნა მატერიალურ/ტექნიკური ბაზისა და ამ ხელობების მცოდნე სპეციალისტებზე დაყრდნობით. აღჭურვილი იქნა სახელოსნოები, დაკომპლექტდა წევრებით და გაწერილი იქნა კვირის და შესაბამისად წლის რიტმში (სამუშაო გეგმებში) საქმიანობების განხორციელების დროისა და მათში ჩართული მონაწილეების მითითებით.

მაგალითი:

მიხეილი – ფერმა, ნარჩენების გატანა .

გიორგი -- ბაღი, საცხობი, სახელოსნო, საცხოვრებელი სახლი.

ხატია -- საცხოვრებელი სახლი, ჩირის სახელოსნო.

მარიამი -- საცხოვრებელი სახლი, საქსოვი. ინდ. მეცადინეობა.
ნინო -- სამზარეულო, საცხობი, საქსოვი, საცხოვრებელი სახლი.
თამუნა -- საცხოვრებელი სახლი, სადურგლო, საქსოვი.
მამედ -- ფერმა, ნარჩენების გატანა, ბაღი.
ლევანი -- საქსოვი სახელოსნო, ჩირის სახელოსნო.
დავითი -- ბაღი, ჩირის სახელოსნო, საცხოვრ. სახლი.
რომა -- სადურგლო, ბაღი, ინდ. მეცადინეობა.
გიორგი -- საქსოვი სახელოსნო, საცხობი, სამზარეულო.
ბექა -- ფერმა, ინდ. მეცადინეობები.
ნათია -- საქსოვი, საცხობი, საცხოვრებელი სახლი.
მარიამი -- საცხოვრებელი სახლი, სამზარეულო.

თემი „ქედელის“ საქმიანობები:

- საცხოვრებელი გარემოს მოწერიგება;
- თვითმომსახურების პროცედურები;
- ეზო-ბაღის სამუშაოები;
- სამზარეულოს საქმიანობები;
- ცხობა (საცხობი სახელოსნო);
- ხილის და მცენარეების შრობა (ჩირის და სამკურნალო მცენარეების შრობა/დაფასოების სახელოსნო);
- სასათბურე საქმიანობები (სათბური);
- მეცხოველეობა (ფერმა);
- ქსოვა/მოთექვა კერვა (საქსოვი/ თექა/კერვის სახელოსნო);
- საყოფაცხოვრებო და სასაჩუქრე ხის ნივთების დამზადება (სადურგლო სახელოსნო);

ინდივიდუალური განვითარების ღონისძიებები: ფსიქიკური უნარების განვითარების კუთხით: აღქმა, მეტყველება, ყურადღების კონცენტრაცია, კომუნიკაცია, ემოციური სფეროს დარეგულირება;

ხელოვნებითი საქმიანობები: მუსიკა/სიმღერა, ხატვა, ძერწვა, მცირე სპექტაკლები, ლიტერატურის კითხვა;

ჯგუფური საქმიანობები: სამაგიდო თამაშები, ბურთით თამაში, მოძრაობების თერაპია;

გარემოში ინტეგრაცია (ბენეფიციართათვის მათი მონაწილეობით საჭირო და სასურველი ნივთების ყიდვა, კონცერტების და გამოფენების მოწყობა; ბაზრობა/აქციების მოწყობა; ერთობლივი ღონისძიებები სკოლა/ბაღთან ერთად და სხვა).

თავდაპირველად, ცხადია, საქმიანობები არ იყო ასეთი მრავალფეროვანი და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მეტი წილი მოდიოდა თვითმოვლისა და საცხოვრებელი ადგილების მოწესრიგების უნარ/ჩვევების განვითარებაზე. შრომითი საქმიანობიდან შერჩეული იყო სადურგლო, საქსოვი და ფერმის საქმიანობები. დროსთან და ადაპტაციასთან ერთად სულ უფრო მეტ სიახლეს ვნერგავდით, ნელა, ფრთხილად და დაკვირვებით.

გ) დაგეგმილი საქმიანობების წარმათვა

შეირჩა კადრი, რომელიც გაუძლვებოდა შერჩეულ საქმიანობებს. დადგინდა საშტატო ერთეულები, გაიწერა შესაბამისი დოკუმენტაცია უფლება/ მოვალეობებით, პასუხისმგებლობებით და საათობრივი დატვირთვით.

თითოეულ თერაპევტს დაევალა სამუშაო გეგმის გაწერა შემდეგი პარამეტრებით:

- საქმიანობის აღწერა;
- საქმიანობის ოპერაციებად დაყოფა;
- საქმიანობის სწავლება ჯუფის წევრებისათვის (ინდივიდუალური და ჯგუფური);
- მცირე პაუზების განსაზღვრა;

საქმიანობით დადგენილი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა:

- წევრების უნარ-ჩვევების აღმოჩენა, განვითარება;

- ახალი უნარების გამომუშავება/განმტკიცება;
- ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის წინსვლა;
- ემოციური ბალანსირება;
- ჯგფური მუშაობის უნარების გამომუშავება;
- ურთიერთდახმარების უნარების გამომუშავება;
- საკუთარი პერსონის მნიშვნელოვანების გაცნობიერება/ზრდა;
- დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა.

ხელობით საქმიანობებში – სახელოსნოებში, ჩართული არის ერთდროულად 3-დან 7 ბენეფიციარამდე (საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე). საყოფაცხოვრებო საქმიანობები უფრო მეტად ინდივიდუალურად ან მცირე 2-3 კაციანი ჯგუფის მიერ ხორციელდება. თვითმომსახურების უნარ-ჩვევების ათვისება ხორციელდება ინდივიდუალურად თერაპევტთან ერთად წყვილში. სასოფლო/სამეურნეო საქმიანობები ხორციელდება სეზონურად, ბენეფიციარების შესაძლებლობებიდან გამომდინარე და მათი სურვილების გათვალისწინებით. განმავითარებელ და მხატვრულ საქმიანობებში ჩართულია ყველა ბენეფიციარი გაწერილი გეგმის მიხედვით. ინტეგრაციულ ღონისძიებებში ჩართულია თემი „ქედელი" სრული შემადგენლობით.

საქმიანობის განხორციელება თავის თავში მოიცავს პერსონის უნარების განვითარების პროცესს. შესაბამისად, სწავლების მიზანია იმ უნარების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედების პროდუქტულობას, ხარისხს და სისწრაფეს.

## 6.11 ჩვევების ფორმირების ეტაპები

მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვევის ფორმები

I. წინასწარი, ანუ მოსამზადებელი ეტაპი:

ამ დროს ხდება ჩვევის ფორმირების პროგრამის შედგენა, განსაზღვრული მოძრაობების კომპონენტებად დაყოფა, ხდება

საცდელი, საორიენტაციო მოძრაობების გამოყოფა. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ჭარბი ინფორმაცია. რაც გულისხმობს, აღწერას, ჩვენებას, ახსნას. დაინტერესებას, მოტივაციის ამაღლებას და სხვა. საორიენტაციო მოძრაობების წყალობით, ინფორმაციის მთელი მასიდან ირჩევა მხოლოდ ისინი, რომლებიც აუცილებელია მოცემული მოძრაობებისათვის.

II. ანალიტიკური ეტაპი:

ამ ეტაპზე სრულდება გამოყოფილი მოძრაობები. ხორციელდება მოძრაობების ძალის სიდიდის და ხანგრძლივობის მგრძნობელობითი ანალიზი. ფორმირდება ცალკეული მოქმედებები, კერძო კავშირები, მაგალითად, მართვის ორგანოსა და ინსტრუმენტებს და მასალას შორის. შემდეგ აღმოცენდება ამ მოქმედებების რიგითობით შესრულების შესაძლებლობა. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია აღქმის ვიწრო მოცულობა (თუ მისცემ გვერდით სიგნალს/გამღიზიანებელს, ამ დროს არ ხდება მისი შემჩნევა).

III. სინთეზური ეტაპი:

მოქმედებების ცალკეული ელემენტები ერთიანდება ერთ მთლიანობაში, იქმნება ერთიანი სენსორული ველი. ამ ეტაპზე მოქმედების რეზულტატია განზოგადებული ხატი, რომელშიც შედის მოძრაობების თანმიმდევრობა – მათი ურთიერთკავშირი – და იერარქია.

IV. ავტომატიზმის ეტაპი:

ამ ეტაპზე ხდება ზედმეტი მოძრაობების და ზედმეტი კუნთური დაჭიმულობის მოხსნა. ყურადღება გადადის მოქმედებების პროცესიდან მოქმედების რეზულტატზე. ეს დაკავშირებულია იმ პროცესთან, როდესაც მოქმედების კონტროლი მხედველობიდან გადადის ცნობიერებასა და კინესთეტიკაზე. ამ ეტაპზე ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ გაცნობიერებულად მოხდეს შესასრულებელი მოქმედებების ტემპის, ხარისხის რეგულირება; ყალიბდება მოძრაობების რიტმი.

როდესაც ვლაპარაკობთ შშმ პირების შრომითი უნარ/ჩვე-

ვების განვითარებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ შრომითი საქმიანობების წარმართვაზე და მათ ოპერაციებად დაყოფაზე, არამედ ჯგუფის სოციალურ ფორმირებაზე, სადაც:

ერთი ავსებს მეორეს თავისი უანრებით;

უნარების გავარჯიშება ხდება ინდივიდუალობის გათვალისწინებით;

იქმნება ერთობლივი შრომის პროდუქტი;

ყალიბდება ერთობა;

ჯგუფი ან ინდივიდი აკეთებს ერთობლივ განხილვას;

სამუშაო რიტმს აყალიბებენ თავად ადამიანები და არა ტექნოლოგია;

აღინიშნება შრომის პროცესში თითოეული მონაწილის წვლილი.

უნარებს უწოდებენ ადამიანისათვის დამახასიათებელ არა ყველა უნარს, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც განსაზღვრავს (უზრუნველყოფს) ამა თუ იმ მოქმედების შესრულების წარმატებას. ამდენად, „უნარის" გაგება არ დაიყვანება იმ უნარებზე და შესაძლებლობებზე, რომელიც ადამიანს უკვე გამომუშავებული აქვს. უნარის ცენტრალური ნიშანი არის მოქმედების/საქმიანობის წარმატებული შესრულება.

ჩვენ რომ შევძლოთ შშმ პირის შრომითი (და არა მხოლოდ შრომითი) უნარ/ჩვევების განვითარება, დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რათა ქმედითი გავხადოთ თითოეული იმ წევრის ხატი, რომელთან ერთადაც მოგვიწევს მუშაობა. ამისათვის კი უნდა გამოვიმუშავოთ დაკვირვების ცხოველი უნარი, რათა არ მოხდეს მხოლოდ ნაკლოვანებების შემჩნევა, არამედ წინ წამოიწიოს ბენეფიციარის ღირსეულმა ადამიანურმა არსებამ თავისი პოტენციებითა და ძლიერი მხარეებით. სწორედ ამ პოტენციალზე და ძლიერ მხარეებზე ვაკეთებთ აპელირებას, რომ დავეხმაროთ მეტად განვითარებასა და თვითრეალიზებაში.

თერაპევტისთვის საჭირო უნარებია:

ბენეფიციარზე დაკვირვება;

ინფორმაციის მოგროვება: ანამნეზი/ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბიოგრაფიული ეტაპები, რა მოსწონს და რა არა და ა.შ;

ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების და შესაძლებლობების აღწერა/გამოკვეთა, რომ განისაზღვროს, თუ რომელი უნარების განვითარებაა შესაძლებელი;

მეთოდების შერჩევა უნარების განვითარებისათვის (მაგ: ჩვენება, ახსნა, მრავალჯერადი განმეორება, ერთად კეთება და სხვა);

უნარების განვითარების პროცესზე დაკვირვება (მეორადი სიმპტომების შემჩნევა: როგორიცაა დაღლა, უგუნებობა, უარის თქმა და სხვა);

შედეგების შეფასება (საწყისი და საბოლოო სურათების შეპირისპირება: რა და როგორ გამოვიდა, რატომ?).

როდესაც გვაქვს ყველა აუცილებელი პირობა შრომითი უნარების (წინა/პროფესიული უნარების) განმავითარებელი სამუშაოს განსახორციელებლად, ვიწყებთ კონკრეტულ სახელობო საქმიანობას, იქნება ეს სადურგლო, საქსოვი თუ საცხობი საქმიანობა.

მაგალითისათვის განვიხილოთ პურის ცხობის საქმიანობა:

პირველ რიგში აღწერილი უნდა იქნეს ეს საქმიანობა. შემდეგ დაკვირვებით რამოდენიმეჯერ უნდა იყოს განხორციელებული თერაპევტის მიერ, რომ მოახდინოს დაკვირვება და ოპერაციებად დაყოფა.

მაგალითად, დავყოთ პურის ცხობა, რაც შეიძლება პატარ-პატარა ოპერაციებად:

საჭირო ნივთების გადმოღება;

საჭირო მასალის (ინგრედიენტების) გადმოღება;

ფქვილის ჩაყრა თასში;

საფუარის მომზადება;

ფქვილში საფუარის და წყლის დამატება;

მიღებული მასის განზავება;

ფქვილის დამატება და ცომის გადაზელვა;

ცომის გაყოფა საჭირო ზომის ნაჭრებად (გუნდებად);

გუნდების დამუშავება (გადაზელვა);

გუნდების მოთავსება დაფაზე და ტილოს გადაფარება ასაფუებლად;

გუნდების მეორედ გადაზელვა;

საცხობი ღუმლის ჩართავ შესაბამისი ტემპერატურის მითითებით;

საცხობი ფორმების გადმოღება;

ფორმაში გუნდების მოთავსება;

ფორმის (ფორმების) შედგმა ღუმელში გამოსაცხობად;

დროის დანიშვნა;

გამომცხვარი პურის ფორმიანად გადმოღება ღუმლიდან;

ფორმიდან გამომცხვარი პურის გამოღება;

პურის დაბინავება შესაბამის ადგილზე;

მოხმარებული ნივთების გარეცხვა / გამშრალება;

ნივთების და ინგრედიენტების დაბინავება საწყის ადგილზე;

ტერიტორიის დასუფთავება.

როგორც ვხედავთ, ცხობის საქმიანობა საკმაოდ ბევრ ეტაპს (ანუ ოპერაციას) შეიცავს და რაც უფრო მცირე ოპერაციებად დავყოფთ მას, მით უფრო იოლი იქნება მასში ჩავრთოოთ ჩვენი ბენეფიციარები, ვასწავლოთ მათ ეს ოპერაციები და გამოვუმუშავოთ ცხობის შესაბამისი უნარები.

## 6.12 სწავლება; უნარ / ჩვევების გამომუშავება/თანხლება

სწავლებისას უნდა გამოიყოს რამდენიმე ოპერაცია და მოხდეს მათი სწავლება ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა, მრა-

ვალჯერადი ჩვენებით, დაკვირვებით, მოქმედებების გახმოვა-ნებით, მიხმარებით და მოთმინებით.

ბენეფიციარის ინდივიდუალური მონაცემებიდან გამომ-დინარე უნდა დავთქვათ სწავლების სავარაუდო დრო (მაგ; 1 კვირა, 1 თვე ან მეტი). პარალელურად უნდა ვაწარმოოთ დაკ-ვირვების ჩანაწერები (თუ როგორ მიდის ათვისება, რა მომენ-ტებია თვალშისაცემი: როგორც წინსვლა, ასევე სირთულეები).

დათქმული დროის გასვლის შემდეგ, უნდა შევაჯამოთ ჩა-ტარებული სამუშაო (სწავლება) და დავხატოთ სურათი – რა მივიღეთ (მე ვხმარობ სიტყვა „სურათს“ უმეტესად, ვიდრე დას-კვნებს, რადგან „დასკვნა“ უფრო კატეგორიულია და შშმ პი-რებთან ძალზე საფრთხილოა კატეგორიული ცნებებით მუშაო-ბა).

პირველ ეტაპზე შერჩეული ათვისებული ოპერაციების შემდეგ ვასწავლით მეორე რიგით შერჩეულ ოპერაციებს და ა.შ. ბოლომდე. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო იოლდება ოპერაციების ათვისება, რადგან წინა მუშაო-ბის გამოცდილება არ იკარგება და ის ბაზად ედება შემდგომ ეტაპებს.

გამოდის თუ არა მთლიანი სამუშაო პროცესის ათვისება, ჩვენ მაინც ბოლომდე უნდა გავიაროთ სწავლების მთელი პრო-ცესი, რა თქმა უნდა იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც შერჩეული საქმიანობა სრულად შეუსაბამო, ან უინტერესოა ბე-ნეფიციარისათვის, რათა გამოჩნდეს, თუ რა უნარები შეიძინა ჩვენმა „მცხობელმა“, რას და როგორ აკეთებს.

შემაჯამებელი ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება შრო-მით საქმიანობაში (ამ შემთხვევაში პურის ცხობაში) ბენეფიცი-არის ჩართვა სხვადასხვა ხარისხით, კერძოდ: რომელ ოპერაცი-ებსაც აკეთებს დამოუკიდებლად, ვენდობით და ვაძლევთ მოქ-მედების თავისუფლებას. მაგრამ ამავ დროს, როგორც „ტექნო-ლოგები“, ან „ხარისხის ექსპერტები“ ე.წ. „ცალი თვალით“ გუ-

ლისყურით მისკენ ვართ, რომ საჭიროების შემთხვევაში მივეხმაროთ, გავამხნევოთ, შევაქოთ და სხვა.

რომელ ოპერაციებსაც აკეთებს დახმარებით, იმ ოპერაციებს ვაკეთებთ წყვილში. დახმარებით ოპერაციების სწავლება/დახვეწას ვაგრძელებთ, რომ მოვახდინოთ მათი სრულფასოვნად ათვისება. დავთქვამთ ვადას და ვადის გასვლის შემდეგ, ისევ შევაჯამებთ გაწეულ მუშაობას.

თუ ოპერაციის (ოპერაციების) სრულფასოვანი ათვისება ვერ მოხერხდა მთელი რიგი მიზეზების გამო (მაგ: ოპერაცია მოითხოვს რთულ კოორდინაციას, ან ფაქიზ მოტორიკას და სხვა), რომელსაც თავისი ინდივიდუალური პრობლემების გამო ვერ ახორციელებს ჩვენი „შეგირდი“, ვტოვებთ მას ამ ეტაპზე, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ოპერაციის განხორციელება დახმარებით“ და ყოველთვის შევასრულებთ წყვილში დამხმარესთან, ან გააკეთებს ამ ოპერაციებს იმ შშმ პირთან ერთად, რომელიც სრულად დაუფლებულია აღნიშნულ ოპერაციებს.

თუ ვერ ასრულებს ვერცერთ ოპერაციას (ოპერაციებს), ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საქმიანობა მისთვის დაუძლეველია და ამ კუთხით (ჩვენს შემთხვევაში პურის ცხობა) მასთან მუშაობას ვწყვეტთ. აღვწერთ მიღებულ შედეგებს და დავდებთ რეკომენდაციას, რომ მისთვის შეირჩეს სხვა ხელობითი სამუშაო.

რადგან ჩვენ სწავლებისას ვიღებთ დიდ გამოცდილებას და ინფორმაციას ბენეფიციარის ათვისების სტილზე, მოტორიკაზე, ყურადღების კონცენტრაციაზე, განწყობაზე და სხვა, ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, თუ რომელი შრომითი საქმიანობა შეირჩეს მისთვის.

ამ ინფორმაციას განსახილველად გავიტანთ მულტიდისციპლინარული გუნდის სხდომაზე (თანამშრომელთა კოლეგია) და საკითხის ერთობლივი განხილვის შემდეგ დაიგეგმება მისთვის ახალი შრომითი საქმიანობა.

## 6.13 მრავალფეროვანი მხატვრულ-კულტურული გარემო ბენეფიციართა განვითარებისა და წინსვლისათვის

მხატვრულ/კულტურული ღონისძიებები ხელს უწყობს ადამიანის ცხოვრების გამრავალფეროვნებას და პიროვნების მრავალმხრივი უნარების სურვილების, მიდრეკილებების გაშლას. გარდა ამისა, ის თერაპიულად და დამაბალანსირებლად მოქმედებს ემოციურ და სოციალურ კონტექსტშიც.

მხატვრული საქმიანობებიდან უნდა შეირჩეს ის საქმიანობები, რომელთა განხორციელებისთვის გვყავს შესაბამისი კადრი. ამიტომ არ უნდა დავგეგმოთ ის საქმიანობები, რომელთაც ვერ შევწვდებით. ძალზედ კარგი ტაქტიკაა პერიოდულად სპეციალისტების მოწვევა და მცირე პროექტების ფარგლებში მათი განხორციელება. მაგ: თემ ,,ქედელს" მოწვეული ყავდა პროფესიონალი ფოტოგრაფი, რომელმაც ასწავლა თემის წევრებს ფოტო გადაღება. პროექტის ბოლოს მოეწყო ფოტო გამოფენა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

,,ქედელში" ტარდება შემდეგი განმავითარებელი ღონისძიებები და აქტივობები:

მეტყველება;

რიტმული პაუზები;

თეატრის რეპეტიციები;

ლიტერატურის კითხვა;

აკადემიური უნარების განვითარება;

სიმღერა, წარმატებით ფუნქციონირებს ანსამბლი ,,ქედელი";

განვითარების ბლოკები შერჩეულ თემებზე (მაგ: წელიწადის დროები, სამყარო-დედამიწა, მეგობრობა, თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვა);

ინკლუზიური ჯგუფური მუშაობა: ფოტოგრაფია, დრამა, ხელსაქმე;

გამაჯანსაღებელი მოძრაობები;

დაგეგმვა/შეჯამება;

დღიურის წარმოება;

სტუდენტთა და მოხალისეთა პრაქტიკა და თანხლება;

საზოგადოებაში ინტეგრაცია (მასმედია-გადაცემები, ინტერვიუები).

ეს საქმიანობები გაწერილია კვირის რიტმში მონაწილეების, დროისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.

მუშაობის ტაქტიკა ისეთივეა, როგორც ნებისმიერი ზემოთ აღწერილი საქმიანობის განხორციელების დროს (იხ. ზემოთ: საყოფაცხოვრებო, თვითმოვლის, ან შრომითი პროცესების განხორციელება).

მხატვრულ/განმავითარებელი ღონისძიებები, დაგეგმვა/განხორციელების უზრუნველყოფის მაგალითად განვიხილოთ მუსიკა, როგორც განმავითარებელი მხატვრული საქმიანობა.

საცხოვრებელი ერთობის ინიციატორი და დამაარსებელი ქ-ნი ლალი ხანდოლიშვილი თავდაპირველი განათლებით გახლდათ მუსიკოსი, ფაკულტეტი: საგუნდრო სადირიჟორო. შესაბამისად, მას უკვე ჰქონდა პროფესიული კომპეტენცია მუსიკის დარგში. თერაპიულ/გამაჯანსაღებელი მხატვრული საქმიანობებიდან მან თავის თავზე აიღო მუსიკის გაკვეთილები. თავდაპირველად ასმენინებდა დიდი სიზუსტით შერჩეულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მელოდიებს, ინსტრუმენტებს. შემდეგ დაიწყო მათთან წამღერებები. ბოლოს ეს მუშაობა ნამდვილ სწავლებას გაუტოლდა (იხ. ზემოთ სწავლება და უნარების გამომუშავება). 2006 წლიდან დაიწყო მრავალხმიანი რთული რეპერტუარის შესწავლა და საბოლოოდ 2010 წელს ჩამოყალიბდა ანსამბლი „ქედელი“.

ანსამბლი „ქედელი“ არაერთხელ წარსდგა მაყურებლის წინაშე და საოცარი გამოხმაურებები მოიპოვა. ორგანიზაციის დიდი მუშაობის შედეგად 2012 წელს ჩაიწერა და გამოიცა კომ-

პაქტ-დისკი, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც გაიყიდა.

უნდა ითქვას, რომ ანსამბლი „ქედელი“, ყველაზე თვალსაჩინოდ აჩვენებს საზოგადოებას, თუ რა შეუძლიათ მონდომებულ, თავის საქმეზე შეყვარებულ ადამიანებს.

ანსამბლის წევრები არიან:

ბექა

ნინო

გვანცა

სოფო

მარიამი

თამარი

გიორგი

გიორგი ტ.

გიორგი დ.

ნინო თანდაშვილი – თერაპევტი

ლალი ხანდოლიშვილი – ანსამბლის ხელმძღვანელი

მუსიკის, მღერის თერაპიულ და განმაკურნებელ ზემოქმედებაზე ბევრი დაწერილა.

განვიხილოთ მუსიკა/მღერის ზემოქმედება პიროვნების გაშლის კუთხით, რაც ჩვენი გამოცდილების ერთ-ერთი იშვიათი და თვალსაჩინო მაგალითია:

დარეგულირდა სუნთქვა (უფრო სწორად შეიძლება ითქვას, რომ ისწავლეს სუნთქვა);

დარეგულირდა ემოციური სფერო;

გავარჯიშდა მეხსიერება (ტექსტებისა და მელოდიის დამახსოვრება);

გავარჯიშდა ყურადღების კონცეტრაცია;

გავარჯიშდა რიტმი;

გამომუშავდა სოციალური უნარები (პარტნიორის აღქმა/განცდა);

გამომუშავდა მოსმენის უნარი;

გამომუშავდა გუნდური მუშაობის უნარები;

დაიხვეწა მეტყველება;

გაიზარდა თვითაღქმა/თვითშეგრძნება;

გაიზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა;

მოხდა მხატვრულ/ესთეტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

მოხდა ქართულ და მსოფლიო კულტურასთან ზიარება;

გამომუშავდა პრეზენტაციის უნარები (კონცერტები, სცენაზე დგომა);

სახეზეა დიდი სიხარული იმისა, რომ ეს საქმე გამოსდით.

## 6.14 შეჯამება

ამდენად, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომითი პროცესი, მასში შშმ პირების ჩართვა და წინაპროფესიული სწავლება იძლევა შშმ პირის განვითარების, საკუთარი პერსონის გაშლა/გამოვლენის დიდ ასპარეზს. მითუმეტეს თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ ზრდასრული ბენეფიციარები არ არიან ბავშვები და დროის გასაყვანად მიცემული საქმე არ არის თამაში და უნდა ეძლეოდეთ ასაკისთვის შესაფერისი საქმინობა. რადგან ზრდასრული ადამიანის ყველაზე ღირსეული ქმედება/აქტივაცია არის გააზრებული შრომა, შესაბამისად შრომის პროცესი, ახალი შრომითი უნარების დაუფლება არის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური და შედეგიანი ინსტრუმენტი.

თემ „ქედელში“ წინაპროფესიული სწავლების ეტაპები გავლილი იქნა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებზე. დაკომპლექტა სახელოსნოების ჯგუფები და ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ თემის წევრები საკმაოდ დაოსტატებულნი არიან თავის შრომით საქმიანობებში და დიდი მონდომებით და სიხარულით ასრულებენ მათ, ეხმარებიან დანარჩენებს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ საცხოვრებელ ერთობაში, არამედ

საზოგადოებაში. ბაზრობებზე, აქციებზე, ინკლუზიურ ღონისძიებებზე იყიდება მათი ხელით ნაქსოვი ნივთები, ხის ნაწარმი, სამკურნალო მცენარეების ნაკრები, ჩირი და სხვა. მომხმარებელს მოსწონს ისინი და სიამოვნებით ყიდულობს მათ.

სახელოსნოებში შექმნილი პროდუქცია ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ შშმ პირები მხოლოდ დასახმარებელი და ზრუნვის ობიექტები არ არიან, არამედ მათ გააჩნიათ დიდი პოტენციალი და სწორად წარმართული პროცესების, გარემოს მიმღეობის პირობებში, მათ შეუძლიათ საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანა, თავისი უნიკალური წვლილის შეტანა.

რას ვგულისხმობთ უნიკალურ წვლილში? – პროდუქცია არის საცალო, ყველა ნივთი ინდივიდუალურად კეთდება (რაც იშვიათია დღევანდელი სერიული წარმოების ფონზე), თითოეულ დეტალში ჩადებულია შშმ პირის მონდომება, დიდი სითბო და სიხარული.

ერთი სიტყვით, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, თუ რა განასხვავებს შშმ პირებს ე.წ. ტიპიური ადამიანისაგან (მშრომელისაგან). მათ (შშმ პირებს) აქვთ შრომით ტკბობის ულევი სიხარული. თუ ჩვენ მალე გვბეზრდება საქმიანობა, ვიღლებით, ვწუწუნებთ, ისინი ყოველ დღე აღმოჩენის სიხარულით არიან სავსენი. სწორედ ეს სიხარული არის მათი ხელით გაკეთებულ ნივთებში ჩადებული და სწორედ ეს იზიდავს მყიდველს.

თემი „ქედელი“ ამჟამად ცდილობს ქ. სიღნაღში მოიპოვოს ფართი, რომელიც სოციალური დატვირთვის იქნება. აქ მოეწყობა გამოფენები, შეხვედრები, პრეზენტაციები, კონცერტები, არა მხოლოდ თემის წევრების მონაწილეობით, არამედ ყველა დაინტრესებულ პირს შეეძლება ამ სივრცის გამოყენება თავისი ღონისძიების განსახორციელებლად. გაკეთდება მუდმივმოქმედი დახლი ნაწარმის საილუსტრაციოდ და გასაყიდად; ეს იქნება თავშეყრის და ინტეგრაციის ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველა ფენის დაახლოებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ლექციების და პრაქტიკული მუშაობის მასალები. (2003-2019). – Konferenz für Heilpädagogik und Sozialtherapie Internationaler Ausbildungskreis, Kassel.

ლივერხუდი, ბ. (2002). ადამიანის ცხოვრების გზა: ბიოგრაფიული კრიზისები-როგორც განვითარების შანსი. გამომცემლობა „აწმყო“.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2015). სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №138. თბილისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2791238?publication=0

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. (2016) სოციალურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://dictionary.css.ge

სოციალური მომსახურების სააგენტოს. (2019). სათემო ორგანიზაციები. ვებგვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=790&info_id=771

Bernard C.J.(1992). Lievegoed, Soziale Gestaltugen am Beispiel Heilpedagogischer Einrichtungen. Dornach.

Charta Berufliche Bildung (Medizinische Sektion der Freien Hochschule für Geisteswissenschaft am Goetheanum). (2015). Konferenz für Heilpädagogik und Sozialtherapie Internationaler Ausbildungskreis -2015.12.04

Steiner, R. (1972). The Social Future. Bn/GA 33, Anthroposophic Press, ISBN 0-910142-34-3

Штейнер, Р. (1992). Общее человековедение как основа педагогики. GA 293, Дорнах 1992, доклад от 29.08.1919

ბენეფიციარების ნამუშევრები





სტუდენტების მუშაობა ბენეფიციარებთან ერთად





# თავი 7

## სოციალური პედაგოგიკის რელევანტური მეთოდოლოგიები, როგორც ბავშვობიდან ზრდასრულობაში ტრანზიციის ეფექტიანობის ინსტრუმენტი ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და მენტალური პრობლემების მქონე პირებისათვის: ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მაგალითზე

ავტორი: ქეთევან მაყაშვილი




ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბავშვის განვითარების ინსტიტუტის განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციარებთან მუშაობა სწავლების ტრინალურ პრინციპს ეფუძნება. მეთოდი შემოთავაზებულია და იმპლიმენტაციისათვის მუშავდება EURASIAN PROJECT CREA-LT-2017/10043 ფარგლებში. ილიას უნივერსიტეტის პრაქტიკის ბაზაზე აღნიშნული პრინციპი ადრე იმპლიმენტირებული მიდგომების ახალ, ორგინალურ აბილიტაციურ სისტემად გაერთიანების გზით

ხორციელდება. ამ ეტაპზე მუშაობა ფოკუსირებულია მენტალური პრობლემების მქონე პირებზე (16+) და მათ ოჯახებზე და აღნიშნულ პირთა ბავშვობიდან ზრდასრულობაში ტრანზიტული პერიოდის მართვის მოდელის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

## 7.1 მეთოდოლოგიური ბაზისი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდების განათლების აქტი (**IDEA** 04) მოითხოვს რომ 16 წელს მიღწეული პირის ინდივიდუალური განათლების გეგმა უნდა შეიცავდეს მის ზრდასრულობაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ მსჯელობას[8]. ტრანზიციის აღნიშნული ინდივიდუალური პროგრამა უნდა განხორციელდეს ტრანზიციის ისეთ ბაზისურ სერვისებში როგორიცაა საბაზისო განათლება, პროფესიული განათლება, ინტეგრირებული/ მხარდაჭერითი დასაქმება, ზრდასრულთა განათლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სათემო ჩართულობა ან ამ სერვისების სხვადასხვა კომბინაციით. ინდივიდუალური პროგრამის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია შესრულდეს ტრანზიციის ძირითადი პრინციპები ხარისხიანი ცხოვრების მოსაპოვებლად და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. ეს პრინციპები შემდგომ ჩამონათვალს ითვალისწინებს:

1. ინკლუზია;
2. პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომები;
3. ბუნებრივი მხარდაჭერა;
4. მოსწავლისა და მისი ოჯახის გაძლიერება;
5. მოსწავლის არჩევანი;
6. თვითმართვა (თვით-დეტერმინაცია).

[8] IDEA Individuals with Disabilities Education Act: https://sites.ed.gov/idea/

*ა) ტრანზიცია, როგორც ხანგრძლივ ვადიანი (ლონგიტუდური) პროცესი და მედეგობის შესაძლებლობა*

როგორც საერთაშორისო, ისე ქართული რეალობის ანალიზი უჩვენებს, რომ თანაბარი მოქალაქეობის რეალურ განხორციელებას მენტალური პრობლემების მქონე ახალგაზრდებისა და მათი ოჯახებისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორები უკავშირდება, მაგრამ ასევე არსებობს რესურსები, რომელთა ამოქმედება, სათანადო ძალისხმევისა და ინოვაციების გატარების პირობებში, შესაძლებელია. უკეთესი რეზულტატისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ტრანზიციის პერიოდის სპეციფიურობაზე, რაც მის ხანგრძლივ ვადიან (ლონგიტუდურ) პერსპექტივაში განხილვას გულისხმობს. აღნიშნული პერსპექტივა ჩვენი სამიზნე ჯგუფისათვის შესაძლებელია გამოიხატოს სქემით, რომელიც პროცესის რეზილიენტურ (მედეგობრივ) ბუნებაზე მიუთითებს (სქემა №7.1).

ვიდრე აღნიშნული სქემის განხილვას შევუდგებოდეთ, შევჩერდებით ტრანზიციის პროცესისა და მედეგობის (რეზილიენცი) ცნების მიმართებაზე. ზოგადად, მედეგობის კვლევები დაახლოებით 1980 წლებიდან გამოიკვეთა (Bertolaso 2004). დასაწყისისთვის მედეგობის არსის განსაზღვრისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ფრანგი ეთნოლოგის *არნოლდ ვან გენეპის* მიერ მოწოდებული სამყაროში ცვლილებისათვის დამახასიათებელი სამნაწილიანი მოდელი: ჩვეულთან განშორება, გამოცდის რთული ფაზა და ახალ ურთიერთკავშირებში ჩართვა (Von Lupke, 2001). ამ განსაზღვრებით მედეგობა პოზიტიური ცვლილების ზოგად ფორმულად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც განსაკუთრებით კარგად ადამიანის ცხოვრებისეულ ცვლილებებს, კერძოდ კი ბავშვობიდაბ ზრდასრულობაში გადასვლის (ტრანზიციის) თანმხლები პროცესების ასახვას ერგება.

სქემა№7.1: ტრანზიცია ზრდასრულ ცხოვრებაში, როგორც ხანგრძლივ ვადიანი (ლონგიტუდური) პროცესი




უკვე მედეგობის კვლევის პიონერი ე. ვერნერი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლისა და აღმზრდელის იმ როლსა და ზეგავლენას, რომელიც მათ შეუძლიათ იქონიონ მოზარდის ცხოვრებაში მედეგობის გაძლიერებაზე. ამ შეხედულების ჩამოყალიბებისას ვერნერი ეყრდნობა თავისი ხანგრძლივი კვლევის მონაცემებს, რომელთა საფუძველზე ავტორი მასწავლებლის/აღმზრდელის პროფესიული ეთიკის საკითხებზე მსჯელობს და პიროვნებათა ამ ჯგუფის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ცხოვრების ცვლილებებთან მიმართებაში არ არსებობს მედეგობა ზოგადად. მედეგობა ყოველთვის ინდივიდუალურია, რომელიც ისეთი სპეციფიკური პოზიტიური და/ან ნეგატიური ფაქტებისგან შეგდება, რაც შესაძლოა წარმოჩინდეს როგორც პროცესები, სტრუქტურები ან მექანიზმები. ეს ფაქტორები სიტუაციის და დროის შესაბამისად იცვლებიან და აქტუალურ გარემოს ესადაგებიან. სქემატიზება, რომელიც ქვემოთ იქნება მოტანილი, უხეში ნაკ-

რებია მედეგობის შემადგენელი ნაწილების, რადგანაც პიროვ-ნების თავისებურებისა და სიტუაციის სპეციფიკურობიდან გა-მომდინარე, ეს ნაწილები ყოველთვის ახალი დოზითა და ახლე-ბურ კომბინაციაში ერთიანდებიან.

მედეგობის უნარიანობის არსებითი წინაპირობა არის ცხოვრებისეული პირობებისა და მათი კონსტელაციებისადმი მოქნილი მიდგომა და მათი აღქმა-შეფასება. საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შესაბამისად რეაგირებისთვის ასევე მნიშ-ვნელოვანია მკაფიო თვითაღქმა. ორი სხვადასხვა ადამიანის დიფერენცირებული ხედვაა საჭირო მედეგობის ეგრეთ წოდე-ბული ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების შედარებისას. სიტუაციის უნიკალურობის ცნება ამ საკითხთან დაკავშირები-თაც დიდ როლს ასრულებს, რადგან ის, რაც ერთი ადამიანის-თვის მტკივნეულია და საფრთხეს წარმოადგენს, მეორე ადამი-ანში, შესაძლებელია მხოლოდ დაღლილ ღიმილს იწვევდეს. მა-გალითისათვის, ნარკოტიკების მოხმარებამ შესაძლოა დაღუ-პოს ერთი ახალგაზრდა, მეორეს კი მისცეს იმპულსი რომ შეც-ვალოს საკუთარი ცხოვრება და დაიწყოს ყველაფერი თავიდან. ზოგ შემთხვევაში მედეგობის ნეგეტიური ფაქტორები მოუ-ლოდნელი სახით წარმოდგებიან. მაგალითად, შესაძლებელია ისეთმა თვისებამ, როგორიც მგრძნობიარობაა, მავანი საკუთარ თავში დააეჭვოს და დეპრესიამდე მიიყვანოს, ხოლო ,,რეზილი-ენცის'' იარლიყის საყოველთაო და უხეშმა ეტიკეტირებამ, ზო-გიერთი სუბიექტის შემთხვევაში შესაძლოა, შინაგანი გამო-ფიტვა გამიწვიოს – ადამიანები, რომლებიც ძლიერებად მიიჩ-ნევიან, ხშირად დიდი სულიერი და სხვა სახის შეჭირვებათა ჟამს, ველარ ბედავენ დახმარება ითხოვონ. საჭიროა აგრეთვე განირჩეს მედეგობის სხვადასხვა სახე ცხოვრების სფეროებ-თან მიმართებით: ერთი ადამიანი რეზილენტურია ფიზიკური დატვირთვების მიმართ, სხვა – პიროვნული სიძნელეებთან მი-მართებით და ა.შ.

პედაგოგური მუშაობისთვის მნიშვნელოვანია იმის დიფერენცირება, თუ სუბიექტის და გარემოს რა ელემენტებზეა საჭირო აქტიური ზემოქმედება – რომელი ფაქტორების გაძლიერება ან შესუსტება არის სასურველი სუბიექტის ხელმისაწვდომი მთლიანობის გათვალისწინებით.

| *გამაძლიერებელი იმანენტური ფაქტორები და თვისებები- შინაგანი რესურსები.* |
| --- |
| 1. ჩამოყალიბებული პიროვნულობა/ხასიათი |
| 2. პოზიტიური ბიოლოგიური ფაქტორები/ტემპერამენტი |
| 3. მკაფიო თვითაღქმა |
| 4. ინტელექტი,კოგნიტური კომპონენტები |
| 5. ინტუიცია |
| 6. შესატყვისი ნდობა საკუთარი თავისადმი |
| 7. საკუთარი თავის ფლობა |
| 8. მიზანმიმართულობა |
| 9. ადაპტაცია |
| 10. ემპათიისა და ურთიერთობის უნარი |
| 11. შინაგანი მოტივაცია,თვითმოტივაცია |
| 12. სულიერება, რწმენა, ალტრუიზმი |
| 13. ეთიკა, ღირებულებები |
| 14. პოზიტიური მიზეზობრივი განსაზღვრულობა, იმედი, ოპტიმიზმი |
| 15. იუმორი |

| |
|---|
| 16. ფანტაზია/შემოქმედებითობა |
| 17. მიკრო/მაკრო-გარემოცვის ფორმირება, გარემოცვის ავტონომიურად ფორმირება |
| 18. ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა |
| 19. მომწიფებული ჩამოყალიბებული თავდაცვითი მექანიზმები. |

| |
|---|
| *გამაძლიერებელი გარეგანი, ანუ არაიმანენტური, ფაქტორები-გარეგანი რესურსები* |
| 1. სოციალური  მხარდაჭერა |
| 2. სოციალური სტატუსი |
| 3. ოჯახი |
| 4. სკოლა |
| 5. ცხოველები |
| 6. ხელოვნებები |
| 7. დებირფინგი (Debriefing) |

| |
|---|
| რისკის ფაქტორები, დამასუსტებელი იმანენტური (შინაგანი) ფაქტორები და თვისებები-შინაგანი რისკი |
| 1. სუსტი პიროვნულობა/ხასიათი |
| 2. ნეგატიური ბიოლოგიური ფაქტორები/ტემპერამენტი |
| 3. მკაფიო თვითაღქმის უქონლობა |
| 4. სუსტი ინტელექტი, კოგნიტური, კომპეტენციები(გონიერების ნაკლებობა) |
| 5. ინტუიციის ნაკლებობა |
| 6. დაქვეითებული ნდობა საკუთრი თავისადმი |
| 7. საკუთარი თავის ნაკლულად ფუნქციონირებადი ფლობა, ავტონომია |
| 8. არასაკმარისი მიზანმიმართულობა |
| 9. ნაკლებად განვითარებული Coping (გამკლავების)-სტრატეგია და ადაპტაცია ან მისი უქონლობა |
| 10. ემპატიისა და გარედან დახმარების მოხმობის არასაკმარისი უნარი ან მისი უქონლობა |

| | |
|---|---|
| 11. შინაგანი მოტივაციის, თვითმოტივაციის სიმცირე ან უქონლობა |
| 12. სულიერების, რწმენის, ალტრუიზმის სიმცირე ან უქონლო-ბა |
| 13. არასაკმარისი ეთიკა, ღირებულებები ან მათი უქონლობა |
| 14. მწირი პოზიტიური მიზეზობრივი განსაზღვრულობა, იმე-დი, ოპტიმიზმი, ან მათი უქონლობა. |
| 15. იუმორის ნაკლებობა ან მისი უქონლობა |
| 16. ფანტაზიის/შემოქმედებითობის ნაკლებობა ან უქონლობა |
| 17. მაკრო/მიკრო გარემოცვის ფორმირების ნაკლებობა |
| 18. ფიზიკური ან ფსიქიკური ავადმყოფობა |
| 19. უმწიფარი და ჩამოუყალიბებეი თავდაცვითი მექანიზმები. |

| რისკის ფაქტორები, დამასუსტებელი არა იმანენტური (შინა-განი) ფაქტორები და თვისებები -გარეგანი რისკი |
|---|
| 1. სოციალური მხარდაჭერის არ არსებობა |
| 2. სიღარიბე და დაბალი სოციალური სტატუსი |
| 3. დისფუნქციური ოჯახი ან მისი არ ქონა |
| 4. სკოლიდან განთესვა |
| 5. პოლიტიკური სიტუაცია (ომი და ა.შ.) |

ცხადია, შესაძლებელია ცხრილში მოცემული პუნქტების ნებისმიერ კომბინაციაში გადანაწილება. ამასთან, ცალკეული ფაქტორების მნიშველობის მიუხედავად, მათივე ინდივიდუა-ლურად განპირობებული ურთიერთქმედება კიდევ უფრო მნიშ-ვნელოვანია. პოზიტიური ფაქტორების მობილიზაციის საუკე-თესო ანალიზი წარმოდგენილია სახელმძღვანელოში *Handbook of Positive Psychology (პოზიტიური ფსიქოლოგიის სახელ-მძღვანელო).*

ალნიშნული ზოგადი სისტემა იღებს სპეციფიურ ფოკუსს ფსიქიკური, კოგნიტური, პიროვნული და სოციალური განვითა-

რების დარღვევების დროს, რადგან განვითარების მნიშვნელოვანი დარღვევა ასუსტებს მედეგობის პროცესს. დასუსტების ხარისხი დამოკიდებულია შემდეგზე:

- განვითარების დარღვევის თავისებურებაზე ანუ იმაზე, თუ რა დარღვევასთან გვაქვს საქმე;
- პიროვნების ასაკზე;
- დარღვევის ხანგრძლივობაზე;
- დარღვევის სიმძიმის ხარისხზე და განვითრების დარღვევის ეტაპზე;
- სტრესული სიტუაციების თავმოყრაზე;
- ადამიანის ხასიათის პოზიტირ მხარეებზე და გარემოცვის დამცველ ზეგავლენაზე, რომელსაც დარღვევა შეეხო;
- პოზიტიურ და შემამსუბუქებელ ზეგავლენებზე, რომელსაც დარღვევა არ შეეხო ან რომლებიც გაჩნდა დარღვევის დაძლევის საპასუხოდ.

ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და მენტალური პრობლემების შემთხვევებში ტრანზიციის პერიოდის თავისებურებების უფრო დეტალურად განსახილველად დავუბრუნდეთ სქემა№7.1-ს. დამამძიმებელი ვითარებების დროს, როცა ტრანზიციის პროცესს განვითარების დარღვევები ახლავს, მედეგობის ფაზები, განსაკუთრებით მეორე ფაზა უფრო მწვავედ არის გამოხატული და ხშირად რეგრესის ფორმით წარმოჩინდება, რაც იმას ნიშნავს რომ ახალგაზრდამ ის ფსიქო-ფიზიკური და სოციალური ფუნქციებიც შეიძლება დაკარგოს, რომელიც წინა ასაკობრივ პერიოდში ქონდა გამომუშავებული. შესაბამისად, სპეციფიურად უნდა იყოს ორგანიზებული პოზიტიური და შემამსუბუქებელი აქტივობების სისტემა, კერძოდ ისინი ორ ფაზად შეიძლება სტრუქტურირდეს:

1. გადარჩენის სტრატეგიები
2. ინტერესების მიხედვით ჩართულობის და აღიარების სტრატეგიები.

*ბ) გადარჩენის სტრატეგიები და ჯანმრთელობის ოკუპაციური (საქმიანობის) პერსპექტივა.*

ჯანმრთელობის განსაზღვრა – ჯანმრთელობის შესახებ მრავალი სხვადასხვა განმარტებიდან ჩამოყალიბდა განმარტება, რომელიც ჯანმრთელობას უწოდებს: „ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას და არა მხოლოდ ავადმყოფობის ან უძლურების მდგომარეობაში არ ყოფნას“. არსებობდა მრავალი კრიტიკა სამედიცინო მეცნიერების მხრიდან, რომლებიც თვლიდნენ, რომ ჯანმრთელობა არის იდეალისტური, მიუღწეველი და ძნელად გასაზომი. დასავლეთის მედიცინა ფოკუსირდებოდა ავადმყოფობაზე უფრო, ვიდრე ჯანმრთელობაზე, ყოველივე ეს უარყოფს განმარტების უფრო ვრცელ მიზანს.

საკითხის ფართე გააზრებისათვის საინტერესოა ჯანმრთელობის, როგორც კონსტრუქტის განვითარების ისტორიის გადახედვა. ჯანმრთელი ცხოვრებისა და მკურნალობის ერთამენთისგან განსასხვავებლად ნიშანდობლივია ბერძენი ღმერთების – ჰიგეიასა და ასკლეპიუსის სიმბოლური მაგალითები. ჰიგეია ათენის ჯანრმთლობის ქალღმერთი იყო. ის იყო სიმბოლო „სათნო ცხოვრების, სასიამოვნო გარემოში“. ის არ ერეოდა ავადმყოფის მედიკამენტებით მკურნალობაში, ის უფრო ასოცირებული იყო მენტალურ ჯანმრთელობასთან. ჰიგეიას მიმდევრებისთვის ჯანმრთელობა იყო ბუნებასთან შეწყობა: ისინი მედიცინის მთავარ ფუნქციას ხედავდნენ ბუნების კანონების აღმოჩენასა და სწავლებაში, რომელიც გონებისა და სხეულის ჯანმრთლობას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ ჰიპოკრატე მოითხოვდა მკურნალი ყოფილიყო გამოწვრთნილი იმაში რომ გაეგო ადამიანის კავშირი საკვებთან, სასმელთან, საქმიანობასთან და გაეგო, თუ როგორ მოქმედებდა ეს სამი ერთამენთზე. მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხავმდე მე-5 საუკინიდან მოყოლებული, ჰიგეიას კულტმა გზა გაუკვალა მკურნალობის

(განკურნების) ღმერთს, ასკლეპიუს. მის მიმდევრებს უკვე სჯეროდათ, რომ მედიცინის მთავარი მიზანია ავადმყოფობის განკურნება.

თუმცა, როგორც ეს ზოგადად იდეების განვითარებისათვის არის დამახასიათებელი, ქვეყნებში, სადაც განვითარდა მედიცინის ტექნოლოგიები, სპეციალისტებმა დაიწყეს იმის გააანალიზება, რომ ჯანმრთელობა და ავადმყოფობა მედიცინის და ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიაში უნდა დიფერენცირებულიყო. ჯანმრთელობასა და ადამიანის საქმიანობასთან მიმართებით საინტერესო მონაცემები შეგროვდა მონადირე შემგროვებლების ცხოვრებისა და სოციალური მოწყობის ანალიზით. წიგნში “*Plagues and People*” (McNeil, 1979) ავტორი მიუთითებს, რომ ადამიანთა იმ პოპულაციაში, რომლებიც ფიზიკურ შრომასთან არიან დაკავშირებულები, გადარჩენა ხშირად დამოკიდებული იყო გუნდური საქმიანობის (cohesive group) სიძლიერეზე. მათი ცხოვრების შესწავლამ აჩვენა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს მისი ქცევები და საქმიანობები. გაძლიერდა იდეა, რომ ჯანმრთელობა, „არ შეიძლება გამოვყოთ ყოველდღიური ცხოვრების სხვა მიზნებისგან“, რადგან „ის იქმნება და არსებობს ადამიანების მიერ ყოველდღიური ცხოვრების პარამეტრების ფარგლებში, სადაც ისინი სწავლობენ, მუშაობენ, თამაშობენ და უყვართ“. მონადირე შემგროვებლები თავის დასაცავად იყენებდნენ სოციალურ კავშირებს და სწავლას, რათა მოეპოვებინათ უპირატესობა მტაცებლებზე. გადარჩენის წნეხმა გამოიწვია მოტივაცია, რომ ეს ადამიანები ჩართულიყვნენ სხვადასხვა ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივ ოკუპაციებში. მონადირე-შემგროვებლებმა ასე განივითარეს სხვადასხვა პოტენციური ნიჭი, და დამაკმაყოფილებელი ბალანსი ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ აქტივობათა კავშირისა გარემოს მოცემულობასთან და მის მოთხოვნებთან, რითაც ამავდროულად საკუთარ ჯანმრთლობას უწყობდნენ ხელს. ცნობილი არ არის რამდენად გაცნობიერებულად ცდილობდნენ ისინი

ჯანმრთელობის შენარჩუნებას და დაავადებების თავიდან აცილებას გადარჩენის მოტივაციით თავშესაფრის და მარაგის ძებნისას. სავარაუდოდ, მსგავსად ცხოველებისა, ეს გაუცნობიერებულ პარალელურ რეჟიმში ხდებოდა.

ეს ვარაუდი შემდგომ პერიოდში სამეცნიერო პუბლიკაციებში იყო დამაჯერებლად დასაბუთებული. კერძოდ, ნაჩვენები იყო საბაზისო კავშირები საზრისის მქონე საქმიანობასა და ჯანმრთელობას შორის. დღეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკები ეფუძნება მტკიცებულებას, რომ ოკუპაცია (იგივე საზრისის მქონე საქმიანობა) არის ფუნდამენტური მექანიზმი, რითიც ადამიანი ხვდება/ იაზრებს თავის მისწრაფებებს, იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს და მორგებულად თანაარსებობს გარემოსთან. თავის მხრივ ეს კავშირები მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს შორის ქმნის მექანიზმს, რომელიც უკუქმედებით ფიზიკური, გონებრივი და სოციალური შესაძლებლობების შენარჩუნებასა და გაფართოებაში ეხმარება ადამიანს.

თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია *ოტავას ქარტია ჯანდაცვის ხელშეწყობისთვის* (Christianson Charls., 2007). 1986 წელს ქარტია მიიღეს და ადაპტირება მოახდინეს 38 ქვეყნის დელეგატებმა, რომელთა უმეტესობა პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების ნაწილს წარმოადგენდა. ქარტია მიღებულ იქნა ჯანდაცვის ხელშეწყობის პირველ საერთაშორისო კოფერენციაზე, რომელიც ჩატარდა კანადის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების ხელშეწყობით. ქარტია, თავისი არსით ჰოლისტურია, რადგან ის აღიარებს „უწყვეტ/მყარ კავშირებს ადამიანსა და გარემოს შორის, რომელიც წარმოადგენს სოციოეკოლოგიური მიდგომების საწყისს ჯანდაცვის სფეროში“. ამ ახალ ტალღაზე ჰიპოკრატეს იდეამ ჯანმრთელობისათვის ადამიანის საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ ახალი ჟღერადობა შეიძინა. ჯანმრთელობის ხელშემწყობი აღიარებული თანამედროვე პრაქტიკები მაგ., ოკუპაციუ-

რი თერაპია ეფუძნება ხედვას, რომ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მაშინ ისადგურებს, როდესაც პირობები ხელს უწყობენ ადამიანს განვითარებაში, რის შედეგადაც შესაძლებელია ადამიანის მოთხოვნილებებისა და მის პოტენციალის თანხვედრაში მოყვანა მისი საქმიანობების (ოკუპაციების) მეშვეობით (Wilcock, 2015).

ჯანმრთელობისა და განვითარების ოკუპაციურ პერსპექტივაში შუალედური ცვლადის როლს ორგანიზმის ჰომეოსტატური მექანიზმი ასრულებს. თავის წიგნში "*Fundamentals of Objective Psychology*" (ობიექტური ფსიქოლოგიის საფუძვლები), 1928 წელს, ჯონ ფრედერიკ დაშიელმა (John Frederick Dashiell) შემდეგი შეხედულების ილუსტრირება მოახდინა: „ადამიანისა და ცხოველების პირველადი სწრაფვები, ქცევის მუდმივ ფორმებს უდევს საფუძვლად, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში შემდგომი აქტივობის სტიმულაციას იწვევს. ადამიანის ინტერესი შეიძლება გახდეს უფრო დახვეწილი, სოციალიზებული, იდეალისტური, მაგრამ საფუძველი, საიდანაც ისინი აღმოცენდნენ აღმოჩენილია ზოგადად ცოცხალის ფენომენებში". ტერმინი „პირველადი მოთხოვნილებები" მიუხედავად მრავალფეროვანი კონცეპტუალური გამოყენებისა, ტექსტის ამ ნაწილში გამოყენებულია იმ მექანიზმების აღსაწერად, რომელიც არის ჰომეოსტატიკურად ღირებული, თანდაყოლილი ჯანმრთელობის აგენტები, რომლებიც ცნობენ ორგანიზმს, როგორც მთლიანს, გარემოსთან კავშირში მყოფს, როგორც ნაწილს ღია სისტემისა. ისინი არ განასხვავებენ ერთამანეთისგან, ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ საკითხებს, ისე როგორც თანმედროვე საზოგადოება და მედიცინა ან ფსიქოლოგია აკეთებს, არამედ მუშობენ როგორც „პროცესების ნაკადი".

მოდელი, სადაც ერთი მხრივ, შენარჩუნებულია დაშიელის (Dashiell, 1928) ჰომეოსტატური „ნაკადის", უწყვეტობის იდეა და მეორე მხრივ, მაინც დამუშავებულია ფუნქციონირების სტრუქტურული საფეხურები, მოწოდებულია ნაშრომში „ჯან-

მრთელობის ოკუპაციური პერსპექტივა“ (Wilcock, 2015). მრავალი ავტორის მოსაზრებათა ციტირების საფუძველზე ვილკოკი აჯამებს, რომ ჰომეოსტატიკური პერსპექტივიდან, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმის სტაბილურობასა და ჯანსაღად ფუნქციონირებას ბიოლოგიური თუ არაბიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის მოთხოვნილებებს აქვთ ჯანმრთელობის შენარჩუნების სამი მექანიზმი. თითოეული მექანიზმი, რომელსაც ქვევით განვიხილავთ მთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ორგანიზმის ამოქმედებას სხვადასხვა გზით უზრუნველყოფს. ეს მექანიზმები აგრეთვე მოწოდებულია იმისთვის, რომ გააფრთხილოს და დაიცვას ორგანიზმი, რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, ან თავიდან აარიდოს ესა თუ ის პრობლემა. იმისათვის, რომ ორგანიზმში არსებული ნებისმიერი ტიპის საჭიროება ან საფრთხე მოგვარდეს, მექანიზმი სხვადასხვა უნარს იყენებს.

ჯანმრთელობის შენარჩუნების მექანიზმის პირველ საფეხურს პირობითად ვუწოდოთ-„ადმინისტრატორი“, რომელიც აფრთხილებს ორგანიზმის განმგებელს, თავის ტვინს, რომ არსებობს კონკრეტული პრობლემა, რომელიც განიცდება, როგორც ორგანიზმის დისკომფორტი და ეს უკანასკნელი საჭიროებს აღმოფხვრას. ჩვენ ამ დისკომფორტს განვიცდით, როგორც- ტკივილს, დაღლილობას, შიმშილს, სიცივეს, შიშს, მოწყენილობას, დეპრესიას, შფოთვას, ბრაზს, ან მარტოობას. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სხეულებრივი განცდა გვიბიძგებს გარკვეული მოქმედებისკენ, რათა შევამციროთ მათ მიერ გამოწვეული დისკომფორტი. მაგალითად, თბილად ჩავიცვათ როდესაც გვცივა, დავისვენოთ, როდესაც დაღლილები ვართ, მივირთვათ, როდესაც განვიცდით შიმშილის გრძნობას, წავიკითხოთ სასიამოვნო წიგნი დეპრესიის გადასალახად, ან ვეცადოთ ვიყოთ ჩვენთვის საყვარელი ადამიანების გარემოცვაში, ან თუნდაც ვეწვიოთ ფსიქოკონსულტანტს. თანდაყოლილი ბიოლოგიური მოთხოვნილებები, დრაივები ე.წ იმპულსები უბიძ-

გებენ ადამიანებს მოქმედებისაკენ, რაც ხელს უწყობს ბიოლოგიურ სიჯანსაღეს, კეთილდღეობას (well-being) .

ჯანმრთელობის შენარჩუნების მექანიზმის მეორე საფეხურზე ხორციელდება „ადმინისტრატორის" მიერ მიღებული ინფორმაციის გამოყენება, რაც უკვე მოიცავს ორგანიზმის მიერ საკუთარი უნარების მოქმედებაში მოყვანას და დისკომფორტის თავიდან აცილებას. მეორე საფეხური უფრო პოზიტიური განცდაა, ვინაიდან იწყება დისკომფორტის შემცირება და ორგანიზმი აქტიურად გადადის მოქმედების მდგომარეობაში. მოქმედებები, რა თქმა უნდა, გამოწვეულია თავად დისკომფორტის ტიპობრიობიდან გამომდინარე. ორგანიზმს სჭირდება ენერგია, იგი იწყებს მაგალითად, სეირნობას, გამოკვლევას, მოგზაურობას, აქტიურად იყენებს საკუთარ გონებრივ რესურსებს – აყალიბებს იდეებს, გამოხატავს მათ, საუბრობს, უსმენს, მედიტირებს, ატარებს დროს მარტო, თუ სხვებთან ერთად.

პირველი და მეორე საფეხურები უზრუნველყოფენ ორგანიზმის ბალანსის შენარჩუნებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ კი ორგანიზმმა დისკომფორტის შესამცირებლად, აღმოსაფხვრელად საჭიროზე მეტი რესურსი გამოიყენა, ინდივიდი განიცდის დაღლილობას, გამოფიტვას, სტრესს, გადაღლას, რაც შეიძლება გადაიზარდოს დაავადებაში. საწინააღმდეგო შემთხვევაში, თუ კი ორგანიზმმა ნაკლები რესურსი გამოიყენა პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაშინ ორგანიზმი კარგავს არსებულ ბალანსს, წონასწორობას, რაც იწვევს ჯანმრთელობის შესუსტებას. საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმისთვის დისკომფორტის შემცირებას, აუცილებელია ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ამ იდეას მხარი ძალიან ბევრმა მეცნიერმა დაუჭირა, მათ შორის 1968 წელს მასლოუმ გაახმოვანა თავისი ადრეული დაკვირვებები და განაცხადა რომ „ჩვენი შესაძლებლობები, უნარები "ყვირიან" რათა ისინი გამოვიყენოთ და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ "ჩუმდებიან", როდესაც მათ სწორად, შესაბამისად ვიყენებთ. ჩვენი შესაძლებლობების,

ისევე როგორც ჩვენი მოთხოვნილებების გამოყენება აუცილებელია ჯანმრთელობისათვის. გამოუყენებელი უნარი, შესაძლებლობა, ორგანოც კი შეიძლება გახდეს დაავადების/დარღვევის ცენტრი“ (Maslow, 1968).

ჯანმრთელობის შენარჩუნების მესამე საფეხური, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხოვნილებათა მესამე კატეგორია, განუყოფელია ადამიანის შემოქმედებითი ქმნადობისკენ მიდრეკილი ბუნებისაგან. ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ელემენტები, მოთხოვნილებები, რომლებიც მოტივაციას აძლევენ ინდივიდს სპეციფიური მოქმედებებისაკენ. ესენია: მნიშვნელობის გააზრების მოთხოვნილება, მიზნის ქონის მოთხოვნილება, შედეგის სრულყოფით კმაყოფილების მოთხოვნილება, სხვისი კმაყოფილების ხელშეწყობის მოთხოვნილება. წინა საფეხურების მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ უკავშირდება “აქ და ამჟამად” არსებულ მოცემულობას. ისინი უფრო სამომავლო და სხვა ადამიანების პერსპექტივას უკავშირდებიან და ამდენად, წინააღმდეგობაშიც კი შეიძლება მოდიოდნენ ჰომეოსტაზის მოთხოვნებთან“.

განხილული სამ საფეხურიანი მოდელი კარგად გამოკვეთავს, მაგრამ ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მესამე საფეხურზე, ადამიანისათვის სპეციფიური წინააღმდეგობის დაძლევა ადამიანის განვითარების კვალდაკვალ, ან როგორ შეიძლება საჭირო პროცესების ხელშეწყობა, იქ სადაც რესურსი არატიპიურად შეზღუდულია – მენტალური განვითარების ტიპიური პროცესი შეფერხებულია, ან/და დამაზიანებელ გავლენებს განიცდის?

ჰომეოსტატზე დაფუძნებული ონტოლოგიურად გადარჩენის, ჯანმრთელობაზე მიმართული საქმიანობის სტრატეგიები უდაოდ საფუძვლიანია, მაგრამ სახელმძღვანელო, თანაბარი მოქალაქეობის პრინციპები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მეტს მოითხოვს.

მენტალური პრობლემების მქონე ახალგაზრდების შემთხვევაში სქემა №7.1-ზე გამოხატული ტრანზიციის პროცესის წარმატებით გავლისათვის, კერძოდ თანაბარი მოქალაქეობის პრინციპების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ხდება მუშაობა, როგორც გადარჩენის სტრატეგიების გამოყენებით, ისე განვითარების სტრატეგიების გამოყენებითაც, სადაც აღნიშნულ პრინციპებს არამარტო სამიზნე, არამედ ინსტრუმენტული ფუნქციაც შეიძლება ქონდეთ. მათი ერთდროულად დეტალური და სისტემური ხედვა მიგვითითებს, თუ რა გავაკეთოთ, აგრეთვე, გვაწვდის მინიშნებებს, თუ როგორ ვეძებოთ ოპტიმალური გამოსავლები.

*გ) ინტერესების მიხედვით შერჩეულ კოოპერაციულ აქტივობებში აღიარების მოპოვებაზე მიმართული ინტერვენციები*

ადამიანი-გარემოს იმავე ჰოლისტური, ღია სისტემის პოზიციაზე დგას ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის თეორია, რომელიც არამარტო ზოგად ფსიქოლოგიურია, არამედ ცდილობს მთლიანპიროვნულობის საკითხებსაც ჯეროვნად უპასუხოს. ანუ უპასუხოს როგორ ასრულებს ადამიანი არამარტო ჰომეოსტაზისათვის მნიშვნელოვან მიზანშეწონის ქცევებს, არამედ იმ ქცევებსაც, რომლებიც ადამიანის მიზანდასახულობას პასუხობს (უზნაძე, 2000). თეორიის ორიგინალურ და სისტემის წარმომქმნელ ცნებას „*განწყობა*" წარმოადგენს. განწყობა არის მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრით წარმოქმნილი არაცნობიერი მდგომარეობა, რომელიც ფსიქიკურ პროცესებს თავის შესაბამისად მომართავს და ზემოთ ნახსენები „პროცესების ნაკადის„ უწყვეტობის გარანტორი ხდება იმის მიუხედავად ფიზიკური, მენტალური თუ სოციალური ფორმით მიმდინარეობს. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით ადამიანი თავის აწმყოში უბრალოდ წარსულიდან კი არ მოდის, არამედ თავისი აწმყოს კონ-

სტრუირებას ახდენს, როგორც მომავალი ქმედების ესკიზს, ე.ი. როგორც მომავალი ქმედებისათვის მომზადებას. "ადამიანი პირველად ასახავს თავისი ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას, შემდეგ არაცნობიერად ადარებს მას იმ ცხოვრების სურათს, რომელიც მის ცნობიერებაში გამოხატულია იდეალურ ფერებში . . და როგორც კი ავლენს შეუსატყვისობას ნამდვილ და იდეალურ ცხოვრებას შორის იმავდროულად იწყებს სწრაფვას არამიზანშეწონილი ცხოვრების შეცვლისაკენ" (უზნაძე, 2000). "აქ და ამჟამად" აქტიობის მიზანშეწონილად წარმმართველ მთლიანობით არაცნობიერ სტრუქტურას აქტუალური განწყობა წარმოადგენს. კონკრეტული მოთხოვნილებების კონკრეტულ გარემოში დაკმაყოფილების დროს აქტუალური განწყობის სახით წარმოდგენილი ადამიანი ფსიქიკურ ფუნქციებს (მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება) როგორც ინსტრუმენტებს, ისე იყენებს. უკვე შექმნილი, ფიქსირებული ან დისპოზიციური განწყობა ადვილად აქტუალიზირებადია. იგი აერთიანებს წარსულ ვითარებებს და ზემოქმედებს მომავალზე. თავის ამგვარ ორგვარ მოქმედებაში განწყობა გამოცდილების დაგროვებისა და ორგანიზმის რეგულაციური პროცესების საფუძვლად მდებარე მექანიზმად განიხილება.

საგულისხმოა, რომ უზნაძე განწყობის ფუნქციის დაზუსტებას ახდენს არა მარტო ყოველდღიური პრაქტიკული ყოფისათვის, არამედ აყალიბებს, ჩვენი განხილვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელოვნების მქონე დებულებას განწყობისა და ცნობიერების დამოკიდებულებაზე: „არა მხოლოდ ობიექტური ვითარების ზეგავლენა იწვევს უშუალო ეფექტს სუბიექტში მისი განწყობის შეცვლის სახით, არამედ იდეური შინაარსების ზეგავლენაც. ამგვარად არაფერი გვიშლის ხელს ჩავთვალოთ რომ საკმარისია, თუნდაც მხოლოდ იდეის (სიტყვის, წარმოსახვის) ზემოქმედება სუბიექტზე რომ, შესაბამის პირობებში, მასში შესატყვისი განწყობა გამოვლინდეს". თეორიული მოდელის პრაქტიკაში მოქმედების საილუსტრაციოდ, დ. უზნაძე

აყალიბებს მიზნებს პედაგოგიკისა და ახალგაზრდა თაობის განათლებისადმი და იმაზე ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს დასახული მიზნები. იგი იმოწმებს რუსსოს შეხედულებებს და წერს „მკვლევარი (პედაგოგი) ფანტაზიაზე დაყრდნობით, ათავსებს თავის თავს ბავშვის ადგილას და ცდილობს წარმოიდგინოს მისი განცდების სამყარო. ფანტაზიაზე დაყრდნობით ის იმუშავებს განცდას დაახლოებით როგორ ხედავს ბავშვი სამყაროს და როგორ ახდენს მის გაგებას, და ამ საფუძველზე იაზრებს პედაგოგიურ წესებს“ (D. Uznadze, 2018 :“Selected Works Commented by Contemporary Georgian Scholars”)

სინამდვილის შემმეცნებელი, შემომქმედი თუ სოციალურ გარემოში მოქმედი პიროვნების ფსიქიკურ კანონზომიერებებზე ფოკუსირებული ინტერესი იკვეთება არა მხოლოდ საკუთრივ უზნაძის შრომებში, არამედ ასევე პუბლიკაციებში, რომლებიც მისი რედაქციით გამოქვეყნდა – მაგ. რ. ნათაძე *“ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის ველზე”* (ნათაძე, 1942). შემდგომში რ. ნათაძე კიდევ უფრო მეტად ავითარებს აღნიშნულ მიმართულებას და აღნიშნულ საკითხზე აქვეყნებს ექსპერიმენტულ კვლევას *„წარმოსახვა როგორც ქცევის ფაქტორი“* (ნათაძე, 1972). მრავალი სერიებით წარმოდგენილი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ წარმოსახვა მაშინ აღძრავს შესაბამის განწყობას, როცა სუბიექტი წარმოსახვის შინაარსს ისე ეკიდება, როგორც რეალობაში მოსალოდნელს ან მომავალში განსახორციელებელს, ანუ როგორც მოვლენას, რომლისკენაც მიისწრაფის. ამ პირობების არსებობისას წარმოსახვით განწყობის შემუშავება შესაძლებელია მაშინაც კი, როცა სუბიექტი აქტუალურად იმყოფება წარმოსახულის საწინააღმდეგო სიტუაციაში და ეს ადამიანის სპეციფიური შესაძლებლობაა. მწყობრი თეორიული მოდელისა და დამადასტურებელი ემპირიული კვლევის მონაცემების არსებობამ ინტერესი და ნდობა გაგვიჩინა იმ მიდგომების მიმართ, რომლებიც

ფსიქიკური განვითარებისა და მენტალური დარღვევების მქონე პირების შემთხვევებში ცდილობს გაუმკლავდეს ქცევის რეგულაციის ამოცანებს არა მარტო ‘‘აქ და ამჟამად’’ და არა მარტო გარე სტიმულაციის გამოყენებით, არამედ ისეთი რეგულაციური მექანიზმების ამოქმედებით, რომლებიც მომავლის დაგეგმვაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე და სოციალურ ურთიერთობებში ადექვატური ინიციატივის გამოვლენაზე იქნება მიმართული. №7.1 სქემის მიხედვით ვსაუბრობთ ტრანზიციის პროცესში მყოფი ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და მენტალური პრობლემების მქონე პირების ინტერესების მიხედვით კოოპერაციულ აქტივობებში მათ ჩართვაზე და აღიარების მოპოვებაზე მიმართულ ინტერვენციებზე.

კოოპერაციულ აქტივობებში ჩართვა და აღიარების მოპოვება თვითმართვის მნიშვნელოვან რესურს საჭიროებს – ისეთი მოთხოვნილებების გაჩენასა და რეალიზაციას, როგორიცაა მომავლის დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება, სოციალურ ურთიერთობებში ადექვატური ინიციატივის გამოვლენა და ა.შ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოთხოვნილებებს ის გამოარჩევთ, რომ მათი დაკმაყოფილების სიტუაცია აქტუალურად არ რის მოცემული, და ამიტომ, შესაბამისი ქმედებისათვის მზაობის (განწყობის) შესაქმნელად სიტუაციის წარმოსახვით გააქტივება არის საჭირო. რიგ შემთხვევაში თვითრეგულაციის ამოცანების გადაჭრისათვის წარმოსახვით შემუშავებული განწყობა აქტუალური სიტუაციის საფუძველზე შექმნილ განწყობაზე ძლიერი უნდა იყოს, ანუ ადამიანი წარმოსახული სიტუაციის ძალით საკუთარ აქტუალურ იმპულს უნდა დაუპირისპირდეს და მიზანდასახული ქცევის შესასრულებლად საკუთარი გაუცნობიერებული მზაობა თვითონ შეცვალოს.

სქემა№7.2 განწყობის თეორიის საფუძველზე შექმნილი ადამიანი-რეალობის ურთიერთ დამოკიდებულებების ოთხ ასპექტიანი მოდელი




ეს ვითარება განწყობის თეორიის საფუძველზე შექმნილ ადამიანი-რეალობის ურთიერთ დამოკიდებულებების ოთხ ასპექტიან მოდელში (შ. ნადირაშვილი 1985) *რეპუდიაციის* სახელწოდებით არის შესული. როგორც სქემა №7.2 გვიჩვენებს, აღნიშნულ მოდელში, ცვლილების ასიმილაციურ-აკომოდაციურ ბალანსთან ერთად (რომელიც კოგნიტურ ფსიქოლოგიაში როგორც ადაპტაციის მექანიზმი მუშავდება) კონტრასტული (რეალობასთან მოურგებული) და რეპუდიაციული (პიროვნების თვითშეცვლის/თვითრეგულაციის) პროცესებიც განიხილება. ფსიქიკური განვითარების დარღვევებისა და მენტალური პრობლემების მქონე პირებში იმპლიციტური ფსიქიკური პროცესების (წარმოსახვა, ნებელობა) სირთულეების გათვალისწინებით ადამიანი-რეალობის კონტრასტულ და რეპუდიაციულ პროცესებზე მუშაობას მათი თვითრეგულაციის გაძლიერებისა და შესაბამისად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

არსებობს გარკვეული პირობები, რომელებიც უზრუნველყოფს პიროვნულ თვითრეგულაციაზე მუშაობის ეფექტიანობას. კერძოდ, კრიტიკულ მნიშვნელობას სოციალური ურთიერთობების და ფსიქოლოგიური მდგომარეობების მეტაფორული გამოხატვის შესაძლებლობა იძენს. ტვინის აქტივობის გაზომვებმა აჩვენა, რომ მეტაფორული ტექსტის კითხვის დროს, ეს აქტივობა ისეთივე აგზნებას იწვევს მარცხენა ნახვარსფეროში, როგორც

სამეცნიერო ტექსტის კითხვა და დამატებით აგზნების ნიშან-დობლივ მომატებას მარჯვენა ნახევარსფეროშიც. ამ ფიზიო-ლოგიურ მტკიცებულებას თავისი ფსიქოლოგიური გამოხატუ-ლებაც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორული შემეცნება პირდაპირ არ არის დამოკიდებული ლოგიკურ მსჯელობებზე და არც აღქმის სიზუსტის შემოწმებას საჭიროებს, სამყაროს გაგება ამ გზით ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობების თანაარსებობას და მათ ისეთ გაერთიანებას, რომლებიც ურთიერთს საზრისის ელფერს ჰმატებენ (*Kopp & Sheldon*, 1971). პიროვნული ცვლი-ლებების ამგვარი ხედვა ე.წ. „ნახევრად ქაოტური", თავისუფალი სიტუაციის ორგანიზებას საჭიროებს, რომელიც აკადემიუ-რი/სასწავლო ან ტრენინგული გარემოსგან განსხვავდება. სწო-რედ ამგვარ გარემოშია შესაძლებელი ხელი შეეწყოს გაუცნო-ბიერებელი მოტივებისა და ემოციების გამოხატვას სიმბოლუ-რი/მეტაფორული გზით ხატვის, როლების გათამაშებისა თუ სხვა მხატვრული საშუალებით და შედეგად წარმოსახვის, როგორც თვითრეგულაციური ქცევის ცენტრალური ფაქტორის გაძლიე-რებას ნაბიჯ-ნაბიჯ.

წარმოსახვის, როგორც ქცევის ფაქტორის გავარჯიშება და თვითმართვის პროცესების გაძლიერება კარგ საფუძველს ქმნის შემეცნებისა და შემოქმედებითი პროცესების ამოქმედე-ბისათვის ტრანზიციის პროცესში მყოფი ახალგაზრდებისათ-ვის. რუდოლფ შტაინერის მოძღვრებასთან დაკავშირებული ტრინალური პრინციპის ფარგლებში თეორიულად იქნა დამუშა-ვებული ძირითადი სამუშაო ცნება *ხელოვნება, როგორც ქმე-დების მოდელი (მიხეილ ბრატერი 2018)*, რომელიც მრავალი სახის ვარიაციებს ქმნის ცხოვრების ნებით მდინარებასა და გა-აზრების კანონზომიერებებს შორის. ამ ცნების აპლიკაციებს ვხვდებით გამორჩეულ ხელოვანთა მიგნებებში: ამოცანას ჩვეუ-ლებრივი გავხადოთ უჩვეულოდ წარმოდგენილი მივყავართ ხე-ლოვნებასთან. ხოლო არტისტული გამოცდილება არაცნობიე-რი ცოდნის ცნობიერ დონეზე გადაყვანაა (Brook, 2008).

ხელოვნების როგორც ადამიანის მაფორმირებელი ძალის ანალიზისას უმნიშვნელოვანეს კომპონენტად *წარმოსახვა* წარმოჩინდება. წარმოსახვა გვაძლევს საშუალებას შევიხედოთ ფარდის უკან, მოვახდინოთ კომუნიკაცია არაცნობიერ ცოდნასთან, რაც თავდაპირველად შეგრძნებების დონეზე არის მოცემული. წარმოსახვა არის არსებულის გაგების საშუალება და ამასთან ერთად, წარმოსახვა შესაძლებლობებით თამაშიც არის მეტაფორულ დონეზე. ხელოვნებასთან ურთიერთობის დროს გვაქვს განცდა, რომ რაღაც გავიგეთ, მაგრამ ყველაფერი არა, და სწორედ ეს ამბივალენტური მდრომარეობა აღძრავს ფუნქციობისა და განვითარების ტენდენციას, როგორც შემეცნებისათვის, ისე შემოქმედებისათვის. მოხეილ ბრატერის მიერ შემოთავაზებული ტრიალური მეთოდი განათლებასა და დასაქმებას მხატვრული შემოქმედებისათვის სპეციფიური მნიშვნელოვანი კომპონენტებით ამდიდრებს:

1. დაკვირვების უნარი,
2. ნებისყოფა იურთიერთოს მასალის მოცემულობასთან
3. მიმდინარე პროცესიდან მიზნების გამოკვეთის უნარი (ინტუიცია)
4. განხორციელებულ საქმიანობაზე რეფლექსიის უნარი.

ტვინის დიფერენციალური კოგნიტური აქტივობების გასასაზღვრად ჩატარდა კვლევები მაგნიტურრეზონანსული გამოსახულებების გამოყენებით (Csikszentmihaly, 1988). შედეგებმა აჩვენა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ხელოვნებაში, მუსიკაში, ცეკვაში და დრამაში უფრო შემოქმედებითები იყვნენ, და სხვებთან შედარებით პრობლემური ამოცანების გადაჭრაში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. მიუხედავად მრავალრიცხოვანი სასწავლო აქტივობებისა და მოთხოვნებისა, რომელსაც უყენებენ ხელოვნებას, როგორც სწავლების ეფექტიან სტრატეგიას, მეცნიერული სფეროს ხელოვნებით განათლების კვლევა ნაკლებად შეისწავლის იმ კონკრეტულ ასპექტებს, რომლებიც იწვევს მოსწავლეთა წარმატებას. მაგალითად, 2011

წელს, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო განათლების კვლევის კონფერენციაზე (ევროპის სამეცნიერო განათლების კვლევის ასოციაცია ESERA), 700-მდე წარმოდგენილი ნაშრომიდან მხოლოდ 2 აღწერითი კვლევა იყო "დრამის" დარგში, მაშინ როცა "დისკუსიისა და არგუმენტაციის" სფეროში 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ემპირიული, იყო განხილული (Martin, 2015).

## 7.2 ბავშვის განვითარების ინსტიტუტი: პრაქტიკული გამოცდილება

### *ა) ბავშვის განვითარების ინსტიტუტის საქმიანობის ზოგადი მიმართულებები*

ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, 2014 წელს დაარსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და არის მის დაქვემდებარებაში მყოფი მრავალპროფილური ინსტიტუტი, რომელიც ერთ სივრცეში ქმნის განათლების, კვლევისა და ხარისხიანი სერვისის მიღების შესაძლებლობას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სფეროში[9].

ინსტიტუტის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად იყენებს სერვისების, განათლებისა და კვლევების (მულტი და ინტერდისციპლინარული) გენერირებასა და გამოცდილებას.

ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- აუტიზმისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და რეაბილიტაცია;
- ადრეული ინტერვენცია, კერძოდ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ან რისკჯგუფში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფა შესაბამისი სერვისებით, რასაც თან ახლავს

---

[9] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/bavshvis-ganvitarebis-instituti

მშობლის/მეურვის როლის გაძლიერება ბავშვის სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობაში;

- სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა განათლების ადრეულ და სხვა საფეხურებზე შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით;
- სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს მოზრდილთა განათლების სხვადასხვა ეტაპის კომპონენტებს – სტუდენტების პრაქტიკას, სპეციალისტების მომზადებას, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას ტრენინგისა თუ სუპერვიზიის გამოყენებით;
- ინსტიტუტის ცენტრებისა და პროგრამების ბენეფიციარების ინტერესების დაცვა;
- ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სფეროში ახალი მიმართულებების, მეთოდებისა და პრაქტიკის-ქცევითემოციური განვითარების პროგრამის, სენსორული თერაპიის, ენისა და მეტყველების თერაპიისა და ა.შ. კვლევა, მათი გამოყენების პირობებისა და საქართველოში დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა;
- უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებთან, ინსტიტუტებსა და ცენტრებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში[10];

ქვემოთ მოცემული პროექტის მიზნებიდან გამომდინარე განხილულია განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციარებ-

[10] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/bavshvis-ganvitarebis-instituti

თან მუშაობის საკითხები, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა განათლების, კონსულტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის დაცული და მხარდაჭერილი დასაქმების ასლგადამღები ცენტრის ბაზაზე.

*ბ) ორგანიზაციული კულტურის ჩარჩო*

კომუნიკაციური გამოცდილებას უნდა მიეცეს საზრისი. ის არ არის მოცემული იმანენტურად. გამოცდილებიდან საზრისის ამოტანა გაზიარებით ხდება . გაზიარებული გამოცდილებები ქმნის კულტურას.

ბავშვის განვითარების ინსტიტუტში (განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის დაცული და მხარდაჭერილი დასაქმების ასლგადამღები ცენტრი) გაზიარების მთავარი სამიზნეებია:

*1) სისტემური აზროვნება და სწავლა „გარდამავალი ობიექტით“* – ყოველდღიურ გამოყენებაში სწავლა გახდა "ინფორმაციის მოპოვების" სინონიმი, მაგრამ სწავლა გულისხმობს გონების ძირეულ შეცვლას ღრმა მნიშვნელობის გაგებისაკენ, სადაც მთლიანობას შეუძლია გადააჭარბოს მისი ნაწილების ჯამს. თუ მოვახდენთ ფოკუსირებას მხოლოდ ფაქტებზე, საუკეთესო, რისი მიღწევაც შეგვიძლია, არის ვიწინასწარმეტყველოთ მოვლენები, რათა მოავხდინოთ ოპტიმალური რეაგირება, მაგრამ ამ გზით ვერ ვისწავლით შექმნას. გამოცდილებით სწავლისას ვერასდროს განვიცდით ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შედეგებს. მოდელირებული მიკროსამყაროების მიხედვით, სწავლებას აქვს მნიშვნელოვანი ბენეფიტი. აქ შეიძლება გამოვიყენოთ თამაში/სიტუაციური ექსპერიმენტი, რასაც თეორეტიკოსები „გარდამავალ ობიექტებს უწოდებენ“, ანუ მიკრო სამყარო, სადაც მოქმედება უსაფრთხოა. „გარდამავალი ობიექტით“ თამაშისას ტრანზიტულ პერიოდში ახალგაზრდები ერთგვარ ექსპერიმენტებს ატარებენ, რაც ეხმარებათ მათ ძირი-

თადი პრინციპების აღმოჩენასა და ზოგადი უნარების განვითარებაში.

*2) დაოსტატებისა და თავისუფლების პიროვნული უნარი* – დაოსტატება მოიცავს სამუშაო მასალაზე (ობიექტები ან სუბიექტები) დაუფლებას. დაოსტატება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უნარს ეფუძნება. ნამდვილი „თავისუფლება“ არის ახლის შექმნის სურვილი, ისეთი რამის, რომელიც ღირებული და მნიშვნელოვანი იქნება ადამიანებისთვის და შესაძლებლობა რომ შექმნა ის, რაც ნამდვილად გსურს.

*3) გუნდური მოქმედება* – დისციპლინა იწყება "დიალოგით" რომლის სწავლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან გუნდები და არა ინდივიდები აღწევენ წარმატებას. აქ შეიძლება გაჩნდეს ე.წ. პასუხისმგებლობის ილუზია – მენეჯერები ხშირად გამოხატავენ კომპლექსური პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობას. ჩვეულებრივ, ეს ნიშნავს, რომ რთული პრობლემები უნდა შევაჩეროთ, აღარ უნდა ველოდოთ ვინმესგან რამის გაკეთებას და დამოუკიდაბლად უნდა გადავწყვიტოთ პრობლემები. მიუხედავად ინკლუზიური გარემოცვის სპეციფიურობისა, უნდა ვეცადოთ ასეთი ილუზიის დაძლევას.

*4) მონაწილეობითი ღიაობა და რეფლექსიური ღიაობა* – მონაწილეობითი ღიაობა გულისხმობს, აზრის თავისუფლად, შიშის გარეშე გამოხატვას. რეფლექტური ღიაობა კი გულისხმობს რეფლექსიას, გააზრებას რომ ის იდეები, რაც გაგვაჩნია უკეთეს შემთხვევაში ჰიპოთეზებია და არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად „მყარია“ ჩვენი იდეა, ის ყოველთვის ცდის და გაუმჯობესების საგანია. რეფლექსიურ ღიაობას კარგად გამოხატავს აზრი: „შესაძლებელია მე ვცდებოდე, ის კი მართალი იყოს“, ეს გვიბიძგებს არა მარტო საკუთარი იდეების კვლევისკენ, არამედ სხვისი იდეების გააზრებისკენ. რეფლექტური ღიაობა ერთგვარი უნარია, რომელიც შეიძლება ისწავლო და მის

შესწავლაში ორგანიზაციის (ბავშვის განვითარების ინსტიტუ-ტის) მხარდაჭერა შემჩნევადია.

*5) ნელი, თანდათანობითი პროცესების დანახვა (კვლევა)* – საჭიროა შევამციროთ ტემპი და ყურადღება მივაქციოთ წვრილმან და დროში დაწელილ მომენტებს. მაგალითისათვის თუ ჩაიხედავთ დაგუბებულ წყალში ვერ დაინახავთ რაიმე ცვლილებას. თუმცა, დიდხანს ყურებისას, დაახლოებით ათ წუთში, დაგუბებული წყალი გაცოცხლდება. ლამაზი არსებების სამყარო იქაა, თუმცა მოძრაობს ძალიან ნელა იმისათვის, რომ პირველ ჯერზე დაინახო ისინი. კვლევა და, მიმდინარე პროცე-სების პერმანენტული შეფასება ორგანიზაციაში (ბავშვის გან-ვითარების ინსტიტუტში) გაზიარების საგანია.

*6) „რეალობის“, ანუ ორგანიზაციის გარედან მომდინარე შეზღუდვების პატივისცემა* – უსაგნო ოცნება, ან ცინიკური ბოდვა VS მიღწევადი გამოსავალი. ვინმეს რომ შესძლებოდა სურვილების რეალობად მარტივად ქცევა, კრეატივი, რომელ-საც იდეის განხორციელება მოითხოვს, არ იარსებებდა. ლიდე-რები თანამშრომლებს რეალობის ხედვის მიღწევაში ეხმარები-ან. "ლიდერის, როგორც მასწავლებლის" ამოცანაა რეალობა ოთხ განსხვავებულ დონეზე განიხილოს: მოვლენები, ქცევის ნიმუშები, სისტემური სტრუქტურები და ”მიზანი სიუჟეტი." ორგანიზაციის მთავარი კონსენსუსი კი მდგომარეობს იმაში, თუ რაზე მიმართავენ ისინი თავიანთ ძალისხმევას.

### *7.3. კურიკულუმი და სასწავლო ნიმუშები*

*ა) ინკლუზიური სწავლება და კოჰესია დასაქმებაში -ბაზისუ-რი ინტერვენციებისა და კვლევის მეთოდების გაცნობა (1 და 2 სემესტრი).*

როგორც ცნობილია ბავშვობიდან ზრდასრულობაში გარდამავლობის პერიოდში ცხოვრების სოციალური და პიროვ-

ნული ასპექტები განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს. აღნიშნული თანაბრად ითქმის როგორც ტიპიური განვითარების, ასე შეზღუდული შესაძლებლობების მოზარდებზე. ამასთან შეზღუდული შესაძლებლობების მოზარდები და ახალგაზრდები სათანადო საზოგადოებრივ ქცევებს მხოლოდ მაშინ სწავლობენ და გაშლილ სოციალურ ურთიერთობებსაც მაშინ აყალიბებენ, როცა ურთიერთობების ექსპერიმენტირების შესაძლებლობა ეძლევათ ტიპიური განვითარების მქონე თავის თანატოლებთან. თანატოლთა კოოპერაციული სწავლა გარდამავალ ფორმას წარმოადგენს მასწავლებლის მიერ წარმართულ და დამოუკიდებელ სწავლას შორის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების სწავლების ეს ფორმა სოციალური უნარების განვითარებისა და პიროვნული ზრდისათვის გამორჩეულ რესურს ქმნის. ამგვარი რესურსის მიუხედავად კოოპერაციული სწავლება, როგორც ჯგუფური მუშაობის ფორმა, შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა ფორმების განსაკუთრებით ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და მენტალური პრობლემების შემთხვევაში მნიშვნელოვან სირთულეებსაც აწყდება და მხარდაჭერის ორგანიზების სპეციფიურ მეთოდებს საჭიროებს.

**“place-and-train” (სწავლება სამუშაო ადგილას)** მეთოდი ინოვაციური და ეფექტურია (Program implemented with support of TEMPUS MP-JEP 223154-2002 PARADAG Project and ENOTHE) მეთოდი გულისხმობს საქმიანობის საჭირო უნარების სწავლებას უშუალოდ დასაქმების ადგილზე. მისი ეფექტურობა შემდეგში მდგომარეობს:

- სსსმ პირებისათვის ძნელია სასწავლო ორგანიზაციებიდან სწავლის შედეგების გადატანა დასაქმების პრაქტიკულ სფეროში. ასევე, ხანგრძლივია ფსიქო-ემოციური ადაფტაციის პროცესი. *“place-and-train”* მეთოდი ამცირებს ამ სირთულეების შემაფერხებელ ეფექტს.
- იმის გამო რომ სსსმ ახალგაზრდების განათლება უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვიდრე ტიპურ შემთხვევებში, სირთულეს წარმოადგენს მათი დასაქმების

წინმსწრები განათლების უზრუნველყოფა. *"place-and-train"* მეთოდი შესაძლებლობას იძლევა დასაქმებულის სოციალური როლი და მცირე მატერიალური შემოსავალი გაუჩნდეს სსსმ პირს სწავლის პროცესის პარალელურად და სწავლების პროცესის ხანგრძლივობა მტკივნეულად არ განიცადოს.

- *"place-and-train"* მეთოდი მასიურად არის ორიენტირებული პრაქტიკულ საქმიანობებზე, რასაც აქვს შემდეგი უპირატესობები სსსმ პირებისათვის: საწარმოო ჯაჭვი ხილვადია; საწარმოო პროცესი მრავალფეროვანია ტემპის, რიტმის, გამოყენებული მასალის, რეზულტატის მიხედვით; სამუშაო პროცესი ადვილად დაშლადია ოპერაციებად, რაც აადვილებს ამ ოპერაციების სელექციას ბენეფიციართა უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.
- *"place-and-train"* მეთოდით ბენეფიციარები იძენენ როგორც კონკრეტული მომსახურების ცოდნას და გამოცდილებას (მაგ. ილიაუნის „Copy Shop"-ში კომპიუტერულ-ტექნიკური მომსახურეობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ასლის გადაღება, ამობეჭდვა, ლამინირება, აკინძვა, სკანირება), ისე ზოგადად სამუშაო გარემოსთვის აუცილებელ უნარჩვევებს (მაგ. სარგებელი-სარგებელის ტიპის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება მაგ. ბენეფიციარებს და პრაქტიკანტ სტუდენტებს შორის) .
- *place-and-train* მეთოდი საშუალებას იძლევა ეტაპობრივ პროცესში გაერთიანდეს *დაცული, მხარდაჭერითი და ღია დასაქმების* განთავსებები. მათი ამოცანები შესაბამისად არის: 1. საწარმოო პროცესისა და საწარმოო ურთიერთობების მიწვდომადი, ესთეტური, ეთიკური (ჯანსაღი) გარემოს შექმნა და სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა; 2. ბენეფიციართა სუსტი და ძლიერი მხა-

რეების იდენტიფიცირება. შრომითი აქტივობებისა და შრომითი ურთიერთობების სტრუქტურირება და მათი რიტმულობის უზრუნველყოფა ბენეფიციართა უნარების განვითარებისათვის; 3. დამოუკიდებელი შესრულებისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების დახელოვნება.

- *place-and-train* მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირების დამხმარე თანამშრომლების (შესაბამისი პროფილის პრაქტიკოსების მაგ. ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების და ოკუპაციური თერაპევტების) მულტიდისციპლინურ მომზადებას. ხდება მათი პრაქტიკული ჩვევების კოჰესიის გამომუშავება.

დაცული დასაქმების და მხარდაჭერილი დასაქმების განთავსება ფაქტობრივად ფუნქციონირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. ღია დასაქმების ადგილას ბენეფიციართა განთავსების უზრუნველყოფა დამუშავების პროცესშია. ამ პროცესის სამიზნე ამოცანებია 1. ცხოვრების საკვანძო უნარების გააზრება, გაშინაგნება; 2. სოციალური ცხოვრების გააქტიურება; 3. საზოგადოებასთან მორგებული პირადი მიზნების გაჩენა და საკუთარი ცხოვრების საზრისის გამოკვეთა.

აღნიშნული ამოცანების მისაღწევად *place-and-train* პროცესის შემავსებლად, ტრინალური პრინციპიდან გამომდინარე, ისეთი მეთოდებით არის ეფექტიანი, რომლებიც ხელოვნების პროცესებზე აკეთებენ აქცენტს.

*ბ) მითოდრამის მეთოდი*

მითოდრამის მეთოდი (პროფ. ალან გგუგენბიული, კონფლიქტების მართვის ინსტიტუტი (IKM კონფლიქტების მართვისა და მითოდრამის ინსტიტუტი) შვეიცარია, (Guggenbühl, 1991), რომელიც ფსიქოლოგიაში ჰოლისტურ მიდგომას ეყრდნობა, ემიჯნება ჩარევის როგორც დირექტიულ, ისე დიდაქტიკურ მეთოდებს. წარმოსახვის მეშვეობით საჭირო განწყობათა მტევნის

აქტუალიზაცია ამ განწყობის გაშლა რეალურ ქცევაში და ამ გზით დისჰარმონიულად სტრუქტურირებული გამოცდილებისა და ცნობიერებაში წინააღმდეგობრივად ან დაფრაგმენტებულად ასახული შინაარსების მოწესრიგება მითოდრამის მეთოდის მიზანს წარმოადგენს. წარსული გამოცდილების გადახედვასა და ახალი გამოცდილების მოპოვებას მეთოდი არაცნობიერი ფსიქიკური ტენდენციების გამოვლენით და წარმოსახვის მეშვეობით მათი ოფტიმიზაციით ახდენს. მითოდრამის მეთოდი აღნიშნული მიზნობრიობისათვის ფართედ და კომპლექსურად იყენებს ხელოვნების სხვადასხვა ფორმებს (ამბის გაანალიზება/შეთხზვა, ხატვა, თეატრალური გათამაშება) და ამდენად სრულად არის მორგებული სწავლების ტრიალურ პრინციპს.

ორგინალურად მეთოდი გამიზნულია კრიზისში მყოფ მოზარდებთან სამუშაოდ და ამ ფორმით დანერგილია საერთაშორისოდ. საქართველოში მეთოდი აპრობირებულია კრიზისში მყოფ მოზარდთა ისეთ ჯგუფებთან, როგორც მოზარდები იძულებით ადგილნაცვალი ოჯახებიდან, მშობლების ზრუნვას მოკლებული მოზარდები, სკოლიდან განთესილი მოზარდები, სასჯელ აღსრულების დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნები.

საქართველოს განათლების სამინისტროს მხარდაჭერით მეთოდი აპრობირდა და მისი ეფექტურობა შეფასდა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებში ცხოვრების საკვანძო უნარების (პასუხისმგებლობა, მოწესრიგებულობა, ამტანობა, დროის მართვა და ა.შ.) გაძლიერების მიმართულებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის პროგრამა „სტუდია მ ო დ ი"-ის (სტუდია მოსწავლეთა ოკუპაციებისა და ინკლუზიისათვის) ფარგლებში მითოდრამის მეთოდის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმატებით იყენებს სსსმ ბენეფიციართა სოციალურ კოჰესიაში აბილიტაციისათვის და პიროვნული განვითარებისათვის. მეთოდი გამოიყენება როგორც „გადარჩენის" პროგრამის ისე „აღიარების მოპოვების" პროგრამის ფარგლებში . პირველ შემთხვევაში ამბები აი-

გება დაცული დასაქმების თანამშრომელთა ყოველდღიური ცხოვრებიდან, მეორე ეტაპზე მხარდაჭერითი დასაქმების თანამშრომლებს ამბები მიეწოდებათ სხვა ადამიანების რეალური და არარეალური, გამოგონილი სიტუაციების საფუძველზე

ამბავის თხრობა წარმოადგენს შეხვედრების ცენტრალურ აქტივობას. სიუჟეტის გაგებისათვის წინასწარ მომზადებულია ე.წ. ვიზუალური საყრდენები – ამბის გმირებისა და სიტუაციების ამსახველი გამოსახულებები, აგრეთვე ამბის განვითარების რუკა. ამბის დასაწყისის მოსმენის შემდეგ ჯგუფის მონაწილეები წყვილებში (ბენეფიციარი თანამშრომელი და პრაქტიკანტი სტუდენტი) ხატავენ ამბის დასასრულს – ფურცელზე უნდა გადმოიტანონ ამბის დასასრულის მათეული ინტერპრეტაცია, ხოლო შემდეგ კი ჯგუფის ყველა მონაწილემ გაითამაშონ, დადგან სპექტაკლი. მნიშვნელოვანია მონაწილე სტუდენტებმა წყვილში მუშაობის პროცესში გამოიყენონ ე.წ. მიყოლის ტექნიკა და მეწყვილე ბენეფიციარის შემოთავაზებული მასალა შეივსოს (უფრო გამოკვეთილი და სრულყოფილი გახადოს) მასთნ თანხმობის საფუძველზე. წარმოსახული ხატები თერაპიული პროცესის ამ ეტაპზე უფრო კონკრეტულ სახეს ღებულობს. ის, რასაც ახალგაზრდები სპონტანურად ხატავენ ან თამაშობენ, არაცნობიერად ასახავს მათ რეალურ ცხოვრებას; კერძოდ, არაცნობიერად პოულობენ მათთვის პიროვნულად აქტუალურ თემებს, ახდენენ ამ თემების ვიზუალიზაციას ხატვისა და გათამაშების საშუალებით და ამ პროცესში პრობლემის გარშემო ახალ ასპექტებს აცნობიერებენ. ეწყობა ნახატების პრეზენტაცია. მონაწილეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევარს, რომელთა განხილვაც ჯგუფში მიმდინარეობს. წამყვანი სვამს კითხვებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ახსნა და ინფორმაცია მიიღოს მონაწილეებისაგან. ასეთი კითხვების მიზანია მონაწილეები გახდნენ მგრძნობიარე მათ მიერ გამოყენებული სიმბოლოებისადმი (მხატვრული ხატებისადმი). შეხვედრის ბოლო ფაზაში ყურადღების ცენტრში ექცევა ჯგუფის წევრების რეალუ-

რი ცხოვრება, ხოლო წარმოსახვა უკანა პლანზე გადადის. ამზავი საშუალებაა, რომელიც ამზადებს ახალგაზრდებს იმაზე სასაუბროდ, რაც რეალურად აფიქრებთ. ზოგი თავიდანვე ავლებს პარალელს საკუთარ ცხოვრებასთან, და ძალდაუტანებლად საუბრობს, ზოგს დამატებითი კითხვები სჭირდება კავშირის აღმოსაჩენად, ზოგი კი საერთოდ უარყოფს ყოველნაირ პარალელს და უარს ამბობს საუბარზე (Guggenbühl, 1991). მთლიანობაში მხატვრული აქტივობებით გაჯერებული პროცესი მისცემს მონაწილეებს საშუალებას რეალურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს სხვა თვალით შეხედონ, გააცნობიერონ სხვადასხვა ასპექტები და გახდნენ უფრო მოქნილნი რთულ სიტუაციებთან გამკლავებისას.

გ) *სუპერვიზირებული და ინტერვიზიული დამოუკიდებელი პრაქტიკა (მე-3-ე სემესტრი)*

პირველ რიგში, ვინაიდან საკითხი უკავშირდება პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს პროფესიულ პრაქტიკაში მნიშვნელოვანია ძალის გადანაწილების კონტროლი სუპერვიზიის პროცესში (მენტორული პოზიციის არ დაშვების მიზნით). ამის გათვალისწინებით ყურადღება ექცევა იმ ზოგად უნარებს, რაც პრაქტიკაზე მყოფმა სტუდენტმა აითვისა 1 და 2 სემესტრის განმავლობაში და ამ ეტაპზე უნდა გამოიყენოს დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალების ფარგლებში. ეს უნარებია, რომლებიც აუცილებელია ფსიქოსოციალური დახმერებისთვის მაგალითად: შეუძლია სოციალურ პედაგოგს კონტაქტის დამყარება? იყენებს ის მარტივ ენას? იყენებს აქტიური მოსმენის ტექნიკას? შეუძლია მას ქცევის ინტერპრეტაცია რელევანტურად? ფლობს ქცევის ტექნიკებს, როგორიცაა სარკისებრი პასუხი და განმამტკიცებელი ტექნიკები ბიჰევიორალურ თერაპიაში? შეუძლია მუშაობა მაშინაც კი, როდესაც მინიმალურად არის შესაძლებელი გაუგო ფსიქიკური განვითარების დარღვევის მქონე ახალგაზრდას? შეუძლია იპოვოს კარგი „გადაწყვე-

ტა“, რომელიც იქნება გასაგები და მისაღები სსსმ ახალგაზრდისათვის? აქვს დროის კარგი შეგძნება? შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს სხვა რესურსებს კლიენტის დასახმარებლად? აკეთებს ჩატარებული სამუშაო პროცესის კარგ ჩანაწერებს?

მეორე რიგში, სუპერვიზიის დროს დიდი ყურადღება ეთმობა ემოციური სენსიტურობის საკითხს კლიენტთან და სუპერვაიზისთან დაკავშირებით. სუპერვაიზორი მხარს უჭერს მონაწილეს ემპათიური ყურადღებით, მზრუნველობითა და კონსტრუქციული კონფრონტაციით. მხარდაჭერა ხშირად მოდის ემპათიური გაზიარების გზით, გადმოცემით, როგორ აღიქვამს სუპერვაიზორი მონაწილის ინტერვენციაში ემოციებსა და დამოკიდებულებებს. ემოციური სენსიტურობის გაზრდის კუთხით ძალიან ეფექტიანია ჯგუფური ინტერვიციის მოდელი, სადაც შემთხვევის ემოციური და კოგნიტური გადამუშავება საფეხურებრივად ხდება როლური შთაგრძნობის ტექნიკის გამოყენებით პრაქტიკანტ სტუდენტთა ჯგუფურად მუშაობის მოწყობაში.

ბოლოს, საკითხი რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს არის სუპერვაიზორის სტიმულირება თვითშეფასების მიმართულებით. რელევანტური შეიძლება იყოს გრადუალური რეფლექსიის ასეთი ჩარჩო:

1. ნაბიჯი – რა მინდა აქ და რას ვგრძნობ მე
2. ნაბიჯი – ურთიერთობები, თანაგრძნობა კონკრეტულ მოსწავლესთან და ქმედების ინტერაქციის კონტენტთან
3. ნაბიჯი – მოსწავლეთა ჯგუფის შეგრძნება და მათი მოთხოვნილებების ცნობიერება
4. ნაბიჯი – თანამშრომლები და მათთან კავშირი. ამოცანების დელეგირება
5. ნაბიჯი – ორგანიზაციასთან მაკრო კონტექსტთან, პროცესებთან კავშირი, პროფესიულ პოლიტიკასთან კავშირი

თვითშეფასებასთან კავშირში ეფექტიანია ოდელმირების მეთოდი და სუპერვიზიის პროცესში სუპერვაიზორის მხრიდან საკუთარი თვითშეფასების პროცესის დემონსტრირება.

*დ) მცირე პროექტები და კეთებით სწავლება (მე-4-ე სემეს-ტრი)*

*კულტურული ღონისძიებები* – კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა (ინკლუზიური სპექტაკლის მომზადება, მხატვრული ფილმების საჯარო განხილვები, შემეცნებითი ექსკურსიები, თემატური კონკურსები) და ამ აქტივობების სსსმ ახალგაზრდების ყოფის შემადგენელ რუტინად ქცევა, ერთი მხრივ, ტრინალური მეთიდის განხორციელებას წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი, პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების შესაძლებლობას ქმნის სოციალურ-ფსიქოლოგიური აბილიტაცია/რეაბილიტაციის მიმართულების სტუდენტებისათვის, მათ შორის სოციალური მუშაობის მაგისტრანტებისათვის. აქ მოვიტანთ სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში განხორციელებული პროექტის ერთ მაგალითს.

მცირე პროექტისათვის „ღია დაკვეთილი – მოდი ვითამაშოთ“ რესურსების კონსოლიდაცია შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის დაფინანსებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო პროექტის ’’ვაშენებთ ხიდებს’’ მხარდაჭერით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სამსახიობო ხელოვნების პროგრამის მასწავლებლის, რუსუდან ბოლქვაძის კულტურის სამინისტროს კონკურსში გამარჯვებულმა პროექტმა „ღია დაკვეთილი- მოდი ვითამაშოთ“ „სტუდია მოდი“-ს სსსმ ბენეფიციარებსა და დაცული დასაქმების თანამშრომლებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ოსტატობის პირველი წლის სტუდენტების სალექციო/პრაქტიკულ პროცესში ჩართულობის და თავისი სამსახიობო ძალების საუნივერსიტეტო სცენაზე მოსინჯვის უნიკალური შესაძლებლობა მისცა.

პროექტის სამუშაო ჯგუფის ერთობლივი გადაწყვეტილებით სასცენო ეტიუდები მომავალი სპექტაკლის მონაწილეე-

ბის ნარატივებზე იქმნებოდა. რიგ შემთხვევებში მოფიქრებულ ამბებს სპექტაკლში დაკავებული სსსმ ახალგაზრდების სპონტანურად შექმნილი ილუსტრაციები ერთვოდა. მოხდა ამ ეტიუდების მხატვრულ შემოქმედებითი შეკვრა სცენიურ თეატრალურ ფორმაში და 2019 წ. 15 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე ექსპერიმენტული სპექტაკლი დაიდგა ფართო მაყურებლისათვის. დამატებით თეატრის ფოიეში მოეწყო პროექტის მონაწილეთა მიერ შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა, რომელმაც მაყურებლისათვის სამუშაო პროცესი უფრო ხილული და გასაგები გახადა. პროექტის ამგვარმა კონცეპტუალიზაციამ შესძლო: 1) მხატვრული ფორმებით გაეცნო საზოგადოებისათვის ახალგაზრდების, მათ შორის შშმ და სსსმ ახალგაზრდების ხედვა სოციალურ და ეთიკურ საკითხებზე, ანუ გახდა საზოგადოებასთან მათი „ხმის" მიმტანი; 2) პროფესიულ პრაქტიკაში ჩართულმა სტუდენტებმა მიიღეს ტრიალური მეთოდის გამოყენების გამოცდილება; 3) სპექტაკლში მონაწილე პირებს განუვითარა არა მხოლოდ ჯგუფური მხატვრულ შემოქმედებითი პროცესისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, არამედ აგრეთვე ინკლუზიური მოწყობისათვის სპეციფიური უნარ ჩვევები; 4) ტრიალური მეთოდის გამოყენებით, ექსპერიმენტული ფორმატის სპექტაკლის სახით საუნივერსიტეტო ინკლუზიური კულტურის ახალი ფორმა შეექმნა.

*ტრანზიციის მომზადება დასაქმების ღია სივრცეში* – P. Wehman-ს აქვს განსაზღვრული დასაქმების დაგეგმვის პრინციპები დასწავლის უნარის პრობლემების მქონე, ემოციური, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანებთან. ის ამბობს, რომ საზოგადოებისგან ბარიერების გამკლავების გზა არის, ამ სამუშაო ადგილებზე ამ ადამიანებისგან კომპეტენტური თანამშრომლების შექმნა. ტრანზიციას, გადასვლას სკოლიდან სამსახურში შშმ პირებისთვის საფეხურებრივი დაგეგმვა და თანმიმდევრული შეფასება სჭირდება: ინფორმაციის შეგროვება დასაქმების კანდიდატის

სამუშაო უნარების შესახებ. ინტერვიუს ჩატარება დასაქმების ადგილის მენეჯერთან, რომელიც ფლობს დეტალურ ინფორმაციას დასაქმების გარემოსთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის (1–2) მიზნობრივად გატარება დასაქმების ადგილას, იგივე სამუშაოს შესრულებაზე დაკვირვება, რაზეც დასაქმებული შეიძლება იყოს დაქირავებული. გასაუბრება მუშაკებთან სამუშაო ადგილებზე, რათა მოახდინოს იდენტიფიცირება და ანალიზი იმ სირთულეების, რომელიც მათ აქვთ მუშაობის პროცესში (Wehman et al., 2015).

შეგროვებული ინფორმაციის გაცნობა ბენეფიციარისათვის და მისი მშობლებისათვის, ბენეფიციარისა და მისი მშიბლების საჭიროებების, მოლოდინებისა და სურვილების შეფასება (The Canadian Occupational Performance Measure (COPM), 5th edition-revised.), დასასაქმებელის კონკრეტული პროფესიული უნარების შეფასება ტარდება რეალურ სამუშაო გარემოში. შეფასებისთვის ხდება სამუშაო საათების მართვა. მაგალითად, ერთი საათი თითოეულ დღეს, 5 დღის განმავლობაში. დაკვირვება ხდება Assessment of Work Performance (AWP) ინსტრუმენტით. ყოველ დღე, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იმართება შეხვედრა დასასაქმებელ თანამშრომელთან, რომელიც ასახავს მუშაობის პროცესს და თვითონ ავსებს ანგარიშის ფორმას ინსტრუმენტით „სამუშაო გარემოს ზემოქმედების მაშტაბი“ Work Environment Impact Scale (WEIS) Version 2.0, 1998 (მკვლევრის დახმარებით).

საქართველოში სახელმწიფო პროგრამები ფოკუსირებულია შშმ ბავშვებზე 18 წლის ქვემოთ. კვლევები აჩვენებს რომ პროფესიული სწავლება და დასაქმება დასწავლის უნარის პრობლემების მქონე ადამიანებისა ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება, რადგან შშმ პირების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტია ოფიციალურად დასაქმებული. საქართველოს კანონი შშმ პირების სოციალური დაცვის შესახებ სახელმწიფოს როლს გვაცნობს შშმ პირების დასაქმების შესახებ, მაგრამ არ გვთავა-

ზობს საზომებს ან თუნდაც სამუშაო ადგილის მოწყობის სტრატეგიას და ა.შ. ამჟამინდელ ქართულ კანონმდებლობას არ აქვს არანაირი ბერკეტი, რითაც წაახალისებდა ადგილობრივ ბიზნესს ან ორგანიზაციებს დაესაქმებინათ შშმ პირი. არ არსებობს არანაირი კვოტა შშმ პირების დასაქმებისათვის ან არანაირი წახალისება ორგანიზაციისთვის ვისაც დასაქმებული ყავს შშმ პირი. მეორეს მხრივ საზოგადოების მზაობაც შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებით ძალიან დაბალია. მოსახლეობას არ აქვს გამოცდილება მომუშავე შშმ პირთან ურთიერთობისა (კვიციანი, 2021)

სოციალური მუშაკების კომპეტენციის გაზრდა ბავშვობიდან ზრდასრულობაში ტრანზიტულ პერიოდში მყიფი ფსიქიკური განვითარების დარღვევებისა და მენტალური პრობლემების მქონე პირების დასაქმების მიმართულებით მათი ძირითადი პროფესიული კომპეტენციებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან რესურს შეიტანს საქართველოში საკითხის პროგრესულად განვითარებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ბერტოლაზო იოლანტა, რეზილიენცი პედაგოგიკასა და ხელოვნე-ბით თერაპიაში, ცნებათა განსაზღვრა და პრაქტიკა, თბილისი 2008

კვიციანი რ. (2021) მოტორული განვითარების შეფერხების მქონე პირების დასაქმების პრობლემები საქართველოში. ილიას სახ უნი-ვერსიტეტი სადიპლომო ნაშრომი

ნადირაშვილი შ., 1985 განწყობის ფსიქოლოგია: (სოციალური გან-წყობა) რედ. ალ ფრანგიშვილი თბილისი, მეცნიერება

ნათაძე, რ. (1942). ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის ველზე; რედ. დ. უზნაძე; სსსრ მეცნიერებათა აკადემია-ფსიქოლოგიის სექტორი. სა-ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა.

ნათაძე, რ. (1972). წარმოსახვა როგორც ქცევის ფაქტორი. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 184 გვ.

უზნაძე, დ. (2000). ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა: თბილისი.

Brook, P. (2008)The Empty Space . Series: Penguin Modern Classics

Christianson Charls H., (2007)Occupational Therapy Performance, Partticipation and Well-being, p. 142, 148-150, 504

Crimmens, P. (2006) Drama therapy and storytelling in special education (London, Jessica Kinsley Publishers).

Cross, E. S. & Ticini, L. F. (2012) Neuroaesthetics and beyond: New horizons in applying the science of the brain to the art of dance, Phenomenology and the Cognitive Sciences, 11(1), 5–16

Csikszentmihalyi M., (1988) Optimal Experience : Psiqholojical Studies of Flow in Consciousness. New York Cembridge University press

Dashiell J F. (1928). Fundamentals of objective psychology. Boston: Houghton Mifflin, 233-234.

Guggenbühl, A., (1991) The old fool and the corruption of myth. Publisher: Dallas, Tex.Spring Publications.

Kopp Sheldon B. (1971) Metaphors from a Psychotherapist

12th Conference of the European Science Education Research Association (ESERA). Rsearch, Practice and collaboration in science education

Martin, B (2015) Drama and learning science: an empty space? British Educational Research Journal Vol. 41, No. 1, pp. 102–121

Maslow, A. H. Toward a Psychology of Being. New York: Van Nostrand Reinhold Co, 1968.

McNeil, WH. (1979). Plagues and People London, Ingland. Penguin Books

Occupational Performance Measure (COPM) (1991). CAOT

Uznadze, D. (2018). Selected Works Commented by Contemporary Georgian Scholars, Ilia State University Press, Tbilisi 2018

Von Lupke, G. (2001). Wiederentdeckung alter Rituale Initiation. DeutschlandRadio Berlin

Wehman, P., Sima, A., Ketchum, J., West, M., Chan, F. & Luecking, R. (2015). Predictors of Successful Transition from School to Employment for Youth with Disabilities. Journal of Occupational Rehabilitation, 25(2), 323-334.

Wehman, P., Chan, F., Ditchman, N. & Kang, H. (2014). Effect of supported employment on vocational rehabilitation outcomes of transition-age youth with intellectual and developmental disabilities: A case control study. Intellectual and Developmental Disabilities, 52(4), 296-310.

Wilcock, A. (1993). A theory of the human need for occupation, Journal of Occupational Science.

Wilcock ,A., (2015) Ocupational Perspective of Health. Terd edition

Братер Михаэль. (2018). Наша жизнь распадается, если мы ее не формируем Беседа об искусстве образования и жизни и роли антропософии в их взаимодействии

სტუდენტების და ბენეფიციარების მუშაობის პროცესი









# თავი 8

## პრაქტიკის მოდულის “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” მოდულის დანერგვა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაზე

ავტორი: შორენა საძაგლიშვილი

*ა) სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის მოდული*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული კურსებისაგან. აღნიშნულ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია, როგორც ცალკეულ კურსებში ჩაშენებული ფორმატით, ასევე ცალკეული პრაქტიკის კომპონენტის სახით, რომელიც ხორციელდება 4 სემესტრის მანძილზე. ევრაზიის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის “უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება სოციალურ მუშაობაში შშმ პირების ინკლუზიისა და სოციალური რეფორმებისათვის სოციალური პედაგოგიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით სომხეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და ნორვეგიაში” (CPEA-LT-2017/10043) ფარგლებში დაიგეგმა და განოხრციელდა “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” მოდული, რომელიც შეეხო სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის მიმართულებას. კერძოდ, სამწლიანი პროექტი მიზნად ისახავდა სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებებთან მიმართებაში სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. მოცემული პრაქტიკის მოდულის “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” ფარ-

გლებში დაიგეგმა პრაქტიკის განხორციელება ოთხ პარტნიორ ორგანიზაციაში (იხ. დანართი 1). ეს ორგანიზაციებია:

- კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ (Apnsc)
- თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
- სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი
- ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

მოცემულ ორგანიზაციებთან გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც განისაზღვრა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, რომელიც შეეხებოდა სოციალური პედაგოგიკის მეთოდების გამოყენებას შშმ ზრდასრულ პირებთან და მოზარდებთან. თითოეული მემორანდუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში).

*ბ) პრაქტიკის კომპონენტის მიზნები, ორგანიზება და სასწავლო შედეგები*

„სოციალური მუშაობის“ პროგრამის მიზანია დარგისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავება სტუდენტებისათვის. შესაბამისად, პროგრამა აგებულია ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მჭიდრო კავშირი პროგრამის თეორიულ ნაწილსა და სოციალური მუშაობის პრაქტიკულ ნაწილს შორის, რაც ხორციელდება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის საშუალებით.

*გ) პრაქტიკული კომპონენტის ამოცანებია:*

- სტუდენტების გაცნობა სოციალური სამუშაოს რეალურ სამუშაო კონტექსტთან, იმისათვის რომ მათ შეძლონ პროგრამის ცალკეული კურსებით გათვალისწინებული

დავალებების შესრულება, და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება;

- სტუდენტების უზრუნველყოფა სოციალური მუშაობის რეალური გარემოთი, რომელშიც ისინი შეძლებენ პროგ-რამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის ტრან-სფერს;
- სტუდენტისათვის პრაქტიკის უნარ-ჩვევების გამომუშა-ვება მიკრო და ორგანიზაციული/მაკრო დონეზე;
- გამოუმუშავოს სტუდენტს სამუშაო პასუხისმგებლობა (დისციპლინა, დადებითი სამუშაო ურთიერთოებები, მულტიდისციპლინური/ გუნდური მუშაობა, თანამ-შრომლობა სხვა პროფესიონალებთან, სააგენტოს სტრუქტურის, პოლიტიკის და პროცედურების გაგება და სხვ.);
- გამოუმუშავოს სტუდენტს სოციალური მუშაკის პრო-ფესიული ღირებულებები (პროფესიის ღირებულებების და ეთიკური ნორმების ინტერნალიზაცია, სოციალური მუშაკის როლის გათავისება).

*დ) პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირები*

მოცემული პროექტის ფარგლებში პრაქტიკის ხელმძღვა-ნელობას ახორციელებდნენ ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციე-ბის წარმომადგენლები.

პრაქტიკის კოორდინატორი პროექტის ფარგლებში პასუ-ხისმგებელი იყო პრაქტიკის მართვაზე, ანაწილებდა მაგის-ტრანტებს პარტნიორ ორგანიზაციებში, აგვარებდა ყველა ფორმალურ მხარეს პარტნიორებთან და უშუალოდ იღებდა მო-ნაწილეობას პრაქტკის კომპონენტის მსვლელობის კოორდინა-ციასა და მონიტორინგში. იგი იმყოფებოდა მჭიდრო კავშირში როგორც მაგისტრანტთან, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

პრაქტიკის კოორდინატორი პრაქტიკის ხელმძღვანელთან

თანამშრომლობით პასუხისმგებელი იყო პრაქტიკის მართვასთან დაკავშირებული ტექნიკური მხარის უზრუნველყოფაზე. კურსის განმავლობაში პრაქტიკის კოორდინატორი ახდენდა პრაქტიკის ხელმძღვანელის და სტუდენტის მონახულებას პრაქტიკის ად-გილზე, პრაქტიკის განხორციელების პერიოდში სიტუაციის ად-გილზე შესწავლას ორჯერ (სემესტრის დასწყისში და სემესტრის ბოლოს) და ასევე, პრაქტიკასთან დაკავშირებული საინფორმა-ციო შეხვედრების ჩატარებას პრაქტიკის ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ბაზაზე.

*ე) სწავლების მეთოდები*

სწავლების ძირითადი მიდგომა რომელზეც კეთდება აქ-ცენტი არის სტუდენტის მიერ საკუთარი პრაქტიკის შეფასება თვით-რეფლექსიის უნარის გამომუშავებით და პროფესიული ზედამხედველობით, როგორც პრაქტიკის ადგილზე, ისე პრაქ-ტიკის კურსების ფარგლებში. პრაქტიკის კომპონენტში გამოი-ყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: პრაქტიკა, შემთხვევის (ქეისების) ანალზი, დაკვირვების მეთოდი (shadowing), როლუ-რი თამაში, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება (experiential learning), პრობლემის გამორკვევაზე დაფუძნებული სწავლება (problem-based learning, enquiry-based learning), პრე-ზენტაცია/დემონსტრირება, გონებრივი იერიში, დისკუსია, ანა-ლიზი და სინთეზი, რეფლექსია, სუპერვიზია (ზედამხედველო-ბა), ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი.

*ვ) ჩაშენებული და ორგანიზაციებში პრაქტიკა*

„სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო პროგრამაში პრაქ-ტიკული კომპონენტი ხორციელდება ორი ფორმატით: დარგობ-რივ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული დავალებები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა პრაქტიკის შემთხვევების/ქეისე-ბის გამოყენება, რომელზეც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პრაქტიკის ორგანიზაციებში, პრაქტიკის გავლის ფარგლებში და

პრაქტიკის დამოუკიდებელი კომპონენტი, რომელშიც ინტეგრირებულია სოციალური მუშაობის პრაქტიკის კურსები.

დარგობრივ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული დავალებები ინტეგრირებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში (ზოგ შემთხვევაში არჩევით კურსებშიც) და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი ძირითადად ორიენტირებულია უზრუნველყოს სტუდენტები გარემოთი, რომელიც მათ კონკრეტული კურსით გათვალისწინებული პრაქტიკული დავალებების შესრულებაში დაეხმარებათ. ქვემოთ მოცემულია კურსები, რომლის ფარგლებშიც გამოყენებულია ჩაშენებული პრაქტიკა:

<u>სავალდებულო კურსები</u>
სოციალური მუშაობის თეორიული მიდგომები და მათი გამოყენება
ოჯახების და წყვილების კონსულტირება
მაკრო სოციალური მუშაობა: თემები და ჯგუფები
სოციალური ადვოკატობა
სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა
სოციალური პროგრამების განვითარება და შეფასება
სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი

სოციალური მუშაობის პრაქტიკის კურსები ოთხივე სემესტრში და მის ფარგლებში არსებული პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს გამოცდილებით სწავლის გარემოს და საშუალებას აძლევთ მათ რეალურ სამუშაო კონტექსტში გამოიყენონ დარგობრივი კურსების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა. პრაქტიკის სალექციო კურსებში ხდება პრაქტიკაში მიღებული ცოდნის განმტკიცება და შეჯამება, დამატებითი ზედამხედველობის მიღება კონკრეტულ ქეისებზე და სოციალური საქმიანობების წარმოებაზე. მოცემული პროექტის „სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში" ფარგლებში განისაზღვრა, რომ თითოეული სტუდენტი გაივლი-

და პრაქტიკას ოთხივე ორგანიზაციაში, თოთოეულ ორგანიზაციაში ერთი სემესტრის განმავლობაში.

ყოველი სემესტრის დასაწყისში თითოეული სტუდენტისათვის შემუშავდა შეთანხმება პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმაზე (იხ. დანართი 2), რომლის დაგეგმვაში მონაწილეობდა თავად სტუდენტი, პრაქტიკის კოორდინატორი და პრაქტიკის ხელმძღვანელი. ხოლო სემესტრის ბოლოს, პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს სტუდენტის შეფასება/რეკომენდაციას (იხ. დანართი 3), რომელშიც ასევე სამივე მხარე მონაწილეობს და განიხილავს სტუდენტის მიერ მიღწეულ შედეგებს, ძლიერ მხარეებს და იმ ასპექტებს, რომელიც გამოსწორებას და/ან დახვეწას საჭიროებს.

ამრიგად, სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულება შედგება 4 ნაწილისაგან, რომელიც ნაწილდება სწავლის ოთხივე სემესტრზე. იგი გულისხმობს სტუდენტის ჩართვას როგორც პასიურ, ასევე აქტიურ პრაქტიკულ აქტივობებში. პასიური პრაქტიკის დროს სტუდენტი პროცესების მხოლოდ დამკვირვებელია (მაგ., იგი დაყვება თავის პრაქტიკის ხელმძღვანელს შემთხვევის შეფასების ინტერვიუებზე, ესწრება ქეისის განხილვებს, ტრენინგებს, მასტერ კლასებს, კლიენტთა (ბენეფიციართან) კონკრეტული ჯგუფის თავისებურებების შესწავლა-ანალიზი, ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის მოძიება, სოციალური სერვისების ბაზის გაკეთება და ა.შ. თუმცა, ძირითადად აქცენტი კეთდება სტუდენტის აქტიურ ჩართულობაზე და უკვე პირველი სემესტრის ბოლოსვე, სტუდენტი თავად ახდენს ბენეფიციართან ინტერვიუს დამოუკიდებლად ჩატარებას და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

თოთეულ სემესტრში თანდათან რთულდება დავალებები. ზოგადად, პირველ წელს სტუდენტი ახორციელებს უშუალო პრაქტიკის შემდეგ აქტივობებს (მიკრო და მეზო დონეზე):

- ახდენს ბენეფიციარის და მისი ოჯახის საჭიროებების შეფასებას შეფასებითი ინტერვიუს გამოყენებით;

- აკავშირებს ბენეფიციარს შესაბამის მომსახურებებ-თან; (ბროკერობა);
- მოიპოვებს სრულ ინფორმაციას არსებული რესურსე-ბის შესახებ (სახელმწიფო სოციალური პროგრამები, არასამთავრობო პროგრამები) და ამ ინფორმაციის საფუძველზე აკავშირებს ბენეფიციარს შესაბამის ორ-განიზაციებთან და პროგრამებთან;
- უწევს ორგანიზებას ოფიციალურ თუ არაოფიცია-ლურ თანადგომასა და საქმიანობას;
- თანამშრომლობს სხვადასხვა დისციპლინის მქონე იმ ჯგუფის წევრებთან, რომლებიც თავის მხრივ მუშაო-ბენ ბენეფიციართან;
- უწევს კოორდინაციას სოციალური მომსახურებების მიწოდებას ბენეფიციარისთვის;
- ახდენს ბენეფიციარისთვის მომსახურებების მიწოდე-ბის მონიტორინგს;
- აფასებს მომსახურებების ზეგავლენას ბენეფიციარ-ზე, როგორი ტიპის ინტერვენცია მუშაობს ყველაზე კარგად, რა სიტუაციაში და რა კონტექსტში;
- ახორციელებს სოციალურ პროექტს, რომელიც აქ-ცენტს აკეთებს სოციალური მუშაკის პროფესიის როლ-ზე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისთვის;
- ახორციელებს შემთხვევის/ოჯახის კონფერენციას, რომელსაც ესწრებიან ბენეფიციართან დაკავშირებუ-ლი მნიშვნელოვანი ადამიანები, ოჯახის წევრები, თა-ნადგომის ქსელის წარმომადგენლები, პროფესიონა-ლები და თემის წარმომადგენლები (მაგ. ექიმი, პედა-გოგი, და სხვ.).

მეორე წელს კი, უფრო მეტად მონაწილეობს მაკრო დონის აქ-ტივობებში: მაკრო პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი:

- ახდენს თემის რესურსების მობილიზებას, ბენეფიციარ-

თა ჯგუფების/თემის საჭიროებების შეფასებას, მათი პრობლემებისა და დისფუნქციების იდენტიფიკაციას, მეორეს მხრივ, აფასებს სააგენტოს საჭიროებებს – რა უნდა შეიცვალოს სააგენტოში, რომ მან დააკმაყოფილოს ბენეფიციარებისა და მათი სისტემების მოთხოვნები და საჭიროებები; ახდენს მოცემული სააგენტოს ერთ-ერთი პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვას და განხორციელებას;

- ახდენს სააგენტოს ბაზაზე არსებული პრობლემების იდენტიფიკაციას/გამოვლენას სააგენტოზე დაფუძნებული კვლევის გამოყენებით (მენეჯერების კვლევა, სუპერვაიზორების კვლევა ან უშუალო პრაქტიკოსების კვლევა), აგროვებს, აანალიზებს კვლევის მონაცემებს და სოციალური კვლევის შედეგების საფუძველზე სოციალური სააგენტოსთვის ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ბენეფიციარს ეხმარება მისი ინტერესების დაცვაში მედია ჩართულობით (მაგ., წერილების დაწერა სოციალური უსამართლობის შესახებ და ა.შ.), თემის ორგანიზებით (მაგ., სოციალურ პრობლემებთან, სერვისების გაუმჯობესებასთან, სოციალური კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვით) და სხვ. ან სოციალური ადვოკატის ფუნქციის შესრულებით (მაგ., ბენეფიციარისთვის იმ სერვისების მიღება, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ მოიპოვებდა)

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება და სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია თანმიმდევრულად, პირველივე სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების ოდენობა თითოეულ სემესტრში არის 6 კრედიტი, ჯამური ოდენობა 4 სემესტრის მანძილზე კი – 24 კრე-

დიტს შეადგენს ანუ სულ 600 საათი, რაც შეადგენს მთლიანი კრედიტების 20 %-ს.

*ზ) საათების განაწილება*

ქვემოთ მოცემულია პრაქტიკის ფარგლებში საათების განაწილება თითოეულ სემეტრში (16 კვირის მანძილზე): უშუალოდ პრაქტიკის ადგილზე გატარებული დრო, პრაქტიკის დავალებების შესრულებაზე დახარჯული დრო და თეორიულ სემინარებზე დასწრება.

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სემინარი (უნივერსიტეტის ბაზაზე) | 28 საათი |
| საბოლოო და შულედური შეფასებები (პრაქტიკის პორტფელიო/პროექტი) | 4 საათი |
| სტუდენტის და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ დავალებების ერთობლივი განხილვა პრაქტიკის ადგილზე | 13 საათი |
| პრაქტიკის დავალების შესრულება/სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა | 78 საათი |
| პრაქტიკის ჩანაწერების წარმოება ველზე | 13 საათი |
| პრაქტიკასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები, რაც შეიძლება იყოს სემინარი, ტრენინგი, მასტერ კლასი, კონფერენცია, მულტიდისციპლინური შეხვედრა | 14 საათი |
| სულ | 150 საათი (6 კრედიტი) |

*თ) პრაქტიკის განხორციელების ეტაპების აღწერა*

ყოველი წლის დასაწყისში (პირველ და მესამე სემესტრში, როცა ხდება პრაქტიკაზე გადანაწილება ერთი წლის ხანგრძლივობით) პრაქტიკის კოორდინატორი ადგენს რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს თითოეულ პარტნიორ ორგანიზაციას. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით სტუდენტები პრაქტიკისთვის ნაწილდებიან შესაბამის ორგანიზაციებში.

ქვემოთ მოცემულია პრაქტიკით გათვალისწინებული ეტაპების დეტალური აღწერა:

საინფორმაციო შეხვედრები პრაქტიკის ხელმძღვანელებთან: პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის კოორდინატორი ორგანიზებას უწევს საინფორმაციო შეხვედრებს პრაქტიკის ხელმძღვანელებთან უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელსაც ასევე ესწრებიან სტუდენტები. საინფორმაციო შეხვედრებზე პრაქტიკის კოორდინატორი სტუდენტებსა და პრაქტიკის ხელმძღვანელებს აცნობს პრაქტიკის მიზნებსა და ამოცანებს.

პრაქტიკის ორგანიზაციებში სტუდენტების განაწილება: ხორციელდება ყოველი სემესტრის დაწყებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში; ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტები ეცნობიან ინფორმაციას მოცემული პრაქტიკის ორგანიზაციისა და კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის შესახებ, სემესტრის დასაწყისში პრაქტიკის ხელმძღვანელი მას ჩაუტარებს საორიენტაციო შეხვედრას.

სტუდენტების პრაქტიკაზე განაწილების ელექტრონული ბაზა: სტუდენტების ორგანიზაციებში განაწილების შედეგები თავს იყრის ერთიან ელექტრონულ ბაზაში, რომელსაც ამზადებს პრაქტიკის კოორდინატორი. სტუდენტთა გადანაწილების ელექტრონული ბაზის სამართავად გამოყენებულია Google Drive, რომელზე წვდომაც აქვთ პრაქტიკის ხელმძღვანელსა და პრაქტიკის კოორდინტორს ფაკულტეტიდან.

პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება: მე-3, მე-4 კვირისთვის პრაქტიკის ხელმძღვანელი ველზე, სტუდენტი და პრაქტიკის კოორდინატორი შეიმუშავებენ პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ განსახორციელებლი აქტივობები.

პრაქტიკის კოორდინატორის ვიზიტები პრაქტიკის ადგილზე: სემესტრში ორჯერ ხდება (სემესტრის დასაწყისში და ბოლოს) პრაქტიკის კოორდინატორის მიერ პრაქტიკის ორგანიზაციაში პრაქტიკის ხელმძღვანელისა და სტუდენტის მონახულება, ადგილზე სიტუაციის შესწავლისა და პრაქტიკის კომპო-

ნენტის მომავალში გაუმჯობესების მიზნით. სემესტრის დასასრულს პრაქტიკის კოორდინატორის პრაქტიკის ორგანიზაციაში შეხვდება პრაქტიკის ხელმძღვანელს და სტუდენტს ადგილზე სიტუაციის შესწავლის მიზნით; კოვიდ-19 პანდემიის გამო, კოორდინატორი ვირტუალურ სივრცეში ახდენდა შეხვედრებს პრაქტიკის ხელმძღვანელებთან.

სტუდენტის საბოლოო შეფასება: სემესტრის ბოლოს პრაქტიკის ხელმძღვანელი სპეციალური ფორმით აფასებს სტუდენტს. შეფასების დროს გათვალისწინებული სტუდენტის მიერ კურსის ფარგლებში შუალედური და საბოლოო შეფასების შედეგები, სტუდენტის უკუკავშირი და პრაქტიკის კოორდინატორის სტუდენტის პროგრესზე დაკვირვების შედეგები.

*ი) შეფასების კომპონენტები*

დარგობრივ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული დავალებების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამისი კურსების სილაბუსებში. ხოლო პრაქტიკის კურსების ფარგლებში არსებული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტები ძირითადად ფასდებიან შემდეგი კომპონენტებით/დავალებებით:

| ***შეფასების კომპონენტები*** | **ქულები** |
|---|---|
| აქტიურობა – ჯგუფურ განხილვებში მონაწილეობა სემინარებზე | 10 ქულა |
| შუალედური პრაქტიკის პორტფოლიო- შემთხვევის (ქეისის) პრეზენტაცია და მის ირგვლივ წარმოდგენილი პრაქტიკის მასალები | 30 ქულა |
| საბოლოო პრაქტიკის პორტფოლიო სემესტრის ბოლოს, რომელიც შეიცავს პრაქტიკის დოკუმენტებს და ასევე, პრაქტიკის შეფასების ფორმას/რეკომენდაციას, რომელშიც მონაწილეობს სამივე მხარე: სტუდენტი, პრაქტიკის ხელმძღვანელი და პრაქტიკის კოორდინატორი | 30 ქულა |
| ჯგუფური დასკვნითი პროექტი | 30 ქულა |
| სულ | 100 ქულა |

*კ) პორტფოლიო და ჯგუფური დასკვნითი პროექტი*

პორტფოლიო არის საქაღალდე, რომელშიც სწავლის პროცესში მონაწილე ინახავს თავის ნამუშევრებს. დავალების ამ ფორმას იყენებენ კეთებით სწავლების დროს. პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს სტუდენტის მიერ შესრულებულ დავალებებს (პროცესის ჩანაწერები, ბიო-ფსიქო სოციალური შეფასება, სხვ.), ჯგუფური პროექტების ანგარიშებს და ა. შ. პორტფოლიოს დანიშნულებაა, რომ სტუდენტმა თავად შეაფასოს თავისი ნაშრომები და გააცნობიეროს, თუ რა შეცდომები დაუშვა და როგორ შეიძლება მომავალში ამ შეცდომების აცილება.

სტუდენტები პრაქტიკის ფარგლებში შეფასებული იქნებიან პრაქტიკის პორტფოლიოს მიხედვით. პრაქტიკის პორტფოლიო სტუდენტებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ საკუთარი პრაქტიკისა და ცოდნის დამადასტურებელი მასალები. სტუდენტები ახდენენ პრაქტიკის პორტფოლიოსათვის საჭირო მასალების შეგროვებას პრაქტიკის ხელმძღვანელის უშუალო დახმარებითა და რეკომენდაციებით.

პორტფოლიო შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- პრაქტიკის თვითრეფლექსიის დღიური: სტუდენტებს მოეთხოვებათ აწარმოონ დღიური ყოველკვირეულად. დღიურის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტის თვითრეფლექსიას პრაქტიკის გამოცდილებასთან დაკავშირებით. დღიურში შესაძლებელია სტუდენტის სწავლის, ზრდისა და სუსტი მხარეების გაზიარება. დღიურს წაიკითხავს მხოლოდ პრაქტიკის კოორდინატორი და პრაქტიკის ხელმძღვანელი;
- პროცესის ჩანაწერები (ბენეფიციართან ინტერვიუს ანალიზი): სტუდენტს მოეთხოვება დაწეროს კვირაში მინიმუმ ერთი პროცესის ჩანაწერი (ჩანაწერის ფორმას განსაზღვრავს პრაქტიკის ხელმძღვანელი). პრაქტიკის კოორდინატორები მოითხოვენ 1-2 პროცესის ჩანაწერს, შუალედური და საბოლოო შეფასების დროს;

- შეფასების ფორმები (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, ეკორუქა, გენოგრამა, დაკვირვების ჩანაწერები ან სხვა), რომელსაც პრაქტიკანტი აკეთებს პრაქტიკის ადგილზე.
- სამუშაო საათების განაწილება: სტუდენტებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები, თუ რამდენი საათი გაატარეს პრაქტიკაზე. ეს ფორმა უნდა იყოს შევსებული და ხელმოწერილი პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. ეს ფორმები უნდა გადაეცეს პრაქტიკის კოორდინატორს, შუალედური და საბლოო შეფასების დროს; (იხ. დანართი 4: პრაქტიკაზე დახარჯული საათების აღრიცხვის ფურცელი).
- პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა (მხოლოდ საბოლოო შეფასების დროს).

პრაქტიკის პორტფოლიო განიხილება სემესტრის განმავლობაში ორჯერ – შუალედური შეფასებების სახით პრაქტიკის პროგრამის კოორდინატორის მიერ. სტუდენტები იყენებენ google site ის პლატფორმას ელექტრონული პორტფელიოების შესაქმნელად, სადაც განათავსებენ პრაქტიკაზე, ოთხივე სემესტრში შესრულებულ ყველა დავალებას, საგანმანათლებლო გეგმას და პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასებებს. ამ გზით, პრაქტიკასთან დაკავშორებული ყველა ინფორმაცია ერთ სივრცეში იყრის თავს.

ამ შეფასების მთავარი მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად მოახერხა სტუდენტმა თეორიისა და პრაქტიკის წარმატებული ინტეგრირება მუშაობის დროს და რამდენად კარგად იყენებს სოციალური მუშაობის/სოციალური პედაგოგიკის კომპეტენიცებს ბენეფიციარებთან მუშაობის დროს.

ჯგუფური დასკვნითი პროექტი

სტუდენტებს მიეცემათ დავალება, რომლის მიზანიცაა სტუდენტური საინიციატივო ინოვაციური პროექტის განხორციელება. საინიციატივო პროექტის მიზანია სამიზნე ჯგუფე-

ბისთვის გარკვეული სადემონსტრაციო სოციალური აქტივო-ბის განხორციელება, რომლის განხორციელებაშიც აქტიურ მო-ნაწილეობას იღებენ თავად ბენეფიციარებიც.

*ლ) შეფასების კრიტერიუმები*
სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწე-რილი პრაქტიკის სილაბუსში. ქვემოთ მოვიყვანთ პორტფელი-ოს და სოციალური პროექტის შეფასების კრიტერიუმებს მაგა-ლითისთვის.
პორტფელიოს შეფასების კრიტერიუმები:
ქვემოთ მოცემულია საბოლოო პორტფელიოს შეფასების (რო-მელიც ფასდება 30 ქულით) კრიტერიუმები:

**0-9 ქულა:** სტუდენტის შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.
ფორმაში მოცემულია 18 კითხვა. თითო კითხვაზე დადებითი შეფასების შემთხვევაში 0.5 ქულა. ყველა კითხვაზე დადებითი შეფასების შემთხვევაში 9 ქულა.
**0-21 ქულა:** სტუდენტი წარმოადგენს ყველა დოკუმენტაციას მოცემული მოთხოვნების მიხედვით (პროცესის ჩანაწერები, თვით-რეფლექსიის დღიური, შეფასების ფორმები, პრაქტიკაზე გატარებული საათების რაოდენობა და სხვა დამატებითი დო-კუმენტაცია). ფორმებში მოცემულია საკუთარი პრაქტიკის შე-ფასება. მოცემულია ქეისი დინამიკაში – რა სამუშაოები ჩაატა-რა და რა შედეგებზე გავიდა. ქეისი კარგადაა ორგანიზებული და წარმოდგენილია მიზნობრიობის შესაბამისად. სტუდენტი ზედამხედველობის დროს ღიაა მიიღოს კონსტრუქციული კრი-ტიკა (თვით-რეფლექსია). შემოქმედებითია რესურსების ძიების საქმეში (აცნობიერებს გასაუმჯობესებელ მხარეებს, ეძებს და პოულობს საჭირო რესურსებს). სხვა სიტყვებით, ყველა წარმო-დენილი დოკუმენტი წარმოადგენს მოწინავე ინტეგრირებული პრაქტიკოსის განვითარებას და პროფესიული სოციალური მუ-

შაკის კომპეტენციებში დახელოვნებას. მეცხრე თავში დეტალურადაა წარმოდგენილი ის კომპეტენციები, რომლის განვითარებასაც დაეთმო აქ წარმოდგენილი პრაქტიკის მოდული “სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში”.

კერძოდ, მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით შეფასება:

- წარმოდგენილია დღიური, დღიურში რეგულარულად არის შევსებული, მოცემულია თვითრეფლექსია. სადაც ჩანს მისი კრიტიკული აზროვნება და შემოქმედებითობა. 0-6 ქულა
- წარმოდგენილია პროცესის ჩანაწერი – ჩანს, რომ სტუდენტი ოპერირებს ცნებებით, აანალიზებს შემთხვევას (ქეისს), აფასებს – რა გაკეთდა კარგად, რა ვერ გაკეთდა, რა არის გასაუმჯობესებელი. 0-6 ქულა
- წარმოდგენილი შეფასების ფორმები ეფუძნება თეორიულ მიდგომებს და სრულყოფილადაა შესრულებული- 0-3 ქულა
- პრაქტიკაზე გატარებული აქტივობების/საათების აღრიცხვის ფურცელი – 0-1 ქულა.
- განთავსებულია google-site ზე სტრუქტურირებულად, მაღალ პროფესიონალურ დონეზე 0-5 ქულა

ჯგუფური დასკვნითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

ჯგუფური სოციალური პროექტის ფარგლებში სტუდენტები და ბენეფიციარები მუშაობენ ერთობლივად და ამზადებენ პროექტს, რომელიც არის ინოვაციური და მიზნად ისახავს მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის აქტივობას (აქტივობის) განხორციელებას.

სტუდენტები პრაქტიკის ბოლო დღეს წარადგენენ მცირე პროექტს, რომელში მონაწილეობას მიიღებენ ბენეფიციარებიც. პრაქტიკის ორგანიზაციაში მოსვლის პირველივე დღეს სტუდენტები ერთობლივად გეგმავენ პროექტს, რომელსაც განახორციელებენ, ჩართავენ ბენეფიციარებს და წარუდგენენ, რო-

გორც ორგანიზაციის თანამშრომლებს და ბენეფიციარებს, ასევე წარადგენენ საუნივერსიტეტო სივრცეში. აღნიშნულ პროექტში სტუდენტებს აქვთ სრული თავისუფლება, მათ არჩევანზეა დამოკიდებული განსახორციელებელი აქტივობები. ამასთან, ის თუ რამდენად შედეგიანად და ეფექტურად მოახდენენ ბენეფიციარების ჩართვას.

სტუდენტებს ჯგუფური პროექტის/ საბოლოო დავალების განსახორციელებლად ესაჭიროებათ მეცხრე თავში წარმოდგენილი ყველა კომპეტენციის სრულყოფილად ფლობა.

ჯგუფური პროექტის შეფასების კრიტერიუმები

0-5 ქულა: ნათლად არის ჩამოყალიბებული პროექტის მიზნები, ამოცანები და კონკრეტული აქტივობები.

0-5 ქულა: სტუდენტების პასუხისმგებლობები თანაბრად არის გადანაწილებული ჯგუფში, ყველა მონაწილე აქტიურია.

0-10 ქულა: სტუდენტები იყენებენ კომპეტენციებს, რომ აქტიურად ჩართონ ბენეფიციარები პროექტის განხორციელების პროცესში.

0-10 წარმოდგენილია პროექტის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სურათები, ვიდეო რგოლი, კონფერენციაში მონაწილეობა ან სხვ.

*მ) კოვიდ 19 და პანდემიის დროს პრაქტიკის სწავლება*

კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, პრაქტიკამ მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრში გადაინაცვლა ონლაინ სივრცეში. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ პრაქტიკა განეხორციელებინათ ZOOM-ის პლატფორმის დახმარებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების პრაქტიკა "ქედელში" ჩატარდა პირისპირ, ორკვირიანი ინტენსიური პრაქტიკის ფარგლებში, რამაც ფაქტიურად მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ პროექტში ჩართულ ყველა სტუდენტს გაევლო სრულყოფილი პრაქტიკა. დისკურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცვნენ ტელეპრაქტიკის მეთოდებს, თუ როგორ უნდა ეწარმოები-

ნათ დისტანციურად ეფექტური კომუნიკაცია ინდივიდებთან, ოჯახებთან და თემებთან და მათთვის მიეწოდებინათ ხარისხიანი სოციალური მომსახურება. კერძოდ, ტელეპრაქტიკა წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო საშუალებების და ინტერნეტიზე დაფუძნებული პროგრამების/აპლიკაციების გამოყენებას შეფასების, დიაგნოზის, ინტერვენციის, კონსულტაციის, ზედამხედველობის, განათლებისა და ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, შორ მანძილზე; სტუდენტების სპეციალური მომზადების მიზნები იყო:

- ტელეპრაქტიკის, ვირტუალური ტერმინოლოგიისა და სოციალური მომსახურების მიწოდების სტანდარტების განსაზღვრა;
- ვირტუალური პრაქტიკის ელემენტებისა და ნაბიჯების იდენტიფიცირება ტელემენტალური ჯანმრთელობისა და ვირტუალურ პრაქტიკაში ჩართულობისა და უსაფრთხოების მიზნით;
- ეთიკური ვირტუალური და ტელეპრაქტიკული მომსახურების სტრუქტურისა და შეთანხმებების შესახებ ინფორმირებულობის დემონსტრირება;
- კომუნიკაციის უნარების დემონსტრირება ვირტუალურ და ონლაინ პრაქტიკაში.

მოცემული ტრენინგი ჩატარდა პრაქტიკის კოორდინატორის ქეთევან ლეკიშვილის მიერ, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა UNICEF ის მიერ ორგანიზებულ ტრენერთა ტრენინგზე (კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სკოლის (CSSW) სოციალური ინტერვენციების გუნდის (SIG) სატრენინგო მასალები – სოციალური მუშაკების კომპეტენციების გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, 2020-21).

გამოყენებული ლიტერატურა:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020 წელი. სოციალური მუშაობის პროგრამის პრაქტიკის კონცეფცია.

# თავი 9

## "სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში" მოდულის ფარგლებში  სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები სირთულის დონეების, სემესტრების და კომპეტენციების მიხედვით

ავტორები: ლია ასანიშვილი, მარინა შოსტაკ, ლალი ხანდოლიშვილი, ქეთევან მაყაშვილი, შორენა საძაგლიშვილი, ქეთევან ლეკიშვილი

პრაქტიკის ორგანიზაციებში შესასრულებელი დავალებების მიზანია სტუდენტებმა გაიუმჯობესონ სხვადასხვა კომპეტენციები, უნარები პრაქტიკის განმავლობაში. ამასთან, დავალებები ისეა გაწერილი, რომ თითოეულ სემესტრში შესასრულებელი დავალებები ეტაპობრივად რთულდება და მოითხოვს სტუდენტისგან, წინა პრაქტიკის დროს შეძენილი ცოდნის გამოყენებას და განვითარებას.
სტუდენტები დავალებების მიხედვით კომპეტენციებს აგროვებდნენ სამი მიმართულებით, ესენია:

| | ლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | გაკვეთილი, სადაც წარმოდგენილი იქნება იმიტირებული ბაზრობა, ექნებათ ნახატების სახით, ფულის კუპიურები, პროდუქტები. ბენეფიციარებს დაევალებათ მაღაზიაში სასურველი პროდუქტების შეძენას. ხოლო სტუდენტები იქნებიან მაღაზიის პერსონალის როლში. ბენეფიციარები თავად აირჩევენ მათთვის სასურველ და საჭირო ნივთებს, შეკრებენ გადასახდელ თანხას და ა.შ. აღნიშნული დავალების მიზანია დაეხმაროს ბენეფიციარებს უნარების განვითარებაში, რათა საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ რეალურ გარემოში, თუნდაც მაღაზიაში საჭირო პროდუქტების შეძენა. განსაზღვრა, თუ რა საჭიროებები აქვთ, როგორ უნდა გადაანაწილონ ფინანსები და რა პროცედურები გაიარონ სასურველი პროდუქტის /ნივთის შესაძენად.<br>აღნიშნული დავალების შესასრულებლად სტუდენტები უნდა ფლობდნენ ყველა ჩამოთვლილ კომპეტენციას და მნიშვნელოვანია წინა სემესტრებში გავლილი ქონდეთ პრაქტიკები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან. |

## მეოთხე დონე (მეოთხე სემესტრი) – სამი დავალების აღწერა

| დავალება | კომპეტენციები | აღწერა |
|---|---|---|
| 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ საზოგადოების კუთხიდან მიმღეობის ზრდის ხელშეწყობა და სტიგმის დაძლევა; ბენეფიციართა ძლიერი მხარეების წარმოჩენა: პრეზენტაცია, ბუკლეტის ან საინფორმაციო ფურცლების შექმნა და მათი გავრცელება. დავალების მიმდინარეობისას ჩართული იქნება პრაქტიკის კვირის მიმოხილვა: შეკითხვები, რეფლექსია, სტუდენტის სურვილების და იდეების განხილვა და შემდეგი კვირის ერთობლივი დაგეგმვა | 2. სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/ გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>12. ბენეფიციარების საჭიროებების მართვა და უფლებების დაცვა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზ- | სტუდენტები ჩაერთვებიან გამოფენის, კონცერტების მოწყობაში. ცენტრში მოქმედებს სამუსიკო ანსამბლი, რომელთა კონცერტები იგეგმება პერიოდულად. სტუდენტები ჩართულნი იქნებიან მოსამზადებელ პროცესში. ამასთან, მოინახულებენ თემი ქედელის სოციალურ კაფეს, რომელიც ქალაქ სიღნაღში მდებარეობს. დაგეგმავენ ბენეფიციარებთან ერთად სხვადასხვა აქტივობას და ერთობლივად განახორციელებენ. მოხდება დღის, კვირის და პრაქტიკის დასასრულს პრაქტიკაზე რეფლექსია, სადაც სტუდენტები შეაფასებენ თავიანთი მუშაობის შედეგებს. |

| | | |
|---|---|---|
| | ღვრული მომსახურებების გამოყენებით.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | |
| 2. ბენეფიციართა შინაგანი ძალების აქტივაციის ხელშეწყობა: ბენეფიციართა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა; ბენეფიციართა საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის ზრდის ხელშეწყობა; ბენეფიციარების სტრესთან გამკლავების უნარების განვითარების ხელშეწყობა.<br><br>ბენეფიციართა ფსიქო-ემოციური ფონის ჰარმონიზება; ნდობის და ღიაობის ზრდის ხელშეწყობა:<br>• შთაბეჭდილებების მოყოლა; | მეცნიერული მეთოდების შესახებ მრავალფეროვანი ცოდნა და გაგება<br>2. სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა. | ბენეფიციარებთან მუშაობისას მათი შეფასება, ინფორმაციის მიღება და გასაუბრება კოლეგებთან. მათი გაცნობის და შეფასების შედეგად მიზნობრივი მუშაობის დაგეგმვა, მათი ძლიერი მხარეების გათვალისწინებთ. მიზნობრივი მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება სტრესის მართვასთან დაკავშირებით.<br>მათი ნდობის მოპოვება, მათთან საუბრების გზით, ასევე, შესაძლებელია მოეწყოს სოციალური ვიდეოების ჩვენება, რის შემდეგაც ბენეფიციარები და სტუდენტები ერთობლივად განიხილავენ. გაუზიარებენ შთაბეჭდილებებს, ემოციებს, ისაუბრებენ |

| | | |
|---|---|---|
| ემოციების და განწყობების გაზიარება/განტვირთვა<br>• დღესასწაულების აღნიშვნა; სადღესასწაულო ტრადიციები და მათზე საუბარი<br>სასურველი საქმიანობების მანიფესტირება | 5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების /გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>6.აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>11.სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა<br>15. პროფესიონალურ დონეზე მუშაობა, საკუთარი ქცევების შედეგების ზეგავლენის შეფასება და ქცევის შესაბამისი მოდიფიკაცია.<br>16. პროფესიის მიმართ ანგარიშ- | საკითხის ირგვლივ და ა.შ. სოციალური ვიდეოების მოძიება, შერჩევა მოხდება სტუდენტების მიერ.<br>ასევე, ნდობის მოსაპოვებლად და დავალებით განსაზღვრული მიზნის მიღწევისთვის შესაძლებელია დაიგეგმოს ბუნებაში გასვლა და გარე აქტივობების განხორციელება.<br>ასევე, პრაქტიკის პერიოდში თუ იქნება რომელიმე დღესასწაული ან ორგანიზაციის რომელიმე წევრის დაბადები დღე, ერთობლივი აღნიშვნა.<br><br>სტუდენტებს ევალებათ, აღნიშნული დავალების შესრულებისას შეარჩიონ რამდენიმე ტრადიცია, რომელზეც იმსჯელებენ და გაშინაგნებისთვის დაგეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს.<br><br>სტუდენტს მოეთხოვება ყველა ჩამოთვლილი კომპეტენციის ფლობა, რათა თავი გაართვან დაკისრებულ დავალებას. |

| | | |
|---|---|---|
| | ვალდებულება და თავდადება;<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | |
| 3. სტუდენტებმა პრაქტიკის დასასრულს წარმოადგინონ მცირე პროექტი, სადაც მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის აქტივობას განხორციელებენ. | 1. მეცნიერული მეთოდების შესახებ მრავალფეროვანი ცოდნა და გაგება<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა.<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის. | სტუდენტები პრაქტიკის ბოლო დღეს წარადგენენ მცირე პროექტს, რომელში მონაწილეობას მიიღებენ ბენეფიციარებიც. პრაქტიკის ორგანიზაციაში მოსვლის პირველივე დღეს სტუდენტები ერთობლივად გეგმავენ პროექტს, რომელსაც განახორციელებენ, ჩართავენ ბენეფიციარებს და წარუდგენენ, როგორც ორგანიზაციის თანამშრომლებს და იქ მცხოვრებ პირებს, ასევე წარადგენენ საუნივერსიტეტო სივრცეში. აღნიშნულ პროექტში სტუდენტებს აქვთ სრული თავისუფლება, მათ არჩევანზეა დამოკიდებული განსახორციელებელი აქტივობები. ამასთან, ის თუ რამდენად შედეგიანად და ეფექტურად მოახდენენ ბენეფიციარების ჩართვას.<br>სტუდენტებს პროექტის/ საბოლოო დავალების განსახორციელებლად ესაჭიროებათ აქ წარმოდგენილი ყველა კომპეტენციის სრულყოფილად ფლობა. სამუშაოდ აქვთ მხოლოდ ორი კვირა. ასევე, მნიშვნელოვანია სტუდენტებს ქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობის |

| | | |
|---|---|---|
| | 9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა | მქონე პირებთან მუშაობის გამოცდილება და გავლილი ქონდეთ პრაქტიკის წინა სამი საფეხური. |

## *ბავშვის განვითარების ინსტიტუტი*

“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” საუნივერსიტეტო მოდულის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ ინსტიტუტის საქმიანობის შემდეგ მიმართულებაში: „სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა“. სტუდენტები ოთხი სემესტრის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, სადაც ერთ-ერთი მთავარ კომპონენტს შეადგენს ბენეფიციარების დასაქმება, რომელის განხორციელების სამი ფორმაა: დახურული, მხარდაჭერილი და ღია.

## პირველი დონე (პირველი სემესტრი) – სამი დავალების აღწერა

| დავალება | კომპეტენციები | აღწერა |
|---|---|---|
| 1. დასაქმების ადგილზე (უნივერსიტეტის ასლგადამღები პუნქტი) სტუდენტი აკვირდება სამ ბენეფიციარს (ახალგაზრდები საშუალო სიმძიმის მენტალური პრობლემებით) სხვადასხვა საქმიანობის შესრულების პროცესში ( მაგ. ქსეროქსთან, პრინტერთან ან ლამინირების აპარატთან მუშაობისას ) ''საქმიანობის ნებითობის დაკვირვების ჩარჩოს'' გამოყენებით. დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით თვითეული ბენეფიციარისათვის განსაზღვრავს აქტივობას(ებს) პრინციპით " just right challenge". ოქმი წარმოადგენს პირველ შუალედურ ნამუშევრს. | 3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა.<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყ- | უნივერსიტეტის ასლგადამღებ ოთახში, 11 საათიდან 5 საათამდე, სტუდენტები იმყოფებეიან ბენეფიციარებთან ერთად. აკვირდებიან მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში ერთვებიან/ ეხმარებიან სამუშაოს შესრულებაში. ისინი ეცნობიან მათ საჭიროებებს, განვითრების და სწავლების პროცესებს. მუშაობის პროცესში ასწავლიან და მეთვალყურეობენ სამ ბენეფიციარს. ამასთან, ეცნობიან ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპეპს და მათ მხარამჭერ მომსახურებებს. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ქონდეთ კომუნიკაციის საბაზისო დონე, რათა დაამყარონ კონტაქტი, როგორც ბენეფიციარებთან, ასევე პერსონალთან და საჭიროების შემთხვევაში შეძლონ გამკლავება კონფლიქტური/რთული სიტუაციებთან, რაც შესაძლებელია ადგილზე გაუთვალისწინებლად წარმოიქმნას.<br>ხოლო დაკვირვების წარმოების ბოლოს, სტუდენტებმა, პირველ ეტაპზე ხელმძღვანელის მეთვალყურეობით უნდა დაგეგმვოს და წარმართოს მიზნობრივი მუშაობა ბენეფიციარებთან " just right challenge"-ის ფარგლებში. რა დროსაც იყენებენ მხატვრულ, პრაქტიკულ და სოციალური ხა- |

| | | |
|---|---|---|
| | რდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | სიათის საგანმანათლებლო მეთოდებს. კერძოდ კი, ბენეფიციარებთან ერთად მუშაობენ პატარა ამბავზე, რა დროსაც კონკრეტულ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას და ბენეფიციარები დასასრულს დამოუკიდებლად მოიფიქრებენ ან თავად შესთავაზებენ რამდენიმე ვარიანტს ასარჩევად. მოთხრობა უნდა იყოს დასათაურებული, რომელსაც ბენეფიციარები დახატავენ და დაასრულებენ. აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია სტუდენტი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით, მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეების, სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად მუშაობდეს მათთან. |
| 2. პრაქტიკანტი ესწრება ბენეფიციართა და საბაკალავრო კურსის – ,,ინკლუზიური განათლების ფსიქოლოგიური საკითხები“ -ის სტუდენტების ინკლუზიურ შეხვედრებს, მიმართულს ზრდასრული ცხოვრებისათვის საკვანძო ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. ეცნობა სსსმ პირებს არაფორმალურ გა- | 2. სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სა- | დავალების მიზანია სტუდენტებმა გაიზარონ სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხები, მიიღონ აკადემიური თეორიული ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებთან დაკავშირებით, მოახდინონ მათი შეფასება და მიღებული ცოდნა გამოიყენონ სხვდსხვა აქტივობების დასგეგმად და განსახორციელებლად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარებასთან, სწავლებასთან, სოციალიზაციასთან, განათლებასა და ზრუნვასთან დაკავში- |

| | | |
|---|---|---|
| ნათლების პროცეცში. ეუფლება სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებას (სავარჯიშოების დროის განსაზღვრა, მიერთების ტექნიკა, აქტიური მოსმენა, არავერბალური მართვა, კითხვების დასმა (ღია, დამაზუსტებელი) და ა.შ. | მართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფა- | რებულ საკითხებზე მიიღონ ახალი ცოდნა. იმუშაონ საზოგადოებასთან/ადამინებთან, ეს იქნება ცენტრის თანამშრომელი, ბენეფიციარი, თუ მისი თანადგომის ქსელი (კანონიერი წარმომადგენელი). გაეცნონ ორგანიზაციის მუშაობის პირობებს, მათ სამართლებრივ უფლებებს, კანონმდებლობას და მხარდამჭერ მომსახურებებს.<br>დავალების არსი მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები და ბენეფიციარები სხდებიან წრეზე, ჩამოწერენ 10 ღირებულებას, უნარს და ა.შ. რომლიდანაც თითოეული მათგანი აირჩევს ერთს და შემდეგ საუბრობენ, არჩეული ღირებულების შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს ეს, რას გულისხმობს და შემდეგ, წყვილდებიან სტუდენტებთან და ხატავენ, როგორ შეიძლება გამოიხატებოდეს მათ მიერ არჩეული ღირებულება. და ბოლოს, ერთად წარადგენენ პრეზენტაციის სახით და აღწერენ ერთობლივად შექმნილ ნახატებს. აღნიშნული მიზნად ისახავს მიზნობრივი სოციალური შუშაობის დაგეგმვას, მის წარმართვას და განხორციელებას, ისე რომ პასუხობდეს და ხელს უწყობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარებას, სირთულეებთან გამკლავებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესე- |

| | | |
|---|---|---|
| | სება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივის-ცემა. | ბას, მხატვრული, პრაქტი-კული და სოციალურ საგან-მანათლებლო მეთოდების გამოყენებით. |
| 3. აზია-რებს_თვითშეფა-სებას სასწავლო პროცესში და პრაქტიკის სტი-ლის შეფასებას (რეფლექსიური ესსე ან ჯგუფუ-რი გასაუბრება) | 2. სოციალური მუშაობის ძი-რითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>7. საკუთარ საქმიანობაში ეთი-კური დილემების იდენტიფიცი-რება და შეფასება ბენეფიცია-რის საჭიროებების და უფლე-ბების დასაცავად.<br>15. პროფესიონალურ დო-ნეზე მუშაობა, საკუთარი ქცე-ვების შედეგების ზეგავლენის შეფასება და ქცევის შესაბამისი მოდიფიკაცია. | სტუდენტები უზიარებენ ხელმძღვანელს პრაქტიკის პროცესში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას. ამასთან, წარმოადგენენ რეფლექსიურ ესეებს პრაქ-ტიკის შესახებ, რომლის განხილვაც მიმდინარეობს ჯგუფურად. ესსეში ან ჯგუფურ გასაუბრებაზე წარმოადგენილია პრაქტი-კის დადებითი და უარყო-ფითი მხარეები. სტუდენ-ტები კრიტიკულად აფასე-ბენ მიღებულ ცოდნას, პროფესიონალურ დონეზე მუშაობას და საკუთარი მუ-შაობის შედეგებს. |

## მეორე დონე (მეორე სემესტრი) -სამი დავალების აღწერა

| დავალება | კომპეტენციები | აღწერა |
|---|---|---|
| 1. თანამშრომ-ლობითი ცხოვ-რების რომელი-მე საკვანძო უნართან დაკავ-შირებით სტუ-დენტმა უნდა შექმნას შესაბა-მისი მხატვრუ-ლი ტექსტი და შესაბამისი ვი-ზუალური საყ-რდენები, ბენე-ფიციარების მი-ერ მიწოდებული შინაარსის უკე-თესად გააზრე-ბისა და გაშინაგ-ნებისათვის. | 3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალ-გაზრდების და ზრდასრული პირე-ბის) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირე-ბული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული სა-ჭიროებების და მოთხოვნების შე-სახებ ცოდნა.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშა-ობის ქმედებების დაგეგმვა, წარ-მართვა და განახორციელება შეზ-ღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულე-ებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწ-ყობისთვის.<br>15. პრაქტიკის/მუშაობის | შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირების განვითარებისთვის და სოციალიზაციისთვის მიზნობრივი სოციალური მუშაობის დაგეგმვა. მათი საჭიროებების მიხედვით, სტუდენტები მუშაობენ ერთი კონკრეტული მი-მართულებით, რათა ბე-ნეფიციარებმა გაიუმჯო-ბესონ ესა თუ ის უნარი ხატვის გამოყენებით და მოახდინონ ვიზუალიზა-ცია. მაგალითად, პასუ-ხისმგებლობის უნარის განვითარება. ბენეფიცია-რები და სტუდენტები ერ-თმანეთს უზიარებენ ინ- |

| | | |
|---|---|---|
| | პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა. | ფორმაციას, იდეებს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ იყოფიან ჯგუფებად და ხატავენ მათი შეხედულებით „პასუხისმგებლობას", დაბოლოს ჯგუფები წარმოადგენენ მინი სპექტაკლს აღნიშნულ საკითხზე. ამასთან, ბენეფიციარები ივითარებენ გუნდური მუშაობის უნარებს. ამასთან, მნიშვნელოვანია სტუდენტები გამოხატავდნენ თითოეულ მათგანთან ჭეშმარიტ ინტერესებს, მუშაობდნენ როგორც თანაწორებთან, ეკიდებოდნენ გაგებით და პატივისცემით და ხდებოდეს მათი ინდივიდუალურობის და განსხვავებულობის დაფასება. |
| 2. „სამუშაო ვალდებულებებისა და პირობების იმპაქტის" კითხვარის გამოყენებით შეისწავლოს რომელიმე საწარმოს კულტურა და მასში მომდინარე საწარმოო პროცესის ცალკეული აქტივობები ან აქტივობათა მცირე ჯაჭვი. მოახდინოს მათი ანალიზი მენტალური განვითარების მსუბუქი შეზღუდვის მქონე პირებისათვის | 1. მეცნიერული მეთოდების შესახებ მრავალფეროვანი ცოდნა და გაგება<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>7. საკუთარ საქმიანობაში ეთიკური დილემების იდენტიფიცირება და შეფასება ბენეფიციარის საჭიროებების და უფლებების დასაცავად.<br>8.მიზნობრივი სოციალური მუშაო- | სტუდენტებს პრაქტიკის ადგილზე მისვლისთანავე ურიგდებათ კითხვარები და ეძლევათ ინფორმაცია ბენეფიციარის დიაგნოზის შესახებ. კითხვარების მიხედვით აფასებენ ბენეფიციარებს, თუ რა უნარები და შესაძლებლობები აქვთ დასაქმებისთვის. ამასთან, თანამშრომლობენ იმ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, რომლებთანაც პრაქტიკის ორგანიზაცია თანამშრომლობს ბენეფიციარების დასაქმების კუთხით. სტუდენტები აფასებენ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს. აანალიზებენ სად და რა პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს |

| | | |
|---|---|---|
| დასწავლის შე-საძლებლობის თვალსაზრისით. | ბის ქმედებების დაგეგმვა, წარმარ-თვა და განახორციელება შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პი-რების განვითარების, სირთულეებ-თან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწ-ყობისთვის.<br>11.სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და გან-მავითარებელი მუშაობის განხორ-ციელება, წარმართვა და შეფასება.<br>12.ბენეფიციარების საჭიროებების მართვა და უფლებების დაცვა არ-სებული კანონმდებლობის ფარ-გლებში განსაზღვრული მომსახუ-რებების გამოყენებით. | მათ მიერ შეფასებული პირი, უნარების მიხედვით და ხდება კომუნიკაცია შერჩეულ ორგანიზაციას-თან. საჭიროების შემ-თხვევაში სტუდენტები და ბენეფიციარები ერ-თობლივად მიდიან შესაძ-ლო დასაქმების ადგილზე და ადგილზევე ეცნობიან საწარმოს/ ორგანიზაციის კულტურასა და საქმია-ნობას. ამასთან, სტუდენ-ტები აფასებენ რამდენად დაცულია სავარაუდო და-საქმების ადგილზე შშმ პირების უფლებები და არსებული გარემო რამ-დენად პასუხობს მათ სა-ჭიროებებს. |
| 3. წვლილის შე-ტანა შეფასების ახალი ინსტრუ-მენტის მომზა-დებაში: The as-sessment of com-munication and in-tereraction skills (ACIS), (1-12 გვ. შესავალი) თარგმნა/სემინა-რის მომზადება (დასკვნითი შე-ფასება) | 6. აკადემიური თეორიული ცოდ-ნის შეგროვება, შეფასება და გამო-ყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასა-გეგმად და დასასაბუთებლად.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და გან-მავითარებელი მუშაობის განხორ-ციელება, წარმართვა და შეფასება.<br>16. პროფესიის მიმართ ანგარიშ-ვალდებულება და თავდადება; | სტუდენტები იღებენ ინ-ფორმაციას ბენეფიცია-რების შესახებ. ეცნობიან მათ დიაგნოზს, საჭიროე-ბებს და მუშაობის სპეცი-ფიკას. პრაქტიკანტები იყენებენ შეფასების ახალ ინსტრუმენტს, რომლის გამოყენება ხდება მთელი პრაქტიკის განმავლობა-ში, რათა შესაძლებელი გახდეს კითხარის დატეს-ტვა და ადაპტაცია. |

## მესამე დონე (მესამე სემესტრი) -სამი დავალების აღწერა

| დავალება | კომპეტენციები | აღწერა |
|---|---|---|
| 1. სტუდენტი ახდენს ღია დასაქმების ადგი-ლას თანამშრო-მელ/ბენეფიციარის სოციალური და ოკუ-პაციური ჩართულო- | 3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრუ-ლი პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციას- | პირველ შეხვედრაზე, ხდება სტუდენტების-თვის ბენეფიციარების მიმაგრება. რომლის შემდეგ, სტუდენტები |

| | | |
|---|---|---|
| ბის შეფასებას ''საქმიანობის ნებითობის დაკვირვების ჩარჩოს'' კითხვარის გამოყენებით. შეფასების შედეგების წარდგენა. | თან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>7.საკუთარ საქმიანობაში ეთიკური დილემების იდენტიფიცირება და შეფასება ბენეფიციარის საჭიროებების და უფლებების დასაცავად.<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>12. ბენეფიციარების საჭიროებების მართვა და უფლებების დაცვა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურებების გამოყენებით.<br>13. ბენეფიციარებთან მუშაობა მათ მიმართ ჭეშმარიტი ინტერესის გამოხატვით, მათი გაგებით და პატივისცემით, თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მათი ინდივიდუალურ განვითარების დონეებსა და სოციალურ სტატუსებს შორის განსხვავებების მიუხედავად. | იყენებენ შეფასების ფორმას-პ მ ჩ ს (პ_პასიური (არ ჩანს ქცევა ნებისმიერი მხარდაჭერითა და წახალისებით), მ_მერყევი/დაურწმუნებელი (გვიჩვენებს ქცევას მაქსიმალური მხარდაჭერით და დახმარებით), ჩ_ჩაბმული/ჩართული (გვიჩვენეს ქცევას მინიმალური მხარდაჭერითა და დახმარებით), ს_სპონტანური/თვითნებური (გვიჩვენებს ქცევას მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე )), რომლის გამოყენებითაც ხდება ბენეფიციარების შეფასება.<br>გარდა, შეფასების ფორმის გამოყენებისა, სტუდენტები თანამშრომლობენ უშუალოდ დასაქმების ორგანიზაციებთან და საჭიროების შემთხვევაში მიდიან ადგილზე, რათა შეისწავლონ სამუშაო გარემო, შეაფასონ რამდენაად იქნება დაცული ბენეფიციარის უფლებები, საჭიროებები და რამდენად პასუხობს გარემო კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს და მომსახურებებს.<br>მუშაობის პროცესში, მნიშვნელოვანია სტუდენტი განივითარებს ყველა წარმოდგენილ კომპეტენციას. |

| | | |
|---|---|---|
| 2. ინტერვიუ ორგანიზაციის ბენეფიციარების პოტენციურ დამსაქმებელთან. დასაქმების ადგილის შექმნის ან ცალკეულ (საგამომცემლო) პროექტში მონაწილეობის შეფასება SWOT მეთოდით. | 2. სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>12. ბენეფიციარების საჭიროებების მართვა და უფლებების დაცვა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურებების გამოყენებით.<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | სტუდენტები უკავშირდებიან ყველა შესაძლო დამსაქმებელს. ამყარებენ მათთან კომუნიკაციას. შემდეგ ადგილზე ეცნობიან არსებულ მდგომარეობას და ახდენენ შეფასებას. კრიტიკულად აანალიზებენ ორგანიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებს, რა არის გასაუმჯობესებელი, რომ შშმ პირმა შეძლოს დომოუკიდებლად საქმიანობა. აღნიშნულს ახორციელებს SWOT მეთოდის გამოყენებით, რომელსაც წინასწარ აცნობს პრაქტიკის ხელმძღვანელი, აწვდის შესაბამის ცოდნას, ინფორმაციას და ა.შ., რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს ორგანიზაციის შეფასება. |
| 3. ღია დასაქმების ადგილას თანამშრომელ/ბენეფიციარის სოციალური და ოკუპაციური ჩართულობის შესაძლებლობის შეფასება „სამუშაო პირობების იმპაქტის“ | 2. სოციალური მუშაობის ძირითადი ეთიკური საკითხების ცოდნა და გააზრება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირე- | სტუდენტები აფასებენ ღია დასაქმების ადგილებს. მიდიან დასაქმების ადგილზე კითხვარებით და ხდება შეფასება. მნიშვნელოვანია, შეფასებამდე სტუდენტებს ქონდეთ შესაბამისი ცო- |

| | | |
|---|---|---|
| კითხვარის გამოყენებით. კვლევის შედეგი წარმოადგინოს მეორე შუალედური ნამუშევრის სახით. | ბული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა.<br>5. კომუნიკაციის საბაზისო ცოდნა და კონფლიქტის/რთული სიტუაციის მოგვარების/გადაჭრის უნარ-ჩვევები.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>12. ბენეფიციარების საჭიროებების მართვა და უფლებების დაცვა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურებების გამოყენებით.<br>14. ინდივიდუალობის დაფასება და განსხვავებულობის და მრავალფეროვნების პატივისცემა.<br>15. პროფესიონალურ დონეზე მუშაობა, საკუთარი ქცევების შედეგების ზეგავლენის შეფასება და ქცევის შესაბამისი მოდიფიკაცია.<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | და და ინფორმაცია დასაქმების ადგილთან დაკავშირებით, არსებული კანონდმებლობასთან, შშმ პირების დასაქმების, მათი შესაძლებლობების, დიაგნოზის და საჭიროებების შესახებ. დავალების შესასრულებლად მნიშვნელოვანია, სტუდენტი ფლობდეს წარმოდგენილ კომპეტენციებს საბაზისო დონეზე მაინც, რათა მუშაობის პროცესში მოახდინოს გამოყენება და ამასთან, აღნიშნული კომპეტენციების განვითარება. |

## მეოთხე დონე (მეოთხე სემესტრი) – სამი დავალების აღწერა

| დავალება | კომპეტენციები | აღწერა |
| --- | --- | --- |
| 1. დაესწროს ბენეფიციართა და საბაკალავრო კურსის -„ინკლუზიური განათლების ფსიქოლოგიური საკითხები“ სტუდენტების ინკლუზიურ შეხვედრებს მიმართულს ზრდასრული ცხოვრებისათვის საკვანძო ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. გაეცნოს სსსმ პირების არაფორმალური განათლების პროცესში მიყოლის ტექნიკის გამოყენებას, რომელიმე საკვანძო უნართან დაკავშირებით. შეაფასოს ბენეფიციარის ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის პროცესის სხვადასხვა ეტაპები, სპეციალური დაკვირვების ფორმის ”საქმიანობის ნებითობის დაკვირვების ჩარჩოს” გამოყენებით. | 1. მეცნიერული მეთოდების შესახებ მრავალფეროვანი ცოდნა და გაგება.<br>3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>6. აკადემიური თეორიული ცოდნის შეგროვება, შეფასება და გამოყენება სოციალური პედაგოგიკის აქტივობების/ ქმედებების დასაგეგმად და დასასაბუთებლად.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.<br>15. პროფესიონალურ დონეზე მუშაობა, საკუთარი ქცევების შედეგე- | დავალება მოიაზრებს, რომ სტუდენტებს აქვთ აკადემიური თეორიული ცოდნა, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების. შეუძლიათ დაგეგმონ მიზნობრი მუშაობა ბენეფიციარების განვითარებისთვის და სწავლებისთვის. მაგალითად ერთი კონკრეტული უნარის განვითარებაზე. იმუშაონ ჯგუფში და ”საქმიანობის ნებითობის დაკვირვების ჩარჩოს” გამოყენებით შეაფასონ ბენეფიციარების ჯგუფში მუშაობა. დააკვირდნენ მათ, თუ როგორ ერთვებიან ან არ ერთვებიან ჯგუფში დაგეგმილ აქტივობებში და დაგეგმონ მიზნობრივი მუშაობა კონკრეტულ ბენეფიციართან. იმუშაონ პროფესიონალურ დონეზე და განსაზღვრონ და შეაფასონ მათ მიერ დაგეგმილი მუშაობის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ დასახული გეგმა, კონკრეტულ ბენეფიციართან მიმართებაში. |

| | | |
|---|---|---|
| | ბის ზეგავლენის შეფასება და ქცევის შესაბამისი მოდიფიკაცია.<br>16. პროფესიის მიმართ ანგარიშვალდებულება და თავდადება;<br>17. რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ჩარევა და გამკლავება, საჭიროების შესაბამისად, ინტუიციის გამოყენებით და გარემოებების გათვალისწინებით. | |
| 2. თანამონაწილეობა სტუდია „მოდი"-ს (სტუდია მოსწავლეთა ოკუპაციებისა და ინკლუზიისათვის) პროგრამაში: ხელოვნების ელემენტების გამოყენება შშმ პირთა შემეცნებითი და შემოქმედებითი ინტერესების განსავითარებლად (მაგ. დახმარება ინტერაქტიული ჟურნალის წარმოებაში; ჩართულობა ინკლუზიურ სპექტაკლში. ხელოსნის ასისტირება დაზიანებული ნივთების შეკეთება-გადაკეთების პროცესში). | 3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა<br>4. სოციალური პედაგოგიკის/ სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება<br>10. კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან მხარდამჭერი და პატივისცემის გამომხატველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა. | სტუდენტები ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მინი სპექტაკლის დადგმაში. ასევე, თანამშრომლობენ მათ ოჯახის წევრებთან და რთავენ მუშაობის პროცესში. ხდება მიზნობრივი მუშაობის დაგეგმვა და მათთვის სწავლება ამა თუ იმ ნაწარმოების, ეპიზოდის, თეატრალური მოძრაობების და ა.შ. ბენეფიციარებთან ერთად არჩევენ ტექსტს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის კაციაადამიანის დადგმიმას, ერთობლივად მოხდა ეპიზოდს შერჩევა, რა ნაწილზეც გადაწყდა მინი სპექტაკლის დადგმა. შემდეგ პრაქტიკანტები დაეხმარნენ ტექსტის სწავლაში და სპექტაკლის გადაღების პროცესში. რა დროსაც ერთობლივად შეარჩიეს კოსტუმები, გადასაღები ადგილი და რაც მთავარია, ამ პროცესში (სპექტაკლის გადაღებიაში) მონაწილეობდნენ ბენეფიციარების მშობლები, რომლებთანაც სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ურთიერთობის. |

| | | |
|---|---|---|
| | 11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება.<br>15. პროფესიონალურ დონეზე მუშაობა, საკუთარი ქცევების შედეგების ზეგავლენის შეფასება და ქცევის შესაბამისი მოდიფიკაცია. | სასურველი მიზნის მისაღწევად, მინიშვნელოვანაია სტუდენტები ფლობდნენ ყველა წარმოდგენილ კომპეტენციას. |
| 3. ბენეფიციარების ჩართულობით პროექტის დაგეგმვა, მომზადება და განხორციელება. შემდეგ კი წარდგენა შემაჯამებელ ღონისძიებაზე. | 3. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრული პირების) განვითარების, სწავლების და სოციალიზაციასთან დაკავშირებული, ასევე, განათლებასთან და ზრუნვასთან დაკავშირებული საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ ცოდნა.<br>4. სოციალური პედაგოგიკის/სოციალური მუშაობის სფეროში საზოგადოებასთან/ადამიანებთან მუშაობის, ორგანიზაციის მუშაობის პირობების, სამართლებრივი უფლებების, კანონმდებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ ცოდნა.<br>8. მიზნობრივი სოციალური მუშაობის ქმედებების დაგეგმვა, წარმართვა და განახორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განვითარების, სირთულეებთან გამკლავების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.<br>9. პრაქტიკის/მუშაობის პროცესში მხატვრული, პრაქტიკული და სოციალური ხასიათის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება.<br>11. სოციალურ-საგანმანათლებლო კონტექსტში ცვლილების და განმავითარებელი მუშაობის განხორციელება, წარმართვა და შეფასება. | პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტები გეგმავენ პროექტს, რომლის განხორციელებაშიც უნდა მოხდეს ბენეფიციარების მაქსიმალური ჩართვა. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა დღიურების შექმნა და დამზადება, რომლის გაფორმებაზეც სტუდენტებმა და ბენეფიციარებმა ერთობლივად იმუშავეს. ბენეფიციარებმა მუშაობის პროცესში დახატეს და შექმნეს დღიურის ყდის და შიდა გაფორმებისთვის სხვადსხვა ნახატები. |

# თავი 10

## სტუდენტების და ბენეფიციარის ერთობლივი პროექტების მიმოხილვა და სტუდენტების თვითრეფლექსიები

ავტორები: შორენა საძაგლიშვილი და
ქეთევან ლეკიშვილი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუდენტებმა ორი წლის განმავლობაში პრაქტიკა გაიარეს პარტნიორ ორგანიზაციებში: ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, Aspnc კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი და სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი.

სტუდენტებმა ოთხივე სემესტრში შეასრულეს სხვადასხვა პრაქტიკული თუ თეორიული დავალებები ოთხივე პარტნიორ ორგანიზაციაში. ბოლო სემესტრში სტუდენტებმა ბენეფიციარებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოამზადეს ერთობლივი პროექტები, რომელიც წარადგინეს საერთაშორისო ონლაინ ვირტუალურ შემაჯამებელ ღონისძიებაზე, მეოთხე სემესტრის დასასრულს, 2021 წლის 29 მაისს[11] (იხ. დანართი№ 5). ქვემოთ მოკლედ აღწერილია ოთხივე ორგანიზაციაში განხორციელებული შემაჯამებელი პროექტები, რომელთა წარმატებით განხორციელების აღსანიშნავად სტუდენტებს და ბენეფიციარებს გადაეცათ სპეციალური სიგელები/სერთიფიკატები (იხ. დანართი № 6).

[11] https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/siaxleebi-302/socialuri-mushaoba-mecniereba-socialuri-cvlilebisatvis-pirveli-erovnuli-samecniero-konferencia.page

## პროექტი 1 – ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

ბავშვის განვითარების ინსტიტუტში, სტუდენტებს პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის უნდა მოეძიებინათ ორგანიზაცია, სადაც შეძლებდნენ დასაქმებას. პროექტის ფარგლებში დაუკავშირდნენ სტამბა „სეზამის“ ხელმძღვანელს. მოეწყო შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებელთან, რომელსაც ესწრებოდნენ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და მათი ხელმძღვანელი. შეხვედრაზე მოხდა გაცნობა ბენეფიციარების და სამუშაო პროცესის, რის შედეგადაც გადაწყდა თანამშრომლობა ბავშვის განვითარების ინსტიტუტსა და სტამბა „სეზამს“ შორის. პროექტის ფარგლებში, დაიგეგმა დღიურის შექმნა, სახელწოდებით „ძილის პირულა“, სადაც წარმოდგენილი იქნება ბენეფიციარების, ამ შემთხვევაში თანამშრომლების ნახატები, რომლითაც გაფორმდება დღიური. პრაქტიკულ შეხვედრებზე, ეტაპობრივად მოხდა ნახატების შეგროვება, რომელიც ნიმუშის სახით იგზავნებოდა სტამბაში. დღიურის ყდა და შიდა დიზაინი გაფორმდა, ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ბენეფიციარების ნამუშევრებით.



სურათი №2: დღიური “ძილის პირულა” პირველი ვარიანტი







დღიურში წარმოდგენილია ველები, სადაც მომხმარებელს შეეძლება ჩაწეროს, თუ როგორ გაატარა დღე, რა გაუხარდა, რა ეწყინა. ამასთან,  დღიურის გვერდებზე დატანილია ფსიქოლოგიური სენტენციები. ასევე, გამოყოფილია მომავალი დღის დაგეგმვისთვის საჭირო ველები, რომელზედაც მომხმარებელს შეუძლია დაწეროს, თუ  რისი გამოსწორება უნდა მომავალში, რას შეცვლიდა და სხვა. ამასთან, დღიური მიზნად ისახავს:

- შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას;
- პიროვნულ განვითარებას;
- გარემოსთან ურთიერთობის  ორმხრივ პროცესს;
- თვითრეალიზებას.

სურათი №3: დღიური “ძილის პირულა” მეორე ვარიანტი




პროექტის მიზანი იყო მსგავსი სახის პროექტებში ბენეფიციარების მაქსიმალური ჩართულობა, მათი დასაქმების ხელშეწყობა, გაძლიერება, სრული რეალიზება და სოციალიზაციის პროცესის წახალისება, ასევე, მათი შესაძლებლობების გამოყენება და წარმოჩენა საზოგადოებისთვის. პროექტში ჩართვით ბენეფიციარებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის საქმიანობაში და ამ შემთხვევაში, იყვნენ არა ბენეფიციარის, არამედ თანამშრომლის როლში, რომელთაც დაეკისრათ კონკრეტული სამუშაოს შესრულება და მათი მუშაობის შედეგები აისახა დღიურში, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უმოკლეს ვადებში იქნება ხელმისაწვდომი. აღნიშნული დღიურის დაბეჭდვა იგეგმება 2021 წლის დეკემბერში.

**პროექტი 2 – Aspnc კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ**

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ხატვითი აქტივობა რომელსაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი მიყავს საკუთარი განცდების გაღრმავებულ წვდომამდე და ეფექტურია ადამიანების ფსიქოლოგიური დახმარების ნებისმიერ ეტაპზე.

პროქტის მიზანი იყო ხატვის თერაპიული პროცესის განხორციელება, რომელიც სტუდენტებმა, ბენეფიციარებმა და პრაქტიკის ხელმძღვანელმა ერთობლივად დაგეგმეს, მუშაობის ონლაინ რეჟიმის გათვალისწინებით.



სურათი № 4 საბავშვო ბაგა-ბაღი „ნევერლენდის“ მხარდამჭერი გზავნილი ორგანიზაციის ბენეფიციარებს

როგორც წესი, მსგავსი პროექტების შინაარსი განისაზღვრება წელიწადის სეზონების მიხედვით. სამუშაო პროცესი შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა:

(1) თემის დაკონკრეტება;
(2) შერჩეული თემის განხილვა;
(3) განხორციელება;
(4) შეჯამება.

სამუშაო პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: პირველ რიგში, შეხვედრა დაიწყო მისალმებით. შემდეგ, სტუდენტებმა გაახსენეს ბენეფიციარებს საკუთარი თავი, რადგან მათ ხშირად არ უწევდათ სტუდენტებთან შეხვედრა და ამასთან, პანდემიის გამო პირისპირი კომუნიკაცია ვერ მოხერხდა. ამდენად, მათთვის საკუთარი თავის გახსენება მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. ეს ასევე ეხმარებათ ბენეფიციარებს მახსოვრო-

ბის განვითარებაში. შემდეგ, ჯგუფის წევრებს სთხოვეს გაეხსენებინათ, თუ რა რიცხვი, დღე, თვე და პერიოდი იყო. თემის შერჩევის მიზნით შეჯერდნენ გაზაფხულის თემაზე. ჯგუფის მონაწილეებმა დაასახელეს გაზაფხულის ნიშნები, გაზაფხულის ორი მახასიათებელი, რაც ყველაზე მეტად უყვარდათ და აგონებდათ გაზაფხულს, და ამის შემდეგ დაიწყო უშუალოდ ხატვის პროცესი.

აღნიშნულ ხატვით აქტივობას მივყავართ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის მიერ საკუთარი განცდების გაღრმავებულ წვდომამდე და ეს პროცესი ეფექტურია ადამიანების ფსიქოლოგიური დახმარების ნებისმიერ ეტაპზე. ხატვითი თერაპიის მიზანია ადამიანის რესურსების გააქტიურება, თვითრეგულაციის მექანიზმების განვითარება, ემოციური, კოგნიტური და ნებელობითი სფეროს გაუმჯობესება. ამასთან, იგი წარმოადგენს პროექციულ მეთოდს, რაც ბენეფიციარებს ეხმარება თვითგამოხატვაში. ასევე, წარმოადგენს სტრესის დაძლევის და უარყოფითი ემოციებისგან განთავისუფლების კარგ საშუალებას.


სურათი № 5 საბავშო ბაღი „ნევერლენდის“ მხარდამჭერი გზავნილი ორგანიზაციის ბენეფიციარებს

საბოლოო ჯამში, საკმაოდ ერთსულოვნად და ეფექტურად მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი და რაც მთავარია, როგორც პროცესით, ასევე შედეგით ყველანი კმაყოფილები დარჩნენ, პანდემიისა და ონლაინ მუშაობის პირობებშიც კი. ბენეფი-

ციარების შეფასებითაც მნიშვნელოვნი იყო სტუდენტებთან საუბარი, იმის გახსნება თუ რა მოწონთ, რა უყვართ, სასიამოვნო იყო მათთვის გაზაფხულის მახასიათებლების დასახელება და ერთობლივი ხატვის პროცესი, რა დროსაც ბენეფიციარებმა მთელი თავიანთი ყურადღება მიმართეს ხატვაზე.
ამასთან, პროექტი მიზნად ისახავდა ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ, კერძო ბაღ „ნევერლენდში" მოეწყო საინფორმაციო კამპანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, რა დროსაც ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა იგივე თემაზე, გაზაფხულზე შექმნეს მათთვის ნახატი, რომელიც გადასცეს ორგანიზაციას.

*ვიდეო ბმულზე წარმოდგენილია ორგანიზაციის-კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ ბენეფიციარების და სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ერთობლივი მუშაობის პროცესი, რომლის დროსაც იმუშავეს გაზაფხულის თემაზე და გაზაფხულის მახასიათებლებზე თითოეულმა მათგანმა, ინდივიდუალურად შექმნეს ნახატები და ჩაერთვნენ ხატვით თერაპიაში. ვიდეო ბმული: https://socialintervention.iliauni.edu.ge/video-galeria/*

## პროექტი 3 – თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი

პრაქტიკის ფარგლებში "თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში" ბენეფიციარებმა და სტუდენტებმა განახორციელეს პროექტი, სადაც ბენეფიციარების მაქსიმალური ჩართულობით შეიქმნა თოჯინების თეატრის დეკორაცია.

სტუდენტებმა და ბენეფიციარებმა სპექტაკლისთვის – "სამი გოჭის ზღაპარი" მოამზადეს დეკორაციები. კერძოდ, დამზადდა ნაფნაფის ქვის სახლი სტუდენტების მინიმალური და ბენეფიციარების მაქსიმალური ჩართულობით.



სურათი № 6: თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში ბენეფიციარების და სტუდენტების მიერ შექმნილი დეკორაცია

სამუშაო პროცესის პირველ ეტაპზე ბენეფიციარებთან ერთად მუყაოსგან გამოიჭრა სახლის ფორმა, შემდეგ დამუშავდა სხვადასხვა ნაჭრები, რომლითაც სახლის სხვადასხვა ნაწილი შეიქმნა. ამასთან, ბენეფიციარებთან ერთად გამოიჭრა სხვადასხვა ყალიბზე ნაჭრები, მოიხატა და დაწებდა წინასწარ გამზადებულ მაკეტზე.

შემდეგ, მუყაოსგან დამზადდა კარ-ფანჯრები და საკვამური. საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული თეატრალური სტუდიის ყველა ბენეფიციარი, ზოგი ჭრიდა, ზოგი აფერადებდა, ზოგი აწებებდა, ზოგი აუთოვებდა ნაჭრებს. მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა საქსოვი ძაფებიც.

დეკორაციის შექმნის პროცესი საკმაოდ სახალისო და შრომატევადი გამოდგა, როგორც ბენეფიციარებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. ბენეფიციარებმა ისწავლეს დამოუკიდებლად სხვადასხვა დეტალის დამზადება და ჯგუფური, ერთობლივი მუშაობა, რომლის დროსაც ერთის მხრივ, დამოუკიდებლად მუშაობდნენ და მეორეს მხრივ, სხვებთან ერთად მუშაობდნენ პატარ-პატარა დეტალებზე. ამასთან, ბენეფიციარებმა ისაუბრეს სამუშაოს შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე და პროექტის ფარგლებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

აღნიშნული ემსახურებოდა ბენეფიციარების დეტალებზე ორიენტირებულობას, მსხვილი და წვრილი მოტორიკის განვი-

თარებას, შრომით თერაპიას, გუნდური მუშაობის უნარის განვითარებას, საერთო საქმეში წვლილის შეტანას.

*ვიდეო ბმულზე წარმოდგენილია თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ბენეფიციარების და სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ერთობლივი მუშაობის პროცესი, რომლის დროსაც დამზადდა დეკორაცია. ვიდეოზე ნაჩვენებია მუშაობის ეტაპები, თუ როგორ ამზადებდნენ ბენეფიციარები სტუდენტებთან ერთად ნაფნაფის სახლს.*
*ვიდეო ბმული: https://socialintervention.iliauni.edu.ge/video-galeria/*

## პროექტი 4 – სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი



სურათი № 7: თემ ''ქედელში'' სტუდენტების მიერ დაგეგმილი აქტივობა ბენეფიციარებთან ერთად

ორგანიზაცია „ქედელში" სტუდენტებმა გაიარეს ორ კვირიანი ინტენსიური პრაქტიკა. რომლის დროსაც სტუდენტები ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ და ცხოვრობდნენ სიღნაღის რეგიონში არსებულ ორგანიზაცია "ქედელში". მათ 24 საათიანი კონტაქტი ქონდათ ორგანიზაციის ბენეფიციარებთან, რადგან მათთან ერთად ცხოვრობდნენ თემში არსებულ სახლებში და უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში.

ორი კვირის განმავლობაში, პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად იმუშავეს პროექტზე, რომლის მიზანიც იყო ბენეფიცია-

რების მათემატიკური და ინტელექტუალური უნარების განვითარების ხელშეწყობა. მუშაობის პირველივე ეტაპზე შეფასდა ბენეფიციარების ძლიერი მხარეები და გამოიყო სუსტი მხარეები, რომელზედაც პრაქტიკის პერიოდში უნდა მომხდარიყო მუშაობა გასაუმჯობესებელად. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფთან მუშაობა მიმდინარეობდა მათემატიკური უნარების განვითარების კუთხით, ხოლო მეორესთან ინტელექტუალური შესაძლებლობების მიმართულებით. აღნიშნული მუშაობა ორივე ჯგუფთან განხორციელდა ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი იყო სამუშაო პროცესის ისე წარმართვა, რომ ბენეფიციარებისთვის ყოფილიყო სახალისო, საინტერესო და ამასთან, შემეცნებითი და ნაკლებად სტრესული.

მიზნის მისაღწევად მოეწყო ჯგუფური შეხვედრები, თამაშები, გასვლითი ღონისძიებები ბუნებაში. ტარდებოდა საუბრები მათ სურვილებზე, საქმიანობასა და ინტერესებზე. სამუშაო პროცესი კი მიმდინარეობდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- დილა იწყებოდა ვარჯიშით, რათა გახალისებულიყვნენ და ენერგიაზე მოსულიყვნენ ორივე ჯგუფის წევრები;
- შემდეგ დაახლოებით საათი-საათ ნახევარი მიმდინარეობდა იგავ-არაკების კითხვა;
- ხდებოდა ანდაზების შესწავლა;
- დაახლეობით ერთ საათი ეთმობოდა ანდაზების და იგავ-არაკების განხილვას/დისკუსიას, რას თვლიდნენ მნიშვნელოვნად და რა იყო ამ ანდაზის თუ იგავ-არაკის მიზანი;



სურათი № 8: თემ "ქედელში" სტუდენტების და
ბენეფიციარების ერთობლივი ნახატი

- წერითი უნარების განვითარებისთვის სტუდენტები ბენეფიციარებს უკითხავდნენ ლექსებს, რომლსაც თვალსაჩინო ადგილზე წერდნენ და შემდეგ, ბენეფიციარები იწერდნენ;
- ხდებოდა ნახატის, კომიქსის შექმნა, რომელსაც შემდგომ აღწერდნენ;
- სტუდენტები ბენეფიციარებს წინასწარ აწვდიდნენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებზე, რასაც შემდეგ  ხატავდნენ სიტუაციების მიხედვით და მათ უნდა გამოეცნოთ, თუ ვინ იყვნენ წარმოდგენილნი ნახატებზე და თავად აეხსნათ კონკრეტული სიტყვა, პროფესია.
- ბენეფიციარებს ქონდათ დავალება დაეხატათ სიუჟეტები, თუ როგორ გაატარეს დღე. ეს მათ საშუალებას აძლევდათ განევითარებინათ ფანტაზიის უნარი და გამოეხატათ საკუთარი ემოციები.

თითოეული ეს აქტივობა მიზნად ისახავდა ბენეფიციარებს ინტელექტუალური შესაძლებლების გაუმჯობესებას.

მეორე ჯგუფში, რომლის მიზანიც იყო ბენეფიციარების მათემატიკური უნარების სწავლება, ხდებოდა დამატებით მათემატიკური უნარების განვითარება. რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა დაამზადეს ბარათები, რომელზეც გამოსახული იყო მათემატიკური სიმბოლოები. ბარათების გამოყენებით მათ უნდა შეესრულებინათ მარტივი მათემატიკური მოქმედებები, რომელზე ვარჯიშიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ხოლო პრაქტიკის ბოლო დღეს მოეწყო ღია გაკვეთილი, რომელიც მიზნად ისახავდა ორ კვირიანი მუშაობის შედეგების წარმოჩენას. კერძოდ, მოეწყო პატარა მაღაზია, სადაც ბენეფიციარებს შეეძლოთ მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენა. მათ უნდა დაეანგარიშებინათ, თუ რა ღირებულების იყო მათი შენაძენი, რამდენი უნდა გადაეხადათ და რამდენი ხურდა უნდა მიეღოთ. აღნიშნული დავალების მიზანი იყო, ერთის მხრივ, ბენეფიციარების მიერ დამოუკიდებლად პროდუქტების შეძენის/შესყიდვის უნარების განვითარება და, მეორე მხრივ, ფულის ცნობის, მარტივი დაჯამების, მიმატება-გამოკლების უნარების გამომუშავება.



სურათი № 10: თემ “ქედელში” სტუდენტების და ბენეფიციარების ერთობლივი აქტივობა

*ვიდეო ბმულზე წარმოდგენილია თემი ქედელის ბენეფიციარების და სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ერთობლივი მუშაობის პროცესი, რომლის დროსაც სტუდენტები წინასწარ გესაუბრნენ სხვადსხვა პროფესიის წარ-*

*მოამადგენლების შესახებ და შემდეგ ერთმანეთს უხსიან, ერთი კონკრეთული პროფესიის წარმომადგენელს, რომელიც ჯგუფის სხვა წევრებმა უნდა გამოიცნონ. ასევე ვიდეო ბმულებზე ნაჩვენებია საგაკვეთილო პროცესები, სადაც ხდება სხვადასხვა ნაწარმოებების, იგავ-არაკების და ა.შ. სწავლება.*
*ვიდეო ბმული: https://socialintervention.iliauni.edu.ge/video-galeria/*

## სტუდენტების რეფლექსია – შეჯამება

ქვემოთ მოცემული ამონარიდები სტუდენტების შთაბეჭდილებებიდან, რომელიც ეხება მათ პრაქტიკაზე მიღებულ გამოცდილებას. ამ შთაბეჭდილებებს სტუდენტები ინიშნავდნენ თავიანთ პრაქტიკის დღიურში.

‘‘მთლიანობაში პრაქტიკა აღმოჩნდა ჩემთვის საკმაოდ ნაყოფიერი და შევიძინე საკმაოდ საჭირო ცოდნა, რაც დამეხმარება შემდგომ სწორი მუშაობისთვის’’.

“ამ უჩვეულო პრაქტიკის განმავლობაში, ვისწავლე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის რეჟიმი, დღის რუტინა. გავაცნობიერე, რომ მათთან მუშაობა, მათთან ურთიერთობა ვირტუალურად შესაძლებელია’’.

‘‘ჯგუფმა მიმიღო დადებითად და უმტკივნეულოდ. სიამოვნებით ვიყავი ჩართული ყველა აქტივობაში და ვთვლი, რომ მსგავსმა კავშირმა ძლიან ბევრი მომცა, პირველ რიგში კი ემოციების თვალსაზრისით. ძნელად ვიხსენებ ერთად განცდილ ამდენ დადებით ემოციას. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდა დისტანციურად და ჩართულობის მოლოდინი იყო მცირე, შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა’’.

‘‘ნორვეგიის პროექტმა მომცა საშუალება არა მარტო გამეღრმავებინა პროფესიული უნარ-ჩვევები, არამედ პრაქტიკაშიც გამომეყენებინა ისინი. შემძინა მეტი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლების მქონე ადამიანების შესახებ, მეტად დამაფიქრა

მათ საჭიროებებზე. რომ დიაგნოზით არ უნდა განვსაზღვროთ მათი მდგომარეობა. გაცილებით მნიშვნელოვანია მათი ფუნქციონირების ხარისხის დადგენა და მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა თუ მხარდაჭერის აღმოჩენა. გამიჩინა სურვილი, მეტად ჩავუღრმავდე იმ გამოწვევებს, რომელიც მათ წინაშე დგას და ჩემი პოზიციიდან შევძლო მათი დახმარება, რადგან ვთვლი, რომ ვეხმარები რა მათ, ვეხმარებით ერთმანეთს მომავლის მშენებლობაში''.

''პირველი ემოცია კი იყო შიში იმისა შევძლებ თუ არა ბავშვებთან და მოზარდებთან სწორ კომუნიკაციას, ურთიერთობას. ყოველი წამის გასვლისას ეს პირველი ემოცია თანდათან ქრებოდა და გაიღვიძა ახალმა შთაბეჭდილებებმა – სრულიად განსხვავებულ სამყაროში მოხვედრის, სადაც არის ძალიან დიდი სითბო, სიკეთე, ზრუნვა და სიყვარული''.

''ბენეფიციარების დამოკიდებულებამ თან გამაოცა, როცა სრულიად უცნობს განსაკუთრებული სითბოთი მიღებდნენ და ამასთანავე, დადებითი ემოციებით ამავსეს. ეს ყველაფერი კი ხდებოდა სხვა სამყაროში''.

''დღის შთაბეჭდილებები იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ სწორად გადმოცემაც კი გამიჭირდა. ჩემი აქ ყოფნის პერიოდი აღმოჩნდა ნაყოფიერი, მივიღე საჭირო და მნიშვნელოვანი ცოდნა, გამოცდილება და გულწრფელი ემოცია და სიყვარული, რომელიც აქ ტრიალებს''.

''ყოველი შემდგომი პრაქტიკის დღე უფრო მეტად საინტერესო ხდებოდა, ვსწავლობდი ყოველ დღე ახალ რაღაცას, ბენეფიციარებთან კი უფრო მეტი სითბო და სიყვარული იქმნებოდა. ვესწრებოდი ყველა ღონისძიებას, რომელიც ტარდებოდა და შთაბეჭდილებები იყო საოცარი, ბოლოსკენ კი უკვე მგონია, რომ ამ ბენეფიციარებს არ აქვთ არანაირი პრობლემა და ისინიც ,,ჩვეულებრივი შესაძლებლობების'' არიან''.

''ცენტრში ყოველი დღე გაწერილია სიზუსტით, უკვე აღსაზრდელებმა იციან რა დროს რა ხდება, დისციპლინა უმთავ-

რესია ცენტრში და დროის სიზუსტით მიმდინარეობს ყველაფერი. ჩემთვის, ასევე ძალიან საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა ,,ლამპრების დღესასწაული‘‘, სპირალების და მადონების ჩვენება, რომლის დროსაც ბენეფიციარები დიდ სიამოვნებას იღებენ. ასევე ბენეფიციართა დიდი ჯგუფი ამზადებს სხვადასხვა სპექტაკლს, ამასთანავე მღერიან უკრავენ’’.

‘‘ბენეფიციარების დიდი ჯგუფი ჩართულია სამზარეულოს საქმიანობაში სრულად. მეორე ნაწილი კერვის გაკვეთილებზეა და კარგადაც გამოსდით. ზოგი კი მოზაიკის გაკვეთილზე ქმნის საოცარ და წარმოუდგენელ ნამუშევრებს, ერთი ხელით და ორი თითითაც კი. ამ პერიოდის მანძილზე სრულიად სხვა კუთხით და შესაძლებლობები დავინახე, მთავარია სწორი მიდგომა და რა თქმა უნდა ძალიან დიდი შრომა, რომელიც ჩადებულია ამ ცენტრში’’.

‘‘პანდემიის პირობებიდან გამომდინარე პრაქტიკის ფორმატი ჩანაცვლდა დისტანციური რეჟიმით. აღსანიშნავია, რომ ჩემთვის ძალიან ინფორმაციული და საინტერესო იყო ეს შეხვედრები. თამთას საუბარი ყოვლისმომცველი და გამოცდილებაზე დაყრდნობილი, პრაქტიკული მაგალითებით იყო გაჯერებული. რამაც ჩემში ძალიან დიდი სიმპათია გამოიწვია, არა მარტო პროფესიონალური კუთხით, არამედ თავისი პიროვნული თვისებებითა და საქმისადმი დამოკიდებულებებით. გამიჩნდა განცდა, რომ ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ამ ცენტრში დადიან, ნამდვილად პროფესიონალი და საქმისადმი ერთგული ადამიანების გარემოცვაში იმყოფებიან’’.

‘‘აქტივობები გამოვიდა საინტერესო და სახალისო. ბავშვები აქტიურად ერთვებოდნენ და  სიამოვნებას იღებდნენ შედეგით’’.

‘‘ამ ხნის განმავლობაში მიღებულმა ინფორმაციამ გამიჩინა დიდი სურვილი ადგილზე ვნახო და ჩავერთო ამ ცენტრის მუშაობაში. პრაქტიკაში ვნახო ყველა ის ტექნიკა და მეთოდი, რომელსაც ცენტრი აქტიურად იყენებს’’.

‘‘ მყავდა კლასი, სადაც 6 მოსწავლე იყო, სხვადასხვა საჭიროების მქონე. საინტერესო იყო იმ ურთიერთობებზე დაკვირ-

ვება, რომელსაც მოსწავლეები ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებ-დნენ და როგორ მოქმედებდნენ, რეაგირებდნენ სხვადასხვა სი-ტუაციებზე, როგორ გამოხატავდნენ ემოციებს. ამაზე დაკვირ-ვების პროცესმა, მომცა შესაძლებლობა, რომ ადვილად დამემ-ყარებინა მათთან კომუნიკაცია და ინტერაქცია''.

''ამ სკოლაში პრაქტიკის გავლამ, მომცა შესაძლებლობა, ჩემი თავი მომესინჯა სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად ხატვა, მოზაიკა, ქსოვა, თეატრალური წარმდგენები, სიმღერა, რაც ვფიქრობ, სხვა ყველაფერთან ერთად, საინტერესო და სა-სიამოვნო იყო, რომ რაღაც ახალი შემესწავლა, ხელოვნების დახმარებით პიროვნული და ჩემი ფსიქო-ჰიგიენაც მომეწესრი-გებინა. ამ პატარ-პატარა დეტალებმა, საერთო ჯამში, ვფიქ-რობ, საინტერესო შედეგი გამოიღო, როგორც ჩემი პროფესიუ-ლი, ასევე, პიროვნული განვითარების კუთხითაც''.

''უნდა აღვნიშნო, რომ პრაქტიკის დასაწყისში, მქონდა მცირედი უკმარისობის გრძნობა, როგორც სოციალურ მუშაკს. ვფიქრობდი, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა და პრაქტიკის ადგილი, ერთმანეთთან ცოტა აცდენილი იყო. თუმცა, პროცეს-ში, დავრწმუნდი, რომ ის საბაზისო უნარები, რაც სოციალურ მუშაკს სჭირდება, სწორედ ასეთ უშუალო გარემოში, ამ ადამია-ნებთან ყოველდღიური ინტერაქციის შედეგად შეიძლება განმი-ვითარდეს. ჩემთვის, თუნდაც ის ფაქტი, რომ ბევრად ემპათიუ-რი გავხდი, მეტად დავაკვირდი ჩემს ფსიქო-ჰიგიენას, უკვე ბევრს ნიშნავს და იმ კომპეტენციებიდან, რომელიც ცოდნას და უნარს მოიაზრებს, ამის გარდა, დამოკიდებულებების/ღირებუ-ლებების განვითარება უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ძა-ლიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია''.

''ამ სემესტრში გავლილმა პრაქტიკამ, განსაკუთრებული სა-ჭიროებების მქონე ადამიანებთან, (ქედელი, თავისუფალი პედა-გოგიკის სკოლა, ბავშვის განვითარების ინსტიტუტი) უკეთესად დამანახა, ამ ადამინებების საჭიროებები, ის პრობლემები და გა-მოწვევები, რის წინაშეც მათ ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა''.

“ამ ადამიანებთან ჩემი წინარე დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნებოდა თანაგანცდას, სიბრალულს, ქველმოქმედების სურვილს- შეიცვალა და ვისწავლე ამ ადამიანების ,,ენაზე საუბარი”, ვიცი როგორ ვიურთიერთო მათთან, მივიღო ისეთები როგორებიც არიან, იმ თავიანთი პიროვნული მახასიათებლებითა და ღირებულებებით, რაც მათ გააჩნიათ”.

“თემ ქედელში გატარებული ორი კვირა, აქამდე გავლილ პრაქტიკებს შორის ყველაზე უჩვეულო და მრავლის მომცემი გამოდგა”.

“ქედელი აღმოჩნდა ერთი დიდი ოჯახი, რომელმაც სიამოვნებით გამიღო თავისი სახლის კარი და ოჯახის წევრად მიმიღეს”.

“პრაქტიკის განმავლობაში პირველად ჩავატარე პირისპირი ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან, რაც მორიგი გამოწვევა და ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. ერთად განვახორციელეთ და ჩავერთეთ არტ-თერაპიებსა და სხვადასხვა აქტივობებში”.

“ქედელში გატარებული ორი კვირა, ძალიან მნიშვნელოვანი და მრავლის მომცემი იყო ჩემთვის, როგორ სოციალური მუშაკისთვის და ასევე, როგორც პიროვნებისთვის”.

“ქედელში ჩემი პირველი დღე აღმოჩნდა საკმაოდ მრავალფეროვანი. გამოცდილება, რომელიც აქ ყოფნის პერიოდში მივიღე, ჩემთვის აღმოჩნდა საკმაოდ დადებითი”.

“პრაქტიკაზე ყოფნის დღეები ხდებოდა უფრო მეტად საინტერესო, საგანმანათლებლო და სახალისო”.

“აქ გატარებული დღეები ვთვლი, რომ იყო ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა. მივიღე დიდი გამოცდილება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომეცა შესაძლებლობა ძალიან ბევრი რამ, სრულიად სხვა კუთხით დამენახა. ქედელი მართლაც არის ერთი დიდი ოჯახი, სადაც ერთმანეთი უყვართ, ზრუნავენ და სხვებსაც უზიარებენ ამ სითბოს”.

“იქ გატარებული პრაქტიკა იყო საკმაოდ დატვირთული.

ვცდილობდით ჯგუფური შეხვედრები, თამაშები მოგვეწყო. როდესაც ამინდი გვიწყობდა ხელს, რამდენიმე ბენეფიციართან ერთად გავდიოდით სასეირნოდ. ვსაუბრობდით მათ სურვილებ-ზე, საქმიანობაზე და ინტერესებზე''.

''ინდივიდუალურად ბენეფიციარებთან ვცდილობდით მე-ტი დრო გაგვეტარებინა. გაგვეგო მათი ინტერესები, სუსტი და ძლიერი მხარეები. გამოგვკვეთა საჭიროებები''.

''მიღებული გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელო-ვანი და საინტერესოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის რომ პანედემიის პირობებში პრაქტიკის საშუალება ფაქტობრივად არ იყო და ჩვენ გაგვიმართლა ორმაგად რადგან უშუალოდ პრაქტიკის ადგილზე ვცხოვრობდით''.

''გაგვიმართლდა, რომ ბენეფიციარებთან გვქონდა უშუა-ლო შეხება, ვნახეთ ისინი ბუნებრივ გარემოში და ამან საშუა-ლება მოგვცა უფრო ცხადად დაგვენახა ის სურვილები და სა-ჭიროებები რაც მათ აქვთ''.

''აქ გატარებული პრაქტიკა ჩემი 6 წლიანი სწავლის მანძილ-ზე ყველაზე განსხვავებული, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. იქაური გარემო, აურა, მაცხოვრებლები და მომუშავე პერსო-ნალი, მართლაც, განსაკუთრებულად გამორჩეულები არიან''.

''პრაქტიკის განმავლობაში ჩავწერეთ ინტერვიუები ბენე-ფიციარებთან და თავადაც ჩავერთეთ არტთერაპიაში. ვფიქრობ ჩემი პრაქტიკაზე გატარებული დრო საკმაოდ ნაყოფიერი და ბევრის მომცემი გახდა ჩემთვის, ვისწავლე ბევრი ახალი რამ და განვავითარე კომუნიკაციის უნარები კიდევ უფრო მეტად.''

ბოლოს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სტუდენტებმა ოთხივე ორგანიზაციაში მიიღეს ძალიან პოზიტიური და შთამ-ბეჭდავი გამოცდილება, რომელსაც მომავალში წარმატებით გამოიყენებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის დროს.

# დანართები

## დანართი 1– პრაქტიკის ორგანიზაციები

პრაქტიკის ორგანიზაციები

პროექტის „სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში“ შემავალი ორგანიზაციებია:

- კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ (Apnsc)
- თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
- სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი
- ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

ქვემოთ მოკლედაა წარმოდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

**კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ (Apnsc)**

<u>საკონტაქტო ინფორმაცია</u>:
დაარსების თარიღი: 1990 წელი
მისამართი: თბილისი, ძმ. უბილავების ქ.№ 8
ტელ : + 995 32 2 77 63 07; + 995 32 2 77 54 85
ელ.ფოსტა: infoapnsc@gmail.com
ვებ-გვერდი: www.apnsc.ge
დღის ცენტრის მომსახურების არეალი: ქ. თბილისი
დღის ცენტრის ბენეფიციართა რაოდენობა: 54 ზრდასრული შშმ პირი (გ.ჩ)
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი (5 დღე), 10:00 – 16:00 სთ.
კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ დაარსდა 1990 წელს და უზრუნველყოფს ინტელექტუა-

ლური შეზღუდვის მქონე ზრდასრული პირების მომსახურებას. ორგანიზაციის მისიაა საქართველოში სოციალური თერაპიის დანერგვა, რომლის ფრგლებშიც, შესაძლებელია განვითარების შეფერხების მქონე ზრდასრულთა განვითარება, ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრება, სოციალური ინტეგრაცია, ერთობლივ ცხოვრებაში მათი წვლილის აღქმა საზოგადოების მიერ.

ორგანიზაციის მიზნები დაყოფილია სამი მიმართულებით:

- ერთობების შექმნის პროგრამა;
- კადრების აღზრდის პროგრამა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა.

ორგანიზაციის საქმიანობა[12]

- დღის ცენტრი – სოციალური თერაპიის სახლი;
- კადრების გადამზადება;
- ინდივიდუალური მომსახურება;
- ახალი ინიციატივა;
- გამომცემლობა „აწმყო“.

ორგანიზაციაში ფუნქციონირებს დღის ცენტრი – სოციალური თერაპიის სახლი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები (18 წლის ზემოთ) და ზრდასრულები ჩართულნი არიან შრომით, მხატვრულ და კულტურულ საქმიანობებში, რომელიც დროში რიტმულად არის გადანაწილებული. ორგანიზაცია იყენებს სოციალურ თერაპიას, ბენეფიციარების უნარების გაძლიერებისთვის და განვითარებისთვის.

სოციალური თერაპიის სახლში რვა სახელოსნოა, რომლებშიც სახელოსნოების წევრები/ ბენეფიციარები შრომის პროცესში ისე არიან გადანაწილებულნი, რომ გათვალისწინებულია თითოეული მათგანის თავისებურებები, რათა შესაძლებელი იყოს მათი სრულფასოვანი მონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში.

[12] კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ – http://apnsc.ge/servise/41/

თითოეულ სახელოსნოში, ისინი თანამშრომლები არიან და არა ბენეფიციარები, რომლებთან ერთად სახელოსნოს ხელმძღვანელები და დამხმარეები მუშაობენ.
რაც შეეხება, მხატვრულ და თერაპიულ საქმიანობებს მოიცავს ხატვას, ძერწვას, მუსიკას, ევრითმიას (მოძრაობითი თერაპია), დრამას, მხატვრული ნაწარმოებების კითხვას, სპეციალურ განმავითარებელ თამაშ-აქტივობებს. კულტურულ საქმიანობაში კი მოიაზრება დღესასწაულების აღნიშვნა, ქალაქგარეთ გასეირნება, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების, სპექტაკლების მოწყობა.
“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” საუნივერსიტეტო მოდულის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ, ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრში, სადაც გადანაწილებულნი იყვნენ სხვადასხვა სახელოსნოებში და აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სახელოსნოს საქმოანობაში და დღის რიტმში. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დავალებების ქვეთავში.

**თავისუფალი პედაგოგოკის ცენტრი**

საკონტაქტო ინფორმაცია:
დაარსების თარიღი: 1991 წელი
მისამართი: თბილისი, მ. ლებანიძის ქუჩა №10,
ტელ : (+995 32) 234 76 21; (+995 599) 56 47 21
ელ.ფოსტა: info@cfp.ge
ვებ-გვერდი: http://www.cfp.ge/
სამუშაო დღეები: ორშაბათი – პარასკევი 9:00-დან 16:00-მდე

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი დაფუძნდა 1991 წელს. ცენტრი არის სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიაში

საერთაშორისო საბჭოს წევრი (დორნახი, შვეიცარია) და სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიაში უმაღლესი განათლების საერთაშორისო წრის წევრი (კასელი, გერმანია).
ცენტრის მიზანია ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების აღზრდის, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სწავლების, პროფესიული და სოციალური ადაპტაციის ორგანიზება, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება და შემდგომში საზოგადოებაში ინტეგრაცია[13].
თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი თავის ბენეფიციარებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს, როგორებიცაა:

- ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდა, სკოლისთვის მომზადება და თერაპიულ მუშაობა სამკურნალო-პედაგოგიურ ბაღში "მზეშინა";
- ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების აღზრდა, სწავლება, შრომითი სწავლება, სოციალური ადაპტაცის, შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- პროფესიის ან პროფესიის ელემენტების სწავლება ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე ახალგაზრდების პროფესიული განათლების ცენტრში;
- მკურნალი პედაგოგების მომზადება და ტრენინგები სპეციალურ პედაგოგიკაში დამატებითი განათლების სასწავლო ფაკულტეტზე (სამკურნალო პედაგოგიური სემინარი);
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დიაგნოსტირება და კონსულტირება მშობლებისათვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ცენტრში.

ცენტრი მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, როგორიცაა:

- ადრეული განვითარება;

[13] თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი – http://www.cfp.ge/ge/

- საბავშო ბაღი;
- მთავარანგელოზ მიქაელის სამკურნალო–პედაგოგიური სკოლა;
- დღის ცენტრი;
- თეატრალური სტუდია;
- მოზაიკის სტუდია;
- სარეაბილიტაციო ცენტრი;
- სემინარია.

“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” საუნივერსიტეტო მოდულის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ, ცენტრის საქმიანობაში, როგორც დღის ცენტრში, მოზაიკის და თეატრალურ სტუდიაში, ასევე ადრეული განვითარების და სარეაბილიტაციო ცენტრის საქმიანობაში ბენეფიციარებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დავალებების ქვეთავში.

**სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი**



დაარსების თარიღი: 1999 წელი
მისამართი: სიღნაღი, ქედელის დასახლება
ტელ : 599 23 09 38
ელ.ფოსტა: qedelicommunity@gmail.com
ვებ-გვერდი:
https://www.facebook.com/QedeliCommunity
სამუშაო დღეები: ყოველ დღე

სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი-თემი ქედელი საცხოვრებელი ერთობაა, სადაც შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ზრდასრული ადამიანები ღირსების შესაფერ, ოჯახურ გარემოში ცხოვრო-

ბენ. იგი 1999 წლიდან ფუნქციონირებს[14].

ორგანიზაციის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება და ადამიანის ღირსების შესაფერისი, ოჯახური გარემოს შექმნა. მათი მხარდაჭერა და გაძლიერება, უნარების განვითარება მუსიკის, ხელოვნების და შრომის საშუალებით. სახელობო საქმიანობის დასწავლა და საცხოვრებელს გარეთ შრომითი ჩართულობით, თუ კულტურული აქტივობებში მონაწილეობა მიზანად ისახავს მათ ინტეგრაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმის შემცირებას.

თემში არსებულ შრომით-თერაპიულ სახელოსნოებში საქმიანობით, მაცხოვრებლებს ეძლევათ საკუთარი უნარებისა და სურვილების რეალიზების საშუალება.

თემში მოქმედებს სხვადასხვა სოციალური საწარმო, როგორებიცაა:

- არტ-კაფე ქედელი და საცხობი ქალაქ სიღნაღში;
- ხის სადურგლო – სადაც მზადდება სათამაშოები, სკამები, მაგიდები და ა.შ;
- საქსოვი – ნატურალური ნედლეულით, დაზგაზე იქსოვება ქსოვილები, იკერება ეკოლოგიური თოჯინები და სხვადასხვა აქსესუარები;
- ბაღი და სასათბურე მეურნეობა – მოყავთ ხილ-ბოსტნეული;
- ხილისა და სამკურნალო მცენარეების საწარმო;
- მეცხოველეობის ფერმა – საკუთარი მოხმარებისთვის.

“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” საუნივერსიტეტო მოდულის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტე-

[14] თემი ქედელის ოფიციალური გვერდი – https://www.facebook.com/QedeliCommunity

ტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენ-ტები პრაქტიკის ფარგლებში ორი კვირის განმავლობაში ცხოვ-რობდნენ თემში და ჩართულნი იყვნენ ორგანიზაციის საქმია-ნობაში, ბენეფიციარებთან თანაცხოვრებაში და ა.შ. აღნიშნულ-თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დავალე-ბების ქვეთავში.

**ბავშვის განვითარების ინსტიტუტი**

დაარსების თარიღი: 2014 წელი
მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავა-ძის გამზირი 32
ტელ : 032 2 22 00 09 (460); + (995) 0790 51 41 01
ელ.ფოსტა: info.cadc@iliauni.edu.ge
ვებ-გვერდი: http://cdi.iliauni.edu.ge/
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი

ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, 2014 წელს დაარსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და არის მის დაქვემდება-რებაში მყოფი მრავალპროფილური ინსტიტუტი, რომელიც ერთ სივრცეში ქმნის განათლების, კვლევისა და ხარისხიანი სერვისის მიღების შესაძლებლობას ბავშვთა და მოზარდთა გან-ვითარების სფეროში[15].
ინსტიტუტის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების-თვის მომზადებაში ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად იყენებს სერვისების, განათლებისა და კვლევების (მულტი და ინტერ-დისციპლინარული) გენერირებასა და გამოცდილებას.

---

[15] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/bavshvis-ganvitarebis-instituti

ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- აუტიზმისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და რეაბილიტაცია;
- ადრეული ინტერვენცია, კერძოდ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ან რისკ-ჯგუფში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფა შესაბამისი სერვისებით, რასაც თან ახლავს მშობლის/მეურვის როლის გაძლიერება ბავშვის სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობაში;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა განათლების ადრეულ და სხვა საფეხურებზე შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით;
- სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს მოზრდილთა განათლების სხვადასხვა ეტაპის კომპონენტებს – სტუდენტების პრაქტიკას, სპეციალისტების მომზადებას, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას ტრენინგისა თუ სუპერვიზიის გამოყენებით;
- ინსტიტუტის ცენტრებისა და პროგრამების ბენეფიციარების ინტერესების დაცვა;
- ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სფეროში ახალი მიმართულებების, მეთოდებისა და პრაქტიკის-ქცევითემოციური განვითარების პროგრამის, სენსორული თერაპიის, ენისა და მეტყველების თერაპიისა და ა.შ. კვლევა, მათი გამოყენების პირობებისა და საქართველოში დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა;

- უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებთან, ინსტიტუ-ტებსა და ცენტრებთან თანამშრომლობა საგანმანათ-ლებლო და კვლევით საქმიანობაში[16];

“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში” საუნივერსი-ტეტო მოდულის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტე-ტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენ-ტები ჩართულნი იყვნენ ინსტიტუტის საქმიანობის შემდეგ მი-მართულებაში: „სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზ-რდებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა“. სტუდენტები ოთხი სემესტრის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის აქტივობების და-გეგმვასა და განხორციელებაში. სადაც ერთ-ერთი მთავარ კომ-პონენტს შეადგენს ბენეფიციარების დასაქმება, რომელის გან-ხორციელების სამი ფორმაა: დახურული, მხარდაჭერილი და ღია. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დავალებების ქვეთავში.

[16] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/bavshvis-ganvitarebis-instituti

# დანართი 2– საგანმანათლებლო გეგმა

## პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმა

საგანმანათლებლო გეგმას ერთობლივად ადგენს სტუდენტი და პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც შემდეგ თანხმდება პრაქტიკის კოორდინატორთან. საგანმანათლებლო გეგმა წარმოადგენს შეთანხმებას ერთი სემესტრის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

### I. საკონტაქტო ინფორმაცია

**1.1. სტუდენტი**

გვარი, სახელი:
კურსი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
ელ. ფოსტა:
იმ პირის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელზედაც დაკავშირება მიზანშეწონილი იქნება გადაუდებელ ვითარებაში:

**1.2. პრაქტიკის ხელმძღვანელი**

გვარი, სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
ელ. ფოსტა:

**1.3. პრაქტიკის ორგანიზაცია**

ორგანიზაციის დასახელება:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
ორგანიზაციის დირექტორი:
ტელეფონის ნომერი:

ელ. ფოსტა:
პრაქტიკის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში საკონტაქტო პირის გვარი, სახელი, ტელეფონი და ელ. ფოსტა:

## II. შეთანხმების დეტალები

### 2.1. პრაქტიკისთვის განკუთვნილი დრო და კრედიტები

სტუდენტისთვის სამუშაოდ განსაზღვრული საათები: 13 კვირა, კვირაში 2-3 დღე, კვირაში 7-8 საათი. სულ სემესტრში დაახ. 118 საათი.

კრედიტების რაოდენობა: 6 კრედიტი

დღეები და საათები, როდესაც სტუდენტი იმყოფება ორგანიზაციაში:

### 2.2. პრაქტიკის დავალებები

ა) სტუდენტის როლი სააგენტოში: ---------------------------- (მაგ. თერაპევტის დამხმარე, ადვოკატი, შემთხვევის მენეჯერი და სხვ.)

ბ) პრაქტიკის რა დავალებები მიეცემა სტუდენტს?
(გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ საკითხებზე: მიზნობრივი ჯგუფების ტიპები, ინტერვენციის სახეები, თვითშეფასების შესაძლებლობები და ა.შ):

სტუდენტის მიერ შესასრულებული დავალებების სრული აღწერა:

**დავალება 1:**

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**დავალება 2:**

______________________________________________

______________________________________________

**დავალება 3:**

**დავალება 4:**

**დამატებითი კომენტარი:**

**ხელმოწერები**

სტუდენტი:
თარიღი

პრაქტიკის ხელმძღვანელი:
თარიღი

პრაქტიკის კოორდინატორი:
თარიღი

# დანართი 3 – პრაქტიკის ხელმძღვანელის შე-ფასების ფორმა

## პრაქტიკის შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ

ფორმა ივსება სემესტრის ბოლოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; მოცემულ ინფორმაციას ითვალისწინებს პრაქტიკის კოორდინატორი სტუდენტის შეფასებისას პრაქტიკის სემინარის კურსის ფარგლებში. პრაქტიკის შეფასების ფორმა ასევე ინდივიდუალურ რეჟიმში უნდა იქნას განხილულ თითოეულ სტუდეტთან.

**I. ზოგადი ინფორმაცია:**

**სტუდენტის სახელი და გვარი:**
**სააგენტოს დასახელება:**
**პრაქტიკის ხელმძღვანელი:**

**შეფასების სემესტრი:** ☐ სემესტრი 1 ☐ სემეს-ტრი 2

---

სააგენტოში არსებული პირობები (დაფინანსების პრობლემა, კადრე-ბის შემცირება და სხვა), რამაც ზეგავლენა მოახდინა სტუდენტის სწავლაზე:

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
__________

**II. უშუალო პრაქტიკის უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება:**

1. სტუდენტი პრობლემებს განიხილავს სისტემურად, ანუ გარემოს, ორგანიზაციული სისტემების და საზოგადოების კონტექსტში.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

---

---

2. სტუდენტს შეუძლია განსაზღვროს და განახორციელოს სოციალური სამუშაოს სხვადასხვა როლები.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

---

---

3. სტუდენტს შუძლია აღწეროს შესაბამისი ორგანიზაციული და საზოგადოებრივი პრობლემები და საკითხები.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

---

---

4. აჩვენებს თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

---

---

5. შეუძლია კლიენტის დაინტერესება

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

---

---

6. იყენებს პრობლემის გადაჭრის უნარებს

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

7. შემოქმედებითია რესურსების ძიების საქმეში.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

**III. ორგანიზაციული და საზოგადოებასთან მუშაობის უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება:**

1. სტუდენტს ესმის პროგრამის და ორგანიზაციის მიზნები.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

2. სტუდენტს ესმის ორგანიზაციის მთლიანი სტრუქტურა და ორგანიზაციის სხვადსხვა დონეზე მომუშავე პერსონალის როლები.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

3. სტუდენტი შესატყვისად იყენებს სააგენტოს პოლიტიკას და პროცედურებს.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________________________________

________________________________________________________________

4. სტუდენტი პროგრამას განიხილავს არსებული ქსელის კონტექსტში და თანამშრომლობს ეფექტურად სხვა ორგანიზაციებთან, რომელიც მსგავს სერვისებს სთავაზობენ კლიენტებს.

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________________________________

________________________________________________________________

## IV. სტუდენტის, როგორც შემმეცნებელის შეფასება:

1. სტუდენტი აწარმოებს პრაქტიკის ჩანაწერებს და ასრულებს დავალებებს

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________________________________

________________________________________________________________

2. სტუდენტს აქვს საკუთარი თავის, საკუთარი მუშაობის შეფასების უნარი

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________________________________

________________________________________________________________

3. სტუდენტი ზედამხედველობის დროს ღიაა კონსტრუქციული კრიტიკისადმი

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________________________________

________________________________________________________________

## V. სტუდენტის სამუშოს ორგანიზების უნარების შეფასება:

1. სტუდენტი რეგულარულად ესწრება სამუშაო შეხვედრებს, შემთხვევის კონფერენციებს (თან დაურთეთ დასწრების ფურცელი)

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________

________________________________________

2. სტუდენტი ესწრება საზედამხედველო სესიებს რეგულარულად

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________

________________________________________

3. სტუდენტი დროულად ასრულებს დავალებებს და სხვა ჩანაწერებს

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________

________________________________________

4. სტუდენტის წერილობითი დავალებები შეესაბამება სააგენტოს სტანდარტებს

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

________________________________________

________________________________________

## VI. შეჯამება:

სტუდენტის ძლიერი მხარეები:

________________________________________

________________________________________

რაზე უნდა იმუშაოს მომავალში, რომ დაძლიოს სუსტი მხარეები:

ეძლევა თუ არა სტუდენტს რეკომენდაცია:

☐ კი ☐ არა

პასუხი დააზუსტეთ:

## VII. დამატებითი კომენტარი:

**ხელმოწერები:**

სტუდენტი:
თარიღი

პრაქტიკის ხელმძღვანელი:
თარიღი

პრაქტიკის კოორდინატორი:
თარიღი

# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 4 _ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ-ᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

სტუდენტის სახელი გვარი ---------------

პრაქტიკის ადგილი ----------------

| თარიღი | ველზე და-ხარჯული დახარჯული საათები | დავალებები/დავა-ლების ტიპი | ხელმძღვანე-ლის ხელმო-წერა |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

# დანართი 5 –კონფერენციის დღის წესრიგი

Georgian Association of Social Workers (GASW)
ILIA STATE UNIVERSITY

# EURASIA PROJECT CPEA-LT-2017/10043

“Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway"(CPEA-LT-2017/10043)

# International Conference 2021 in Tbilisi: **Social Work In Social Pedagogy: Practice Module Implementation**

## Program

## Tbilisi, Georgia – *Conference will be held online in ZOOM*

29 May 2021

The participation is free. Time: 12:30 GET
**ZOOM LINK:** https://us02web.zoom.us/j/84447603057

# Saturday May 29 (Program Georgian time)

**12:30-12:40 Opening**
Welcome and Opening Session
Shorena Sadzaglishvili & Ketevan Gigineishvili
**12:40 – 12:55** Greetings from Rudolf Steiner University College, Norway: Christian Wilbers
**12:55 – 14:00** Petter Holm and Vera Simakova "Trinal Method in Social Therapy"
**14:00 – 14:30** Eva Davis "Ethical Dilemmas in Social Work"
BREAK 15 MINUTES
**14:45 -15:00** Shorena Sadzaglishvili, MSW Program Director /Ilia State University
**15:00 – 15:15** Lia Asanishvili, Practice Teacher /Apnsc The Association for People in Need of Special Care (Apnsc)
**15:15– 15: 30** Ketevan Makashvili/Practice Teacher/ Child Development Institute, Ilia State University
**15:30 – 15: 45** /Marina Shostak/Practice Teacher/ Center for Free Pedagogy
**15:45 – 16: 00** /Lali Khandolishvili/Practice Teacher/Qedeli Community
BREAK 10 MINUTES

**16:10 -16:50** Project Outcomes: The Joint Presentations from Students and Beneficiaries.

(1) Apnsc The Association for People in Need of Special Care (Apnsc)
Students: Nini Katsitadze, Ina Purtskhvanidze/
Organizational Representatives: Marina Sanadze, Tamuna Sanadze

(2) Child Development Institute, Ilia State University
Students: Magda Modebadze, Eter Palelishvili, Ketevan Birkadze
Organizational Representatives:: DaviT Kvirkvelidze, Tamar Buxrashvili, Natalia Kalatozishvili, Ioseb Jimshitashvili

(3) Center for Free Pedagogy
Students: David Kevkhishvili, Keso Kekelia
Organizational Representatives:: Beka gugushvili, Levan Kvlividze, Tamuna Kosinenko, Gvanca Gavashelishvili, Nikoloz Kukava, Khatuna Danelia

(4) Qedeli Community
Students:Marta Svanidze, Nino Simsive
Organizational Representatives:: Mariam Okropiridze, Natia Nebsadze, Nino Araqeliani, Tamuna Zubashvili, Rom Alievi, Lika Gabunia

**16:50 -17:00** Award of Certificates

# დანართი 6 – სერთიფიკატი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

Within the Eurasia Project "Building bridges - development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway"
(CPEA-LT-2017/10043)

## სოციალური მუშაობის პრაქტიკის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი
## INTERNATIONAL CERTIFICATE OF SOCIAL WORK PRACTICE

სახელი, გვარი | Name, Surname

გაიარა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის
პრაქტიკის მოდული „სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში"
(24 კრედიტი / 600 საათი) შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით:

Participated at the Practice Module "Social Pedagogy in Social Work"
of the Master of Social Work Program
(24 credits / 600 hours) in collaboration with the following practice placements:

Apnsc კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ
The Association for People in Need of Special Care (Apnsc)
ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | Child Development Institute, Ilia State University
თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი | Center for Free Pedagogy
თემი ქედელი| Qedeli Community

შორენა საძაგლიშვილი | SHORENA SADZAGLISHVILI, MSW/PH.D.
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
Head of Master of Social Work Program, Ilia State University

კრისტიან ვილბერი | CHRISTIAN H.J. WILBERS
პროექტის კოორდინატორი | Project Coordinator
რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯი
Rudolf Steiner University College

ლია ასანიშვილი | LIA ASANISHVILI
პრაქტიკის ხელმძღვანელი/ Practice Supervisor
Apnsc კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ
The Association for People in Need of Special Care (Apnsc)

ქეთევან მაყაშვილი | KETEVAN MAKASHVILI
პრაქტიკის ხელმძღვანელი | Practice Supervisor
ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Child Development Institute, Ilia State University

მარინა შოსტაკი | MARINA SHOSTAK
ცენტრის დირექტორი, პრაქტიკის ხელმძღვანელი
Head of Center, Practice Supervisor
თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი | Center for Free Pedagogy

ლალი ხანდოლიშვილი | LALI KHANDOLISHVILI
თემ ქედლის დირექტორი, პრაქტიკის ხელმძღვანელი
Head of Qedeli Community, Practice Supervisor
თემი ქედელი | Qedeli Community

## Short Summary

Title "Social Pedagogy in Social Work" Practice Module Implementation at the Higher Educational Institution of Georgia"

This methodological book discusses the process of implementation of the practice module of "social work in social pedagogy" at the master of social work program at Ilia State University. This new practice module aims to enhance competences of social work students in working with disabled youth and adults. The project is supported by the Eurasia grant "Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway" (CPEA-LT-2017/10043). The results of the program had crucial importance on specialization of social work education in the direction of disability.

The social work master program at Ilia State University, Faculty of Arts and Science is the first master program in Georgia (founded in 2006). It has both theory and practice components. The program has its practice conception that includes all details of organization of fieldwork for students. The primary goal of the practice component is to offer a quality of practical experience through intensive field placements.

Starting from 2019, fall semester, Master of Social Work Program is piloting practice module for MSW students: "Social Pedagogy in Social Work". The practice component comprises of four practice courses. Practice courses are practice seminars that are provided to students in parallel with practice placements. During the two years of study, student undergoes four practice placements. In particular, these practice placements are as follows:

1. Qedeli Community for intellectually challenged adults. Work therapy studios for intellectually challenged people by providing family and community based care.
2. Centre for Free Pedagogy-school for disabled and special educational needs children and adolescents.
3. Association for People in need of Special Care- Social Therapy House – Day Centre for disabled persons
4. Child Development Institute – Independent life and working skills development program for young persons who have special educational needs.

Each student spends one semester in each practice placement to grow his/her skills in special practice with disabled adults and young persons by using the trinal methods. Students develop their competencies in social pedagogy – "the work with persons with disabilities and the conditions for them being able to take part in and contribute to social cultural activities in their local and regional community". As, social pedagogy is a field of work covering the whole life span of people, students have practice with adolescents (Center for Free Pedagogy) as well as with adults who are at risk of exclusion.

The fieldwork experience is an extension of the classroom. It is designed to provide a challenge to the student, exposing them to the myriad of practice opportunities. The fieldwork experience is designed to engage students in supervised direct service at macro, mezzo, and micro levels. The fieldwork experience provides students with the opportunity, under supervised conditions, to apply theories and knowledge learned in social work courses. Additionally, the fieldwork experience provides students an opportunity to reflect on their learning and to experiment and develop confidence in the skills they are developing during the practice.

Emphasis in the first year of fieldwork is placed upon developing appropriate foundation social pedagogical practice skills and knowledge and during the second year, the student is expected to develop increased insight and depth of understanding of agency and/or client systems and social pedagogy skills via exposure to a variety of experiences emphasizing on the student's ability to develop diagnostic, leadership, and administrative skills. In the first semester students initiate their assignments by becoming oriented to the agency placement. Students initially observe professionals in practice and later in the semester may begin to carry caseloads, case assignments, and participate in client, agency, and community activities. If students are assigned caseloads, they are expected to carry and manage them with the guidance of the field instructor. In the second year, students continue to build upon the micro and macro knowledge and skills gained during the first Year, and through advanced coursework, continue to expand their application of new skills in micro, macro, and mezzo settings. Some of these advanced practice skills consist of increased self-analysis and reflection, autonomy, constructive utilization of supervision, management of more complex caseload assignments and legal and ethical issues.

Practice Coordinator (that is assigned by the project) is responsible for site visits once a semester to assess students' performance and meet the practice teachers. At the beginning of the field placements student, practice coordinator and practice teacher at practice placement elaborate educational plan, which includes practice assignments that are assigned to the student during the semester. At the end of the semester student is assessed by both practice teacher (10% of assessment) by using a special practice assessment form and practice coordinator/course teacher (90 %). Practice coordinator who is a practice seminar course leader at the same time provides student's assessment based on students' mid-semester and final assignments. The student presents his/her e-portfolio of practice work as middle and final assessment. All assignments are designed to measure students' following fundamental social pedagogical competencies.

1) Theoretical competences in Social Pedagogy:

- An understanding on different views on knowledge and scientific methods;
- Basic knowledge on ethics and an insight into ethical issues related to social work practices;
- Knowledge on development, learning and socialization, as well as a specific understanding of children, youth and adults who are in need of special requirements concerning education and care;
- Knowledge of the working of society, framework conditions, legal rights, legislation and support services that are relevant to the social-pedagogical work sphere;
- Basic knowledge of communication and familiarity with conflict resolution.

2) Skills and methodological competences in Social Pedagogy

- Obtain, evaluate and apply academic theoretical knowledge to plan and justify social-pedagogical actions and measures;
- Identify and evaluate ethical dilemmas within the occupation, in order to safeguard the needs and rights of pupils and beneficiaries;
- Plan, lead and implement targeted social work measures that contribute to development, coping and quality of life for people with disabilities;
- Use a diverse repertoire of educational methods of artistic, practical and social nature;

- Communicate and interact in a supportive and respectful manner with colleagues, pupils and beneficiaries, as well as their relatives;
- Be able to carry out, lead and evaluate change and development work in a social-educational context;
- Be able to safeguard and manage the needs and rights of beneficiaries within the frameworks of legislation and support services.

3) Personal and social competences in Social Pedagogy

- Meet beneficiaries with genuine interest, understanding and respect, based on the ideal of equality and regardless of the individual´s level of development and social status;
- Appreciate individuality and respect differences and variety;
- Work professionally with relations, assess the impact of his/her own actions and adjust their own behavior accordingly;
- Show accountability and an attitude of commitment towards the profession;
- Intervene in and deal with unforeseen situations and act intuitively and situationally where this is necessary.

Field education is the "signature pedagogy" for social work programs.

In addition, students are required to take an elective course "Social Work with Disabled People" for the second year (2020 Fall semester) that is developed by support of the Eurasia Project and is already included in the MSW curriculum.

To sum up, 16 MSW students participated in the project from 2019 to 2021 and 9 MSW students awarded with international certificates for completion of the program. One student completed her master dissertation on Waldorf pedagogy. In addition, in the project participated 3 faculty staff, 4 practice teachers and 3 doctoral degree students and underwent international practice/workshops at Rudolf Steiner University College, Norway and partner countries.

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com